ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის
# გზამკვლევი

ICMPD
International Centre for
Migration Policy Development

ENIGMMA
Putting the pieces together
to respond effectively to migration challenges

იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის

# გზამკვლევი

იტალია, 2020

## სარედაქციო გუნდი:

ემანუელე არგენტო, იურისტი

კონსტანტინე სურგულაძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში

ნატალია მაღრაძე, მრჩეველი, საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში

თამარ რჩეულიშვილი, კონსული, საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში

ნენო გაბელია, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი იტალიის რესპუბლიკაში

ქეთევან გორგოშიძე, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი

გურამ მამფორია, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი

ეკატერინე ბუჯიაშვილი, ენის რედაქტორი

ირინა სანაშვილი, თარჯიმანი

ოთარ ფერაძე, პუბლიკაციის დიზაინერი

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი

Gonzagagasse 1

A-1010 ვენა

ავსტრია

www.icmpd.org

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ, საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან (SCMI) თანამშრომლობით მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში (ENIGMMA 2)“ - ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსი გამოხატავს მხოლოდ ავტორთა შეხედულებებს და არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ევროკავშირის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, ან მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მისი წევრი უწყებების მოსაზრება.

გამომცემლობა:

იტალია

# სარჩევი


წინასიტყვაობა ..... 10

ზოგადი ინფორმაცია იტალიაში ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი მოქალაქის მდგომარეობაზე ..... 12

1.1.1 ვიზის გაცემა ..... 14

1.1.2 ვიზის გაცემის ფასები ..... 15

1.1.3 ვიზის გაცემის პროცედურა ..... 16

1.1.4 ვიზის სახეობები და ბინადრობის მოტივები ..... 16

1.1.5 ხელახლა შესვლის ვიზა ..... 17

1.2 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა სამუშაო მიზნით ..... 17

1.2.1 განაცხადის წარდგენის რეჟიმი ..... 18

1.2.1.1 საგანაცხადო ფორმულარები ..... 18

1.2.1.2 სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება სუბორდინაციულ სამუშაო ნებართვად . 19

1.2.2 სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება თვითდასაქმებით სამუშაო ნებართვად ..... 20

1.2.3 ელექტრონული (TELEMATIC) პროცედურა ..... 20

1.2.4 რა უნდა გაკეთდეს ბინადრობის ნებართვის/ბარათის მოთხოვნისთვის ..... 22

1.2.5 ბინადრობის ნებართვა სუბორდინაციული სამუშაოს მიზნით ..... 23

1.2.5.1 ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა ..... 23

1.2.5.2 ბინადრობის ნებართვის პირველი გაცემა ..... 23

1.2.5.3 ბინადრობის ნებართვის განახლება ..... 24

1.2.6 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა კვოტის გარეშე ..... 28

1.2.6.1 ავტორიზაციის (Nulla Osta) განაცხადი იტალიის რესპუბლიკაში კვოტის გარეშე შესასვლელი ვიზის მისაღებად ..... 32

1.2.6.2 საჭირო დოკუმენტაცია სხვა შემთხვევებში სუბორდინაციული სამუშაოს მიზნით ვიზის მისაღებად ..... 33

1.2.6.3 საჭირო დოკუმენტები ოფიციალურად აკრედიტებული კორესპონდენტების, უცხოური პრესის ან რადიოსადგურებისა და ტელევიზიების თანამშრომლებისათვის ..... 33

1.3 ევროკავშირის ლურჯი ბარათი ..... 34

1.4 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა ოჯახური მოტივით ..... 35

1.4.1 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა ოჯახის გაერთიანების მიზნით ..... 35

1.4.1.1 ოჯახის გაერთიანების პროცედურა (I ფაზა) ..... 36

1.4.1.1.1 განაცხადის წარდგენისათვის აუცილებელი დოკუმენტები ..... 36

1.4.1.1.2 ოჯახის გაერთიანებაზე ავტორიზაციის მისაღებად საჭირო რეკვიზიტები და დოკუმენტები ..... 37

1.4.1.1.3 შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტები ..... 37

1.4.1.1.4 საცხოვრებელი ფართი ..... 38

1.4.1.1.5 ოჯახური კავშირის მტკიცებულება....40

1.4.1.2. ოჯახის გაერთიანების პროცედურა (II ფაზა) - მოთხოვნის გაგზავნის შემდეგ....40

1.4.1.3 ვიზის გაცემა....40

1.4.2 ბინადრობის ნებართვა ოჯახური მოტივით (PDS)....41

1.4.2.1 ოჯახის ერთიანობის დაცვა....42

1.4.2.2 ელექტრონული პროცედურა....42

1.4.2.3 პირველი გაცემა....43

1.4.2.4 განახლება....43

1.4.2.5 ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვა არასრულწლოვანი, 18 წლამდე ასაკის შვილისათვის....44

1.4.3 სხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება/შეცვლა ოჯახური მოტივით - ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ ნებართვად....45

1.4.3.1 საჭირო დოკუმენტები....45

1.4.3.2 ტურიზმის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივის ნებართვად....45

1.5 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა სწავლის მიზნით....46

1.5.1 პროცედურა....46

1.5.2 სასწავლო ვიზა....47

1.5.3 მისაღები გამოცდები/ტესტები და ჩარიცხვა....48

1.6 ბინადრობის ნებართვა სამშობიარო ან სამედიცინო მომსახურების მოტივით....48

1.6.1 ჯერარშობილი ბავშვის დედასთან ქორწინებაში მყოფი მამა....48

1.6.2 ორსულობის მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის საჭირო დოკუმენტები....49

1.6.3 შვილის დაბადებიდან მომდევნო 6 თვისთვის ორსულობის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის გასაახლებლად საჭირო დოკუმენტები....49

1.6.4 სამედიცინო მომსახურების (ორსულობა) ბინადრობის ნებართვის (PDS) გადაკეთება ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვად....49

1.6.5 სამედიცინო მომსახურების მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემისა და განახლებისათვის საჭირო დოკუმენტები....50

თავი II. ბინადრობის ნებართვის განახლება და გადაკეთება....51

2.1 განახლება....51

2.1.1 14 წლამდე ასაკის უცხოელი არასრულწლოვნის ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა....51

2.1.2 განახლების მოთხოვნის ფორმების შევსების ინსტრუქციები....52

2.1.3 მითითებები ევროკავშირის ბინადრობის ბარათის შესავსებად....53

2.2 სხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივით - ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ ნებართვად....54

2.2.1 ტურიზმის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვად....55

2.2.2 ბინადრობის ნებართვა დასაქმების მოლოდინის მოტივით....55

2.2.2.1 უცხოელი სტუდენტი და ბინადრობის ნებართვა დასაქმების მოლოდინის მოტივით 56

2.2.2.2 ფინანსური დახმარების გაცემა....56

2.2.2.3 ხანგრძლივობა ..... 56

2.2.2.4 პროცედურა ..... 56

2.2.3 სასწავლო ნებართვის სამუშაო ნებართვად გადაკეთების პროცედურა ..... 58

2.2.3.1 განათლების/კვალიფიკაციის დიპლომთა სია, რომლის მიღების შემდეგ შესაძლებელია ნებართვის გადაკეთების/შეცვლის მოთხოვნა ..... 58

2.2.3.2 ნებართვის გადაკეთების/შეცვლის მოთხოვნა კვოტების შემოწმების გზით ..... 59

2.2.3.3 პროცედურა ..... 59

2.2.3.4 თვითდასაქმებითი შრომითი საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტები ..... 60

2.3 იტალიის რესპუბლიკიდან გასვლა და უკან დაბრუნება ბინადრობის ნებართვის მოლოდინში ..... 62

თავი III. ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა ..... 63

3.1 მახასიათებლები ..... 63

3.2 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა ოჯახის წევრებისთვის ..... 64

3.3 გაუქმება / ჩამორთმევა ..... 65

3.4 საჩივარი ..... 66

3.5 პროცედურა ..... 66

3.6 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვისთვის საჭირო დოკუმენტები ..... 66

3.7 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ახალი მონაცემებით ჩასწორება ... 69

3.8 ღიად დარჩენილი პრობლემური საკითხები ..... 69

3.9 შემოსავლების ცხრილი ..... 70

3.10 იტალიური ენის გამოცდა ..... 71

3.10.1 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად საჭირო იტალიური ენის გამოცდაზე რეგისტრაციის პროცედურა ..... 72

3.10.2 საგამოცდო მომზადების კურსები ..... 73

თავი IV. საერთაშორისო დაცვა ..... 73

4.1 საერთაშორისო დაცვის აღიარების პროცედურა ..... 73

4.1.1 საერთაშორისო დაცვის განმეორებით მოთხოვნა “Salvini განკარგულებით N.132 / 18, ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით“ ..... 76

4.1.2 გადაწყვეტილება განაცხადზე ..... 77

4.1.3 ლტოლვილის სტატუსი ..... 77

4.1.4 სუბსიდიური დაცვა ..... 78

4.1.5 საერთაშორისო დაცვის მომთხოვნთა მიღება ..... 79

4.1.6 რეპატრიაციის მუდმივ ცენტრებში (CPR) დაკავება ..... 80

4.2 განმცხადებელთან გასაუბრება ..... 81

4.2.1 განაცხადის ხელახალი განხილვა ..... 84

4.2.2 საჩივარი ..... 84

4.2.3 სტატუსის გაუქმება და შეწყვეტა ..... 85

4.3 ბინადრობის ნებართვა პოლიტიკური თავშესაფრის მოტივით ..... 86

4.4 ბინადრობის ნებართვა სუბსიდიური დაცვის მოტივით..... 87

4.5 ჰუმანიტარული მიზეზების გამო ბინადრობის ნებართვის გაუქმება და სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვა, რომელიც შეიძლება გაიცეს თავშესაფრის პროცედურის მიღმა. ..... 89

4.5.1 გარდამავალი დებულებები: ჰუმანიტარული მოტივით დაცვასთან დაკავშირებით ..... 89

4.6 ბინადრობის ნებართვის ახალი ტიპები ..... 91

4.7 ქვეყანაში მიღება და მიღების გადაწყვეტილების გაუქმება ..... 94

4.7.1 SIPROIMI - საერთაშორისო დაცვის მფლობელთათვის და თანმხლები პირების გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი დაცვის სისტემა ..... 97

4.8 დუბლინის რეგულაციები და წესები ..... 99

4.8.1 თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები ..... 99

4.8.2 სრულწლოვნები ..... 101

4.8.3 გამონაკლისები ..... 102

4.9 ბინადრობის ნებართვის გაცემის შემდეგ ევროკავშირის სხვა ქვეყანაში გადაადგილების შესაძლებლობა ..... 103

4.10 იურიდიული მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე ..... 104

4.11 თანმხლები პირის გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვნები ..... 105

4.11.1 კანონი N.47/2017 ..... 105

4.11.2 არასრულწლოვანი მიგრანტის განმარტება ..... 106

4.11.3 უარის/უკან გაბრუნების აკრძალვა და მიღების ფორმები ..... 106

4.11.4 დაცვის სისტემა: თავშესაფრის განაცხადი, ინტეგრაციის ღონისძიებები, საგანმანათლებლო ტრენინგი, ჯანმრთელობისა და მოსმენის უფლება, უსამართლობისა და ძალადობისგან დაცვა ..... 107

4.11.5 N. 132/18 ** კანონით გათვალისწინებული ცვლილებები ..... 108

4.11.6 დასკვნები ..... 108

თავი V. გაძევება, დაკავება, ხელშეუხებლობა გაძევებასთან მიმართებით ..... 109

5.1 უკან გაბრუნება/უარი ..... 110

5.1.1 საზღვრიდან უკან გაბრუნება/საზღვართან უარი ..... 110

5.1.2 გადავადებული უკან გაბრუნება პოლიციის უფროსის ბრძანებით და საზღვრამდე მიცილებით ..... 111

5.2 ადმინისტრაციული წესით გაძევება ..... 113

5.2.1 ადმინისტრაციული წესით გაძევების შედეგები ..... 114

5.2.2 გაძევება მინისტრის განკარგულებით ..... 114

5.2.3 გაძევება პრეფექტის განკარგულებით ..... 115

5.2.4 ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულების დარღვევა ..... 121

5.2.5 სასამართლო წესით გაძევება ..... 122

თავი VI. სასამართლო შემოწმება და კანონის უზენაესობის გარანტიები ..... 124

6.1 საზღვარზე იძულებითი თანხლების დროს ..... 125

6.2 მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის აღიარებული დაცვის გარანტიები ..... 126

6.3 ადმინისტრაციული პატიმრობის დადასტურება სასამართლოს მიერ ..... 127

6.4 თავისუფლებაშეზღუდულ პირებზე ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის აკრძალვა ..... 127

თავი VII. სოციალური დაცვა (საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998, მუხლი 18) ..... 128

7.1 ბინადრობის ნებართვა სოციალური დაცვის მოტივით ..... 128

თავი VIII. იტალიის მოქალაქეობის მინიჭება და გადამოწმება/დადგენა ..... 130

8.1 მოქალაქეობის უფლება ..... 131

8.2 მოქალაქეობა ქორწინების გზით ..... 134

8.3 იტალიის მოქალაქეობა იტალიაში დაბადებულთათვის 18 წლის ასაკის შესრულებისას ..... 136

თავი IX. სოციალურ შეღავათებზე ხელმისაწვდომობა ..... 138

9.1 მოსახლეობის რეესტრში გატარება ..... 138

9.1.1 მოსახლეობის რეესტრში საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა და ბენეფიციართა გატარება ..... 139

9.2 უფასო იურიდიული დახმარება ..... 141

9.2.1 დაცვის უფლება ..... 141

9.3 უცხოური დოკუმენტების ლეგალიზაცია ..... 144

9.4 განცხადება საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე (ფართის გამოყოფა) ..... 144

9.5 ფისკალური კოდი ..... 145

9.5.1 უკვე იტალიაში მყოფი უცხოელი ..... 145

9.5.2 საზღვარგარეთ მყოფი უცხოელი ..... 145

9.5.3 დროებითი ფისკალური კოდი თავშესაფრის მაძიებლებისათვის ..... 146

9.6 ჯანდაცვის სამსახური ..... 146

9.6.1 ევროკავშირის არაწევრი მოქალაქეებისათვის ჯანმრთელობის მომსახურების უზრუნველყოფა ბინადრობის ნებართვის გარეშე ..... 146

9.6.2 STP კოდი - დროებით მყოფი უცხოელი ..... 147

9.6.3 ლეგალურად მობინადრე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა რეგისტრაცია ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში ..... 148

9.7 ეკონომიკური დახმარებისათვის საჭირო ზომები ..... 151

9.7.1 მშობიარობის შემწეობა/სარგებელი ..... 151

9.7.2 მშობიარობის შემწეობა/სარგებელი განსხვავებული ტიპის მუშაკებისათვის (საკანონმდებლო დადგენილება N.151/2001, მუხლი 75). ..... 152

9.7.3 მრავალშვილიანი ოჯახის ფულადი დახმარება: N.488/1998 კანონის 65-ე მუხლი, სულ მცირე, სამშვილიანი ოჯახისთვის; და მეოთხე შვილის ბონუსი N.190/2014 კანონის 1-ლი მუხლის 130-ე პუნქტით ..... 153

9.7.4 შობადობის შემწეობა/სარგებელი (2014 წლის 23 დეკემბრის N190 კანონი, მუხლი 1, პუნქტი 125; სტაბილურობის კანონი, 2015) ..... 154

9.7.5 აქტიური ჩართულობის მხარდაჭერა/შემწეობა (სამინისტროს 2016 წლის 26 მაისის განკარგულება, შეცვლილი 2017 წლის 29 აპრილის განკარგულებით) ..... 155

9.7.6 ჩვეულებრივი შესყიდვის ბარათი (სამინისტროს განკარგულება N.112/08, მუხლი 81, პუნქტი 32, გადაკეთებული N.133/08 კანონად) ..... 156

9.7.7 ინკლუზიური შემოსავალი (REI)* ..... 156

9.7.8 მოქალაქეობის შემოსავალი ..... 157

9.7.9 ოჯახის (ბირთვის) სოციალური დახმარება (ANF) საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახის წევრთათვის (კანონი N. 153/88, მუხლი 2, პუნქტი 6)..... 157

9.7.10 დაბადების პრემია (2017 წლის ბიუჯეტის კანონი N.232/2016, მუხლი 1, პუნქტი 353, გამოქვეყნებული ოფიციალურ გაზეთში (21 დეკემბერი, 2016))..... 158

9.7.11 საბავშვო ბაღის ბონუსი (კანონი N.232/2016, მუხლი 1, პუნქტი 355, გამოქვეყნებული ოფიციალურ გაზეთში, 21 დეკემბერი, 2016)..... 158

9.8 დასაქმების ხელმისაწვდომობა ..... 159

9.8.1 მუშაობის საშუალებას იძლევა შემდეგი მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვები: ... 159

9.8.2 მუშაობის საშუალებას არ იძლევა შემდეგი მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვები: ..... 160

9.8.3 დასაქმება გამოძახებით..... 160

9.8.4 უმუშევრობის კომპენსაცია NASPI ..... 162

9.9 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები ..... 163

9.10 სამედიცინო შემოწმება ..... 164

9.10.1 საგადასახადო გამოქვითვა კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებისთვის ..... 166

9.10.2 უცხოელი დასაქმებული კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებით თავის ქვეყანაში..... 167

9.10.3 რას წარმოადგენს და რისთვის არის საჭირო CUD (საერთო ცნობა დასაქმებულის შესახებ) ..... 167

9.10.4 რა არის და რისთვის არის საჭირო ISEE (ეკვივალენტური ეკონომიკური სიტუაციის ინდიკატორი) ..... 168

9.11 ოჯახში დამხმარე და მომვლელი - სახლში შრომითი დასაქმების დაწყების სავალდებულო შეტყობინება INPIS-სთვის ..... 169

9.12 მართვა ევროკავშირის ტერიტორიაზე: რა უნდა ვიცოდეთ მართვის მოწმობის გადაკეთების/ შეცვლის ან შენარჩუნების შესახებ..... 170

საკონტაქტო ინფორმაცია..... 172

# წინასიტყვაობა

მიგრანტთა და დიასპორის წარმომადგენელთა წვლილი თავიანთი ქვეყნის განვითარებაში საყოველთაოდ აღიარებულია. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) საკუთარი პროექტების ფარგლებში დიასპორასთან დაკავშირებულ აქტივობებზე აკეთებს აქცენტს. უკვე მრავალი წელია, რაც IC-MPD აქტიურად თანამშრომლებს როგორც ეროვნულ და უცხოურ ინსიტუტებთან, ისე დიასპორულ ორგანიზაციებსა და დიასპორის წარმომადგენლებთან, რომლებიც ორიენტირებულნი არიან საქართველოსა და ქართველ მიგრანტთა ჯგუფებს შორის დიალოგის მხარდაჭერასა და წახალისებაზე.

ძლიერ და ინფორმირებულ დიასპორას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს, როგორც წარმოშობის, ისე ბინადრობის ქვეყნის განვითარებაში. ამის გათვალისწინებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“ (ENIGMMA 2) - გადაწყდა გზამკვლევის შემუშავება იტალიის მიგრაციის კანონსა და რეგულაციებზე. მისი მიზანია იტალიაში მცხოვრები ქართული დიასპორის ინფორმირება ბინადრობის წესებისა და პროცედურების შესახებ. პროექტი 2017 წლის სექტემბრიდან ხორციელდება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით და მისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული დიასპორის მხარდაჭერა.

გზამკვლევი ENIGMMA 2-ის გუნდმა შეიმუშავა იტალიაში საქართველოს საელჩოს, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან თანამშრომლობით და ქართველ მიგრანტებს აცნობს იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის კომპლექსურ მხარეებს; ასევე, მკითხველს უმარტივებს მიგრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაგებასა და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების გააზრებას. ლეგალური მიგრაციის საკანონმდებლო მექანიზმებზე ცოდნის გაღრმავება ძალზე მნიშვნელოვანია იტალიაში მცხოვრები ქართული დიასპორისათვის. გზამკვლევი ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის პრევენციასაც და წაახალისებს ლეგალურ მიგრაციასა და მობილობას საქართველო-ევროკავშირს შორის, რაც უკვე დიდი ხანია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და IC-MPD-ს ყურადღების ქვეშ მოექცა.

ENIGMMA2-ის სახელით, მსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იტალიაში საქართველოს საელჩოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტსა და იურისტს, ბატონ ემანუელე არჯენტოს, გზამკვლევის წარმატებულად შემუშავებაში გამოჩენილი თავდადებისა და საქმისადმი ერთგულებისათვის.

**ვიოლეტა ვაგნერი**
მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის
პროექტის კოორდინატორი

მიგრაცია გლობალური ფენომენია და, დღესდღეობით, გამოწვევაა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის. ბუნებრივია, გამონაკლისი არც საქართველოა. ზოგადად, მიგრაციის მიზეზი მრავალგვარია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური ფონი ჭარბობს. უდავოა, რომ ბოლო პერიოდში ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მიღწევა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციაა. სავიზო რეჟიმის გამარტივების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებში უკეთესი ეკონომიკური პირობების საძიებლად საქართველოდან ბევრი მოქალაქე ჩავიდა. საქართველოს გეოპოლიტიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, მიგრაციული პროცესების მართვა ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. შესაბამისად, ამ პროცესებში საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მოქალაქეების ინტერესებისა და უფლებების დაცვა საქართველოს საგარეო უწყების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია, ემიგრაციაში წასულ მოქალაქეებს, რისკების ასაცილებლად, ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ სხვადასხვა ტიპის მომსახურებასა და პროცედურაზე, ასევე, იმ უფლებებზე, რომლებიც სხვა ქვეყანაში ცხოვრების დაწყების პირველ ან მომდევნო ეტაპზე ესაჭიროებათ.

მიგრაციას, ბევრ უარყოფით ფენომენთან ერთად, დადებითი დინებებიც ახლავს. მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების მიერ ცოდნის, გამოცდილებისა თუ თვალსაწიერის გაფართოება, სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციის გაცნობა და შემდგომ ამ გამოცდილების საკუთარ ქვეყანაში გამოყენება. დიდია ემიგრაციისა და, ზოგადად, დიასპორის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. საზღვარგარეთ მყოფ ქართველებს თავიანთი საქმიანობით დიდი წვლილი შეაქვთ არა მარტო ადგილსამყოფელი ქვეყნების განვითარებაში, არამედ საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაციასა და დადებითი იმიჯის შექმნაში. „სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ ოჯახის სახეა, გარეთ კი – შენი ერის!“ - ასე ამბობდა დიდი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი. შესაბამისად, მაღალი პროფესიონალიზმის, ფართო მასშტაბისა და თვალსაწიერის მქონე წარმატებული ქართველები საზღვარგარეთ ქვეყნის სახეს და დადებით იმიჯს ქმნიან. ამ მხრივ, ფასდაუდებელია ქართული დიასპორის როლი სახალხო დიპლომატიაში.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დღეს იტალიაში მყოფი ქართველი ემიგრანტებისთვის არსებობს „იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის გზამკვლევი“. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ადამიანს, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ამ გზამკვლევის მომზადებაში. უღრმესი მადლობა ICMPD-ის თითოეულ თანამშრომელს, იტალიაში დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობების დეპარტამენტსა და იტალიაში საქართველოს საელჩოს, ასევე, იტალიელ იურისტს, ემანუელე არჯენტოს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ დოკუმენტის მომზადებაში.

იმედი მაქვს, რომ იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის გზამკვლევში შესაბამის პასუხებს იპოვით თქვენთვის საინტერესო და საჭირო კითხვებზე.

გისურვებთ წარმატებებს და მალე დაბრუნებას სამშობლოში!

**კონსტანტინე სურგულაძე**

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში

## ზოგადი ინფორმაცია იტალიაში ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი მოქალაქის მდგომარეობაზე

მესამე ქვეყნიდან შემოსულ უცხოელთა სამართლებრივი სტატუსის მარეგულირებელმა ძირითადმა კანონმა, რომელიც ცნობილია „ბოსი-ფინის კანონის“ სახელწოდებით (N.189/2002) და ერთიანი საკანონმდებლო აქტია იმიგრაციის შესახებ (საკანონმდებლო განკარგულება N.286/1998), მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

ეს აქტი, მე-2-ე მუხლის საფუძველზე, აღიარებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის, არალეგალურად მცხოვრები უცხოელებისაც. კერძოდ: უკანონოდ შემოსული/შემოყვანილი არასრულწლოვანი უცხოელი არ ექვემდებარება გაძევებას ან უკან გაბრუნებას, მაგრამ, ამავდროულად, ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მათ შესახებ არასრულწლოვანთა უფლებამოსილ სასამართლოს; კანონი ასევე არ ითვალისწინებს ორსული და ბოლო 6 თვის განმავლობაში ნამშობიარები ქალების გაძევებას ან უკან გაბრუნებას და მათ უფლება აქვთ, მიიღონ ბინადრობის ნებართვა. აქტი ეხება წამების მსხვერპლთა და ავადმყოფთა დახმარების/მომსახურების სპეციალურ პირობებსაც.

შემდეგი სახის ცვლილებები იქნა შეტანილი განკარგულებით N.133/2018 (სალვინის განკარგულება ან „უსაფრთხოება და იმიგრაცია“ განკარგულება) რის მიხედვითაც შეიქმნა კანონი N.132/18, შემოღებულ იქნა წინა კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ იტალიის ტერიტორიაზე რეგულარულად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეების ადრე აღიარებულ ზოგიერთ უფლებაზე. პირველი უმთავრესი ცვლილებაა პირველი მუხლი, რომელიც აუქმებს ბინადრობის ნებართვას ჰუმანიტარული მოტივით. ასევე შემოვიდა ბინადრობის ნებართვის ახალი ტიპები (ან შეიცვალა), რომელსაც დამუკიდებლად გასცემს პოლიციის კომისარი საკუთარი ინიციატივით (ან სასამართლო ხელისუფლების შეთავაზებით ან შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით), ტერიტორიული თავშესაფრის კომისიის მოთხოვნით. იხილეთ ქვემოთ.

არალეგალური იმიგრაცია, რასაც შეიძლება ეწოდოს ფარული ან უკანონო იმიგრაციაც, არის უცხოელ მოქალაქეთა შემოსვლა/ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე ამავე ქვეყნის საიმიგრაციო კანონით გათვალისწინებული ნორმების დარღვევით, ანუ ქვეყანაში შესვლა წინასწარი ნებართვის გარეშე.

არალეგალად მიიჩნევა უცხოელი მოქალაქე, თუ იტალიაში შესულია სასაზღვრო კონტროლის გვერდის ავლით, უვიზოდ, ან საიდენტიფიკაციო (პირადობის დამადასტურებელი) დოკუმენტების გარეშე, ანდა აქვს ქვეყანაში შესვლის უფლებამოსილება, მაგრამ შემდგომში ვერ მოითხოვს და ვერ მიიღებს ბინადრობის ნებართვას.

უცხოელი, რომელსაც არ გააჩნია ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნისთვის აუცილებელი რეკვიზიტები (ან აქვს ვადაგასული და განუახლებელი ბინადრობის ნებართვა), ითვლება უკანონოდ მყოფად.

შეიძლება ადამიანი უკანონოდ შემოვიდეს ქვეყანაში, სასაზღვრო კონტროლზე პირადი მონაცემების წარდგენის გარეშე, მაგრამ შემდგომ გამოასწოროს თავისი პოზიცია “ამნისტიების” ან “რეგულაციების” მეშვეობით, ან პირიქით, ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდეს კანონიერი გზით, მაგრამ ნებადართულ ვადაზე მეტხანს დარჩენის გამო, მისი ყოფნა გახდეს უკანონო (overstaying) და დადგეს გაძევების რისკის წინაშე.

ე.წ. ,,ეკონომიკურ მიგრანტთა'' სამუშაო მიზნით შემოსვლა რეგულირდება კვოტების სისტემით. კანონი ითვალისწინებს, რომ ყოველ წელს სპეციალური დადგენილებით განისაზღვროს მესამე ქვეყნიდან შემოსასვლელ უცხოელთა რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ სუბორდინაციული (subordinato), სეზონური და თვითდასაქმებითი (autonomo) სამუშაოს შესრულების უფლება. ეს სისტემა ძირითადად ემყარება პრინციპს ,,შორიდან/გარედან მოყვანა'', ანუ დამსაქმებელი იტალიის ტერიტორიაზე იმყოფება, დასასაქმებელი კი - თავის ქვეყანაში. საკმაოდ კომპლექსური პროცედურის გავლის შემდეგ, თუკი დამსაქმებლის განაცხადი მიიღება, ქვეყანაში შემოსვლისთვის გაცემული ავტორიზაცია ეგზავნება უცხოელის ქვეყანაში მოქმედ იტალიის საკონსულოს, სადაც ეს მოქალაქე მიიღებს სამუშაო ვიზას. თუმცა, ხშირად ისეც ხდება, რომ დადგენილებით განსაზღვრული ყოველწლიური კვოტები უკვე იტალიაში მყოფი პირების ლეგალურად გაფორმებას ხმარდება: მათი დამსაქმებლები განაცხადს ისე წარადგენენ, თითქოს

ეს პირები ჯერ ისევ თავის სამშობლოში იმყოფებოდნენ. შემოსასვლელი ვიზის არქონისას, ასევე, თუ არ არის შეტანილი განაცხადი თავშესაფრის, საერთაშორისო დაცვის ან ჰუმანიტარული დაცვის მოთხოვნით, იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის ყოფილი 5-sexies მუხლის თანახმად, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი მესამე ქვეყნიდან შემოსული უცხოელი მოქალაქის უკანონო იმიგრაციაზე - დანაშაულზე, რომელიც ისჯება 5,000-დან 10,000 ევრომდე ფულადი ჯარიმით და, მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე, გაძევებით (მოსამართლე იღებს ინფორმაციას უცხოელი მოქალაქის გაძევების ან უკან გაბრუნების აღსრულებაზე მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და გამოაქვს განაჩენი დანაშაულის ჩადენის გამო).

თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში გადაწყვეტილება უკანონო იმიგრაციის დანაშაულის შესახებ შეჩერებულია. გაძევების შემთხვევაში, უცხოელ მოქალაქეს ქვეყანაში შემოსვლა 10 წლით ეკრძალება.

თუ გაძევებული უცხოელი მოქალაქე კვლავ შემოდის ქვეყნის ტერიტორიაზე, ის ჩადის დანაშაულს, რომელიც ისჯება 1-და 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით (საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998, მუხლი 13, პუნქტი 13).

შენიშვნა: 2011 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა ქვეყნის (იტალიის) კანონმდებლობის შეუსაბამობა თანამეგობრობის კანონმდებლობასთან, კერძოდ, იმ ნაწილში, სადაც უკანონოდ მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელიმე წევრი ქვეყნის ტერიტორიის დატოვებაზე გაცემული ბრძანების შეუსრულებლობისთვის, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.

აქედან გამომდინარე, N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილების მე-14 მუხლის 5-ter და 5-quarter პუნქტების დარღვევა აღარ ითვალისწინებს არანაირი საჯარიმო სანქციის გამოყენებას - ხსენებული გადაწყვეტილებით, დე ფაქტო უქმდება ამ პუნქტებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

აქვე ვაზუსტებთ, რომ N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილების მე-13 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული სასჯელი ძალაში რჩება, ვინაიდან ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება მას არ შეხებია.

თუ უცხოელ მოქალაქეს განესაზღვრა გაძევება ან უკან გაბრუნება/შემოსვლაზე უარი, გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს უცხოელის საზღვრამდე მიყვანით. როცა ეს ვერ ხერხდება, სასამართლო ორგანოების წინასწარი თანხმობის საფუძველზე, ასეთ სუბიექტს ათავსებენ ე.წ. CPR-ში (რეპატრიაციის მუდმივი ცენტრები). ეს ვადა შეიძლება 12(18 თვე) თვემდე გაგრძელდეს თავშესაფრის იმ მაძიებელთათვის, რომლებიც ,,რისკებს უქმნიან საზოგადოებრივ უსაფრთხოებსა და წესრიგს'', ან რომელთა მხრიდანაც ,,არსებობს გაქცევის რისკი". ამ პერიოდში ემიგრანტს უფლება აქვს, ჰყავდეს ადვოკატი, თუნდაც სახაზინო წესით დანიშნული, და შეეძლოს კომუნიკაცია გარე სამყაროსთან.

N.132/18 კანონით შესაძლებელი ხდება, უცხოელი დაელოდოს საზღვარზე დაუყოვნებლივი თანმხლები პროცედურის განსაზღვრას, აგრეთვე CPR-სგან განსხვავებულ სტრუქტურებში, რომელიც ეკუთვნის "საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანოებს."

იგივე მაგისტრატი მოსამართლე, პოლიციის კომისრის მოთხოვნით, გასცემს განკარგულებას დამტკიცდეს ბრძანება რომლის მიხედვითაც ჩაინიშნება სასამრთლო მოსმენა. თუ სასამართლო მოსმენის შემდეგაც CPR– ში დაკავების შეუძლებლობის პირობები კვლავ რჩება, მოსამართლეს შეუძლია უფლება მისცეს შესაბამის სასაზღვრო უწყებაში ყოფნის, გაძევებისათვის საჭირო ზომების მიღებამდე და ნებისმიერ შემთხვევაში არა უგვიანეს ორმოცდათვრამეტი საათისა სასამართლო დამადასტურებელი მოსმენის შემდეგ.

გაძევებასა და უკან გაბრუნებაზე გადაწყვეტილებას იღებს იმ ტერიტორიის პრეფექტი და პოლიციის კომისარი, სადაც გამოვლინდა უკანონო ემიგრაციის ფაქტი, კონსტიტუციის მე-13 მუხლის შესაბამისად. პოლიციის მიერ უცხოელის დაკავების ფაქტი 48 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც ვალდებულია, დაკავების აქტი მომდევნო 48 საათში გააფორმოს.

თუ გაძევება არ განხორციელდა, უცხოელ მოქალაქეს ეგზავნება განკარგულება 5 დღის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შესახებ. მისი შეუსრულებლობა „გამამართლებელი მიზეზების“ გარეშე ისჯება 1-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და სავალდებულო დაკავებით, პირდაპირი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. რამდენიმე ხნის წინათ საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თუკი არსებობს საბუთებისა და სათანადო საშუალებათა არქონის გამამართლებელი საფუძვლიანი მიზეზი, დანაშაული აღარ განიხილება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ 2018 წლის 1 დეკემბერის, კანონი N.132-ის მე -5 მუხლით, რომელიც მე -13 მუხლის მე -14 bis პუნქტის ადაპტაციაა, ახლა შეიცავს კანონი N.1987/2006-ის რეგულაციას, რომელიც განმარტავს, რომ “გაძევება მოიცავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლისა და დარჩენის აკრძალვას, აგრეთვე იმ არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებზეც შენგენის შენაძენი ( l’aquis di Schengen ) მოქმედებს.”

ვისაც სურს თავშესაფრის ან სხვაგვარი საერთაშორისო დაცვის მიღება, შეუძლია შესაბამისი განაცხადის გაგზავნა და ფორმა C3-ის შევსება. საერთაშორისო დაცვის მიღებაზე შედგენილი ყველა განაცხადი უმოკლეს ვადაში ეგზავნება უფლებამოსილ ადგილობრივ კომისიას.

# თავი I. იტალიის რესპუბლიკაში შესასვლელი ვიზა

მესამე ქვეყნის მოქალაქეები იტალიაში ლეგალურად შემოსვლისთვის ვალდებულნი არიან (გათავისუფლების შემთხვევების გარდა), ჰქონდეთ ვიზა და იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს კი შეუძლიათ, თავისუფლად გადაადგილდნენ ამ გაერთიანების ტერიტორიაზე.

## 1.1.1 ვიზის გაცემა

შემოსასვლელი ვიზა პასპორტში ან მასთან გათანაბრებულ სამგზავრო დოკუმენტში ჩასაკრავი სტიკერია, რომლის გაცემაც ევალება იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ანუ უცხოელის ქვეყანაში არსებულ იტალიის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს. სამინისტრო ვალდებულია, როგორც ქვეყნის, ისე შენგენის ზონის მოქმედი წესების საფუძველზე, დააზუსტოს, შეამოწმოს და შეაფასოს უცხოელი მოქალაქის მონაცემები.

შესაბამისი რეკვიზიტებისა და პირობების შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, ვიზა გაიცემა მოთხოვნილი ვადით და მოტივით.

ვიზაზე ნებისმიერი უარი დაინტერესებულ პირს უნდა ეცნობოს მისთვის გასაგებ ან რომელიმე საერთაშორისო ენაზე (ინგლისური, ფრანგული, ესპანური, არაბული).

ვიზაზე უარის შემთხვევაში, პასუხი შეიძლება გასაჩივრდეს ლაციოს რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში (უარის მიღებიდან 60 დღის მანძილზე).

საჩივარს ოჯახური გაერთიანების ან ოჯახის წევრების ვიზაზე უარის შესახებ განიხილავს სასამართლო.

## 1.1.2 ვიზის გაცემის ფასები

შენგენის ვიზის ტარიფები:

- მოკლევადიანი ვიზა – 60 ევრო (35 ევრო 6-12 წლამდე ასაკის მცირეწლოვანთათვის);
- ერთი კონკრეტული ქვეყნის გრძელვადიანი (D ტიპის) ვიზა – 116 ევრო;

ევროკავშირთან გაფორმებული შეღავათიანი პირობების შეთანხმების მიხედვით, A, B, C ტიპის ვიზების გადასახადი 35 ევროა შემდეგი ქვეყნის მოქალაქეებისთვის: უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა ჩრდილოეთ მაკედონია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სერბია, მონტენეგრო, ალბანეთი, მოლდოვა.

მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები გათავისუფლებულნი არიან სავიზო განაცხადების დამუშავება-მომზადების საფასურის გადახდისაგან:

- 6 წლამდე ასაკის ბავშვები (მოკლევადიანი);
- ევროკავშირის მოქალაქეთა ოჯახის წევრები (II საფეხურამდე) და შვეიცარიის მოქალაქეები;
- სტუდენტები (გრძელვადიანი);
- მოსწავლეები, სტუდენტები, დიპლომირებული სტუდენტები, თანმხლები მასწავლებლები, სასწავლო ან პედაგოგიური კვალიფიკაციისა და პრაქტიკის (მოკლევადიანი) ასამაღლებელი კურსები;
- მეცნიერ-მკვლევრები, რომელთაც ეხებათ 2015 წლის 28 სექტემბრის 2005/761CE რეკომენდაციები.

განმცხადებელი სავიზო მოსაკრებელს იხდის იმ ქვეყნის ფულად ერთეულში, სადაც წარდგენილია ეს განაცხადი.

<u>ვიზის ვალდებულებისგან გათავისუფლებული ქვეყნები</u> (რომელთა მოქალაქეები არ არიან ვალდებულნი, აიღონ ვიზა, მაქსიმუმ, 90-დღიანი პერიოდისთვის, როდესაც გეგმავენ ვიზიტს მიწვევით ან ტურისტული, სამივლინებო, საქმიანი თუ სპორტული შეჯიბრების მიზნით):

ალბანეთი, ანდორა, ანტიგუა და ბარბუდა, არგენტინა, ავსტრალია, ბაჰამა, ბარბადოსი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბრაზილია, ბრუნეი, კანადა, ჩილე, კოლუმბია, სამხრეთ კორეა, კოსტა რიკა, ხორვატია, დომინიკა, ელ სალვადორი, ჩრდილოეთ მაკედონია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, **საქართველო**, იაპონია, გრენადა, გვატემალა, ჰონდურასი, ჰონგ-კონგი, სოლომონის კუნძულები, ისრაელი, კირიბატი, მალაიზია, მაკაო, ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები, მარშალის კუნძულები, მავრიკი, მექსიკა, მიკრონეზია, მონაკო, მონტენეგრო, ნიკარაგუა, ახალი ზელანდია, პალაუ, პანამა, პარაგვაი, პერუ, სენტ-კიტსი და ნევისი, სამოა, სენტ-ლუსია, სერბეთი, სეიშელის კუნძულები, სინგაპური, შეერთებული შტატები, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, ტაივანი, აღმოსავლეთი ტიმორი, ტონგა, ტრინიდადი, ტობაგო, ტუვალუ, უკრაინა, ურუგვაი, ვანუატუ, ვენესუელა.

2010 წლის 1 სექტემბრიდან, მოკლევადიანი ვიზის ვალდებულებისგან გათავისუფლებული ქვეყნების მოქალაქეებს იტალიაში სწავლის მიზნით შემოსვლა შეუძლიათ სასწავლო ვიზის გარეშე, თუკი ვიზიტი შემოიფარგლება 90 დღემდე ვადით (იხ: საგარეო საქმეთა სამინისტროს 2010 წლის ცირკულარი).

ვიზის ვალდებულებისგან გათავისუფლება ასევე ვრცელდება: ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე (recognised refugees); ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციის შესაბამისად გაცემული სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებზე; მოქალაქეობის არმქონე პირებზე, რომელთაც აქვთ ნიუ-იორკის 1954 წლის 28 სექტემბრის კონვენციის თანახმად გაცემული სამგზავრო დოკუმენტი; პირებზე რომელთაც არ აქვთ არცერთი ქვეყნის მოქალაქეობა, ცხოვრობენ რომელიმე წევრ ქვეყანაში და არიან ბინადრობის ნებართვისა და ამ წევრი ქვეყნის მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტის მფლობელნი (მაგ.: ბალტიისპირეთის ქვეყნებში მცხოვრებნი და ისეთი სამგზავრო დოკუმენტის მფლობელები, როგორიცაა ,,Alien's Passport'').

ვიზით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდება, თუ რომელიმე წევრი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო მიიჩნევს, რომ მფლობელმა სათანადოდ და არგუმენტირებულად წარმოადგინა ფორსმაჟორული სიტუაციის დამადასტურებელი ან ჰუმანიტარული მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალა მას წევრი ქვეყნის ტერიტორიის დატოვებაში ვიზის ვადის გასვლამდე. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს მაშინაც, თუ ვიზის მფლობელი დაამტკიცებს და წარმოადგენს სერიოზულ პირად მიზეზებს, რომლებიც გაამართლებს ვადის გაგრძელებას.

## 1.1.3 ვიზის გაცემის პროცედურა

სავიზო განაცხადი უნდა გაკეთდეს მისამართზე E-@application (http://e-applicationvisa.esteriit/). ეს საშუალებას იძლევა, ონლაინ რეჟიმში შეივსოს განაცხადის ფორმა, ამოიბეჭდოს, დაერთოს ფოტოსურათი და განმცხადებლის ხელმოწერით წარედგინოს შესაბამის ორგანოს. უცხოელმა, რომელიც ვიზას ითხოვს, როგორც წესი, პირადად უნდა მიმართოს დიპლომატიურ-საკონსულო წარმომადგენლობას, რათა ამ უკანასკნელმა მისგან მოისმინოს ქვეყანაში შესვლის მიზეზები და გარემოებები. განაცხადის ფორმას უნდა ახლდეს: სამგზავრო დოკუმენტი, რომელშიც მატერიალურად ჩაირტყმება ვიზა და, თუ საჭიროა, განაცხადის გამამყარებელი დოკუმენტაცია.

უცხოელს სავალდებულო წესით მოეთხოვება წარმოადგინოს:

- მოგზაურობის მიზანი;
- წასვლისა და უკან დაბრუნების სამგზავრო საშუალება;
- მგზავრობისა და ქვეყანაში ყოფნისთვის საჭირო საარსებო საშუალება;
- საცხოვრებელი პირობები;
- ვიზის ტიპის მიხედვით მოთხოვნილი სპეციალური დოკუმენტაცია.

განაცხადის წარდგენიდან 90 დღის განმავლობაში იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლობა ან გასცემს ვიზას, ან უარს იტყვის მასზე.

სუბორდინაციული (subordinato) სამუშაო ვიზის გაცემის ვადაა 40 დღე და ძალაშია 6 თვე; სეზონური სამუშაო ვიზა გაიცემა 10-დან 20 დღემდე ვადაში და მოქმედია 20 დღიდან 9 თვემდე; თვითდასაქმებითი (autonomo) სამუშაო ვიზა გაიცემა 120 დღეში და ძალაშია გაცემიდან 180 დღე.

## 1.1.4 ვიზის სახეობები და ბინადრობის მოტივები

თანამეგობრობის (ევროკავშირის) სავიზო კოდექსის შესაბამისად, არსებობს:

- შენგენის ერთიანი ვიზა (VSU), რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს, შენგენის ზონის ქვეყნების ტერიტორიაზე გადაადგილდეს მოკლევადიანი (90-დღე) პერიოდით;
- განსაზღვრულ ტერიტორიაზე მოქმედი ვიზა (VTL), რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს, გადაადგილდეს მხოლოდ ვიზის გამცემი წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე;
- აეროპორტის სატრანზიტო ვიზა, რომლის მფლობელს შეუძლია გადაადგილდეს წევრი ქვეყნების ერთი ან რამდენიმე აეროპორტის საერთაშორისო სატრანზიტო ზონაში.

ვიზის ტიპები განსხვავდება გაცემის მიზეზების მიხედვით: შვილად აყვანა, საქმიანი, სამკურნალო, დიპლომატიური, სპორტული შეჯიბრების მიზნით, მიწვევა, ოჯახური მოტივი, რელიგიური მიზნები, ხელახლა შესვლა, არჩევითი რეზიდენცია, კვლევა, სწავლა, აეროპორტის ტრანზიტი, ტრანზიტი, ტრანსპორტი, ტურიზმი, დღესასწაულები, მოხალისე.

## 1.1.5 ხელახლა შესვლის ვიზა

თუ იტალიაში რეგულარულად მობინადრე უცხოელი მოქალაქე შემთხვევით აღმოჩნდა ბინადრობის ნებართვის დოკუმენტის გარეშე (გაქურდვის ან დაკარგვის გამო), ანდა მის ნებართვას ვადა გაუვიდა და განახლებაზე განაცხადი შეტანილი აქვს კანონით დადგენილ ვადებში, იგი ვალდებულია, მოითხოვოს/აიღოს ქვეყანაში ხელახლა შესვლის ვიზა.

**საჭირო დოკუმენტები:**

- სავიზო განაცხადის ფორმა;
- უახლესი ფოტო საბარათე ფორმატში;
- სამგზავრო დოკუმენტი, რომლის ვადა 3 თვით მაინც უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი ვიზის მოქმედების ვადას.

ა) მოპარული ან დაკარგული ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში - პოლიციის ორგანოების მიერ რეგისტრირებული შესაბამისი საჩივრის ასლი. ვიზა გაიცემა უფლებამოსილი პოლიციის სამმართველოს ავტორიზაციის (Nulla Osta) საფუძველზე;

ბ) არაუგვიანეს 60 დღემდე ვადაგასული ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში - ვადაგასული დოკუმენტის ორიგინალი ან ასლი და განახლებაზე განაცხადის შეტანის ქვითარი.

ადგილობრივი პოლიციის სამმართველოს ავტორიზაციას Nulla Osta იტალიის საკონსულო წარმომადგენლობა პირდაპირ გამოითხოვს პოლიციის სამმართველოსგან.

სავიზო განაცხადი უნდა გაკეთდეს იტალიის შესაბამის დიპლომატიურ-საკონსულო წარმომადგენლობაში.

სავიზო გადასახადი შეადგენს 75 ევროს, ვინაიდან საქმე ეხება კონკრეტული ქვეყნის გრძელვადიან ვიზას (D ტიპის).

განმცხადებელი საფასურს იხდის იმ ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში, სადაც გაკეთდა განაცხადი.

## 1.2 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა სამუშაო მიზნით

2019 წლის 9 აპრილს „Gazzetta Ufficiale“-ს (ოფიციალური გაზეთი) 84-ე ნომერში გამოქვეყნდა 2019 წლის Decreto flussi-ს (სამუშაო დატვირთვის) განკარგულება (DPCM 15 დეკემბერი 2017), რომელიც 2019 წლისათვის, სეზონური და არასეზონური დასაქმების მიზნით, იტალიაში შემოსვლის საშუალებას აძლევს 30,850 უცხოელს.

წინამდებარე განკარგულება ითვალისწინებს, მაქსიმუმ, 12,850 კვოტას მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც არიან სუბორდინაციული, არასეზონური და თვითდასაქმებითი სამუშაოს მაძიებლები.

**შესაძლებელი იქნება:**

ა) სუბორდინაციული სამუშაოს ნებართვად გადაკეთდეს:

- სეზონური სამუშაოს 4.750 ნებართვა;
- სწავლის, სტაჟირების ან/და პროფესიული მომზადების 3.500 ნებართვა;
- ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის 800 ნებართვა, გაცემული მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე სხვა წევრი ქვეყნების მიერ.

ბ) თვითდასაქმებითი სამუშაოს ნებართვად გადაკეთდეს:

- სწავლის, სტაჟირების ან/და პროფესიული მომზადების ბინადრობის 700 ნებართვა;
- ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის 100 ნებართვა, გაცემული მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე სხვა წევრი ქვეყნების მიერ.

კვოტებს, რომლებიც გამოყოფილია ზემოხსენებული განკარგულებით გათვალისწინებული სუბორდინაციული და თვითდასაქმებითი სამუშაოს ბინადრობის ნებართვად გადაკეთებისთვის (9,850 ერთეული), გადაანაწილებს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს იმიგრაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკის გენერალური დირექტორატი, კერძოდ, SILEN-ის კომპიუტერიზებული სისტემის მეშვეობით და იმიგრაციის სამსახურის ადგილობრივ ოფისებში მიღებული ფაქტობრივი განაცხადების საფუძველზე.

12.850 კვოტა სუბორდინაციული არა სეზონური, თვითდასაქმებით და შესაცვლელი (ბინადრობის ნებართვის ტიპის შეცვლა),

18.00 კვოტა სუბორდინაციული სეზონური, სოფლის მეურნეობის და ტურისტულ-სასტუმრო სექტორში.

განკარგულების „Gazzetta Ufficiale"-ში გამოქვეყნებიდან 90 დღის შემდეგ, გამოუყენებელი კვოტები შეიძლება განსხვავებულად - შრომის ბაზრის რეალური საჭიროებების მიხედვით - გადაანაწილოს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ.

## 1.2.1 განაცხადის წარდგენის რეჟიმი

აპლიკაციების გაგზავნა შესაძლებელია ექსკლუზიურად საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, 2019 წლის 16 აპრილის დილის 9 საათიდან არასეზონურად მომუშავეთათვის და ბინადრობის ნებართვის ტიპის შეცვლისათვის, ხოლო 2019 წლის 24 აპრილის დილის 9 საათიდან, სეზონურად მომუშავეთათვის. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული : https://nullaostalavoro.dlci.interno.it

2019 წლის 15 მარტიდან, ვებპორტალზე საიმიგრაციო სექციაში შესვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ SPID- ის საიდენიფიკაციო რეკვიზიტებით. მხოლოდ მოქალაქეობის და ინტერგაციის შეთანხმების სექტორში არის ჯერ კიდევ შესაძლებელი ძველი საიდენტიფიკაციო რეკვიზიტებით შესვლა.

აქვე განვმარტავთ რომ, SPID - ის სისტემაში შესასველად, აუცილებელია დარეგისტრირება ერთ-ერთი ID პროვაიდერის-ბრაუზერის მეშვეობით, რომლებიც უვკე არჩეული და ჩამოთვლილია AGID- ის ვებგვერდზე.(www.agid.gov.it).

უნდა დავაჭიროთ ღილაკს "არ გაქვს SPID -ი ", რის შემდეგაც მოხდება თქვენი გადამისამართება http://www.spid.gov.it ბმულზე, სადაც გექნებათ საშუალება აირჩიოთ საიდენტიფიკაციო პროვაიდერი.

ვებგვერდი, გირჩევთ დარეგისტრირდეთ SPID-ის სისტემაში დროულად, წინასწარ, მანამ სანამ დაგჭირდებათ საემიგრაციო სისტემაში შესვლა, რათა თავიდან აიცილოთ შეცდომები ავტორიზაციის პროცედურაში.

### 1.2.1.1 საგანაცხადო ფორმულარები

განაცხადის გასაგზავნად გამოსაყენებელი ფორმულარები, რომლებიც დამუშავდება/განიხილება გაგზავნის შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

- A და B: სამუშაოს იტალიური წარმოშობის მაძიებელთათვის, რომლებიც ცხოვრობენ არგენტინაში, ურუგვაიში, ვენესუელასა და ბრაზილიაში;

- VA: სწავლის, სტაჟირების ან/და პროფესიული მომზადების ბინადრობის ნებართვის გადაკეთება სუბორდინაციული სამუშაოს ნებართვად;
- VB: სეზონური სამუშაოს მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვის გადაკეთება თვითდასაქმებითი სამუშაოს ნებართვად;
- Z: სწავლის, სტაჟირების ან/და პროფესიული მომზადების მიზნით გაცემული ნებართვის გადაკეთება თვითდასაქმებითი სამუშაოს ნებართვად;
- LS: სხვა წევრი ქვეყნების მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გადაკეთება სუბორდინაციული სამუშაოს ბინადრობის ნებართვად;
- LS1: ოჯახის დამხმარე პირის სამუშაოზე ნებართვის მოთხოვნის განაცხადი სხვა წევრი ქვეყნების მიერ გაცემული ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხოელებისთვის;
- LS2: სხვა წევრი ქვეყნების მიერ გაცემული ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გადაკეთება თვითდასაქმებითი სამუშაოს ბინადრობის ნებართვად;
- B-PS: სპეციალურ პროექტში ჩართული მუშების დასაქმების სახელობითი ავტორიზაციის განაცხადი.
- განაცხადების მიღება შესაძლებელია 2019 წლის 31 დეკემბრამდე და დამუშავდება შეტანის შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

http://domanda.nullaostalavoro.interno.it ვებგვერდზე მომხმარებლის გრაფაში შეგიძლიათ იხილოთ სწორად შეტანილი განაცხადების ჩამონათვალი, განაცხადის დამუშავების მდგომარეობას კი ნახავთ საიმიგრაციო სამსახურის ადგილობრივ ოფისში.

### 1.2.1.2 სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება სუბორდინაციულ სამუშაო ნებართვად

შრომისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების 09/04/2019-ის ერთობლივი ცირკულარი განსაზღვრავს, რომ სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის სუბორდინაციული დასაქმების ბინადრობის ნებართვად გადაკეთების შემთხვევაში, დასაქმებულმა პირმა იმიგრაციის სამსახურის ოფისში გამოძახებისას უნდა წარადგინოს დამსაქმებლის მიერ ხელმოწერილი ბინადრობის ხელშეკრულება, რომელიც მიიჩნევა დასაქმების ვალდებულებად. ამ მიზნით, უნდა გამოიყენონ გამოძახების წერილთან ერთად მიღებული ფორმა/ბლანკი Q. შემდეგ, დამსაქმებელმა უნდა გაგზავნოს დასაქმების სავალდებულო შეტყობინება, მოქმედი ნორმების შესაბამისად, და ასლი გაუგზავნოს სამუშაოზე ასაყვან პირს. ამ უკანასკნელმა ეს ასლი უნდა მოათავსოს გადაკეთების მოთხოვნის განაცხადის კონვერტში.

სეზონური სამუშაოსთვის მიღებული ბინადრობის ნებართვის შეცვლა სუბორდინაციული სამუშაოს ბინადრობის ნებართვად (VB მოდელი) შესაძლებელია, სულ მცირე, 3-თვიანი რეგულარული სეზონური სამუშაო ურთიერთობის შემდეგ, როცა არსებობს კვოტები და საჭირო რეკვიზიტები ახალი სამუშაო ურთიერთობის ფარგლებში დასაქმებისათვის (როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით). ამ მიზნით, შრომის ადგილობრივი დეპარტამენტები ამოწმებენ ახალი სამუშაო ურთიერთობისთვის საჭირო რეკვიზიტებს, ასევე, დასაქმებას სეზონური სამუშაოსთვის პირველი შემოსვლის შემთხვევაში (დასაქმების სავალდებულო კომუნიკაციის მეშვეობით). რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო სექტორს, ნებართვის გადაკეთების მიზნით, ნაჩვენები უნდა იყოს სამუშაოს შესრულება თვეში, სულ მცირე, 13 დღე, 3 სამუშაო თვის განმავლობაში და შესაბამისი სოციალური ხარჯების დაფარვით.

## 1.2.2 სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება თვითდასაქმებით სამუშაო ნებართვად

როცა განმცხადებელი ითხოვს სწავლის, სტაჟირების ან/და პროფესიული მომზადების ბინადრობის ნებართვისა და სხვა წევრი ქვეყნების მიერ გაცემული ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გადაკეთებას თვითდასაქმებით სამუშაო ნებართვად, იმიგრაციის სამსახური ითვალისწინებს შრომის ინსპექციის ადგილობრივი განყოფილების აზრს - შრომითი ხელშეკრულებების, განსაკუთრებით, თანამშრომლობისა და პროექტების კონტრაქტთა მართვის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად.

## 1.2.3 ელექტრონული (TELEMATIC) პროცედურა

ელექტრონული პროცედურის შესრულებისთვის აუცილებელია:

- პერსონალური კომპიუტერი;
- ინტერნეტი;
- შესავსებად საჭირო მონაცემები.

**შესასრულებული ოპერაციები:**

1. სისტემაში რეგისტრაცია [1]

განაცხადის ფორმების შევსების ონლაინპროცედურაზე წვდომის მიზნით, საჭიროა, მომხმარებელი დარეგისტრირდეს განაცხადის გაგზავნის ელექტრონული მომსახურების ვებგვერდზე nullaostalavoro.interno.it

რეგისტრაციისათვის საჭიროა მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი. ეს პროცედურა უფასოა.

2. ფორმის მოთხოვნა

დარეგისტრირების შემდეგ მომხმარებელს აქვს წვდომა განაცხადის ფორმაზე.

3. ფორმის შევსება

2010 წლის 9 დეკემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე/პორტალზე შესაძლებელია განაცხადების პირდაპირ ონლაინრეჟიმში შევსება, წინასწარ გამზადებული ფორმების პერსონალურ კომპიუტერზე ჩამოტვირთვის გარეშე.

განაცხადთან დაკავშირებული გრაფები უნდა შეივსოს მოთხოვნილი მონაცემების ჩასმით.

**ყურადღება: აუცილებელია ყველა სავალდებულო ველის შევსება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისტემა არ მიიღებს განაცხადს!**

1 2019 წლიდან აუცილებელია, ელექტრონული განაცხადის გასაგზავნა ბმულიდან: https://nullaostalavoro.dlci.interno.it, რისთვის საჭიროა SPID– ის იდენტურობის ფლობა, როგორც ეს განსაზღვრულია შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 4 დეკემბრის ცირკულარში N. 3738.

4. შევსებული განაცხადის დამახსოვრება/შენახვა

განაცხადის შევსების შემდეგ, შესაძლებელია მისი დამახსოვრება/შენახვა და ამ გზით მისი ხელახლა შევსება/მოდიფიკაცია, ან "გასაგზავნად შენახვის" ვერსიის არჩევა და შეყვანილი მონაცემების შეცვლა.

5. შევსებული ფორმის გაგზავნა

სამუშაო დატვირთვის flussi ბრძანების გაგზავნისათვის აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მითითებულ დრომდე დაცდა და საკუთარი საათის სინქრონიზება სამინისტროს მიერ მითითებულ დროსთან.

ნებისმიერ დროს შეიძლება ისეთი განაცხადების გაგზავნა, რომლებიც უკავშირდება ოჯახის გაერთიანებას ან ოჯახის წევრების შემოსვლას ქვეყანაში, ანდა არ ექვემდებარება კვოტას (ე. წ. "out-of-quota").

მომხმარებელს ელფოსტით ეგზავნება შეტყობინება, განაცხადის მიღების თარიღისა და დროის მითითებით.

საიტის საშუალებით შესაძლებელია გაგზავნილი აპლიკაციების დადასტურების მიღებაც.

**რა არის იდენტობა SPID?**

SPID არის ავტორიზაციის სისტემა რომელიც მოქალაქეებს და კომპანიებს აძლევს საშუალებას, შევიდნენ საჯარო ადმინისტრაციის ელექტრონული სერვისების სხვადასხვა ონლაინ სექციებში, მხოლოდ ერთი ციფრული იდენტობით, იმ რეკვიზიტების საშუალებით რომელსაც გასცემს იდენტობის პროვაიდერი(Identity Provider) .

2018 წლის 4 დეკემბრის ბრაძანება N.3738-ით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა რომ, იმ სექციებში შესასვლელად რომლესაც მართავს საიმიგრაციო სამსახურის, ასევე საჭიროა ციფრული იდენტობა SPID.

**როგორ შეიძლება მივიღოთ ციფრული იდენტობა SPID?**

SPID - ის რეკვიზიტების გასააქტიურებლად აუცილებელია პიროვნება იყოს სრულწლოვანი და დარეგისტრირება მოხდეს ერთ-ერთი აუტორიზებული პროვაიდერის საშუალებით (დღესდღეისობით არის 8 და გვთავაზობენ სხვადასხვაგვარ, ფასიან, უფასო მომსახურეობას), ჩამოთვლილია სააგენტოს "ციფრული იტალია "ვებ-გვერდზე.

რეგისტრაციისთვის საჭიროა:

- ელექტრონული ფოსტა
- მობლური ტელეფონის ნომერი
- ვარგისი/აქტიური პირადობის საბუთი (პირადობის დაადასტუებელი საბუთი ან პასპორტი, მართვის მოწმობა, ან ბინადრობის ნებართვა)
- ჯანმრთელობის ბარათი
- ფოსკალური კოდი

მას შემდეგ რაც შეიქმნება SPID რეკვიზიტები, შესაძლებელია პიროვნების ამოცნობის /აღიარების საფეხურზე გადასვლა, რაც შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ საფოსტო ოფისებში ან არჩეული პროვაიდერის ერთ-ერთ ფილიალში ან დისტანციურ რეჟიმში ვებ-კამერის ან ციფრული ფორმის საშუალებით. .

მთლიანი პროცედურა სრულდება ციფრული იდენტობის მინიჭებით, რასაც წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ თუ რამდენი დრო დასჭირდება.

## 1.2.4 რა უნდა გაკეთდეს ბინადრობის ნებართვის/ბარათის მოთხოვნისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს და იტალიის ფოსტას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ასევე, 2004 წლის 12 ნოემბრის N.271 კანონის მიხედვით, ბინადრობის ნებართვებსა და ბინადრობის ბარათებზე განაცხადების წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ უფლებამოსილ საფოსტო განყოფილებაში. ამისთვის გამოიყენება სპეციალური "kit" (შესავსები ანკეტების კრებული), რომლის მიღება შეიძლება ამ საფოსტო განყოფილებებში, ასევე, პატრონატებსა (ერთგვარი პროფკავშირი) და უფლებამოსილ მუნიციპალიტეტებში.

საფოსტო განყოფილებებში განაცხადების შეტანა შესაძლებელია შემდეგი კატეგორიის ბინადრობის ნებართვებისა და ბარათების მისაღებად:

- შვილად აყვანა;
- მეურვეობა;
- ბინადრობის ბარათის განახლება;
- ბინადრობის ნებართვის მონაცემთა განახლება (საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ოჯახური მდგომარეობა, ბავშვების ჩაწერა, პასპორტის შეცვლა);
- დასაქმების მოლოდინი;
- მოქალაქეობის აღდგენის მოლოდინი;
- პოლიტიკური თავშესაფრის განახლება;
- ბინადრობის ბარათი უცხოელებისთვის;
- ბინადრობის ნებართვის გადაკეთება;
- ბინადრობის ბარათის დუბლიკატი;
- ბინადრობის ნებართვის დუბლიკატი;
- ოჯახი;
- ოჯახი, 14-18 წლის არასრულწლოვანი;
- განახლება, ოჯახი;
- თვითდასაქმებითი სამუშაო;
- სუბორდინაციული სამუშაო;
- სამუშაო განსაკუთრებულ შემთხვევებში;
- სუბორდინაციული სეზონური სამუშაო;
- მისია;
- რელიგიური მიზნები;
- არჩევითი ბინადრობა;
- სამეცნიერო კვლევა;
- მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის განახლება;
- სწავლა; (სამ თვეზე მეტი ხნით)
- სტაჟირება, პროფესიული მომზადება.

ყველა სხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვისა და ბინადრობის ბარათის გაცემაზე/ განახლებაზე განაცხადის შეტანა კვლავ გაგრძელდება ტერიტორიულად უფლებამოსილ პოლიციის სამმართველოთა იმიგრაციის ოფისებში.

ფორმულარის შესავსებად უცხოელს შეუძლია, დახმარება სთხოვოს თავისი უბნის პატრონატის ოფისს, ან უფლებამოსილ მუნიციპალიტეტს.

## 1.2.5 ბინადრობის ნებართვა სუბორდინაციული სამუშაოს მიზნით

სამუშაო მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემა დამოკიდებულია სამუშაო ვიზის ფლობაზე, რომელიც გაიცემა დასაქმების ან შრომითი საქმიანობის ავტორიზაციის საფუძველზე.

ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლიდან 8 დღის განმავლობაში უცხოელმა განაცხადი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით უნდა შეიტანოს იმ რაიონის იმიგრაციის სამსახურში, სადაც იმყოფება ან ეწევა შრომით საქმიანობას.

*შენიშვნა: ადგილობრივი უფლებამოსილი საიმიგრაციო სამსახურის ოფისის მიერ გაცემული ავტორიზაციის შემდეგ, ნებადართულია, სამუშაო მოტივით მიღებული ბინადრობის ნებართვა გადაკეთდეს სასწავლო ნებართვად, სასწავლო ნებართვა - სამუშაო ნებართვად და არასრულწლოვნის ნებართვა - სამუშაო ან სტაჟირების მიზნით გაცემულ ნებართვად.*

ბინადრობის ნებართვის გაცემა სამუშაო მოტივით მჭიდროდ უკავშირდება ფორმალურად აღიარებულ დასაქმებას, რის შესახებაც დამსაქმებელმა უნდა შეატყობინოს INPS-ს (სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტი), რისთვისაც უნდა შეავსოს "ერთიანი ბლანკი" - Unificato Lav.

### 1.2.5.1 ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა

ბინადრობის ნებართვას შეიძლება ჰქონდეს მოქმედების ვადა:

- 2 წელი, თუ სამუშაო კონტრაქტს აქვს განუსაზღვრელი ვადა;
- 1 წელი, თუ სამუშაო კონტრაქტს აქვს განსაზღვრული ვადა.

(პრაქტიკულად, პოლიციის ბევრი განყოფილება ბინადრობის ნებართვის ვადას ზუსტად ამთხვევს სამუშაო კონტრაქტის ხანგრძლივობას; ხშირად, თუ სამუშაო ხელშეკრულება შემოისაზღვრება წელიწადზე ნაკლები ვადით, ბინადრობის ნებართვა ერთი წლით მაინც გაიცემა. პოლიციის განყოფილება ასევე ითვალისწინებს შემოსავალს და წინა წლის სამუშაო ვითარებას).

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „ბინადრობის ნებართვა უნდა გაიცეს, განახლდეს, გადაკეთდეს/შეიცვალოს განაცხადის შეტანიდან 20 დღის განმავლობაში".

რეალურად, ბინადრობის ნებართვის გაცემის ვადები საკმაოდ დიდია და მის მიღებას შეიძლება 12 თვე და მეტიც დასჭირდეს. ამ მიზეზთა გამო, აუცილებელია ინფორმაციის ფლობა იმ ქვითრის მოქმედების/ვალიდურობის შესახებ, რომელსაც პირი იღებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე/განახლებაზე განაცხადის შეტანისას.

### 1.2.5.2 ბინადრობის ნებართვის პირველი გაცემა

ვიზის მოქმედების ვადისა და შრომითი ურთიერთობების დადგენის, ასევე, შესაფერისი საცხოვრებელი ადგილის გარკვევის შემდეგ, იმიგრაციის სამსახურის ტერიოტურიულად უფლებამოსილი ოფისი უცხოელს ხელს აწერინებს ბინადრობის ხელშეკრულებაზე.

იმიგრაციის სამსახური უცხოელს კონვერტით გადასცემს ბინადრობის ნებართვის განაცხადის წინასწარ შევსებულ ბლანკს, რომელიც უფლებამოსილი საფოსტო განყოფილებიდან უნდა გაიგზავნოს რომის ადმინისტრაციულ სერვისცენტრში (იტალიის ფოსტასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული ოქმის შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2006 წლის 11 დეკემბრიდან).

თუ განაცხადი წარმოდგენილია უფლებამოსილი საფოსტო განყოფილებიდან, განმცხადებელმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი ყვითელი ფერის "Kit"-ის (ანკეტების კრებული) (უფასოდ

ხელმისაწვდომია ნებისმიერ საფოსტო ოფისში), და შეავსოს შიგნით არსებული ბლანკები თანდართული ინსტრუქციის მიხედვით.

საჭიროა:

- 16,00€ - ევროიანი მარკა (შტამპი);
- 30,46€ ევროს ქვითარი ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად; რომელსაც ემატება შესაძლო შენატანი (თანხა რომლის ოდენობა განსხვადება ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის საფუძველზე), საჭიროების შემთხვევაში.

ბინადრობის ნებართვის გაგრძელების შემთხვევაში, გადასახდელი თანხის ოდენობა:

- **70,46€** (40,00€ + 30,46€), 3 თვიდან ერთ წლამდე,ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;
- **80,46€** (50,00€ + 30,46€) ერთ წელზე მეტი ხნით და ორ წლამდე, ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;
- **130,46€** (100,00€ + 30,46€), ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვისთვის (ყოფილი ბინადრობის ნებართვა ), მენეჯერებისა და გამოცდილი მუშაკებისთვის ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;
- 30,00€ ევრო ფოსტის ხარჯებისთვის.

ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის ჩაბარების დამადასტურებელი ქვითრით უცხოელს ეძლევა გარკვეული უფლებები, კერძოდ:

- ქვითარი წარადგინოს, როგორც ლეგალური ბინადრობის დასტური;
- გამოიყენოს კოდი შეტანილი განაცხადის დამუშავების შესამოწმებლად ვებგვერდზე www.portaleimmigrazione.it
- მოითხოვოს მოსახლეობის რეესტრში რეგისტრაცია;
- გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება;
- გააფორმოს საბინაო (ქირავნობის) ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება;
- დარეგისტრირდეს ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში;
- გარკვეული პირობებით გავიდეს ქვეყნის ტერიტორიიდან და დაბრუნდეს უკან.

### 1.2.5.3 ბინადრობის ნებართვის განახლება

ზოგადად, კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ნებართვის განახლებისას უცხოელს ჰქონდეს იგივე რეკვიზიტები, რომლებიც საჭიროა ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის დროს.

ამიტომ, განახლების პროცესში აუცილებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინება:

- განახლების მოთხოვნის დრო;
- საკმარისი ეკონომიკური რესურსები;
- სასჯელი შემოსვლაში ხელშემშლელი დანაშაულისათვის.

## როდის ხდება ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის შეტანა

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა განახლებაზე განაცხადი უნდა შეიტანოს ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე, რაზეც უფლებამოსილმა ადმინისტრაციამ უნდა უპასუხოს 20 დღეში. ყველა სხვა შემთხვევაში უნდა არსებობდეს დასაბუთებული მიზეზები.

სამართალმცოდნეობაში განმარტებულია, რომ დაწესებული 60-დღიანი ვადა არ არის იმპერატიული. კომბინირებული დებულების მე-13 მუხლით, განახლებაზე განაცხადის შეტანა შესაძლებელია ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაშიც.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ უცხოელს არ აქვს მიღებული გაძევების განკარგულება და 60 დღის შემდეგ შეიტანა განაცხადი განახლებაზე (გამამართლებული მიზეზით), უნდა იქნას გათვალსწინებული მისი სამუშაო სიტუაცია და დაიწყოს განახლების პროცედურა.

ისევე როგროც ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისას, ასევე მისი განახლების დროს განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას უფლებამოსილი საფოსტო ოფისებისებიდან.

## საჭირო დოკუმენტები

ELI 2 კონვერტში არსებული 209-ე ფორმულარის 1 და 2 შესავსები ფორმების გარდა, საჭიროა:

- პასპორტის გვერდების ასლები პირადი მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ჩარტყმული ვიზებით;
- ვადაგასული ბინადრობის ნებართვის ასლი;
- ფისკალური კოდის ასლი;
- საცხოვრებელი ადგილის ან ოჯახური მდგომარეობის ცნობის ასლი; ასევე, საცხოვრებლით მასპინძლობის განაცხადის ან საცხოვრებელი ბინის დაქირავების კონტრაქტის ასლი;
- დამსაქმებლის მიერ INPS -ში (სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტი) გაგზავნილი ერთიანი Unificato Lav ბლანკის ასლი, ან "Q" ბლანკი ოჯახის დამხმარე პირის საქმიანობის შემთხვევაში;
- სამუშაოდან ან სხვა კანონიერი წყაროდან შემოსავლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლი: CUD, Unico, ბოლო საგადასახადო დეკლარაცია, დასაქმების პერიოდში მიღებული ხელფასის დამადასტურებელი საბუთი;
- ოჯახის დამხმარე პირის საქმიანობის შემთხვევაში, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გარდა, INPS-ის მიერ (სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტი) გადახდილი ქვითრების ასლები.

შემოსავლის მოცულობის შესაბამისობა საარსებო მინიმუმთან არ უნდა შეფასდეს მხოლოდ INPS-ის სოციალური დახმარების ოდენობაზე დაყრდნობით, აქ გასათვალისწინებელია სამომავლო პერსპექტივები და წინა პერიოდის შემოსავლებიც.

პირის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების შემთხვევაში კი საჭირო იქნება საკმარისი შემოსავლის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა, რომელიც იძლევა მათი საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფის გარანტიას.

საჭიროა:

- 16,00€ - ევროიანი მარკა (შტამპი);
- 30,46€ ევროს ქვითარი ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;

საჭიროა:

- 16,00€ - ევროიანი მარკა (შტამპი);
- 70,46€ (40,00€ + 30,46€), 3 თვიდან ერთ წლამდე, ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;
- 80,46€ (50,00€ + 30,46€) ერთ წელზე მეტი ხნით და ორ წლამდე, ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;
- 130,46€ (100,00€ + 30,46€), ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვისთვის (ყოფილი ბინადრობის ნებართვა), მენეჯერებისა და გამოცდილი მუშაკებისთვის ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;
- 30,00€ ევრო ფოსტის ხარჯებისთვის.

**ოჯახის წევრების შემოსავალი**

ბინადრობის ნებართვის განახლებაზე მოთხოვნის შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ოჯახის წევრთა საერთო შემოსავალი.

შეფასებისას უბრალოდ კი არ „ჯამდება“ ყველა შემოსავლი, არამედ ითვალისწინებენ მე-5 თავის მე-5 პუნქტში მითითებულ სხვა ფაქტორებსაც.

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ჩანს, სადავოა იმ შესაძლებლობის შეზღუდვა, რომ ოჯახის ერთი წევრის შემოსავლით სარგებლობდნენ (მის კმაყოფაზე იყვნენ) ოჯახის წევრთა მხოლოდ 29-ე მუხლით განსაზღვრული კატეგორიები; ასევე, მხოლოდ ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა შემოსავლების გათვალისწინება.

შენახვის/საარსებო მინიმუმის ვალდებულება, როგორც ჩვენს სამართლებრივ სისტემაშია აღიარებული, ამ კატეგორიებს სცდება.

**ავადმყოფობა ან უბედური შემთხვევა**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1949 წლის 97-ე კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დაუშვებელია უცხოელის წარმოშობის ქვეყანაში გაბრუნება ავადმყოფობისა თუ უბედური შემთხვევის გამო, ანდა როცა მას არ შეუძლია მუშაობა.

**განახლების ხელშემშლელი მიზეზები**

ბინადრობის ნებართვის განახლებისას პოლიციის განყოფილებამ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი დანაშაულის არსებობა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ამ პროცესს.

განახლების ხელშემშლელი მიზეზებია:

- რისკების შექმნა საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის (შენგენის ზონის სხვა ქვეყნებისთვისაც);
- მსჯავრდება (თუნდაც არ არსებობდეს საბოლოო განაჩენი) ან საპროცესო შეთანხმება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის, რომლებიც უკავშირდება ნარკოტიკებს, სექსუალურ ძალადობას, უკანონო იმიგრაციის ხელშეწყობას, პროსტიტუციასა და არასრულწლოვანთა ექსპლუატაციას;
- საბოლოო განაჩენით მსჯავრდება საავტორო უფლებების დარღვევისათვის.

## რეაბილიტაცია და დანაშაულის გაუქმება / წაშლა

ნებისმიერ შემთხვევაში, დასაშვებია სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული რეაბილიტაციისა და დანაშაულის გაუქმება/წაშლის შესაძლებლობის გამოყენება.

რეაბილიტაციაზე მოთხოვნის შეტანა ნებადართულია ძირითადი სასჯელის მოხდიდან, სულ მცირე, 3 წლის გასვლის შემდეგ, თუკი მსჯავრდებული ამ ხნის განმავლობაში კარგი ქცევით და მოქმედებით გამოიჩენს თავს; განმეორებითი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებისას ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 8 წლამდე, მსჯავრდებულის დამნაშავედ გამოცხადების შემთხვევაში კი - 10 წლამდეც.

რეაბილიტაციას შეიძლება მოჰყვეს სსსკ 445-ე მუხლის მე-2-პუნქტის თანახმად საპროცესო შეთანხმებით გამოტანილი სასჯელის ავტომატური გაუქმება/წაშლა.

თუ პირს მისჯილი ჰქონდა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და შემდგომში აღარ ჩაუდენია იმავე სახის დანაშაული, ასეთი ავტომატური გაუქმება/წაშლა შესაძლებელია 5 წლის მერე.

## უარი ბინადრობის ნებართვის განახლებაზე

ბინადრობის ნებართვის განახლებაზე უარის თქმა მოიცავს სხვადასხვა პროცედურულ ეტაპს.

ნებისმიერი ადმინისტრაციული დარღვევა, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია, ან უბრალო მატერიალური შეცდომები, არ შეიძლება იქცეს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლად.

გასათვალისწინებელია შესაძლებლობა, რომ დაინტერესებულმა პირმა თავდაპირველად შეტანილი დოკუმენტაცია შეავსოს დანაკლისი საბუთებით, ან დაუმატოს ახალი საბუთები, რომლებიც ასახავს იმ დროისათვის არსებულ ვითარებას.

ასეთ შემთხვევებში ხშირია, როცა პოლიციის სამმართველო, დაინტერესებული პირის ოფისში გამოძახებისას გამოვლენილი შეცდომის ან ზოგიერთი საბუთის უქონლობის გამო, ხელახლა იბარებს უცხოელს შეცდომების გასასწორებლად ან ნაკლული საბუთების წარმოსადგენად.

*შენიშვნა: ეს ნიშნავს, რომ თუ განაცხადის წარდგენისას პირს ზოგიერთი საჭირო რეკვიზიტი - მაგალითად, სამუშაო კონტრაქტი - აკლია, მას ყოველთვის ექნება ახალი ხელმოწერილი სამუშაო კონტრაქტის წარდგენის საშუალება განაცხადის განხილვის პროცესში, ვიდრე არ გაიცემა უარის ბრძანება.*

დაინტერესებულ პირს ნებართვის განახლებაზე უარყოფითი პასუხის შესახებ გაეგზავნება შეტყობინება, რომელშიც, ,,საქმის'' საიდენტიფიკაციო მონაცემების გარდა, მითითებული უნდა იყოს განახლებაზე უარის თქმის მიზეზებიც.

მას შემდგომში 10 დღე აქვს წერილობითი მემორანდუმის წარსადგენად, რომელშიც შეეცდება თავისი მოტივაციების/ახსნა-განმარტებების წარმოჩენას ან სათანადო არგუმენტაციების დაპირისპირებას პოლიციის სამმართველოს ამგვარი გადაწყვეტილებისათვის.

ნებართვის განახლებაზე უარის შემთხვევაში, უცხოელს ,,სთხოვენ'', 15 დღის განმავლობაში დატოვოს ქვეყნის ტერიტორია.

ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე უარის გასაჩივრება შესაძლებელია უფლებამოსილ ადმინისტრაციულ სასამართლოში, მომდევნო 60 დღის მანძილზე (საჩივრები, რომლებიც უკავშირდება ოჯახის გაერთიანების ნებართვის გაცემას, უნდა შეიტანონ ჩვეულებრივ სასამართლოში). ამ ვადის გასვლამდე უცხოელი არ ექვემდებარება გაძევებას.

ყველა შემთხვევაში, პოლიციის სამმართველოს მხრიდან ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმა სათანადოდ უნდა დასაბუთდეს, დაინტერესებული პირის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, და ექცეოდეს საკანონმდებლო დებულებათა ჩარჩოებში.

**განაცხადის შეტანის შემდეგ**

ბინადრობის ნებართვაზე შეტანილი განაცხადის დამადასტურებელი ქვითრით უცხოელს შეუძლია:

- პოლიციის სამმართველოს ვებგვერდზე შეამოწმოს განაცხადის დამუშავების პროცესი;
- დარეგისტრირდეს მოსახლეობის რეესტრში; ასევე:
- ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში;
- გააფორმოს ქირავნობის კონტრაქტები;
- შეასრულოს ნებისმიერი პროცედურა/ქმედება (გამონაკლისია შეზღუდვა ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლასა და უკან შემოსვლაზე; ეს ნებადართულია მხოლოდ შენგენის ტერიტორიის ქვეყნების ტრანზიტის გარეშე).

კანონის თანახმად, ბინადრობის ნებართვის განახლების პროცესში პირს შრომითი საქმიანობა შეუძლია ისევე, როგორც მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელს.

## 1.2.6 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა კვოტის გარეშე

კვოტის გარეშე შემოსვლა იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 27-ე მუხლით გათვალისწინებულია უცხოელთა ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებისთვის (შესაბამისად, ამ ნაწილში მოცემული ახსნა-განმარტებაც მათ მიემართება):

შემოსვლის პროცედურა სუბორდინაციული სამუშაოს შემთხვევაში:

**ა) უცხოური კომპანიის ხელმძღვანელი და მაღალკვალიფიციური პერსონალი**

თუ იტალიაში სუბორდინაციული სამუშაოს მიზნით შემომსვლელი ხელმძღვანელი პირი ან მაღალკვალიფიციური პერსონალი წარმოადგენს (1) უცხოურ კომპანიას, რომელსაც სათავო ოფისი ან ფილიალი აქვს იტალიაში, (2) უცხოური კომპანიის წარმომადგენლობით ბიუროს, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რომელიმე წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, ან (3) იტალიურ თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კომპანიას, რომლის სათავო ოფისიც იტალიაშია, <u>უნდა დასაბუთდეს, რომ საქმე ეხება მაღალკვალიფიციურ პერსონალს, რომელიც იტალიაში მივილინებამდე არანაკლებ 6 თვით ადრე იმავე სფეროში იყო დასაქმებული</u>. კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე, დროებითი გადმოყვანის ხანგრძლივობა, შესაძლებელი გაგრძელებების ჩათვლით, მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

<u>პროცედურა:</u> განაცხადი დროებითი მივლინების ავტორიზაციაზე (Nulla Osta) საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში უნდა შეიტანოს იტალიაში მოქმედმა კომპანიამ.

**ბ) უნივერსიტეტის ლექტორები**

უნივერსიტეტმა უნდა დაადასტუროს, რომ <u>უცხოელს აქვს საჭირო პროფესიული რეკვიზიტები შესაბამისი საქმიანობისათვის</u>.

<u>პროცედურა:</u> განაცხადი სუბორდინაციული სამუშაოს ავტორიზაციაზე საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში უნდა შეიტანოს უნივერსიტეტმა.

### გ) უნივერსიტეტის პროფესორები და მკვლევრები

იტალიაში უნივერსიტეტის პროფესორთა და მკვლევართა სუბორდინაციული სამუშაოს მიზნით შემოსვლისათვის - რაც გულისხმობს აკადემიურ ან ანაზღაურებად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას იტალიის უნივერსიტეტებსა და საგანმანათლებლო თუ კვლევით ინსტიტუტებში - განმცხადებელმა დაწესებულებამ უნდა დაადასტუროს, რომ უცხოელს აქვს საჭირო პროფესიული რეკვიზიტები შესაბამისი საქმიანობისათვის.

პროცედურა: ავტორიზაციის (Nulla Osta) განაცხადი საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში უნდა შეიტანოს უნივერსიტეტმა ან საჯარო თუ კერძო კვლევითმა ინსტიტუტმა, ელექტრონულად შევსებული ბლანკით.

### დ) მთარგმნელები და თარჯიმნები

მათ უნდა წარმოადგინონ თარჯიმნის ან მთარგმნელის კვალიფიკაციის ატესტატი, დიპლომი ან პროფესიული სერტიფიკატი, განსაკუთრებით, მოთხოვნილ ენებზე, გაცემული სახელმწიფო სასწავლებლის, საჯარო დაწესებულების ან მასთან გათანაბრებული ორგანიზაციის მიერ, გამცემი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი სათანადოდ უნდა იყოს ლეგალიზებული უფლებამოსილი საელჩოს ან საკონსულოს მხრიდან, მას შემდეგ, რაც წინასწარ შეამოწმებს მისი გაცემის ლეგიტიმურობას.

პროცედურა: სუბორდინაციულ თანამშრომლად აყვანის შემთხვევაში, განაცხადი იმიგრაციის სამსახურის ბიუროში უნდა წარადგინოს დამსაქმებელმა, ელექტრონული პროცედურის მეშვეობით.

### ე) ოჯახის დამხმარენი განსაკუთრებულ შემთხვევებში

ოჯახის დამხმარე, რომელსაც სრულგანაკვეთიანი საოჯახო მუშაკის პოზიციაზე წელიწადზე მეტი ხნის შრომითი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს საზღვარგარეთ მცხოვრებ იტალიის მოქალაქესთან, ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს იმ მოქალაქესთან, რომელიც იტალიაში გადადის.

პროცედურა: განაცხადი სამუშაოს ავტორიზაციის შესახებ (Nulla Osta) იმიგრაციის სამსახურის ბიუროში უნდა გაგზავნოს დამსაქმებელმა, ელექტრონული პროცედურის მეშვეობით. მან უნდა წარმოადგინოს საზღვარგარეთ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, დამოწმებული დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის მიერ. ავტორიზაცია არ გაიცემა მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ოჯახის დამხმარეებზე.

### ვ) პროფესიული მომზადების მიზნით მყოფი პირები

იტალიის რეპუბლიკის საწარმოო დაწესებულებებში ტრენინგის/პრაქტიკის გასავლელად უცხოელთა შემოსვლის 2 განსხვავებული ტიპი არსებობს. კერძოდ:

- პროფესიული გადამზადების კურსის დასრულებისას, საქმიანობა პრაქტიკული სასწავლო ურთიერთობის კონტექსტში. ეს პროცედურა მოჰყვება შემოსვლას როგორც პროფესიული გადამზადების, ისე პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრის მიზნით;
- 
- პროფესიული გადამზადების სასწავლო პრაქტიკა, დაფუძნებული იმ ორგანიზაციის გადაწყვეტილებას დროებითი მივლინების ან გადაყვანის შესახებ, რომელზეც სამსახურებრივად არიან დამოკიდებულნი.

უცხოელის შემოსვლა პროფესიული გადამზადების სასწავლო პრაქტიკის მიზნით შესაძლებელია მხოლოდ მივლინება/გადმოყვანის ფორმით, ანუ როდესაც ეს პირი უკვე არის საზღვარგარეთ მოქმედი რომელიმე ორგანიზაციის ან დაწესებულების თანამშრომელი და აღნიშნული

დაწესებულება დროებით მიავლენს ან გადაიყვანს უცხოელს იტალიელ, ან იტალიაში მოღვაწე უცხოელ დამსაქმებელთან, რომელიც საქმიანობს პროფესიული გადამზადებისა და სტაჟირების სფეროში.

მეორე შემთხვევაში პროცედურა ითვალისწინებს ტერიტორიულად უფლებამოსილ საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში სამუშაოს ავტორიზაციაზე (Nulla Osta) განაცხადის შეტანას გამომგზავნი ორგანიზაციის მიერ, შემდეგი თანდართული საბუთებით: ანკეტა I და რეგიონული ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული პროფესიული გადამზადების პროექტი, თავისი ძირთადი ელემენტებით. იქვე მითითებული უნდა იყოს პროფესიული გადამზადების სასწავლო საქმიანობის ხანგრძლივობა (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს).

**ზ) იტალიის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციებისა და კომპანიების თანამშრომლები კონკრეტული ფუნქციებითა და ამოცანებით**

სპეციალიზებული მუშაკები, იმ იტალიური ან უცხოური ორგანიზაციებისა თუ კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც ფუნქციონირებენ საზღვარგარეთ და იტალიაში აქვთ გახსნილი საკუთარი ოფისები, წარმომადგენლობითი ბიუროები, ან ფილიალები. ეს თანამშრომლები განსაზღვრული პერიოდით არიან იტალიაში მიწვეულნი სპეციალიზებული ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად, რადგან საქმე ეხება ისეთ სამუშაოს, რომელსაც კონკრეტული გამოცდილება სჭირდება.

<u>პროცედურა:</u> საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში განაცხადს სამუშაოს ავტორიზაციაზე (Nulla Osta) წარადგენს გამომგზავნი ორგანიზაცია/დაწესებულება, ელექტრონული პროცედურის მეშვეობით.

უცხოურმა კომპანიამ მუშაკთა ამ კატეგორიისათვის უნდა უზრუნველყოს იტალიის კანონმდებლობით დადგენილი და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისი მინიმალური ანაზღაურება (იტალიის ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების ამ კატეგორიის მუშაკთა მსგავსად), ასევე, გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოცუზრუნველყოფის მომსახურების გადასახადები.

**თ) საზღვაო მუშაკები**

მეზღვაურები, იტალიის დროშით მცურავი გემების ეკიპაჟის წევრები და უცხოელ გემთმფლობელთა საკონტრაქტო კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც სამუშაოდ მოწვეულნი არიან იტალიურ საკრუიზო გემებზე.

<u>პროცედურა:</u> უცხოელ გემთმფლობელთა კომპანიების თანამშრომლებთან/მეზღვაურებთან მიმართებით, რომლებიც მიწვეულნი არიან იტალიურ საკრუიზო ხომალდებზე დამატებითი მომსახურებისათვის, გამოიყენება სპეციალური საკანონმდებლო დებულებები და სამუშაოს ავტორიზაცია (Nulla Osta) არ არის საჭირო.

შესასვლელ ვიზებს იტალიის დიპლომატიური მისიები ან საკონსულო დაწესებულებები გასცემენ შემოკლებულ ვადებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციით განსაზღვრული გამარტივებული პროცედურებით (საჭირო დოკუმენტაციისთვის, იხ: საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემთა ბაზა).

ზემოხსენებული ვიზები ითვალისწინებს გემზე (გემის ბორტზე) ყოფნას, მაშინაც კი, როცა გემი ტერიტორიულ წყლებში ცურავს ან ქვეყნის რომელიმე პორტში დგას. გემიდან ჩამოსვლის შემთხვევაში, ამოქმედდება ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის დადგენილი დებულებები.

**ი) უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირების თანამშრომლები იტალიაში კონტრაქტებით**

მუშაკები, რომელთა დამსაქმებლები არიან უცხოეთში მცხოვრები ან რეგისტრირებული, მაგრამ იტალიაში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან დროებითი შრომითი ურთიერთობისთვის ჩამოსული პირები. ისინი თავის მხრივ ასაქმებენ უცხოელ მოქალაქეებს <u>იმ სამუშაოების შესასრულებლად, რომლებსაც ითვალისწინებს სამუშაო კონტრაქტები, გაფორმებული უცხოეთში მცხოვრებ/ რეგისტრირებულ დამქირავებელ-დამსაქმებლებსა და იტალიაში მცხოვრებ/რეგისტრირებულ ფიზიკურ პირსა თუ ორგანიზაციას შორის.</u>

<u>პროცედურა:</u> განაცხადი სამუშაოს ავტორიზაციის (Nulla Osta) გაცემაზე საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში უნდა წარადგინოს  იტალიაში მოღვაწე დამსაქმებელმა, სათანადო M  ტიპის ბლანკით.

თუ დამსაქმებელს (კომპანია ან კერძო პირი) ოფისი აქვს ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანაში, მაშინ გამოიყენება M2 ტიპის ბლანკი. ამ შემთხვევაში ბლანკის გაგზავნა მიჩნეულია კომუნიკაციად ბინადრობის ნებართვის მიღებისათვის. ფაქტობრივად, ეს მუშაკები სავიზო ვალდებულებებისგან გათავისუფლებულნი არიან.

იტალიაში შემოსვლისთანავე ეს უცხოელი მუშაკი პოლიციის სამმართველოში მიდის ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისათვის.

ავტორიზაცია (Nulla Osta), შემოსასვლელი ვიზა და ბინადრობის ნებართვა გაიცემა მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო დროით (მაქსიმუმ, 2 წელი).

გარდა ამისა, ავტორიზაცია (Nulla Osta) გაიცემა იმ პირობით, რომ უცხოეთში მცხოვრებმა ან რეგისტრირებულმა დამქირავებელ-დამსაქმებელმა იტალიის ტერიტორიაზე სამუშაოდ შემოსული თავისი თანამშრომლებისთვის უზრუნველყოს ის მინიმალური ანაზღაურება, რომელსაც ითვალისწინებს მუშაკთა ამ კატეგორიისათვის იტალიის კანონმდებლობით დადგენილი და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება; ასევე, სოციალური უსაფრთხოების კონტრაქტის არქონის შემთხვევაში, გადაიხადოს სოცუზრუნველყოფის  მომსახურების გადასახადები (სოციალური უსაფრთხოების კონტრაქტის თაობაზე).

აღნიშნულ კატეგორიაში ასევე მოიაზრებიან: **ცირკის ან მოგზაური დასის მუშაკები; სამხატვრო პერსონალი; მოცეკვავეები, მხატვრები და მუსიკოსები; თეატრალურ/კინემატოგრაფიულ მუსიკალურ ინსტიტუტებში, ტელევიზიებში ან რადიოკომპანიებში დასაქმებული ხელოვანები/ არტისტები.**

### კ) სპორტსმენები

პროფესიონალი სპორტსმენები, რომლებმაც თავიანთი პროფესიონალური სამუშაო უნდა შეასრულონ იტალიურ სპორტულ კომპანიებსა და დაწესებულებებში.

<u>პროცედურა:</u> ამ შემთხვევაში სამუშაო ავტორიზაცია (Nulla Osta) შეიცვლება იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (CONI) მიერ გაცემული სახელობითი თანხმობით.

სპორტულ კომპანიებს, რომელთაც სურთ, იტალიაში შემოიყვანონ და დაიქირაონ/დაასაქმონ მესამე ქვეყნის მოქალაქეები, შესაბამისი სპორტის ეროვნულ ფედერაციაში უნდა წარადგინონ ბინადრობის ხელშეკრულების პროექტი და სუბორდინაციულ სამუშაოზე (სპორტი) თანხმობის სახელობითი მოთხოვნა, SP ტიპის ბლანკით.

შეტყობინება უნდა გაიგზავნოს პოლიციის სამმართველოშიც, რომელმაც უნდა გასცეს შესაბამისი ავტორიზაცია (Nulla Osta).

მას შემდეგ, რაც დაადგენს, რომ კომპანიას ყველა რეკვიზიტი აქვს უცხოელი სპორტსმენის გაწევრიანება/რეგისტრაციისთვის, სპორტული ფედერაცია ბინადრობის ხელშეკრულებას და სახელობით მოთხოვნას ელექტრონული პროცედურით უგზავნის იტალიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს (CONI).

ოლიმპიური კომიტეტი ამოწმებს კვოტების შესაძლებლობას (ყოველწლიურად მესამე ქვეყნის სპორტსმენებისთვის სამუშაოდ დაშვების მაქსიმალური ზღვარი დგინდება სამუშაო დატვირთვის flussi განკარგულების მიხედვით) და, პოლიციის სამმართველოდან ავტორიზაციის (Nulla Osta) მიღების შემდეგ, თანხმობას გზავნის იმ რეგიონის იმიგრაციის სამსახურში, სადაც  მდებარეობს განაცხადის წარმდგენი სპორტული კომპანია.

### ლ) ჟურნალისტები

იტალიაში ოფიციალურად აკრედიტებული კორესპონდენტები, ყოველდღიური ან პერიოდული პრესის, უცხოური რადიოსადგურების ანდა ტელევიზიების თანამშრომლები, რომელთაც რეგულარულად ეძლევათ ანაზღაურება.

<u>პროცედურა:</u> არ არის საჭირო სამუშაოს ავტორიზაცია (Nulla Osta), შემოსასვლელი ვიზის გაცემა პირდაპირ მოითხოვება დიპლომატიურ-საკონსულო წარმომადგენლობაში.

**მ) ახალგაზრდულ გაცვლით/მობილობის პროგრამებში მონაწილე ან მასთან გათანაბრებული პირები**

უცხოელები, რომლებიც იტალიისთვის მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, ახალგაზრდული გაცვლითი ან მობილობის პროგრამების ფარგლებში იტალიაში ეწევიან კვლევით თუ შემთხვევით/პერიოდულ შრომით საქმიანობას, ანდა არიან მათთან „გათანაბრებული“ პირები.

<u>პროცედურა:</u> სამუშაოს ავტორიზაცია (Nulla Osta) გაიცემა (და მათი რაოდენობა განისაზღვრება) მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, არაუმეტეს ერთი წლის ვადით, თუ იმავე შეთანხმებების მიხედვით არ არსებობს სხვა მითითებები.

„გათანაბრებული“ პირების შემთხვევაში, ანუ მათთვის, ვინც არ მონაწილეობს ახალგაზრდულ გაცვლით ან მობილობის პროგრამებში, სამუშაოს ავტორიზაციის (Nulla Osta) პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში ავტორიზაციაზე (Nulla Osta) მოთხოვნას სათანადო N ტიპის ბლანკით წარადგენს:

- კომპანია ან დაწესებულება - თუ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ხდება იტალიაში დასაქმება კვლევითი ან შემთხვევითი/პერიოდული შრომითი საქმიანობის მიზნით;
- იტალიელი ან იტალიაში კანონიერად მცხოვრები უცხოელი ფიზიკური პირი, რომელიც არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას - თუ საქმე ეხება გაცვლითი პროგრამების მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს.

## 1.2.6.1 ავტორიზაციის (Nulla Osta) განაცხადი იტალიის რესპუბლიკაში კვოტის გარეშე შესასვლელი ვიზის მისაღებად

განაცხადი სამუშაოს ავტორიზაციის (Nulla Osta) შესახებ პრეფექტურის საიმიგრაციო სამსახურის ტერიტორიულად უფლებამოსილ ბიუროში უნდა გაიგზავნოს ელექტრონული პროცედურის მეშვეობით (სტაჟირების, საზღვაო მუშაკების, პროფესიონალი სპორტსმენების, კორესპონდენტების, ხელოვნების სფეროს მუშაკების გარდა).

განაცხადი უნდა მოიცავდეს დამსაქმებლის ვალდებულებას, რომ:

- უზრუნველყოფს სათანადო ფინანსურ ანაზღაურებას; ასევე:
- საცხოვრებელ ფართს;
- დაფარავს უკან დასაბრუნებელი მგზავრობის ხარჯებს;
- შეატყობინებს შრომით ურთიერთობაში შეტანილ ნებისმიერი ცვლილებას.

ამ განსაკუთრებული კატეგორიის მუშაკთა იტალიის რესპუბლიკაში შესვლისა და ბინადრობის ნებართვა ძალაშია ავტორიზაციაში (Nulla Osta) მითითებული ან იმ საქმიანობისთვის საჭირო ვადით, რაზეც გაიცა იგი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი იტალიაში არ შედიან პროფესიული მომზადებისთვის.

## 1.2.6.2 საჭირო დოკუმენტაცია სხვა შემთხვევებში სუბორდინაციული სამუშაოს მიზნით ვიზის მისაღებად

აღნიშნულ კატეგორიაში მოიაზრებიან: მაღალკვალიფიციური პერსონალი, ხელმძღვანელი პირები, უნივერსიტეტის ლექტორები და პროფესორები, მკვლევარები, თარჯიმნები და მთარგმნელები, პროფესიული გადამზადების მიზნით მივლენილი პირები, ექთნები, მეზღვაურები, სპორტსმენები და ათლეტები, ასევე, ხელოვნების მუშაკები.

ამ შემთხვევაში ვიზა გაიცემა ჩვეულებრივად, დამსაქმებლის განაცხადის საფუძველზე, სამუშაო ავტორიზაციის (Nulla Osta) წინასწარ მიღებით.

იმიგრაციის სამსახურის ბიურო დიპლომატიურ წარმომადგენლობას უგზავნის სამუშაო მიზნით ბინადრობის ხელშეკრულების პროექტს და შესაბამის ავტორიზაციას (Nulla Osta). პროექტი უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარესაც.

საჭიროა:

- სავიზო განაცხადის ფორმა;
- უახლესი ფოტო, საბარათე ფორმატში;
- სამგზავრო დოკუმენტი, რომლის ვადა 3 თვით მაინც უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი ვიზის მოქმედების ვადას.

იტალიურ საკრუიზო გემებზე დამატებითი საზღვაო სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული, უცხოელ გემთმფლობელთა საკონტრაქტო კომპანიების თანამშრომელი მეზღვაურები.

საჭიროა:

- სავიზო განაცხადის ფორმა;
- უახლესი ფოტო, საბარათე ფორმატში;
- სამგზავრო დოკუმენტი, რომლის ვადა 3 თვით მაინც უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი ვიზის მოქმედების ვადას;
- უცხოურ კომპანიასა და იტალიელ გემთმშენებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- საერთაშორისო რეესტრში გემის რეგისტრაციის სერტიფიკატი;
- დასაქმების ხელშეკრულება.

## 1.2.6.3 საჭირო დოკუმენტები ოფიციალურად აკრედიტებული კორესპონდენტების, უცხოური პრესის ან რადიოსადგურებისა და ტელევიზიების თანამშრომლებისათვის

საჭიროა:

- სავიზო განაცხადის ფორმა;
- უახლესი ფოტო, საბარათე ფორმატში;
- სამგზავრო დოკუმენტი რომლის ვადა 3 თვით მაინც უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი ვიზის მოქმედების ვადას;
- ადგილობრივი ორგანოები ვერბალური ნოტით გზავნიან განაცხადს. ვიზა გაიცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ავტორიზაციის (Nulla Osta) მიღების შემდეგ;
- ჟურნალისტის ბარათი/წიგნაკი.

განაცხადი შემოსასვლელ ვიზაზე პირდაპირ ეგზავნება დიპლომატიურ-საკონსულო წარმომადგენლობას (წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი იხ: საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე, ვიზების მონაცემთა ბაზაში).

<u>იტალიაში შემოსვლა</u>

იტალიაში შემოსვლის შემდეგ, დასაქმებული 8 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს საიმიგრაციო სამსახურში ბინადრობის ხელშეკრულების გასაფორმებლად და ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით.

<u>იტალიაში მუშაობა</u>

ბინადრობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, უცხოელს შეუძლია იტალიაში მუშაობა, მაგრამ მხოლოდ ვიზით (და ნებართვით) გათვალისწინებული ვადით, თუ არ მოითხოვს გაგრძელებას და მხოლოდ იმ სამუშაოს შესრულება შეუძლია, რისთვისაც იტალიაში შემოვიდა.

ასეთი ბინადრობის ნებართვა, როცა ის გაცემული არ არის სტაჟირების / პროფესიული გადამზადების მიზნით, არ ექვემდებარება გადაკეთებას.

## 1.3 ევროკავშირის ლურჯი ბარათი

N.2009/50/CE ევროპული დირექტივების საფუძველზე, 2012 წლის 28 ივნისის N.108 საკანონმდებლო განკარგულების ოფიციალურ გაზეთში (“Gazzetta ufficiale”) გამოქვეყნებისთანავე, ძალაში შევიდა ე. წ. ევროკავშირის ლურჯი ბარათის შემოღების წესები; ეს არის ბინადრობის საბუთი, რომლის მიღებაც შეუძლიათ მაღალკვალიფიციურ უცხოელ მუშაკებს.

განკარგულების მიხედვით, იმიგრაციის ერთიან საკანონმდებლო ტექსტს (TU, საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998 და შემდგომი ცვლილებები), დაემატა 27-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, მესამე ქვეყნის მაღალკვალიფიციურ უცხოელ მუშაკებს იტალიაში შესვლა შეუძლიათ შესაბამისი ვიზით, წელიწადის ნებისმიერ დროს და სამუშაო დატვირთვის flussi განკარგულებით განსაზღვრული კვოტების გარეშე. საქმე ეხება განსაკუთრებული ტიპის ბინადრობის ნებართვას, რომელსაც გასცემს პოლიციის სამმართველო, სამუშაო მიზნით ბინადრობის ხელშეკრულებისა და პოლიციის სამმართველოში სათანადო შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. ამ ტიპის ბინადრობის ნებართვის მფლობელები შეიძლება იყვნენ მაღალკვალიფიციური უცხოელი მუშაკები. ის მოქმედია:

- 2 წელი, თუ სამუშაო კონტრაქტს აქვს განუსაზღვრელი ვადა;
- სამუშაო კონტრაქტის ვადაზე 3 თვით მეტხანს, თუ ეს ვადა განსაზღვრულია.
-

<u>ამ ტიპის ბინადრობის ნებართვის მიღების აუცილებელი პირობაა, პირს ჰქონდეს უმაღლესი განათლების დიპლომი, გაცემული იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ, სადაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (სულ მცირე, 3-წლიანი სასწავლო კურსის გავლით); ასევე, შესაბამისი პროფესიული განათლების/სპეციალობის დამადასტურებული დიპლომი და ის რეკვიზიტები, რომლებიც საჭიროა გარკვეული პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად.</u>

ამ ტიპის ნებართვა შეიძლება გაიცეს შემდეგი კატეგორიებისთვის:

- მესამე ქვეყნის რეზიდენტი უცხოელი;
- იტალიის ტერიტორიაზე რეგულარულად მცხოვრები უცხოელი;
- ევროკაშირის წევრ ქვეყანაში მცხოვრები უცხოელი;
- ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნის მიერ გაცემული ლურჯი ბარათის მფლობელი უცხოელი.

ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელს შეიძლება მიენიჭოს გრძელვადიანი მობინადრის სტატუსი (გაიცემა CE ლურჯი ბარათი), შესაბამისი რეკვიზიტების და შემდეგი ორი პირობის არსებობის შემთხვევაში:

- თუ პირი, ევროკავშირის ლურჯი ბარათის საფუძვლით, გაერთიანების ტერიტორიაზე ლეგალურად და უწყვეტად ბინადრობს 5 წლის განმავლობაში;
- აქვს, სულ მცირე, 2-წლიანი ელექტრონული ფორმატის ბინადრობის ნებართვა იტალიაში, რომელზეც დატანებულია ფორმულირება „ევროკავშირის ლურჯი ბარათი“.

ევროკავშირის ლურჯი ბარათისა და ხანგრძლივი ვადით მობინადრის სტატუსის მქონე უცხოელთა ოჯახის წევრებზე ოჯახური მოტივით გაიცემა 2-წლიანი ბინადრობის ნებართვა.

ოჯახის წევრებს ხანგრძლივი ვადით ბინადრობის CE ნებართვა ენიჭებათ მაშინ, თუ არსებობს მოთხოვნილი რეკვიზიტები და უცხოელი ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად და უწყვეტად ბინადრობის 5 წლიდან ბოლო 2 წლის მანძილზე ცხოვრობდა იტალიაში.

## 1.4 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა ოჯახური მოტივით

### 1.4.1 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა ოჯახის გაერთიანების მიზნით

ოჯახის გაერთიანების მიზნით წინასწარ გაიცემა ვიზა, რომელიც ქვეყანაში შემოსვლის უფლებას აძლევს (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით) იტალიაში ლეგალურად მობინადრე უცხოელის ოჯახის წევრებს.

- უცხოელის ქვეყანაში მოქმედი იტალიის საელჩო ამ პირს იტალიაში შესასვლელ ვიზას აძლევს მას შემდეგ, რაც პრეფექტურის იმიგრაციის სამსახურის ადგილობრივი უფლებამოსილი ბიურო გასცემს ავტორიზაციას (Nulla Osta);
- ავტორიზაციის (Nulla Osta) განაცხადი პირს შეაქვს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფლებამოსილ საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში, შინაგან საქმთა სამინისტროს ვებგვერდზე (nullaostalavoro.interno.it) სათანადო ბლანკების პირდაპირ ელექტრონულად შევსებით.

ოჯახის გაერთიანებაზე  განაცხადის შეტანა შეუძლიათ პირებს, რომლებსაც აქვთ შემდეგი სახის ბინადრობის ნებართვები:

- სულ მცირე, ერთწლიანი სუბორდინაციული ან თვითდასაქმებითი სამუშაოსთვის;
- პოლიტიკური თავშესაფრის გამო;
- სუბსიდიური (დამხმარე, სუბსიდიური) დაცვის მიზნით;
- სასწავლო, რელიგიური მიზნებით;
- ოჯახური მოტივით;
- CE ხანგრძლივი ვადით მობინადრეთათვის;
- მოქალაქეობის მინიჭების (მოლოდინის) გამო.

*შენიშვნა: ბინადრობის ნებართვის განახლებაზე განაცხადის შეტანის დამადასტურებელი ქვითრით  შესაძლებელია ოჯახის გაერთიანებაზე  ავტორიზაციის (Nulla Osta) მოთხოვნა.*

ოჯახის წევრები, რომლებზეც შესაძლებელია ოჯახის გაერთიანების მოთხოვნა:

- მეუღლე, რომელიც ოფიციალურად არ არის განქორწინებული, არანაკლებ 18 წლისაა და ქორწინებაში არ იმყოფება სხვა, ლეგალურად მობინადრე პირთან;
- არასრულწლოვანი შვილები, მეუღლის შვილები, ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილები, რომლებიც არ არიან შეუღლებულნი, იმ პირობით, რომ მეორე მშობელი (თუ არსებობს) აძლევს თანხმობას. შვილად აყვანილი და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი გათანაბრებულია შვილთან;
- კმაყოფაზე მყოფი სრულწლოვანი შვილები, რომელთაც, ობიექტური მიზეზების გამო (შესაძლებლობების სრული (100%-იანი) შეზღუდვა, გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობით), არ შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ საარსებო საშუალებებზე;
- კმაყოფაზე მყოფი მშობლები, რომელთაც არ ჰყავთ სხვა შვილი საკუთარ ქვეყანაში; ან მშობელი, რომელიც ქორწინებაში არ იმყოფება სხვა, ლეგალურად მობინადრე პირთან;
- 65 წელს გადაცილებული მშობლები (თუ სხვა შვილებს არ შუძლიათ მათი შენახვა), სათანადოდ დასაბუთებული, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო; ან მშობელი, რომელიც ქორწინებაში არ იმყოფება სხვა, ლეგალურად მობინადრე პირთან;
- იტალიაში ლეგალურად მობინადრე არასრულწლოვან შვილთან ოჯახური გაერთიანების მოტივით, ნებადართულია ბიოლოგიური მშობლის შემოსვლა, თუ იგი დაადასტურებს მოთხოვნილი რეკვიზიტების არსებობას, როგორიცაა საცხოვრებელი ფართი და ოჯახის გაერთიანების პროცედურით განსაზღვრული შემოსავალი. ამ მხრივ გასათვალისწინებელია აღნიშნული რეკვიზიტების ფლობა მეორე მშობლის მიერ;
- ლტოლვილის სტატუსის მქონე, თანმხლების არმყოლი არასრულწლოვნის I საფეხურის/ დონის პირდაპირი აღმავალი ხაზის ოჯახის წევრები.

### 1.4.1.1 ოჯახის გაერთიანების პროცედურა (I ფაზა)

ოჯახის გაერთიანების პროცედურა ორ ფაზად იყოფა:

ა) [საიმიგრაციო სამსახურის მონაწილეობით] - ავტორიზაციის (Nulla Osta) გაცემისათვის საჭირო ობიექტური რეკვიზიტების (ბინადრობის ნებართვა, შემოსავალი, საცხოვრებელი ფართი) შემოწმება; ბ) [საკონსულო წარმომადგენლობის მონაწილეობით] - მჭიდრო კავშირშია პირველთან და გულისხმობს შემოსასვლელი ვიზის გაცემისათვის საჭირო სუბიექტური რეკვიზიტების (ნათესაური კავშირი და გასაერთიანებელი სუბიექტის სხვა მონაცემები) შემოწმებას.

#### 1.4.1.1.1 განაცხადის წარდგენისათვის აუცილებელი დოკუმენტები

- ბინადრობის ნებართვის ასლი (ნებართვის მთლიანი ხანგრძლივობა უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი წელი). ოჯახის გაერთიანებაზე განაცხადის შეტანა შეიძლება მაშინაც, თუ გაქვთ ბინადრობის ნებართვის განახლებაზე/გაცემაზე განაცხადის შეტანის დამადასტურებელი ქვითარი;
- 16,00€ - ევროიანი მარკა (შტამპი), რომლის ნომერი შეტანილია ელექტრონული მოდულის შესაფერის გრაფაში, ორიგინალი კი უნდა წარადგინოს საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში გამოძახებისას;
- განმცხადებლის/მომთხოვნის პასპორტი;
- გასაერთიანებელი წევრის პასპორტის ასლი.

## 1.4.1.1.2 ოჯახის გაერთიანებაზე ავტორიზაციის მისაღებად საჭირო რეკვიზიტები და დოკუმენტები

კანონიერი გზით მიღებული მინიმალური წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა იყოს ნაკლები ყოველწლიური სოციალური დახმარებისა და თითოეული გასაერთიანებელი წევრის სოციალური დახმარების ნახევრის საერთო ოდენობაზე:

გაერთიანების მომთხოვნი: **5.954,00** ევრო წლიური შემოსავალი.

- ერთი გასაერთიანებელი წევრი (მათ შორის, 14 წლამდე ასაკის) – **8.931,00** ევრო;
- ორი გასაერთიანებელი წევრი (მათ შორის, 14 წლამდე ასაკის) – **11.908,00** ევრო;
- სამი გასაერთიანებელი წევრი (მათ შორის, 14 წლამდე ასაკის) – **14.885,00** ევრო;
- ოთხი გასაერთიანებელი წევრი (მათ შორის, 14 წლამდე ასაკის) – **17.862,00** ევრო;
- ხუთი გასაერთიანებელი წევრი (მათ შორის, 14 წლამდე ასაკის) – **20.839,00** ევრო;
- ექვსი გასაერთიანებელი წევრი (მათ შორის, 14 წლამდე ასაკის) – **23.816,00** ევრო.

თუ ოჯახში უნდა გაერთიანდეს ორი და მეტი 14 წლამდე ასაკის პირი, 2018 წლისათვის სავალდებულო მინიმალური შემოსავლის ოდენობა შეადგენს 11.908,00 ევროს.

14 წლამდე ასაკის შვილების გარდა, ყოველ მომდევნო გასაერთიანებელ წევრზე (შვილები, მეუღლეები, მშობლები) 11.908,00 ევროს უნდა დაემატოს 2.977,00 ევრო.

შემოსავლის დემონსტრირებისათვის, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ გაერთიანების მომთხოვნი პირის, არამედ მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების შემოსავალიც (სათანადოდ დასაბუთებული).

ლტოლვილის სტატუსისა და სუბსიდიური დაცვის სტატუსის მქონე პირები არ არიან ვალდებულნი, წარმოადგინონ ეს რეკვიზიტები.

*შენიშვნა: ფინანსური რესურსების შეფასება არ უნდა დაეყრდნოს ყოველწლიური სოციალური დახმარების საფუძველზე განსაზღვრულ მინიმალურ ლიმიტს, აქ ასევე გასათვალისწინებულია ოჯახის ბუნება და სიმტკიცე, ქორწინებისა და ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობა, მშობლიურ ქვეყანასთან ოჯახური, კულტურული ან სოციალური კავშირები (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2010 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება C-578/08).*

## 1.4.1.1.3 შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტები

მოთხოვნილი რეკვიზიტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია პირმა უნდა წარადგინოს საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში გამოძახებისას. ოჯახის გაერთიანების მომთხოვნი პირის პასპორტისა და გასაერთიანებელ წევრთა პასპორტების ასლების გარდა, საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა შემოსავლების დასადასტურებლად:

სუბორდინაციულად დასაქმებულ პირთა მიერ: შემოსავლების ბოლო დეკლარაცია, სამუშაო ხელშეკრულების ასლი, ხელფასის ბოლო გადახდა ან ხელფასების ჟურნალის დამოწმებული ასლი; დამსაქმებლის თვითდეკლარაცია, შედგენილი S3 მოდელის მიხედვით, საიდანაც ჩანს მიმდინარე/მოქმედი სამუშაო ურთიერთობა (თითოეული დოკუმენტის 2 ასლი).

თუ სამუშაო ურთიერთობა დაწყებულია ერთ წელზე ნაკლები ხნის წინ და ამის გამო დასაქმებულს არ შეუძლია შემოსავლების დეკლარაციის წარმოდგენა, დამსაქმებლის თვითდეკლარაციაში უნდა მიეთითოს დასაქმებულის სავარაუდო შემოსავალი.

ოჯახის დამხმარე პირის მიერ: შემოსავლების ბოლო დეკლარაცია; თუ ასეთი რამ არ არსებობს, დასაქმების შეტყობინება დასაქმების/სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტისათვის (INPS); მოთხოვნის წარდგენის თარიღის წინა კვარტალში გადახდილი INPS-ის გადასახადის ქვითარი; დამსაქმებლის თვითდეკლარაცია, შედგენილი S3-მოდელის მიხედვით, რითაც დასტურდება მიმდინარე/მოქმედი სამუშაო ურთიერთობა.

თვითდასაქმებითი მუშაკების მიერ:

**ინდივიდუალური საწარმო/კომპანია:** სავაჭრო პალატაში რეგისტრაციის სერტიფიკატი, დღგ-ს (IVA) კოდის სერტიფიკატის ასლი, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ლიცენზიის ასლი (თუ საჭიროა), ბლანკი "Unico" და მისი ჩაბარების დამადასტურებელი ქვითარი (თუ საქმიანობა დაწყებულია ერთ წელზე მეტი ხნის წინ), ან ბუღალტრის მიერ მომზადებული მთლიანი სამუშაო პერიოდის ანგარიში (თუ საქმიანობა დაწყებულია ერთ წელზე ნაკლები ხნის წინ).

**ფირმა/კომპანია:** კომპანიის ბოლო პერიოდის პროფილი, ასახული სავაჭრო პალატაში; დღგ-ს (IVA) კოდის სერტიფიკატის ასლი; ბლანკი "Unico" და მისი ჩაბარების დამადასტურებელი ქვითარი (თუ საქმიანობა დაწყებულია ერთ წელზე მეტი ხნის წინ), ან ბუღალტრის მიერ მომზადებული მთლიანი სამუშაო პერიოდის ანგარიში (თუ საქმიანობა დაწყებულია ერთ წელზე ნაკლები ხნის წინ).

პროექტში მონაწილე პირის მიერ: პროექტში მუშაობის კონტრაქტის ასლი, რომელშიც მითითებულია სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობა და ანაზღაურება; კლიენტის/მომხმარებლის დეკლარაცია, საიდანაც ჩანს, რომ პროექტში მუშაობის კონტრაქტი მოქმედია; INPS-ის სადაზღვევო ფონდის (gestione separata) დეკლარაცია; და "Unico"-ს ასლი.

დასაქმებული პარტნიორის მიერ: კოოპერატივის პროფილი, ასახული სავაჭრო პალატაში; კოოპერატივის დღგ-ს (IVA) კოდის სერტიფიკატის ასლი; კოოპერატივის თავმჯდომარის დეკლარაცია, რომელიც ასახავს მიმდინარე შრომითი ურთიერთობას; კოოპერატივის პარტნიორთა/წევრთა ჟურნალის ასლი; და ბლანკი "Unico".

Freelancers/დამოუკიდებლად დასაქმებულთა მიერ: რეგისტრაცია პროფესიულ კატეგორიათა რეესტრში; ბლანკი "Unico", მისი ჩაბარების დამადასტურებელ ქვითართან ერთად.

სამედიცინო დაზღვევა მშობლისთვის

65 წელს გადაცილებული ერთ-ერთი მშობლის ოჯახური გაერთიანების მოტივით ჩამოყვანისას, აუცილებელია სამედიცინო დაზღვევა, ვიდრე განკარგულებით დადგინდება ჯანდაცვის ეროვნული სამსახურში ნებაყოფლობითი რეგისტრაციისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა.

განაცხადის წარდგენისას საკმარისი იქნება დეკლარაცია სადაზღვევო პოლისის ხელმოწერის ვალდებულებაზე.

სადაზღვევო პოლისს ხელი ეწერება ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლიდან 8 დღის განმავლობაში. საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში წარდგენამდე მას უნდა ჰქონდეს მოქმედების ვადა და ფარავდეს ავადმყოფობის, უბედური შემთხვევებისა და მშობიარობის რისკებს.

### 1.4.1.1.4 საცხოვრებელი ფართი

საცხოვრებელი ფართის არსებობა, რომელიც აკმაყოფილებს საცხოვრებლად ვარგისიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება სანიტარულ და ჰიგიენურ კრიტერიუმებს. სერტიფიკატი გაიცემა უფლებამოსილი მუნიციპალური სამსახურების მიერ.

საცხოვრებელ ფართზე მოთხოვნილი დოკუმენტები:

- იჯარის ხელშეკრულების, ბინით უფასოდ სარგებლობის ხელშეკრულების, ან საკუთრების უფლების ასლი;
- საცხოვრებლად ვარგისიანობისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ცნობა, ანუ მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ საცხოვრებელი ფართი შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ პარამეტრებს და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს;
- თუ გაერთიანების მომთხოვნი პირი სტუმარია, ბინის მფლობელის ლეგალიზებული დეკლარაცია, რომ აცხადებს თანხმობას მასთან დასაქმებული მუშაკისთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ფართში ოჯახის წევრების (გვარ-სახელების მითითებით) გაერთიანებაზე (S2 ბლანკი);
- 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილის ჩამოყვანის შემთხვევაში (მხოლოდ ერთ-ერთი მშობელთან) საცხოვრებლის ვარგისიანობის ცნობა შეიძლება შეიცვალოს იმ ბინის მფლობელის თანხმობით, სადაც არასრულწლოვანი ფაქტობრივად იცხოვრებს (S1 ბლანკი).

ლტოლვილის სტატუსისა და სუბსიდიური დაცვის სტატუსის მფლობელებს არ მოეთხოვებათ ეს რეკვიზიტები.

იტალიაში მყოფი უცხოელი მკვლევრები, რომლებიც ითხოვენ ოჯახის გაერთიანებას, ასევე არ არიან ვალდებულნი, წარმოადგინონ აღნიშნული რეკვიზიტები.

**კრიტერიუმები, რომლებიც ამჟამად გამოიყენება საცხოვრებლის ვარგისიანობის შესაფასებლად:**

**ფართი მოსახლეზე:**

1 მოსახლეზე -14 კვ.მ;
2 მოსახლეზე - 28 კვ.მ;
3 მოსახლეზე - 42 კვ.მ;
4 მოსახლეზე -- 56 კვ.მ;
ყოველ მომდევნო მოსახლეზე + 10 კვ.მ.

**ოთახების შემადგენლობა:**

საძინებელი ოთახი ერთ სულზე - 9 კვ.მ;
საძინებელი ოთახი 2 სულზე - 14 კვ.მ;
+ მისაღები ოთახი - 14 კვ.მ.

**ერთოოთახიანი ბინა:**

1 ადამიანზე - 28 კვ.მ. (აბაზანის ჩათვლით);
2 ადამიანზე - 38 კვ.მ (აბაზანის ჩათვლით).

მინიმალური სიმაღლე: საცხოვრებელი ოთახები - 2,7 მ., (მთიანი რეგიონის კომუნებში დასაშვებია 2,55 მ.), კორიდორები, საკუჭნაოები, სათავსოები - 2,4 მ.

**ვენტილაცია**

მისაღებ ოთახს და სამზარეულოს უნდა ჰქონდეს გამოსაღები ფანჯარა, აბაზანებში კი დამონტაჟებული იყოს (თუ ფანჯარა არა აქვს) მექანიკური გამწოვი სისტემა.

**გათბობის სისტემა**

ბინები აღჭურვილი უნდა იყოს გათბობის სისტემით, იქ, სადაც კლიმატური პირობები ამის საჭიროებას ქმნის.

### 1.4.1.1.5 ოჯახური კავშირის მტკიცებულება

ოჯახური კავშირის დამადასტურებელი მოწმობა (პროცედურის II ფაზა) შეიძლება პირდაპირ თავის ქვეყანაში წარადგინოს გასაერთიანებელმა წევრმა.

ეს სერტიფიკატი უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული, ასევე, ლეგალიზებული უცხოელის მშობლიურ ქვეყანაში არსებული იტალიის საკონსულო წარმომადგენლობის მიერ.

ოჯახური/ნათესაური კავშირის რეალურად/ფაქტობრივად არსებობაში დაეჭვებისას, ტარდება შემოწმება (დნმ-ის გამოკვლევა დაინტერესებული მხარის ხარჯზე; ლტოლვილის სტატუსის მფლობელებს ან სუბსიდიური დაცვის სტატუსის მქონე პირებს შეუძლიათ ამ გამოკვლევის უფასოდ მოთხოვნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM-ისათვის).

თუ ოჯახის გაერთიანებას ითხოვს ლტოლვილის ან სუბსიდიური დაცვის სტატუსის მფლობელი, ოჯახური კავშირის დამადასტურებელი მოწმობის ნაცვლად, შეიძლება იტალიის საკონსულოს მიერ გამოვლენილი სარწმუნო ელემენტების გათვალისწინება.

**ოჯახური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები**

ცნობა ოჯახური მდგომარეობის შესახებ - მეუღლესთან ოჯახური გაერთიანების შემთხვევაში, იმის დასადასტურებლად, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა მეუღლე არ ჰყავს;

მშობლის ქორწინების მოწმობა მშობელთან ოჯახური გაერთიანების შემთხვევაში, რათა შემოწმდეს, რომ ნამდვილად ცხოვრობს ქვეყნის ტერიტორიაზე და არ იმყოფება სხვა ქორწინებაში.

### 1.4.1.2. ოჯახის გაერთიანების პროცედურა (II ფაზა) - მოთხოვნის გაგზავნის შემდეგ

მოთხოვნის ელექტრონულად წარდგენის შემდეგ, სისტემა აგზავნის შეტყობინებას მიღების თარიღისა და დროის მითითებით.

წერილობითი შეტყობინების მეშვეობით, სისტემა გამოიძახებს განმცხადებელს მოთხოვნილი რეკვიზიტების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარსადგენად.

თუ დოკუმენტაცია წარდგენილია სრულად, მას დაუბრუნდება დამოწმებული ასლი, რომელზეც აღნიშნულია განაცხადისა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის  თარიღი.

ამ მომენტიდან აითვლება საქმის შესწავლისა და Nulla Osta-ს გაცემისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებული 180-დღიანი ვადა.

პოლიციის სამმართველოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თანახმადაც დგინდება გაერთიანების მიზნით ოჯახის წევრთა ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის დამაბრკოლებელი მიზეზები, ასევე, მოთხოვნილი რეკვიზიტების შემოწმების შემდეგ, ოფისი ან გასცემს Nulla Osta-ს, ან უარს ამბობს მასზე.

Nulla Osta-ს გაცემაზე უარის შემთხვევაში, საჩივარი შეიძლება გაიგზავნოს ჩვეულებრივ სასამართლოში, საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.

### 1.4.1.3  ვიზის გაცემა

უცხოელმა მოქალაქემ ოჯახური/ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარადგინოს თავის ქვეყანაში მოქმედ იტალიის საკონსულოში. საკონსულო ჩაატარებს შემოწმების საჭირო პროცედურებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, საელჩო ან საკონსულო განაცხადიდან 30 დღის განმავლობაში გასცემს ვიზას ოჯახის იმ წევრზე, რომელსაც აქვს Nulla Osta.

ვიზის გასაცემად ოჯახის წევრზე, რომელსაც აქვს ხსენებული Nulla Osta,  იტალიის საკონსულო

ფაქტობრივად ამოწმებს ოჯახური კავშირის, ქორწინების, არასრულწლოვნობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

**იტალიის რესპუბლიკაში შესვლა**

ოჯახის გასაერთიანებელი წევრის იტალიაში შემოსვლიდან 48 საათის განმავლობაში, მიმღებმა წევრმა უფლებამოსილ ორგანოში უნდა წარადგინოს ფართის გამოყოფის (Cessione fabbricato)/ მასპინძლობის (ospitalità) განცხადება (ერთი ასლი თვითონ შეინახოს).

ამავე დროში უნდა ეცნობოს ადგილობრივი პრეფექტურის იმიგრაციის სამსახურის ბიუროს ოჯახის წევრის ჩამოსვლა და დაელოდონ გამოძახებას იმ დოკუმენტაციის გამოსატანად, რომელიც საჭიროა ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვის ან ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის განაცხადისათვის. ამ დოკუმენტაციით განმცხადებელი მიდის საფოსტო განყოფილებაში, ზემოხსენებულ ნებართვებზე ფორმალური მოთხოვნისა და საჭირო საბუთების გასაგზავნად.

## 1.4.2 ბინადრობის ნებართვა ოჯახური მოტივით (PDS)

ეს ბინადრობის ნებართვა, რომელიც რეგულირდება იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის (TU, საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998) 30-ე მუხლით, შეიძლება გაიცეს:

- მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრებზე, რომლებმაც იტალიაში შემოსვლის უფლება მიიღეს იტალიაში მობინადრე უცხოელ მოქალაქესთან ოჯახური გაერთიანების ან ოჯახის წევრების ჩამოსვლის მოტივით (იტალიის ან ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე, რომლებიც არიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, გაიცემა ბინადრობის ბარათი);
- უცხოელ მოქალაქეზე, რომელსაც ერთ წელზე მეტია აქვს ბინადრობის ნებართვა და დაქორწინებულია იტალიაში რეგულარულად მობინადრე უცხოელ მოქალაქეზე;
- რეგულარულად მობინადრე უცხოელზე, ასევე, უცხოელი მოქალაქის ოჯახის წევრზე, რომელსაც აქვს მისი ნებართვის ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში ოჯახთან გაერთიანებისათვის საჭირო ყველა რეკვიზიტი (ლტოლვილის სტატუსის მქონე უცხოელის ოჯახის წევრის შემთხვევაში, არ არის აუცილებელი, ჰქონდეს ბინადრობის რეგულარული ნებართვა);
- იტალიელი არასრულწლოვნის უცხოელ მშობელზე, ბიოლოგიურის ჩათვლით, თუნდაც უცხოელი არალეგალი იყოს;
- იტალიის მოქალაქის ნათესავზე (II საფეხურამდე) (ბინადრობის ნებართვა ოჯახური მოტივით, საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998, ყოფილი მე-19 მუხლი; პრეზიდენტის განკარგულება N. 394/99, ყოფილი 28-ე მუხლი).
- იმავე ვადით, რომელიც განსაზღვრულია ოჯახის გაერთიანების მომთხოვნი წევრის ბინადრობის ნებართვისათვის. ამ ტიპის ნებართვა იძლევა სოციალური დახმარების სერვისებზე წვდომის, სასწავლო ან პროფესიული ტრეინინგკურსების და სუბორდინაციული თუ თვითდასაქმებითი მუშაობის საშუალებას, ბინადრობის ხელშეკრულების გაფორმების გარეშე (2005 წლის 25 ოქტომბრის ცირკულარი). დაინტერესებული პირის მოთხოვნისა და საჭირო რეკვიზიტების არსებობის შემთხვევაში, ეს ნებართვა შეიძლება გადაკეთდეს სამუშაო ნებართვად.
- N.122 კანონის ძალაში შესვლის შემდეგ (2016 წლის 23 ივლისი), 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილები აღარ იწერებიან მშობლის ბინადრობის ნებართვაში. მათთვის გათვალისწინებულია ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის გაცემა ოჯახური მოტივით.

სრულწლოვანი ასაკის დადგომისას, შვილზე, რომელიც ჯერ კიდევ მშობლების კმაყოფაზეა, მოთხოვნილი რეკვიზიტების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს ოჯახური მოტივით

ბინადრობის ნებართვა მარჩენალი მშობლის ბინადრობის ნებართვის ვადით (რადგან არსებობს შვილის შენახვის ვალდებულება, ვიდრე ახალგაზრდა მიაღწევს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და სათანადოდ ჩაერთვება სოციალურ კონტექსტში).

თუ ოჯახის გაერთიანების მომთხოვნი მოქალაქე ფლობს ევროკავშირის გრძელვადიან ბინადრობის ნებართვას, პოლიციის სამმართველოები, ოჯახის გაერთიანების მიზნით შემოსულ წევრებზე, როგორც წესი, გასცემენ ჩვეულებრივ ბინადრობის ნებართვას ოჯახური მოტივით.

### 1.4.2.1 ოჯახის ერთიანობის დაცვა

იტალიის კანონში შეტანილი ზოგიერთი ცვლილება მიზნად ისახავს ოჯახის მთლიანობის დაცვას.

ამდენად, "უცხოელისთვის, რომელმაც იტალიაში შემოსვლის უფლება მიიღო იტალიაში მობინადრე უცხოელ მოქალაქესთან ოჯახის გაერთიანების მიზნით (ანუ ოჯახთან გაერთიანებული უცხოელისათვის), ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის, გაუქმების ან განახლებაზე უარის ზომების გატარებისას, გასათვალისწინებელია ოჯახური კავშირების ბუნება და ეფექტიანობა, ასევე, ოჯახური, კულტურული ან სოციალური კავშირები სამშობლოსთან, ხოლო უკვე იტალიის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის შემთხვევაში - ამ ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა".

იგივე პრინციპი უნდა იყოს დაცული უცხოელის გაძევების დროსაც: "უცხოელის მიმართ, რომელმაც იტალიაში შემოსვლის უფლება მიიღო იტალიაში მობინადრე უცხოელ მოქალაქესთან ოჯახის გაერთიანების მიზნით (ანუ ოჯახთან გაერთიანებული უცხოელის მიმართ), გაძევების ზომების გატარებისას გასათვალისწინებელია ოჯახური კავშირების ბუნება და ეფექტიანობა, ასევე, იტალიის ტერიტორიაზე ყოფნის ხანგრძლივობა და ოჯახური, კულტურული ან სოციალური კავშირები სამშობლოსთან".

ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ გამოირიცხოს ავტომატური მიდგომა ბინადრობის ნებართვაზე უარის თქმისას ან ქვეყნიდან გაძევების განკარგულების გაცემისას, განსაკუთრებით, როდესაც ირკვევა, რომ ეს ინდივიდი მარტო არ არის და იტალიაში ცხოვრობს ლეგალურად მობინადრე ოჯახის წევრებთან ერთად.

### 1.4.2.2 ელექტრონული პროცედურა

2007 წლის განკარგულებით შემოღებული ელექტრონული პროცედურა საშუალებას იძლევა, პერსონალური კომპიუტერიდან გაიგზავნოს სამუშაო დატვირთვის flussi განკარგულებასთან დაკავშირებული განაცხადები (სეზონურ და არასეზონურ სამუშაოებზე) ნებართვების გადაკეთება/შეცვლისა და იტალიის მოქალაქეობის მოთხოვნით; ასევე, განაცხადები, რომლებიც მიემართება ოჯახის გასაერთიანებლად ,,კვოტის გარეშე" შემოსვლის ავტორიზაციასა და იტალიური ენის ცოდნის შესამოწმებელ ტესტებზე დაშვებას ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის CE ნებართვის გასაცემად; სისტემით შესაძლებელია, შემოწმდეს ქაღალდზე დაწერილი და შეტანილი განაცხადის დამუშავების პროცესიც.

სხვა ტიპის სამუშაო ნებართვებზე (კვოტების შემოწმებით) განაცხადების გაგზავნის ვადები დროდადრო იცვლება სამუშაო დატვირთვის ე.წ. decreto flussi-ს ტექსტში.

2008 წლის 10 აპრილიდან ნებისმიერ დროს შესაძლებელია განაცხადის გაგზავნა ოჯახის გაერთიანებისა და ოჯახის წევრების შემოსვლის ავტორიზაციაზე (Nulla Osta).

2008 წლის 19 მაისიდან ასევე ნებისმიერ დროს შეიძლება განაცხადის გაგზავნა ,,კვოტის გარეშე" შემოსვლაზე.

2010 წლის 9 დეკემბრიდან ვებგვერდი გააქტიურებულია იტალიური ენის ცოდნის შესამოწმებელ ტესტებზე დაშვების განაცხადთა მიღების მხრივაც - გრძელვადიანი ბინადრობისთვის ევროკავშირის CE ნებართვის გასაცემად.

ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების შესასრულებლად უნდა შეხვიდეთ შემდეგ ვებგვერდზე:

Il permesso di soggiorno per lavoro subordinato - primo rilascio

## 1.4.2.3 პირველი გაცემა

ოჯახის გაერთიანების ან თანხლების (al seguito) მოტივით ოჯახის წევრთა შემოსვლის შემდეგ, დაინტერესებული პირი უნდა მივიდეს იმიგრაციის სამსახურის ბიუროში, სადაც შეიტანა განაცხადი Nulla Osta-ზე და, ვიზის მოქმედების დადგენის შემდეგ, კონვერტით გადაეცემა ბინადრობის ნებართვის განაცხადის წინასწარ შევსებული ბლანკი. ეს დოკუმენტი უფლებამოსილი საფოსტო განყოფილებიდან უნდა გაიგზავნოს რომის ადმინისტრაციულ სერვისცენტრში (იტალიის ფოსტასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული პროტოკოლის შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2006 წლის 11 დეკემბრიდან).

საჭიროა:

- 16,00€ - ევროიანი მარკა (შტამპი);
- 30,46€ ევროს ქვითარი ბინადრობის ნებართვის ელექტრონული ფორმატით გასაცემად;
- 30,00€ ევრო ფოსტის ხარჯებისთვის.

## 1.4.2.4 განახლება

ბინადრობის ნებართვის განახლებაზე განაცხადი მფლობელმა უნდა წარადგინოს ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე.

ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვის განახლებაზე განაცხადის შესატანად, ივსება ფოსტაში არსებული სპეციალური “Kit”-ის ფორმა (ანკეტების კრებული) და უფლებამოსილი საფოსტო განყოფილებებიდან სათანადო კონვერტით იგზავნება რომის ადმინისტრაციულ სერვისცენტრში.

<u>საჭირო დოკუმენტები:</u>

ELI 2 ტიპის კონვერტში არსებული 209 ანკეტის შესავსები ფორმა 1-ის გარდა (ფორმა 2 ივსება საკუთარი შემოსავალის შემთხვევაში), ასევე საჭიროა:

- პასპორტის გვერდების ასლები პირადი მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ჩარტყმული ვიზებით;
- ვადაგასული ბინადრობის ნებართვის ასლი;
- ფისკალური კოდის ასლი;
- ოჯახის წევრის პასპორტის ასლი (გვერდები პირადი მონაცემებით), ბინადრობის ნებართვისა და ფისკალური კოდის ასლი;
- ოჯახის წევრის დეკლარაცია, რომლის კმაყოფაზეც არის დაინტერესებული მხარე, დადასტურებული სანოტარო აქტით.

ბინადრობის ნებართვის განახლებაზე განაცხადის ჩაბარების ქვითრით, უცხოელს ეძლევა ბინადრობის გარკვეული უფლებები, კერძოდ:

- ქვითარი წარადგინოს, როგორც ლეგალური ბინადრობის დასტური;
- გამოიყენოს კოდები შეტანილი განაცხადის დამუშავების შესამოწმებლად ვებგვერდზე www.portaleimmigrazione.it
- მოითხოვოს მოსახლეობის რეესტრში რეგისტრაცია (პირველი გაცემის შემთხვევაში, აჩვენოს შემოსასვლელი ვიზაც);
- გააფორმოს შრომითი ხელშეკრულება; ასევე:

- საბინაო / ქირავნობის ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება;
- დარეგისტრირდეს ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში (პირველი გაცემის შემთხვევაში, აჩვენოს შემოსასვლელი ვიზაც);
- გარკვეული პირობებით, გავიდეს ქვეყნის ტერიტორიიდან და დაბრუნდეს უკან.

ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვის განახლებისას მოწმდება დაინტერესებული პირის ან ოჯახის წევრის ფინანსური რესურსები, მაგრამ მთლიანი შემოსავლის გამოსაანგარიშებლად, ითვალისწინებენ ოჯახის ყველა წევრის ჯამურ შემოსავალს.

უცხოელისთვის, რომელმაც იტალიაში შემოსვლის უფლება მიიღო იტალიაში მობინადრე უცხოელ მოქალაქესთან ოჯახის გაერთიანების მიზნით (ანუ ოჯახთან გაერთიანებული უცხოელისათვის), ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის, მისი გაუქმების ან განახლებაზე უარის ზომების მიღებისას, გასათვალისწინებელია ოჯახური კავშირების ბუნება და ეფექტიანობა, ასევე, ოჯახური, კულტურული ან სოციალური კავშირები სამშობლოსთან, უკვე იტალიის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის შემთხვევაში კი - ამ ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა.

ეს უკანასკნელი დებულება, რომელიც ჩვენს საკანონმდებლო სისტემაში შემოღებულია 2007 წლის 8 იანვრის N.5 საკანონმდებლო დადგენილებით (86/2003/CE დირექტივის თანახმად), ითვალისწინებს უცხოელის მდგომარეობის სიფრთხილით შეფასებას, ზღუდავს ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმას ფინანსური რესურსების უკმარობის გამო (როგორც დადგენილი იყო 29-ე მუხლის 3(b) პუნქტით).

ნებისმიერ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის განახლებაზე უარი სათანადოდ უნდა იყოს არგუმენტირებული.

ოჯახის გაერთიანებისთვის საჭირო რეკვიზიტების მქონე წევრის სიკვდილის, კანონიერი გაყრის ან დაშორების შემთხვევაში, ანდა თუ შვილს არ ეძლევა ბინადრობის CE ნებართვა, 18 წლის შესრულებისას, დასაშვებია ბინადრობის ბარათის გადაკეთება სუბორდინაციული სამუშაოს, თვითდასაქმებითი სამუშაოს, ან სასწავლო ნებართვად.

ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვა (PDS) შეიძლება განახლდეს მაშინაც, როცა მამა და შვილი, ფაქტობრივად, ერთად არ ცხოვრობენ (შემოსავლების რეკვიზიტების მოთხოვნა ძალაში რჩება).

### 1.4.2.5 ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვა არასრულწლოვანი, 18 წლამდე ასაკის შვილისათვის

18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან შვილებსა და 14 წლამდე ასაკის შვილებზე (N.122 კანონის თანახმად, რომელიც ძალაშია 2016 წლის 23 ივლისიდან), ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვა შეიძლება დამოუკიდებლად გაიცეს სრულწლოვან ასაკამდე. მიზანი გახლავთ არა არასრულწლოვნის ბინადრობის ახალი პოზიციის დაფიქსირება, არამედ მანამდე მიღებული ბინადრობის უფლების ერთგვარი კონფიგურაცია. ამდენად, ამ საბუთის გაცემისათვის აუცილებელი არ არის ოჯახის წევრის საშემოსავლო რეკვიზიტების წარდგენა.

**საჭირო დოკუმენტები**

- ფოსტაში ასაღები “Kit”-ის (209-ე ანკეტა) შესავსები ფორმა 1;
- არასრულწლოვნის პასპორტის ყველა გვერდის ასლი (თუ აქვს საკუთარი პასპორტი);
- მშობლის ბინადრობის ნებართვის ასლი;
- ოჯახური მდგომარეობის ცნობა ან თვითდეკლარაცია ოჯახური კავშირის შესახებ;
- სკოლაში დასწრების ცნობა, თუ არასრულწლოვნის ასაკი ითვალისწინებს სწავლის უფლება-ვალდებულებას;
- ფისკალური კოდი.

## 1.4.3 სხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება/შეცვლა ოჯახური მოტივით - ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ ნებართვად

უცხოელს, რომელიც დაქორწინდა იტალიის ტერიტორიაზე ყოფნისას და აქვს არანაკლებ ერთწლიანი ბინადრობის ნებართვა, ასევე, ქვეყანაში რეგულარულად თუ კანონიერად მობინადრე უცხოელს (ან ვისი ნებართვის ვადის გასვლამდეც დარჩენილია ერთი წელი) და ოჯახის გაერთიანებისათვის საჭირო რეკვიზიტების მფლობელი უცხოელის ოჯახის წევრს შეუძლია მოითხოვოს სხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივით გაცემულ ნებართვად.

### 1.4.3.1 საჭირო დოკუმენტები

ELI 2 ტიპის კონვერტში არსებული 209-ე ფორმულარის შესავსები ფორმა 1-ის გარდა ( ფორმა 2 ივსება საკუთარი შემოსავალის შემთხვევაში), ასევე საჭიროა:

- ნათესაური კავშირის დამადასტურებელი, თარგმნილი და ლეგალიზებული დოკუმენტი (იტალიაში გაფორმებული ქორწინების შემთხვევაში, ბლანკი 1-ის შევსება თვითდეკლარაციის ტოლფასია);
- პასპორტის გვერდების ასლები, პირადი მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ჩარტყმული ვიზებით;
- ბინადრობის ნებართვის ასლი, რომლის ვადაც იწურება ან უკვე ამოიწურა;
- ფისკალური კოდი;
- ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა;
- უცხოელი ოჯახის წევრის შემოსავლების დეკლარაციის ასლი, რომელთანაც მოთხოვნილია გაერთიანება (საჭიროების შემთხვევაში - გაერთიანებისთვის საჭირო რეკვიზიტები);
- საცხოვრებელი ფართის ვარგისიანობის ცნობა 29-ე მუხლის 3(a) პუნქტის თანახმად (საჭიროების შემთხვევაში - გაერთიანებისთვის საჭირო რეკვიზიტები).

### 1.4.3.2 ტურიზმის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივის ნებართვად

დღეისათვის ჯერ ისევ პრობლემად რჩება ფაქტი, როდესაც უცხოელებს ქვეყნის ტერიტორიაზე რეგულარულად მობინადრე ოჯახის წევრები ჰყავთ, ოჯახის გაერთიანებისათვის საჭირო ყველა რეკვიზიტით, და ამ დროს ისინი იტალიაში ტურისტული მიზნით ყოფნისას ცდილობენ ოჯახის გასაერთიანებელი ნებართვის მიღებას.

30-ე მუხლის 1(c) პუნქტის თანახმად, იმის მიუხედავად, რა კატეგორიის ბინადრობის ნებართვა ექნება გაერთიანებით მოსარგებლე ოჯახის წევრს, სავალდებულო მოთხოვნად რჩება ქვეყანაში კანონიერად ყოფნა.

## 1.5 იტალიის რესპუბლიკაში შესვლა სწავლის მიზნით

განათლების, უნივერსიტეტისა და სამეცნიერო კვლევის სამინისტრო განსაზღვრავს უცხოელი სტუდენტების იტალიაში შემოსვლის, ბინადრობისა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის პროცედურებს 2019-2020 აკადემიური წლისათვის.

ეს ინფორმაცია ეხება: იტალიის სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებს, რომლებსაც ლეგალური დოკუმენტის/სერტიფიკატის გაცემის უფლება აქვთ; უმაღლესი მხატვრული და მუსიკალური განათლების სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტიტუციებს, რომლებიც ასევე გასცემენ ლეგალურ დოკუმენტს/სერტიფიკატს; და სასწავლებელებს, რომლებიც უფლებამოსილინი არიან, გასცენ უმაღლესი კვალიფიკაციის დიპლომი მხატვრულ-მუსიკალური ქორეოგრაფიის დარგში.

### 1.5.1 პროცედურა

თითოეული უნივერსიტეტი ცალკეულ ფაკულტეტებზე ყოველწლიურად გამოყოფს გარკვეული რაოდენობის ადგილებს საზღვარგარეთ მცხოვრები უცხოელი სტუდენტებისთვის. თანამეგობრობისა და მესამე ქვეყნების ის მოქალაქეები, რომლებიც იტალიაში რეგულარულად ცხოვრობენ, უნივერსიტეტებში რაოდენობრივი შეზღუდვების გარეშე დაიშვებიან (იმავე პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია იტალიელი მოქალაქეებისათვის).

Http://www.studiare-in-italia.it/studentistranieri/ ვებგვერდზე შესაძლებელია გაეცნოთ უცხოელი სტუდენტებისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობას 2019-2020 აკადემიური წლისათვის; ასევე, ინფორმაციას, რამდენად აუცილებელია დოკუმენტაციის თარგმნა, რომელიც უნდა დაერთოს განაცხადს (განათლების მოწმობის თარგმნა სავალდებულოა).

შესაძლებელია ჩაწერა/ჩარიცხვა როგორც 3-წლიან სასწავლო კურსზე, ასევე სპეციალიზაციის კურსზე; პროგრამები იყოფა ერთჯერად (5-წლიანი) და არაერთჯერად (2-წლიანი, სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ) სამაგისტრო კურსებად.

უნივერსიტეტის სამაგისტრო, სადოქტორო და არასამედიცინო სპეციალიზაციის კურსებზე ჩარიცხვის/ჩაწერის პროცედურები განსხვავდება საბაკალავრო და ერთჯერად სამაგისტრო კურსებზე ჩარიცხვა/ჩაწერის ვადებისაგან, რომელთა დადგენის გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს თითოეული უნივერსიტეტი, სასწავლო კურსების დაწყების ვადების მიხედვით.

სასწავლო კურსის შერჩევის შემდეგ, უცხოელ სტუდენტს სასურველ უნივერსიტეტში წინასწარი ჩაწერის განაცხადი შეუძლია გაგზავნოს თავის ქვეყანაში მოქმედი იტალიის დიპლომატიურ-საკონსულო წარმომადგენლობის მეშვეობით, 24 ივლისამდე.

განაცხადი შედგენილი უნდა იყოს ორიგინალში, ორი ასლით, A ბლანკზე, რომლის მოძიება შეიძლება განათლების, უნივერსიტეტისა და სამეცნიერო კვლევის სამინისტროს ვებგვერდზე.

განაცხადს უნდა ერთვოდეს:

- ზოგადი/საშუალო განათლების მოწმობა, სულ მცირე, 12-წლიანი სასკოლო-სასწავლო კურსის გავლის შესახებ, ან შემცვლელი მოწმობა, კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით;
- (სახელმწიფო/მისაღები) აკადემიური მომზადების დამადასტურებელი გამოცდების ჩაბარების მოწმობა, თუ თქვენი ქვეყნის უნივერსიტეტებში ეს უკანასკნელი მოითხოვება.

ამ დოკუმენტების იტალიური თარგმანი ოფიციალურად უნდა იყოს დადასტურებული (ძალაში რჩება განათლების მოწმობის თარგმანის აუცილებლობა). სტუდენტს შეუძლია, უნივერსიტეტში გადაამოწმოს, რომელ უცხო ენებზე თარგმნისგან თავისუფლდება დანარჩენი გასაგზავნი დოკუმენტები.

არაერთჯერადი ციკლის სამაგისტრო კურსებზე სწავლებით დაინტერესებულმა სტუდენტებმა განაცხადს სავალდებულო წესით უნდა დაურთონ:

- უნივერსიტეტში შეძენილი კვალიფიკაციის/განათლების ან საშუალო სკოლის მომდევნო დონეზე - ლიცეუმში - მიღებული კვალიფიკაციის მოწმობა, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა;
- უფლებამოსილი უნივერსიტეტის მიერ გაცემული მოწმობა, სათანადოდ დამოწმებული დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ, რომელიც ადასტურებს გამოცდების ჩაბარებას და თითოეული საგნის დეტალური პროგრამის გავლას ზემოხსენებული კვალიფიკაციების მისაღებად;
- 2 ფოტოსურათი, მათგან ერთი - დამოწმებული ტერიტორიულად უფლებამოსილი დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ.

დიპლომატიური წარმომადგენლობები იზრუნებენ სტუდენტთა სიების დაგზავნაზე მათ მიერ შერჩეული უნივერსიტეტებისთვის, როგორც ზოგად სასწავლო, ისე ცალკე სპეციალიზაციის/ სამაგისტრო კურსებზე, თითოეულ სტუდენტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის მითითებით.

## 1.5.2 სასწავლო ვიზა

წინასწარი ჩაწერის პროცედურის დასრულების შემდეგ, თითოეულმა სტუდენტმა იტალიაში სწავლის/ჩარიცხვის მიზნით მის ქვეყანაში მოქმედ იტალიის დიპლომატიურ-საკონსულო წარმომადგელობაში უნდა წარადგინოს მოთხოვნა ქვეყანაში შესასვლელი ვიზისთვის.

დიპლომატიური წარმომადგენლობები იზრუნებენ შესასვლელი ვიზის გაცემაზე 24 აგვისტომდე, რათა მის მომთხოვნს მიეცეს უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის ჩაბარებისა და ჩარიცხვის საშუალება. ვიზა არ არის საჭირო, თუ უცხოელი სტუდენტი იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელიც გათავისუფლებულია სავიზო ვალდებულებისაგან.

“უნივერსიტეტში ჩარიცხვის” მიზნით მოკლევადიანი ვიზის და შემდეგ ბინადრობის ნებართვის მისაღებად, უცხოელი სტუდენტი ვალდებულია, წარმოადგინოს <u>მოქმედი ნორმატივებით დადგენილი რეკვიზიტები</u>. კერძოდ:

- ქვეყანაში ყოფნის პერიოდში საჭირო საარსებო საშუალებებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსები, რომლებიც დაანგარიშებულია, დაახლოებით, 457,99 ევროს ოდენობით აკადემიური წლის ყოველი თვისთვის (წელიწადში - 5,953,87 ევრო). იტალიაში ამგვარი საარსებო საშუალებები გარანტირებული უნდა იყოს მშობლების ან პირადად დაინტერესებული პირის მხრიდან, ანდა გამოიყოს იტალიური ინსტიტუციებისა და დაწესებულებების (უნივერსიტეტების ჩათვლით), ადგილობრივი ხელისუფლების, ან იტალიის დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საიმედოდ მიჩნეული უცხოური ინსტიტუციებისა და დაწესებულებების მიერ. ამ გარანტიების შექმნა არ შეიძლება ბანკის მიერ, საგარანტიო პოლისით, ან მესამე პირის ნაღდი ფულითა თუ შემოთავაზებული თავდებობით.

იტალიის მთავრობის სასწავლო სტიპენდიის მხოლოდ კანდიდატობა ეკონომიკური გარანტიის დოკუმენტი ვერ იქნება. სტუდენტებმა, რომლებმაც მოითხოვეს, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ იტალიის მთავრობის სასწავლო ვიზა, უნივერსიტეტში ჩაწერისას ისევე უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური გარანტიის დოკუმენტი, როგორც სხვა კანდიდატებმა.

საჭიროა:

- უკან დაბრუნებისთვის საჭირო თანხა, შეიძლება დასაბრუნებელი ბილეთის ჩვენება;
- შესაფერისი საცხოვრებელი ფართი ქვეყნის ტერიტორიაზე;
- სათანადო სამედიცინო დაზღვევა მკურნალობისა და ჰოსპიტალიზაციისთვის, რომელიც სტუდენტმა უნდა წარადგინოს ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისას (ანუ შემოსვლიდან 8 დღის განმავლობაში).

## 1.5.3 მისაღები გამოცდები/ტესტები და ჩარიცხვა

უცხოელმა სტუდენტმა უნდა ჩააბაროს იტალიური ენის ცოდნის შესამოწმებელი გამოცდაც, თუ ამისგან არ არის გათავისუფლებული სათანადო სერტიფიკატის ფლობის გამო.

ეს გამოცდა, სავარაუდოდ, ვიზის მოთხოვნამდე ტარდება დისტანციურად, რათა ენის ცოდნის დონე შემოწმდეს სასწავლო ვიზის მოთხოვნის ფაზაში, ამ პროცედურის დაჩქარებისა და გაადვილების მიზნით.

უნივერსიტეტთა ისეთ სასწავლო კურსებზე ჩასარიცხად, სადაც სტუდენტთა რიცხვი განსაზღვრულია ეროვნული პროგრამით, საჭიროა მისაღები გამოცდის/ტესტის ჩაბარება განათლების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული კალენდრის მიხედვით.

სასწავლო კურსებზე, სადაც სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული პროგრამით, ჩასარიცხი გამოცდების ან ცალკეულ უნივერსიტეტთა მიერ დაწესებული სხვა გამოცდა/ტესტების ჩაბარების შემდეგ, უნივერსიტეტი დადგენილი პროცედურისა და მოდელის შესაბამისად აქვეყნებს ჩარიცხული სტუდენტების სიას, მათი შეფასებებისა და ქულების მიხედვით.

ჩარიცხვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეიძლება შესაბამის უნივერსიტეტებში. სასწავლო კურსზე ჩარიცხვის შემდეგ, სტუდენტს შეუძლია, რაიონის პოლიციის სამმართველოს სთხოვოს ბინადრობის ნებართვის განახლება მთლიანი წლისათვის, ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ: http://www.studiare-in-italia.it/studentistranieri/)

## 1.6 ბინადრობის ნებართვა სამშობიარო ან სამედიცინო მომსახურების მოტივით

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-19 მუხლი არეგულირებს გაძევების შემთხვევებს და უკან გაბრუნების აკრძალვას.

ამ მუხლის 2(d) პუნქტი კრძალავს ორსული ან ბოლო 6 თვის განმავლობაში ნამშობიარები ქალების გაძევებას.

ამდენად, ფეხმძიმე ქალებს შეუძლიათ ბინადრობის ნებართვის მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებისთვის (ორსულობა), კერძოდ, ორსულობის დასაბუთებიდან იმ დრომდე, ვიდრე 6 თვე არ გავა ბავშვის დაბადებიდან.

ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვა სამედიცინო მომსახურებისთვის უქმდება; მშობიარობისას ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში, ნებართვა განახლდება ბავშვის დაბადების სავარაუდო თარიღიდან მომდევნო 6 თვით.

სამედიცინო მომსახურების მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვა (PDS) არ იძლევა შრომითი საქმიანობის უფლებას.

## 1.6.1 ჯერარშობილი ბავშვის დედასთან ქორწინებაში მყოფი მამა

2000 წლის ივლისში გამოქვეყნებულმა საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანესმა გადაწყვეტილებამ კონსტიტუციურად უკანონოდ ცნო მე-19 მუხლის 2(d) პუნქტი, რომელიც არ ითვალისწინებდა ფეხმძიმე ქალთან თანამცხოვრები ქმრისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემას სამედიცინო მომსახურების მოტივით. შესაბამისად, აღნიშნული ნებართვა ამჟამად გაიცემა ორსულ ქალთან თანამცხოვრები ქმრისთვისაც.

მამისთვის, რომელიც ქორწინებაში არ იმყოფება, სამედიცინო მომსახურების მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემა დაუშვებელია ბავშვის აღიარებამდე.

## 1.6.2 ორსულობის მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის საჭირო დოკუმენტები

- დაინტერესებული მხარის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი (ფორმა 1 - ფორმულარი 209);
- 16,00€ - ევროიანი მარკა (შტამპი);
- ერთნაირ პოზაში გადაღებული 2 ფოტოსურათი (საბარათე ფორმატში);
- პასპორტის ფოტოსტატიკური ასლები (გვერდები, რომლებზეც წარმოდგენილია პირადი მონაცემები, ფოტო, გაცემის და ვადის გასვლის თარიღები, შემოსასვლელი ვიზა და შენგენის სასაზღვრო მარკები);
- საჯარო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულების ანდა ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, დამოწმებული პოლიკლინიკის ASL-ის ბეჭდით, რომელიც ადასტურებს ფეხმძიმობას, მშობიარობის სავარაუდო თარიღის მითითებით;
- პირადი განცხადება, ბინადრობის მოწმობა, ან N.286/1998 საკანონმდებლო განკარგულების მე-7 მუხლის შესაბამისად გაკეთებული შეტყობინება მასპინძელი მხარის მიერ, მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

*შენიშვნა: ორსულობის მოტივით ბინადრობის ნებართვა შეიძლება გავრცელდეს მეუღლეზეც, თუ დაასაბუთებს ქორწინებას იტალიურ ენაზე თარგმნილი და იტალიის უფლებამოსილი დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ ლეგალიზებული შესაბამისი დოკუმენტაცით.*

## 1.6.3 შვილის დაბადებიდან მომდევნო 6 თვისთვის ორსულობის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის გასაახლებლად საჭირო დოკუმენტები

- დაინტერესებული მხარის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი (ფორმა 1 - ფორმულარი 209);
- 16,00€ - ევროიანი მარკა (შტამპი);
- ერთნაირ პოზაში გადაღებული 2 ფოტოსურათი (საბარათე ფორმატში);
- პასპორტის ფოტოსტატიკური ასლები (გვერდები, სადაც წარმოდგენილია პირადი მონაცემები, ფოტო, გაცემისა და ვადის გასვლის თარიღები, შემოსასვლელი ვიზა და შენგენის სასაზღვრო მარკები);
- ბინადრობის ნებართვა, ორიგინალი და ასლი;
- საჯარო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულების ანდა ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, დამოწმებული პოლიკლინიკის ASL-ის ბეჭდით, ფეხმძიმობის დადასტურებით და მშობიარობის სავარაუდო თარიღის მითითებით. ბავშვის დაბადების შემთხვევაში, მისი - დაბადების მოწმობა;
- პირადი განცხადება, ბინადრობის მოწმობა ან 286/1998 საკანონმდებლო განკარგულების მე-7 მუხლის შესაბამისად გაკეთებული შეტყობინება მასპინძელი მხარის მიერ, ამ უკანასკნელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად;
- ახალდაბადებული ბავშვის დაბადების მოწმობა მშობლების მონაცემები.

## 1.6.4 სამედიცინო მომსახურების (ორსულობა) ბინადრობის ნებართვის (PDS) გადაკეთება ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვად

სამედიცინო მომსახურების ბინადრობის ნებართვა, გაცემული ჯერარშობილი ბავშვის დედასა ან მამაზე, განახლდება მხოლოდ ბავშვის დაბადებიდან მომდევნო 6 თვის ვადით. თუმცა, იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 30-ე მუხლის 1(c) პუნქტის თანახმად, შესაძლებელია სამედიცინო

მომსახურების ნებართვის გადაკეთება/შეცვლა, როდესაც საქმე ეხება აქტის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს (ეს მუხლი არეგულირებს ოჯახური გაერთიანების უფლებას). ამდენად, შესაძლებელი ხდება ორსულობის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის გადაკეთება/შეცვლა ოჯახის გაერთიანების ნებართვად, თუკი უცხოელის ოჯახის წევრს აქვს ზემოხსენებული 29-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტები შემოსავალსა და საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით.

## 1.6.5 სამედიცინო მომსახურების მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემისა და განახლებისათვის საჭირო დოკუმენტები

სამედიცინო მომსახურების მოტივით ბინადრობის ნებართვის ვადა ემთხვევა მკურნალობის სავარაუდო ვადას და გრძელდება დოკუმენტირებული თერაპიული მკურნალობის დასრულებამდე.

საჭიროა:

- დაინტერესებული მხარის მიერ შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი;
- 16,00-ევროიანი მარკა (შტამპი);
- ერთნაირ პოზაში გადაღებული 2 ფოტოსურათი (საბარათე ფორმატში);
- პასპორტის ფოტოსტატიკური ასლები (გვერდები, სადაც წარმოდგენილია პირადი მონაცემები, ფოტო, გაცემისა და ვადის გასვლის თარიღები, შემოსასვლელი ვიზა და შენგენის სასაზღვრო მარკები);
- შერჩეული აკრედიტებული საჯარო ან კერძო სამედინო დაწესებულების განცხადება, რომელშიც მითითებულია ჩასატარებელი მკურნალობის ტიპი, მისი დაწყების თარიღი, სავარაუდო ხანგრძლივობა და ჰოსპიტალიზაციის მიახლოებითი ვადა; განახლების შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებს მკურნალობის გაგრძელების აუცილებლობას;
- დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იტალიაში საკმარისი რესურსების ქონას მკურნალობის, სამედიცინო სტრუქტურის გარეთ ყოფნისას საჭირო კვებისა და საცხოვრებლის, ასევე, ნამკურნალევი და თანმხლები პირის უკან დასაბრუნებელი ხარჯების სრულად დაფარვისათვის;
- მკურნალობის მომთხოვნი პირის პათოლოგიის დამადასტურებელი ჯანმრთელობის ცნობა, გაცემული პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულებების შესაბამისად და თარგმნილი იტალიურ ენაზე;
- მოთხოვნილი სამედიცინო მომსახურების სავარაუდო ღირებულებაზე დაფუძნებული საგარანტიო თანხის საბუთი. საგარანტიო დეპოზიტი (ევროში ან აშშ დოლარში) შეადგენს სამედიცინო მომსახურების სავარაუდო ღირებულების 30%-ს და უნდა ჩაირიცხოს შერჩეული სამედიცინო სტრუქტურის ანგარიშზე;
- პირადი განცხადება, ბინადრობის მოწმობა, ან N.286/1998 საკანონმდებლო განკარგულების მე-7 მუხლის შესაბამისად გაკეთებული შეტყობინება მასპინძელი მხარის მიერ, მისი პირადობის, ასევე, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის დამადასტურებელ დოკუმენტთა ასლებთან ერთად;
- განახლების შემთხვევაში - ბინადრობის ნებართვა, ორიგინალი და ასლი.

## 2.1 განახლება

ზოგადად, კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ნებართვის განახლებისას უცხოელი აკმაყოფილებდეს იმავე მოთხოვნებს, რასაც ქვეყანაში შემოსვლის დროს.

აქედან გამომდინარე, პირველი შემოსვლისას გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ფაქტორები ძალაში რჩება ნებართვის განახლების პროცესშიც.

განახლებისას გასათვალისწინებელია:

- განახლების მოთხოვნის დრო;
- საკმარისი ეკონომიკური რესურსები;
- სასჯელი შემოსვლაში ხელშემშლელი დანაშაულისთვის.

ფაქტორებზე, როგორიცაა:

- პროცედურის დრო და მეთოდები;
- საჭირო დოკუმენტაცია;
- შემოსავლის გამოანგარიშება;
- დამაბრკოლებელი გარემოებები;
- შესაძლო უარი და მისი საპირისპირო საშუალებები; და
- ნებართვის გაცემის პროცედურის დროს გამოსაყენებელი უფლებები

შეგიძლიათ იხილოთ ზემოთ, სადაც მითითებულია ბინადრობის ნებართვის პირველი გაცემის პროცედურა.

### 2.1.1 14 წლამდე ასაკის უცხოელი არასრულწლოვნის ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვა

N.122 კანონი, რომელიც ძალაშია 2016 წლის 23 ივლისიდან, ითვალისწინებს ინდივიდუალური ბინადრობის ნებართვის გაცემას არასრულწლოვან და 14 წლამდე ასაკის უცხოელებზე.

ამდენად, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი აღარ ჩაიწერება მშობლ(ებ)ის ბინადრობის ნებართვაში ან ბინადრობის ბარათში.

შეგახსენებთ, რომ მშობელთან თანამცხოვრები და რეგულარულად მობინადრე არასრულწლოვანი შვილი სარგებლობს მშობლის სამართლებრივი პირობებით, ან თანამცხოვრებ მშობელთაგან ერთ-ერთის სამართლებრივი პირობებით, რომელიც უფრო ხელსაყრელია მისთვის.

ახალი წესების თანახმად, საჭიროა 30.46 ევროს გადახდის ქვითარი თითოეულ 0-14 წლამდე ასაკის შვილზე.

<u>საჭირო დოკუმენტები:</u>

- ფოსტაში ასაღები “Kit”-ის (209-ე ანკეტა) შესავსები ფორმა 1;
- არასრულწლოვნის პასპორტის ყველა გვერდის ასლი (თუ აქვს საკუთარი პასპორტი);

- მშობლის ბინადრობის ნებართვის ასლი;
- ოჯახური მდგომარეობის ცნობა ან თვითდეკლარაცია ოჯახური კავშირის შესახებ;
- სკოლაში დასწრების ცნობა, თუ არასრულწლოვნის ასაკი ითვალისწინებს სწავლის უფლება-ვალდებულებას;
- ფისკალური კოდი.

14 წლის არასრულწლოვანთათვის გადასახდელი თანხა იგივეა, რაც მოზრდილების შემთხვევაში (30.46 ევრო ბარათის ღირებულება + 30 ევრო საფოსტო მომსახურებისთვის + 16 ევრო შტამპის სანაცვლოდ).

## 2.1.2 განახლების მოთხოვნის ფორმების შევსების ინსტრუქციები

აქ ჩამოთვლილია მითითებები 209-ე ანკეტის 1 და 2 ფორმების შესავსებად (https://www.meltingpot.org/IMG/pdf/Modulo_1_poste.pdf და https://www.meltingpot.org/IMG/pdf/Modulo_2_poste. pdf):

მნიშვნელოვანია: შეივსოს ნაბეჭდი ასოებით, შავი კალმით და მინიშნებულ გრაფებში.

- ა) გადმოიტანეთ მონაცემები ისე, როგორც წერია პასპორტში ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტში;
- ბ) იხილეთ რეგიონი შესაბამის ცხრილში - რაიონის (provincia) კოდები/აბრევიატურა;
- გ) გადახაზეთ შესაბამისი ტიპოლოგია (მაგ.: X);
- დ) იხილეთ ცხრილში - ბინადრობის ნებართვის/ბინადრობის ბარათის მოტივების კოდი ბინადრობის ნებართვის ტიპის შესატყვისი კოდი;
- ე) მიუთითეთ ბინადრობის ნებართვის/ბარათის სერია და ნომერი - ან საკუთარი, ან რომელზეც ხართ მიბმული;
- ვ) ფორმა 1-ის მთლიანად შევსების შემდეგ, შეავსეთ მე-2 სექცია, ასევე, ფორმა/ბლანკი 2, თუ გაქვთ შემოსავალი. მოთხოვნილი ტიპოლოგიისთვის საჭირო ყველა დოკუმენტის ასლი, A4 ფორმატში გაკეთების შემდეგ, ხელმოწერილი უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში საფოსტო განყოფილება განაცხადს არ მიიღებს;
- ზ) მიუთითეთ განაცხადის ფურცლების საერთო რაოდენობა;
- თ) მიუთითეთ ფორმა/ბლანკი 1-ის მე-12 სექციაში აღნიშნული შვილების რაოდენობა;
- ი) ჩასვით ასო A - დასაოჯახებელი, B - დაოჯახებული მდგომარეობის მისათითებლად;
- კ) ჩასვით ასო F - მდედრობითი, ხოლო M - მამრობითი სქესის მისათითებლად;
- ლ) გადმოიტანეთ შესაბამისი კოდი ქვეყნების კოდების ცხრილიდან;
- მ) შეავსეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი პასპორტისგან განსხვავებულია (იხ: ცხრილი „პასპორტთან გათანაბრებული დოკუმენტები“);
- ნ) ცხრილში „ორგანოები, რომლებიც გასცემენ პასპორტთან გათანაბრებულ დოკუმენტებს“, იხილეთ იმ ორგანოს კოდი, რომელმაც გასცა პასპორტისგან განსხვავებული დოკუმენტი;
- ო) შეავსეთ მხოლოდ ბინადრობის ნებართვის/ბარათის პირველი მოთხოვნის შემთხვევაში; შეიტანეთ ვიზაში აღნიშნული მონაცემები;
- პ) განახლებული სამგზავრო დოკუმენტის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ბინადრობის ნებართვისას;
- ჟ) ცარიელი გრაფა/ველი პოლიციის სამმართველოს მიერ განაცხადთან დაკავშირებული კომუნიკაციების ჩასანიშნად;

- რ) თუ წინას მსგავსია, არ ივსება;
- ს) მიუთითეთ გვარი და სახელი, ან იმ ფირმის, კომპანიისა თუ ასოციაციის, სახელწოდება, სადაც გსურთ, ალტერნატიული სახით მიიღოთ პოლიციის სამმართველოში გამოძახების დაზღვეული წერილი;
- ტ) ივსება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოთხოვნა ეხება ბინადრობის ბარათის გაცემას, ან სხვა ტიპის ნებართვათა ოჯახური მოტივის ნებართვად გადაკეთებას/შეცვლას;
- უ) ივსება მხოლოდ ბინადრობის ბარათის მოთხოვნისას;
- ფ) აყვანილი და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი გათანაბრებულია არასრულწლოვან შვილთან;
- ქ) ივსება მხოლოდ სუბორდინაციული სამუშაოს შემთხვევაში;
- ღ) მიუთითეთ პროფესიული კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნებით (მაგ.: ექიმი, გარე მოვაჭრე, არქიტექტორი და ა.შ.);
- ყ) ივსება მხოლოდ მიმდინარე წელს დასაქმებული უცხოელების მიერ. ერთვის ბოლო ხელფასების ცნობის ასლი;
- შ) ივსება მხოლოდ მიმდინარე წელს დაწყებული თვითდასაქმებითი საქმიანობის შემთხვევაში.

### 2.1.3 მითითებები ევროკავშირის ბინადრობის ბარათის შესავსებად

შეავსეთ ნაბეჭდი ასოებით, შავი კალმით და მითითებულ ველებში

- ა) გადმოიტანეთ მონაცემები პასპორტის ან პირადობის მოწმობის შესაბამისად;
- ბ) იხილეთ რეგიონი შესაბამის ცხრილში - რაიონის (provincia) კოდები/აბრევიატურა;
- გ) გადახაზეთ შესაბამისი ტიპოლოგია (მაგ.: X);
- დ) მიუთითეთ ბინადრობის ნებართვის/ბარათის სერია და ნომერი - ან საკუთარი, ან რომელთანაც ხართ მიბმული;
- ე) იხილეთ ცხრილში ბინადრობის ნებართვის/ბინადრობის ბარათის მოტივების კოდი ბინადრობის ნებართვის შესატყვისი კოდი;
- ვ) 1-ლი ფორმის/ბლანკების მთლიანად შევსების შემდეგ, შეავსეთ მე-2 სექცია; ასევე, ფორმა/ბლანკი 2, თუ გაქვთ შემოსავალი. მოთხოვნისთვის საჭირო ყველა დოკუმენტის ასლი, A4 ფორმატში გაკეთების შემდეგ, ხელმოწერილი უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში საფოსტო განყოფილება განაცხადს არ მიიღებს;
- ზ) მიუთითეთ განაცხადის ფურცლების საერთო რაოდენობა (მოდული და დოკუმენტების ასლები);
- თ) მიუთითეთ ფორმა/ბლანკის მე-12 სექციაში აღნიშნული შვილების რაოდენობა;
- ი) ჩასვით ასო A - დასაოჯახებელი, ხოლო B - დაოჯახებული მდგომარეობის მისათითებლად;
- კ) ჩასვით ასო F - მდედრობითი, ხოლო M - მამრობითი სქესის მისათითებლად;
- ლ) გადმოიტანეთ შესაბამისი კოდი ქვეყნების კოდების ცხრილიდან;
- მ) განაცხადს უნდა ერთვოდეს პირადობის მოწმობის ასლი;
- ნ) შეავსეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი პასპორტისგან განსხვავდება (იხ: ცხრილი „პასპორტთან გათანაბრებული დოკუმენტები“);
- ო) ცხრილში „ორგანოები, რომლებიც გასცემენ პასპორტთან გათანაბრებულ დოკუმენტებს“, იხილეთ იმ ორგანოს კოდი, რომელმაც გასცა პასპორტისგან განსხვავებული დოკუმენტი;
- პ) ცარიელი გრაფა/ველი პოლიციის სამმართველოს მიერ განაცხადთან დაკავშირებული კომუნიკაციების ჩასანიშნად;

- ჟ) თუ წინას მსგავსია, არ ივსება;
- რ) მიუთითეთ გვარი და სახელი, ან იმ ფირმის, კომპანიისა თუ ასოციაციის სახელწოდება, სადაც გსურთ, ალტერნატიული სახით მიიღოთ პოლიციის სამმართველოში გამოძახების დაზღვეული წერილი;
- ს) ივსება მხოლოდ სუბორდინაციული სამუშაოს შემთხვევაში;
- ტ) მიუთითეთ პროფესიული კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნებით (მაგ.: ექიმი, გარე მოვაჭრე, არქიტექტორი და ა.შ.);
- უ) იხილეთ ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების ცხრილი, რომლებთანაც იტალიამ გამოიყენა სუბორდინაციული დასაქმების შრომით ბაზარზე წვდომის შეზღუდვა;
- ფ) შვილად აყვანილი და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი გათანაბრებულია არასრულწლოვან შვილთან;
- ქ) რომელი ქვეყნის მოქალაქეც უნდა იყოს, თავისუფალი გადაადგილებისა და ბინადრობის უფლება ეძლევათ: მეუღლეებს; 21 წლამდე ასაკის შვილებს; თანამეგობრობის მოქალაქისა და მისი მეუღლის აღმავალი და დაღმავალი ხაზის შთამომავლებს, რომლებიც მათ კმაყოფაზე არიან; თანამეგობრობის მოქალაქის - რომელიც იტალიაში ეწევა შრომით საქმიანობას - ოჯახის თითოეულ სხვა წევრს, თანამცხოვრები იქნება თუ კმაყოფაზე მყოფი საკუთარ ქვეყანაში; იტალიაში სწავლის მიზნით ან რეზიდენტად მყოფ ევროკავშირის მოქალაქის მეუღლეს, თუ ლეგალურად არ არის გაყრილი; 21 წლამდე ასაკის შვილებს; 21 წელს გადაცილებულ კმაყოფაზე მყოფ შვილებს; ბინადრობის ნებართვის მფლობელისა და მეუღლის მშობლებს, იმ პირობით, თუ ექნებათ ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის ბარათი (tessera sanitaria) ან სადაზღვევო პოლისი; იტალიაში მცხოვრები ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრებს, რომელთაც ისეთი ეკონომიკური რესურსები აქვთ, რომ სამედიცინო მომსახურების ხარჯები მას ტვირთად არ დააწვება;
- ღ) შემოსავალი არ შეიძლება იყოს სოციალური დახმარების ოდენობაზე ნაკლები; შემოსავალში ითვლება პენსიაც, მათ შორის, პროფესიული დაავადების ან უბედური შემთხვევის გამო დანიშნულიც;
- ყ) სასწავლო კურსის გავლა შეიძლება სახელმწიფო უნივერსიტეტში, ინსტიტუტში, ან სასწავლებელში, რომელიც უფლებამოსილია, გასცეს იურიდიული დიპლომი/ სერტიფიკატი.

## 2.2 სხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივით - ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ ნებართვად

უცხოელს, რომელიც დაქორწინდა იტალიის ტერიტორიაზე ყოფნისას და აქვს ბინადრობის არანაკლებ ერთწლიანი ნებართვა, ასევე, ქვეყანაში რეგულარულად მობინადრე უცხოელს (ან ვისი ნებართვის ვადის გასვლამდეც დარჩენილია ერთი წელი) და ოჯახის გაერთიანებისათვის საჭირო რეკვიზიტების მფლობელი უცხოელის ოჯახის წევრს შეუძლია მოითხოვოს სხვა კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივით გაცემულ ნებართვად.

<u>საჭირო დოკუმენტები:</u>

ELI 2 ტიპის კონვერტში არსებული 209-ე ფორმულარის შესავსები ფორმა 1-ის გარდა ( ფორმა 2 ივსება, თუ საკუთარი შემოსავალი აქვს), ასევე საჭიროა:

- ნათესაური კავშირის დამადასტურებელი თარგმნილი და ლეგალიზებული დოკუმენტი (იტალიაში გაფორმებული ქორწინების შემთხვევაში, ბლანკი 1-ის შევსება თვითდეკლარაციის ტოლფასია);
- პასპორტის გვერდების ასლები, პირადი მონაცემებით, განახლების ბეჭდებით,

ჩარტყმული ვიზებით;

- ბინადრობის ნებართვის ასლი, რომლის ვადა იწურება ან უკვე ამოიწურა;
- ფისკალური კოდი;
- ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვა;
- უცხოელი ოჯახის წევრის შემოსავლების დეკლარაციის ასლი, რომელთანაც მოთხოვნილია გაერთიანება (საჭიროების შემთხვევაში - გაერთიანებისათვის საჭირო რეკვიზიტები);
- საცხოვრებელი ფართის ვარგისიანობის ცნობა 29-ე მუხლის 3(a) პუნქტის თანახმად (საჭიროების შემთხვევაში - გაერთიანებისათვის საჭირო რეკვიზიტები).

სამედიცინო მკურნალობის (ორსულობის) მოტივით ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელს შეუძლია, უშუალოდ პოლიციის სამმართველოს მიმართოს თხოვნით ოჯახური მოტივის ნებართვად გადაკეთება/შეცვლაზე. ეს ის შემთხვევაა, როცა დედას ან მამას, შვილის გაჩენის მოლოდინიდან გამომდინარე, უფლება აქვს, ისარგებლოს მე-19 მუხლის 2(d) პუნქტითა და ყოფილი 28-ე მუხლის 1(c) პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობებით. ამ პუნქტებით ნებადართულია ბინადრობის ნებართვის გადაკეთება/შეცვლა, თუ მეუღლეებიდან ერთ-ერთს აქვს ოჯახის გაერთიანებისათვის საჭირო რეკვიზიტები.

### 2.2.1 ტურიზმის ნებართვის გადაკეთება ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვად

დღეისათვის ჯერ ისევ პრობლემად რჩება ფაქტი, როდესაც უცხოელებს ქვეყნის ტერიტორიაზე რეგულარულად მობინადრე ოჯახის წევრები ჰყავთ, ოჯახის გაერთიანებისათვის საჭირო ყველა რეკვიზიტით, და ამ დროს ისინი იტალიაში ტურისტული მიზნით ყოფნისას ცდილობენ ოჯახის გასაერთიანებელი ნებართვის მიღებას.

30-ე მუხლის 1(c) პუნქტის თანახმად, იმის მიუხედავად, რა კატეგორიის ბინადრობის ნებართვა ექნება გაერთიანებით მოსარგებლე ოჯახის წევრს, სავალდებულო მოთხოვნად რჩება ქვეყანაში კანონიერად ყოფნა.

### 2.2.2 ბინადრობის ნებართვა დასაქმების მოლოდინის მოტივით

დასაქმების მოლოდინის მოტივით ბინადრობის ნებართვა გაიცემა მაშინ, თუ სუბორდინაციული სამუშაოს ნებართვის განახლებისას, მომუშავე პირს არ აქვს გაფორმებული სამუშაო კონტრაქტი, მაგრამ რეგისტრირებულია უმუშევართა/დასასაქმებელთა სიაში.

სამუშაო ადგილის დაკარგვა არ არის ბინადრობის ნებართვის ჩამორთმევის მიზეზი - არც მესამე ქვეყნიდან ჩამოსული უცხოელისთვის და არც მისი ლეგალურად მობინადრე ოჯახის წევრებისთვის.

უცხოელი, რომელიც კარგავს სამუშაო ადგილს გათავისუფლების ან გადადგომის (სამუშაოს დატოვების) საფუძველზე, სამუშაო ურთიერთობების შეწყვეტიდან 40 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს დასაქმების ცენტრში და წარადგინოს განცხადება, რომელიც ასახავს მანამდე შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დეტალებს, ასევე, მზადყოფნას ახალი სამუშაოს დაუყოვნებლივ დაწყებისთვის.

უცხოელი, რომელიც კარგავს სამუშაო ადგილს, შეიძლება დასაქმების ცენტრში ჩაეწეროს იმ ვადით, რა ხანგრძლივობაც დარჩა მის ბინადრობის მოწმობას. ნებისმიერ შემთხვევაში, სეზონური სამუშაოს გარდა, მთლიანი პერიოდი არ უნდა იყოს წელიწადზე ნაკლები.

### 2.2.2.1 უცხოელი სტუდენტი და ბინადრობის ნებართვა დასაქმების მოლოდინის მოტივით

უცხოელ სტუდენტს, რომელსაც აქვს ბინადრობის ნებართვა სწავლის მოტივით, შეუძლია მისი გადაკეთება /შეცვლა დასაქმების მოლოდინის მოტივით გაცემულ ნებართვად.

უცხოელი, რომელმაც იტალიაში მიიღო დოქტორის ან უნივერსიტეტის სამაგისტრო I ან II საფეხურის წოდება, ანუ უნივერსიტეტის 3-წლიანი კურსის დიპლომი, ან პროფესიული სასწავლებლის დიპლომი, სასწავლო ნებართვის ვადის ამოწურვისას შეუძლია, დარეგისტრირდეს დასაქმების ცენტრში არაუმეტეს 12 თვის ვადით და მოითხოვოს სწავლის მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვის გადაკეთება/შეცვლა დასაქმების მოლოდინის ნებართვად.

### 2.2.2.2 ფინანსური დახმარების გაცემა

წინასწარ განსაზღვრულ პირობებში, დასაქმების ცენტრის რეესტრში რეგისტრირებულ უცხოელს იტალიისა და თანამეგობრობის მოქალაქეთა თანასწორი უფლებით შეუძლია მიიღოს უმუშევრობის ან სხვა სახის დახმარება.

იხილეთ ქვემოთ NASPI უმუშევრობის სარგებელი.

### 2.2.2.3 ხანგრძლივობა

ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვისას, უფლებამოსილი პოლიციის სამმართველო გასცემს ბინადრობის ნებართვას დასაქმების მოლოდინის მოტივით, რომლის ვადაც განისაზღვრება არანაკლებ ერთი წლით (შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 3 ოქტომბრის N.40579 ცირკულარი).

2012 წლის 28 ივნისის 92-ე კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, დასაქმების მოლოდინის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის ვადა გახდა ერთი წელი (6 თვის ნაცვლად). აგრეთვე, მიღებულია დადგენილება, რომლის მიხედვითაც, მეორე პერიოდის ვადის ამოწურვის შემდეგ, გამოიყენება 29-ე მუხლის 3(b) პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლის მოთხოვნები. ყველა შემთხვევაში, როდესაც ვადის ამოწურვისას უცხოელს აქვს სუბორდინაციული დასაქმების კონტრაქტი, ამოქმედებას იწყებს ბინადრობის ნებართვის განახლებასთან დაკავშირებული დებულებები, როგორც ამას ითვალისწინებს კანონმდებლობა.

თუ დასაქმების მოლოდინის ნებართვის ვადაში პირმა გარკვეული პერიოდით შეძლო შრომითი დასაქმება, მისი წაშლა დასაქმების ცენტრის რეესტრიდან და შემდეგ ხელახალი აღრიცხვა წყვეტს ნებართვის ერთწლიან ხანგრძლივობას.

დასაქმების მოლოდინის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვა ერთწლიანი ვადით უნდა გაგრძელდეს შრომითი დასაქმების ცენტრში ხელახალი რეგისტრაციის მომენტიდან.

### 2.2.2.4 პროცედურა

მოთხოვნა დასაქმების მოლოდინის მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე ივსება და იგზავნება საფოსტო “Kit”-ის (209-ე ანკეტის) ფორმაზე.

<u>საჭირო დოკუმენტები:</u>

- ე.წ. “Kit”-ის (209-ე ანკეტა) შესავსები ფორმები 1 და 2;
- პასპორტის გვერდების ასლები პირადი მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ჩარტყმული ვიზებით;
- რეგისტრაციის ასლი დასაქმების ცენტრში, ან გათავისუფლებული, გადამდგარი თუ

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის დასასაქმებლად ცენტრთან შექმნილ რეესტრში;

- ბინადრობის ნებართვის ასლი.
- **ამის შემდეგ საჭიროა შემდეგი თანხების გადახდა:**
- ბინადრობის ნებართვა 3 თვიდან 1 წლამდე ვადით - **70,46 ევრო**;
- 1 წელზე მეტი ხნით, 2 წლამდე ან 2 წლით - **80,46 ევრო;**
- ორ წელზე მეტი ხნით და საწარმოს ხელმძღვანელებისთვის - **130,46 ევრო;**
- 16-ევროიანი მარკა (შტამპი);
- ელექტრონული ფორმატის ბინადრობის ნებართვის საფასურის 30,46 ევროს გადახდის ქვითარი;
- 30 ევრო საფოსტო მომსახურებისთვის.

დასაქმების მოლოდინის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვა, ზოგადად, არ ახლდება.

ნებართვის ვადის ამოწურვისას:

- უცხოელს შეუძლია, მოითხოვოს სუბორდინაციული სამუშაოს ნებართვა, თუკი იწყებს ახალ სამსახურს (იმიგრაციის სამსახურში აგზავნის ან პოლიციის სამმართველოში წარადგენს ბინადრობის ხელშეკრულებას და დამსაქმებლის მხრიდან მისი სამსახურში აყვანის თანხმობას);
- თუ ახალი სამუშაო ვერ იშოვა და ვერც საკმარისი ეკონომიკური რესურსების არსებობა დაადასტურა, მაშინ, იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 29-მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მან უნდა დატოვოს ქვეყნის ტერიტორია;
- თუ ბინადრობის ნებართვის ვადის ამოწურვისას დასაქმების ცენტრში რეგისტრირებიდან გასულია წელიწადზე მეტი, შეუძლია მაინც სცადოს საკმარისი ეკონომიკური რესურსების არსებობის დამტკიცება, რათა ბინადრობის ნებართვის ვადა გაგრძელდეს ერთი წლის ამოწურვის შემდეგაც. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია მობილობისა თუ უმუშევრობის შეღავათებზე წვდომა, მობილობის გადანაწილება, სამსახურებრივი ურთიერთობის დასრულებისას დაანგარიშებულ ანაზღაურებაზე წვდომა, ნებისმიერი დანაზოგი, დავალიანება, წინა დამქირავებლის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი (რომლის შედეგადაც შესაძლებელია სამუშაოზე ხელახალი დაშვება ან ზარალის ანაზღაურება);
- სამშობლოში დასაბრუნებელი ხარჯების ანაზღაურება უნდა დაეკისროს ბოლო დამსაქმებელს.

დასაქმების მოლოდინის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს:

- გააფორმოს ქირავნობის/საიჯარო ხელშეკრულება; ასევე:
- სადაზღვევო კონტრაქტი;
- ჰქონდეს წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე - ისე, როგორც დასაქმებულ პირებს (მათ შორის, საოჯახო ექიმზეც);
- შეინარჩუნოს მოსახლეობის რეესტრში რეგისტრაცია;
- შეიტანოს განაცხადი ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუკი გააფორმებს სამუშაო კონტრაქტს და ფლობს იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 29-ე მუხლით მოთხოვნილ რეკვიზიტებს.

*შენიშვნა: თუ შრომითი დასაქმების ცენტრში რეგისტრაცია მოხდა დადგენილი 40 დღის შემდეგ, გირჩევთ, მაინც შეიტანოთ მოთხოვნა დასაქმების მოლოდინის მოტივით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.*

დასაქმების მოლოდინის მოტივით ბინადრობის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაშიც, თუ დამსაქმებლს არ შეუძლია სამუშაო მოტივით შემოსვლის პროცედურების ჩატარება.

## 2.2.3 სასწავლო ნებართვის სამუშაო ნებართვად გადაკეთების პროცედურა

სასწავლო მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის სუბორდინაციული ან თვითდასაქმებითი სამუშაოს ნებართვად გადაკეთება/შეცვლა ხდება ელექტრონული პროცედურის გზით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდიდან (nullaostalavoro.interno.it.) ელექტრონული მოდულების ჩამოტვირთვის შემდეგ.

ასეთი ნებართვის გაცემისას კვოტები არ მოწმდება. ნებართვის გადაკეთებაზე/შეცვლაზე განაცხადის შეტანა  წლის ნებისმიერ დროს შეუძლია:

- ქვეყნის ტერიტორიაზე რეგულარულად მობინადრე უცხოელ მოქალაქეს სრულწლოვანი ასაკის მიღწევის შემდეგ;
- უცხოელ მოქალაქეს, რომელმაც იტალიაში გაიარა სასწავლო კურსები და აქვს იტალიური უნივერსიტეტის დიპლომი ან მაგისტრის ხარისხი.
-

განკარგულება N. 71/2018 ითვალისწინებს, იმ უცხოელს, რომელმაც მიიღო დიპლომის შემდგომი განათლების კვალიფიკაცია იტალიაში (მაგ. სამწლიანი ან სპეციალისტის ხარისხი, დოქტორანტი ან პირველი ან მეორე დონის მაგისტრი, პირველი საფეხურის ან მეორე დონის აკადემიური დიპლომი, უმაღლესი ტექნიკოსის დიპლომი), სწავლის  დასრულებისთანავე, ეძლევა ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესაძლებლობა, სამუშაოს მოსაძებნად ან ბიზნესის დასაწყებად რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მის მიერ შესწავლილ საქმიანობას. მსგავსი სახის ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა 9 თვიდან 12 თვემდე, კვოტების მიღმა შეიძლება გადაკეთდეს სამუშაოს ბინადრობის ნებართვად.

### 2.2.3.1 განათლების/კვალიფიკაციის დიპლომთა სია, რომლის მიღების შემდეგ შესაძლებელია ნებართვის გადაკეთების/შეცვლის მოთხოვნა

- უნივერსიტეტის დიპლომი (3-წლიანი კურსის 180 საუნივერსიტეტო კრედიტი);
- უნივერსიტეტის დიპლომი/მაგისტრის ხარისხი (300 კრედიტი, მათ შორის 180 - საუნივერსიტეტო ან მაგისტრატურის კრედიტი);
- სპეციალიზაციის დიპლომი (სულ მცირე, 2-წლიანი);
- სადოქტორო კვლევა (სულ მცირე, 3-წლიანი);
- I საფეხურის საუნივერსიტეტო მაგისტრი Master (მინიმალური ხანგრძლივობა 1 წელი, 60 კრედიტი), რომელზეც ეწერებიან უნივერსიტეტის დიპლომის მიღების შემდეგ;
- II საფეხურის საუნივერსიტეტო მაგისტრი Master (60 კრედიტი), რომელზეც ეწერებიან უნივერსიტეტის დიპლომის (ყოფილი N.340/90 კანონი), სპეციალიზაციის დიპლომის ან მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ;
- უმაღლესი კვალიფიკაციის სერტიფიკატი ან დიპლომი (წელიწადში 60 კრედიტი), რომელზეც ეწერებიან უნივერსიტეტის დიპლომის (ყოფილი N.341/90 კანონი) ან მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ.

ინსტრუქცია ელექტრონული ბლანკების შესავსებად

- ბინადრობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე გამოძახების მოთხოვნა უცხოელისთვის, რომელმაც იტალიაში სრულწლოვან ასაკს მიაღწია  ან მიიღო უნივერსიტეტის დიპლომი (V2 ბლანკი);
- თვითდასაქმებითი სამუშაოსთვის საჭირო რეკვიზიტების მოთხოვნა უცხოელისთვის, რომელმაც იტალიაში სრულწლოვან ასაკს მიაღწია, ანდა მიიღო უნივერსიტეტის დიპლომი ან მაგისტრის ხარისხი (Z2  ბლანკი).

## 2.2.3.2 ნებართვის გადაკეთების/შეცვლის მოთხოვნა კვოტების შემოწმების გზით

ყველა სხვა შემთხვევაში სასწავლო ვიზის გადაკეთება/შეცვლაზე განაცხადი უნდა გაკეთდეს პრეფექტურის იმიგრაციის სამსახურში, მოთხოვნით, რომ შემოწმდეს სამუშაო დატვირთვის ,,ნაკადის'' განკარგულებით (Decreto Flussi) გათვალისწინებული კვოტები.

გადაკეთება/შეცვლის მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც იგზავნება ელექტრონული პროცედურის მეშვეობით.

კერძოდ, 2019 წლისთვის, შესაძლებელია 700 ბინადრობის ნებართვის რომელიც გაცემული იყო სწავლის ან / და პროფესიული მომზადების მიზნით გარდაქმნა სამუშაო ბინადრობის ნებართვით და 100 ბინადრობის ნებართვის გარდაქმნა გრძელვადიანი ბინადრობის ნებართით, გაცემული იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

ყურადღება: პრეფექტურის იმიგრაციის სამსახურში მოთხოვნა იგზავნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნდება განკარგულება სამუშაო დატვირთვის ,,ნაკადის''

შესახებ.

*ინსტრუქცია ელექტრონული მოდულების შესავსებად:*

სწავლის მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვის გადაკეთება/შეცვლა სუბორდინირებული სამუშაოს ნებართვად, კვოტის შემოწმების გზით (მოდელი VA);

სწავლის მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვის გადაკეთება/შეცვლა სუბორდინირებული სამუშაოს ნებართვად, კვოტის შემოწმების გზით (მოდელი Z).

## 2.2.3.3 პროცედურა

1) უცხოელი მოქალაქე, სასწავლო ან პროფესიული მომზადების მიზნით გაცემული და მოქმედი ბინადრობის ნებართვის მფლობელი, რომელიც აპირებს მის გადაკეთება/შეცვლას სუბორდინაციული სამუშაოს ნებართვად, ელექტრონული პროცედურის მეშვეობით აგზავნის მოთხოვნას იმიგრაციის სამსახურის უფლებამოსილ ბიუროში.

საჭიროა:

- სწავლის მიზნით გაცემული, მოქმედი ან გაცემის პროცესში არსებული ბინადრობის ნებართვის მონაცემები;
- 1.სუბორდინაციული სამუშაო: სუბორდინაციული სამუშაოსთვის ბინადრობის ხელშეკრულება (კონტრაქტის ტიპი, მოვალეობა, სამუშაო დრო, დასაქმების ადგილი და ა.შ.) მთავარი პირობაა დასახელებული ნებართვის ფაქტობრივი გაცემისთვის;
- თვითდასაქმებითი სამუშაო: თვითდასაქმებითი სამუშაოსთვის საჭირო
- o რეკვიზიტები (იხ: სია ქვემოთ);
- დამსაქმებლის ძალაში არსებული/მოქმედი პირადობის მოწმობის მონაცემები (მხოლოდ სუბორდინაციული სამუშაოს დროს; თუ დამსაქმებელი უცხოელია - მისი ბინადრობის ნებართვის მონაცემები);
- განმცხადებლის ძალაში არსებული/მოქმედი პირადობის მოწმობის მონაცემები;
- 16,00-ევროიანი მარკა.

2) იმიგრაციის სამსახური განაცხადს აგზავნის დასაქმების/შრომის დეპარტამენტის რეგიონულ ოფისში, რომელიც იზრუნებს შემოსვლისთვის საჭირო კვოტების შემოწმებაზე და პასუხს შეატყობინებს იმიგრაციის სამსახურს (თუ სუბიექტი ექვემდებარება კვოტების სისტემას);

3) თუ არ არსებობს შემოსვლისთვის საჭირო კვოტები, იმიგრაციის სამსახურის ბიურო შეტყობინებას უგზავნის უცხოელ მოქალაქეს;

4) შემოსვლისთვის საჭირო კვოტების არსებობის შემთხვევაში (ან როდესაც ნებართვის გადაკეთება/შეცვლა დაშვებული ან გათავისუფლებულია კვოტის ვალდებულებისგან), იმიგრაციის სამსახურის ბიუროში გამოძახებული უცხოელი მოქალაქე ხელს აწერს ბინადრობის ხელშეკრულებას და წარადგენს დოკუმენტაციას, რომელიც ადასტურებს თვითდასაქმებითი სამუშაოსთვის მოთხოვნილი რეკვიზიტების არსებობას;

5) მუშაკი აგზავნის მოთხოვნას სუბორდინაციული ან თვითდასაქმებითი სამუშაოს ნებართვის გაცემაზე.

## 2.2.3.4 თვითდასაქმებითი შრომითი საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტები

1. Freelancers/დამოუკიდებელი პროფესიონალები:

- ✔ განცხადება/დეკლარაცია, გაცემული იმ ადმინისტრაციის ან პროფესიული გაერთიანების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია სათანადო უფლებამოსილების მინიჭების, ასევე, ლიცენზიისა თუ ნებართვის გაცემის, ან საქმიანობის დაწყების განცხადთა მიღებაზე;
- ✔ იმ შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღემატება სამედიცინო მომსახურების ხარჯებში/გადასახადებში მონაწილეობისგან გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარს (8.500,00 ევრო);

2. მეწარმე, კომერსანტი და ხელოსანი

- ✔ ამ საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური რესურსების შესატყვისი პარამეტრების დამადასტურებელი ცნობა (პრეზიდენტის განკარგულება N.394/1999, მუხლი 39, პუნქტი 3), გაცემული იმ რეგიონის სავაჭრო, სამრეწველო, ხელოსნობისა თუ აგრარული პალატის ან შესაბამისი პროფესიული გაერთიანების მიერ, სადაც აპირებს პირი ამ საქმიანობას;
- ✔ ცნობა, რომელიც ადასტურებს საკმარისი ფინანსური რესურსების ფლობას, განსაზღვრულს წინა პუნქტში მოხსენიებულ დოკუმენტში;
- ✔ წინა პუნქტში მოხსენიებული პარამეტრები ემყარება იმას, რომ თანხა, რომელსაც განმცხადებელი ფლობს იტალიაში, არ უნდა იყოს ყოველთვიური სოციალური დახმარების წლიურ ოდენობაზე ნაკლები;
- ✔ დღგ-ს კოდის სერტიფიკატის ასლი;
- ✔ ადმინისტრაციის მიერ გაცემული განცხადება/დეკლარაცია, რომელიც პასუხისმგებელია სათანადო უფლებამოსილების მინიჭების, ასევე, ლიცენზიისა თუ ნებართვის გაცემის, ან საქმიანობის დაწყების განაცხადთა მიღებაზე;
- ✔ იმ შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღემატება ჯანდაცვის ხარჯებში/გადასახადებში მონაწილეობისგან გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარს (8.500,00 ევრო).

3) დამხმარე მომსახურების, საკონსულტაციო და სხვა კონტრაქტის მფლობელი

- ✔ იმ კომპანიის რეესტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობა, რომლისთვისაც მუშაობს პირი და რომელიც მოქმედია, სულ მცირე, 3 წლის განმავლობაში (კომპანიის პროფილი სავაჭრო პალატაში);
- ✔ კომპანიის ბოლო ბალანსის ასლი, წარდგენილი კომპანიათა რეესტრში (თუ საწესდებო კაპიტალის კომპანიაა), ან შემოსავლების ბოლო დეკლარაციის ასლი

(თუ კერძო პირთა ან ინდივიდუალური კომპანია), საიდანაც ჩანს, რომ თანხების ან შემოსავლის ოდენობა საკმარისია კომპენსაციის გარანტიისათვის;

- ✔ სამუშაო კონტრაქტი, რომლითაც თვითდასაქმებულ პირს გარანტირებული აქვს, რომ მისი ანაზღაურება აღემატება სამედიცინო მომსახურების ხარჯებში/ გადასახადებში მონაწილეობისგან გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარს (8.500,00 ევრო);
- ✔ პასუხისმგებლობის განაცხადთა ასლი, გაგზავნილი დასაქმების რეგიონულ დეპარტამენტში, რომ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, არ დამყარდება არანაირი სუბორდინაციული შრომითი ურთიერთობა.

4) პარტნიორები, კომპანიის დირექტორები

- ✔ კომპანიის დამფუძნებელი ოქმის ასლი;
- ✔ კომპანიათა რეესტრში რეგისტრაციის სერტიფიკატი, რომელიც მოქმედია, სულ მცირე, 3 წლის განმავლობაში (კომპანიის პროფილი სავაჭრო პალატაში);
- ✔ კომპანიის ლეგალური/იურიდიული წარმომადგენლის განცხადება, რომლითაც უზრუნველყოფილია, რომ დამხმარე მომსახურების გამწევი პარტნიორის (პარტნიორი თანამშრომლის), ან თანამდებობის პირის შემოსავალი აღემატებოდეს სამედიცინო მომსახურების ხარჯებში/გადასახადებში მონაწილეობისგან გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარს (8.500,00 ევრო);
- ✔ კომპანიის ბოლო ბალანსის ასლი, წარდგენილი კომპანიათა რეესტრში (თუ საწესდებო კაპიტალის კომპანიაა), ან შემოსავლების ბოლო დეკლარაციის ასლი (თუ კერძო პირთა ან ინდივიდუალური კომპანიაა), საიდანაც ჩანს, რომ თანხების ან შემოსავლის ოდენობა საკმარისია კომპენსაციის გარანტიისათვის;
- ✔ პასუხისმგებლობის განაცხადთა ასლი, გაგზავნილი დასაქმების რეგიონულ დეპარტამენტში, რომ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, არ დამყარდება არანაირი სუბორდინაციული შრომითი ურთიერთობა.

5) უნივერსიტეტის გაცვლითი პროექტების მონაწილე ან მშობლიურენოვანი ლექტორები

- ✔ საჯარო ან კერძო უნივერსიტეტების, ასევე, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტების განცხადება, რომელიც ადასტურებს აღნიშნული საქმიანობისათვის საჭირო რეკვიზიტების არსებობას;
- ✔ იმ შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღემატება სამედიცინო მომსახურების ხარჯებში/გადასახადებში მონაწილეობისგან გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარს (8.500,00 ევრო);
- ✔ დასაქმების რეგიონული დეპარტამენტის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ განსახორციელებლ პროგრამაში არ ფიგურირებს სუბორდინაციული შრომითი ურთიერთობები.

6) თარჯიმნები და მთარგნელები

- ✔ თარჯიმნის ან მთარგმნელის კვალიფიკაციის ატესტატი, დიპლომი ან პროფესიული სერტიფიკატი, განსაკუთრებით, მოთხოვნილ ენებზე, გაცემული სახელმწიფო სასწავლებლის, საჯარო დაწესებულების ან მასთან გათანაბრებული დაწესებულების მიერ, გამცემი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი სათანადოდ უნდა იყოს ლეგალიზებული უფლებამოსილი საელჩოს ან საკონსულოს მიერ;
- ✔ იმ შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღემატება სამედიცინო მომსახურების ხარჯებში/გადასახადებში მონაწილეობისგან გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარს (8.500,00 ევრო);
- ✔ დასაქმების რეგიონული დეპარტამენტის განცხადება, რომ განსახორციელებელ პროგრამაში არ ფიგურირებს სუბორდინაციული შრომითი ურთიერთობები.

## 2.3 იტალიის რესპუბლიკიდან გასვლა და უკან დაბრუნება ბინადრობის ნებართვის მოლოდინში

ვისაც შეტანილი აქვს განაცხადი ბინადრობის ნებართვის განახლებაზე და ფლობს განაცხადის ჩაბარების დამადასტურებელ ქვითარს (იტალიის ფოსტის მიერ გაცემული Ricevuta), შეუძლია იტალიის ტერიტორიიდან გასვლა და უკან დაბრუნება.

ეს უფლება გარანტირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 5 აგვისტოს დირექტივის საფუძველზე, 2006 წლის 9 აგვისტოს ცირკულარის განმარტებებით. დამატებითი დებულებები შევიდა ქვემოთ მოტანილ რამდენიმე ცირკულარში:

პირველი ცირკულარი, გამოქვეყნებული 2007 წლის 16 ივნისს, ადგენს, რომ რეგულარულად მობინადრე უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ, დროებით გავიდნენ იტალიიდან და ჩვეულებრივ დაბრუნდნენ უკან მხოლოდ იტალიის ფოსტის მიერ გაცემული ქვითრის საფუძველზე (რომელიც ადასტურებს განაცხადის შეტანას ბინადრობის ნებართვის ან ბინადრობის ბარათის განახლებაზე).

მეორე ცირკულარი, გამოქვეყნებული 2007 წლის 27 ივნისს, ეხება 14 წლამდე ასაკის შვილებს, რომლებიც ჩაწერილნი არიან მშობლების ბინადრობის ნებართვაში. კონკრეტული მოთხოვნის შემთხვევაში, პოლიციის სამმართველოები უცხოელ მშობლებზე გასცემენ დროებით წერილობით ბინადრობის ნებართვას (შეზღუდული ვადით და მოსალოდნელი საჭიროების მიხედვით), სადაც ჩაწერილია არასრულწლოვანი შვილი. ეს მას საშუალებას მისცემს, დროებით დატოვოს ქვეყნის ტერიტორია და დაბრუნდეს უკან.

მესამე ცირკულარი, გამოქვეყნებული 2009 წლის 11 მარტს, მოიცავს შესაძლებლობას მათთვის, ვისი ბინადრობის ნებართვაც განახლების პროცესშია, ან პირველ ნებართვას ელოდება. მათ შეუძლიათ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება, თუ გასვლის და უკან დაბრუნების დროს სხვადასხვა სასაზღვრო პუნქტს გადალახავენ.

ქვეყნის ტერიტორიიდან გასვლა და უკან დაბრუნება შესაძლებელია შენგენის ზონის რომელიმე სახელმწიფოს ტრანზიტის გარეშე. ვისაც აქვს პირველი ბინადრობის ნებართვის განაცხადის ქვითარი, ზემოხსენებული დებულებები ძალაშია იმ პირობით, რომ უცხოელმა უნდა წარმოადგინოს პასპორტი და ვიზა (ფოსტის ქვითართან ერთად), საიდანაც ირკვევა მისი ბინადრობის მოტივი.

### მოგზაურობის ძირითადი წესები

პასპორტის გარდა (აქ იგულისხმება მასთან გათანაბრებული პირადობის სხვა დოკუმენტიც, რომელიც მოქმედებს ექსპატრიაციის (l'espatrio) დროს), საჭიროა, თან იქონიოთ ვადაგასული ბინადრობის ნებართვის ორიგინალი და ასლი, რომლის განახლებაზეც შეტანილია განაცხადი (ამდენად, განახლების განაცხადთან ერთად, ფოსტით აგზავნით არა ბინადრობის ვადაგასულ ნებართვას, არამედ მის ასლს, ხოლო ორიგინალს ინახავთ. ვინც ბინადრობის პირველი ნებართვას ელოდება, თან უნდა დჰქონდეს შესასვლელი ვიზა, რომელშიც მითითებულია ბინადრობის მოტივი); ასევე:

ფოსტის ქვითარი, რომელიც ადასტურებს განაცხადის შეტანას ბინადრობის ნებართვის გაცემასა ან განახლებაზე;

მგზავრობის დროს არ უნდა მოხდეს ტრანზიტი (არც აეროპორტში) შენგენის ზონის სხვა რომელიმე ქვეყანაში, როგორიცაა: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრია, საბერძნეთი, დანია, ფინეთი, შვედეთი, ისლანდია, ნორვეგია, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, მალტა, შვეიცარია.

ვისაც აქვს ბინადრობის მოქმედი ნებართვა ან ბარათი, შეუძლია, ტურისტული მიზნითაც გადაადგილდეს შენგენის სივრცის ქვეყნებში (ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრია, საბერძნეთი, დანია, ფინეთი, შვედეთი, ისლანდია, ნორვეგია, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, მალტა, შვეიცარია). ასეთ შემთხვევაში მას არ მოეთხოვება შესასვლელი ვიზა, შეუძლია იმოგზაუროს მხოლოდ პასპორტით და ბინადრობის საბუთით.

ვისაც სურს არდადეგების გატარება შენგენის ზონის არაწევრ ქვეყნებში, უნდა გაარკვიოს (იტალიაში მოქმედ შესაბამის საკონსულოში), სჭირდება თუ არა შესასვლელი ვიზა იტალიასა და მის მშობლიურ ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. ამ შემთხვევაშიც,

ვინც მოგზაურობას აპირებს, თან უნდა იქონიოს საკუთარი ბინადრობის ნებართვა, რომელიც დასჭირდება იტალიაში უკან შემოსვლისას.

ქვეყნიდან გასვლა და უკან დაბრუნება დაუშვებელია მათთვის, ვისაც შეტანილი აქვს განაცხადი უკონტრაქტო/არალეგალური დასაქმებიდან ლეგალურ დასაქმებაზე გადასვლის შესახებ, მაგრამ პროცესი ჯერ არ დასრულებულა საიმიგრაციო სამსახურის ბიუროში გამოძახებით.

# თავი III. ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა (ყოფილი ბინადრობის ბარათი - ex carta di soggiorno)

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა, გათვალისწინებული იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-9 მუხლით, გაიცემა მასზე, ვინც სტაბილურად და უწყვეტად ბინადრობს ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში და აკმაყოფილებს გარკვეულ რეკვიზიტებს.

## 3.1 მახასიათებლები

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას აქვს ,,განუსაზღვრელი ვადა", ანუ მოქმედების დრო არ ეწურება და <u>არ საჭიროებს განახლებას, მხოლოდ ახალი მონაცემებით ჩასწორდება/ივსება</u> და, ბინადრობის ჩვეულებრივ ნებართვასთან შედარებით, უცხოელს ანიჭებს მთელ რიგ ,,დამატებით" უფლებებს.

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვით შეიძლება:

- იტალიაში უვიზოდ შემოსვლა;
- იტალიაში ნებისმიერი შრომითი საქმიანობა, თვითდასაქმებითი თუ სუბორდინაციული (ამ უკანასკნელის შემთხვევაში, საჭირო არ არის ბინადრობის ხელშეკრულების გაფორმება);
- წვდომა ჯანდაცვის, განათლების, სოციალურ და სოცუზრუნველყოფის საჯარო დაწესებულებათა მომსახურებაზე (მათ შორის, საცხოვრებლის შეღავათიანი პირობებით გამოყოფის პროცედურაზე);
- სამოქალაქო ქმედუუნარო პირებზე INPS-ის (სოციალური უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუტი) სოციალური დახმარების გაცემა;
- ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, მათ შორის, კენჭისყრით (თუ ეს გათვალისწინებულია);
- არ ექვემდებარება იტალიიდან გაძევებას, ეროვნული უსაფრთხოების სერიოზული მიზეზების გარდა.

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა 5 წლის განმავლობაში ძალაშია, როგორც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტი.

ამ ნებართვას არ აქვს განსაზღვრული მოქმედების დრო, მასზე დატანებულია წარწერა ,,უვადო".

<u>ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნა შეუძლია უცხოელ მოქალაქეს, რომელსაც აქვს შემდეგი რეკვიზიტები:</u>

- იტალიაში, სულ მცირე, 5-წლიანი რეგულარული ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მოქმედი/ძალაში არსებული ბინადრობის ნებართვა;
- დამადასტურებელი საბუთი, რომ მისი შემოსავალი არ არის სოციალური დახმარების წლიურ ოდენობაზე ნაკლები ნებისმიერ ტიპის ხელშეკრულების დროს (ვადიანი, უვადო, საწარმოო პრაქტიკა);
- იტალიურ ენაში ჩაბარებული გამოცდის ცნობა (ძალაშია 2010 წლის 9 დეკემბრიდან);
- იტალიურ ენაში გამოცდის ჩაბარება არ მოითხოვება, თუ ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას ითხოვს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირი;
- საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად, ბინადრობის პერიოდის გამოთვლა (არანაკლებ 5 წელი) იწყება საერთაშორისო დაცვის მიღებაზე განაცხადის შეტანიდან;
- საერთაშორისო დაცვის მფლობელთა გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას ,,შენიშვნების'' ველში დატანებული აქვს წარწერა ,,იტალიის მიერ აღიარებული საერთაშორისო დაცვა'', შესაბამისი თარიღით.

## 3.2 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა ოჯახის წევრებისთვის

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნა შესაძლებელია კმაყოფაზე მყოფი შემდეგი ოჯახის წევრებისთვის:

- არასრულწლოვანი შვილები, მათ შორის, მეუღლის და ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები. შვილად აყვანილი და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი გათანაბრებულია შვილთან;
- სრულწლოვანი შვილები, რომელთაც, ობიექტური მიზეზების გამო (ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული შესაძლებლობების სრული (100%-იანი) შეზღუდვა), არ შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ საარსებო საშუალებებზე;
- კმაყოფაზე მყოფი მშობლები;
- 65 წელს გადაცილებული მშობლები.

მოთხოვნები ოჯახის წევრებზე ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გასავრცელებლად:

- საცხოვრებელი ფართის ვარგისიანობა, დადგენილი ტერიტორიულად უფლებამოსილი სანიტარული სამსახურის (ASL-ის) ცნობის საფუძველზე, რომ აკმაყოფილებს რეგიონული კანონით განსაზღვრულ მინიმალურ საცხოვრებელ პარამეტრებს და სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს;
- საკმარისი შემოსავალი (ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი).

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირს, რომელიც ფლობს ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას, მისი ოჯახის წევრებისთვის ასეთივე ნებართვის გაცემისას არ მოეთხოვება საცხოვრებელი ფართის ვარგისიანობის ცნობა, მაგრამ აუცილებელია საცხოვრებელი ადგილის მითითება.

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მოთხოვნა არ შეუძლია უცხოელს, რომელიც:

- ფლობს: სწავლის ან პროფესიული მომზადების მიზნით გაცემულ ბინადრობის ნებართვას;
- განსაკუთრებული შემთხვევისათვის ან დროებითი დაცვის მოტივით გაცემულ ნებართვას;
- მოკლევდიან ვიზას ან ბინადრობის ნებართვას.
- ითხოვს საერთაშორისო დაცვას;
- ქმნის რისკებს საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის.

*შენიშვნა: სასჯელის არსებობა არ უნდა იყოს ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე ავტომატური უარის მიზეზი. გასათვალისწინებელია ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის ხანგრძლივობა და უცხოელის საზოგადოებრივი, სოციალური, ოჯახური და შრომითი ინტეგრაცია.*

დასაქმების მოლოდინის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის მფლობელს, რომელიც სამუშაო ადგილის დაკარგვისთანავე ხელახლა დასაქმდა, შეუძლია მოითხოვოს ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა (სხვა რეკვიზიტების დაკმაყოფილების შემთხვევაში), საკმარისი ფინანსური რესურსების მითითებით.

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს პირებზე, რომლებიც ფლობენ ნებართვებს არასრულწლოვანთა დახმარების (იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის ყოფილი 31-ე მუხლი, პუნქტი 3), რელიგიური მიზნების ან არჩევითი რეზიდენციის მოტივებით, თუკი აკმაყოფილებენ სხვა მოთხოვნილ რეკვიზიტებს.

## 3.3 გაუქმება / ჩამორთმევა

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაუქმდეს/ჩამოერთვას, თუ უცხოელი მოქალაქე:

- თაღლითურად მოიპოვებს მას;
- რისკებს ქმნის საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის;
- ევროკავშირის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა 12 თვის განმავლობაში;
- ევროკავშირის ბინადრობის ნებართვას მიიღებს სხვა წევრი ქვეყნისგან;
- ქვეყნის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა 6 წლის განმავლობაში;
- ჩამოერთმევა ან შეუწყდება ლტოლვილის ან სუბსიდიური დაცვის სტატუსი.

ლეგალური განქორწინება არ იწვევს ევროკავშირის ბინადრობის ნებართვის ჩამორთმევას.

ქვეყნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი არყოფნის ან ევროკავშირის ბინადრობის ნებართვის სხვა წევრი ქვეყნის მიერ გაცემის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ ნებართვის ხელახლა მიღება 3 წლის შემდეგ, ან ჩვეულებრივი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა არ გაიცემა ან გაუუქმდება პირს, რომელსაც ჩამოერთვა/შეუწყდა ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი, რაც გათვალისწინებულია 2007 წლის 19 ნოემბრის N.251 საკანონმდებლო დადგენილების 9, 13, 15 და 18 მუხლებით. მე-9 და მე-15 მუხლების თანახმად შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი არსებობს <u>იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტით</u> მოთხოვნილი სხვა რეკვიზიტები, უცხოელზე გაიცემა ევროკავშირის სხვა ბინადრობის ნებართვა, რომელსაც არ ექნება წარწერა ,,იტალიის მიერ აღიარებული საერთაშორისო დაცვა''.

## 3.4 საჩივარი

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის ან ჩამორთმევის გასაჩივრება შესაძლებელია რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში, გადაწყვეტილების მიღებიდან 60 დღის განმავლობაში.

თუ ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა არ მიეცემათ ან ჩამოერთმევათ მისი მფლობელის ოჯახის წევრებს, პირს საჩივარი შეაქვს ჩვეულებრივ სასამართლოში.

## 3.5 პროცედურა

მოთხოვნა ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვაზე (ყოფილი ბინადრობის ბარათი) ივსება ფოსტაში არსებული ყვითელი ფერის "Kit"-ის (ანკეტების კრებული) ფორმაზე და იგზავნება უფლებამოსილი საფოსტო განყოფილებიდან (მცირეწლოვანს თან უნდა ახლდეს მშობელი). დოკუმენტების კონვერტი რჩება გახსნილი.

საჭიროა:

- შესატანის გადახდა, ბინადრობის ნებართვა 3 თვიდან 1 წლამდე ვადით - 70,46 ევრო;
- 1 წელზე მეტი ხნით, 2 წლამდე ან 2 წლით - 80,46 ევრო;
- 2 წელზე მეტი ხნით და საწარმოს ხელმძღვანელებისთვის - 130,46 ევრო;
- 16-ევროიანი მარკა (შტამპი);
- ელექტრონული ფორმატის ბინადრობის ნებართვის საფასურის 30,46 ევროს გადახდის ქვითარი;
- 30 ევრო კონვერტის დაზღვეული წერილის სახით გაგზავნისათვის.

## 3.6 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვისთვის საჭირო დოკუმენტები

განაცხადთან ერთად გასაგზავნი თითოეული დოკუმენტი უნდა შეფასდეს ცალ-ცალკე, რათა მეტი გარანტია შეიქმნას დადებითი პასუხისათვის.

"Kit"-ის (სათანადოდ შევსებული ანკეტები: 1 და 2) გარდა, საჭიროა:

- პასპორტის გვერდების ასლები პირადობის მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ჩარტყმული ვიზებით;
- მოქმედი ბინადრობის ნებართვის ასლი;
- ცნობა, რომ პირს არ აქვს მსჯავრდებულის სტატუსი (სასამართლოდან);
- ცნობა, რომ პირს არ აქვს ბრალდებულის სტატუსი (სასამართლოდან);
- საცხოვრებელი ადგილის ცნობა (ოჯახური მდგომარეობის ცნობა, პირადი განცხადება);
- საკმარისი რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- წინა წლის შემოსავლების დეკლარაცია (CUD/Unico), საიდანაც უნდა ჩანდეს, რომ მისი შემოსავალი არ არის სოციალური დახმარების წლიურ ოდენობაზე ნაკლები. Unico-ს შემთხვევაში - შემოსავლების სააგენტოში წარდგენისა და F24 მოდულის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. გასული წლის შემოსავლების ნაცვლად, შეიძლება საჭირო გახდეს საკმარისი ეკონომიკური რესურსების ბრუნვის ჩვენება (ხელფასი, INPS-ის ქვითარი, მიმდინარე სამუშაო ხელშეკრულება). შეიძლება საზღვარგარეთ დანიშნული საპენსიო შემოსავლის მითითებაც;

- იტალიური ენის A2 დონის გამოცდის სერტიფიკატი.

შევსების დროს საჭიროა:

- ფისკალური კოდი;
- ბოლო 5 წლის საცხოვრებელი ადგილების მისამართები;
- ბინით მასპინძლობის ან საცხოვრებელი ფართის გამოყოფის განცხადება, იჯარის ან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება;
- სუბორდინაციულად დასაქმებულთათვის:
  - ✔ ბოლო ხელფასი ან ბინადრობის ხელშეკრულება;
  - ✔ დამსაქმებლის განცხადება (პირადობის დოკუმენტის ასლით), რომელიც ადასტურებს მიმდინარე შრომით ურთიერთობას.
- შინამოსამსახურეთათვის:
  - ✔ დამსაქმებლის განცხადება, რომელიც ადასტურებს მიმდინარე შრომითი ურთიერთობას, მის ხანგრძლივობას და ყოველთვიურ ანაზღაურებას.
- თვითდასაქმებულთათვის:
  - ✔ უფლებამოსილი სავაჭრო პალატის მიერ გაცემული კომპანიის ბიზნესპროფილი, ლიცენზია, ან რეესტრში რეგისტრაცია.
- Freelancers/დამოუკიდებელ პროფესიონალთათვის, რომლებიც არ არიან ჩაწერილი სავაჭრო პალატაში:
  - ✔ დღგ-ს კოდის მინიჭების სერტიფიკატი.
- კოოპერატივთა პარტნიორი თანამშრომლებისათვის:
  - ✔ ხელფასი;
  - ✔ თავმჯდომარის ან იურიდიული წარმომადგენლის განცხადება, რომელიც ადასტურებს მიმდინარე შრომით ურთიერთობას და მის ხანგრძლივობას.

**განაცხადი მეუღლის სახელზე - საჭირო დოკუმენტები**

- ფორმა 1 (ფორმა 2 - თუ საკუთარი შემოსავალი აქვს);
- პასპორტის გვერდების ასლები პირადობის მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ჩარტყმული ვიზებით;
- პასპორტის გვერდის ასლი ოჯახის წევრის მონაცემებით, რომელიც ავრცელებს/ანიჭებს ბინადრობის უფლებას;
- მოქმედი ბინადრობის ნებართვის ასლი;
- ოჯახის წევრის ბინადრობის ნებართვის ასლი;
- საცხოვრებელი ადგილის ცნობა (ოჯახური მდგომარეობის ცნობა, პირადი განცხადება);
- დოკუმენტის ასლი, რომელიც ადასტურებს როგორც საკუთარ (თუ აქვს), ისე ევროკავშირის ბინადრობის ნებართვის მფლობელი მეუღლის შემოსავლებს წინა წელს (CUD/Unico), ან ოჯახის წევრების შესანახად საკმარისი ეკონომიკური რესურსების არსებობას ამჟამად;
- ცნობა, რომ არ აქვს მსჯავრდებულის სტატუსი (სასამართლოდან); ან ნასამართლეობის ცნობა;
- ცნობა, რომ არ აქვს ბრალდებულის სტატუსი (სასამართლოდან);
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ტექნიკური სამსახურის მიერ გაცემული ცნობა საცხოვრებელი ფართის ვარგისიანობის შესახებ (ERP პარამეტრები), ან უფლებამოსილი სანიტარული სამსახურის ASL-ის ცნობა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობაზე;

- იჯარის, ყიდვა-გაყიდვის, ბინით უფასოდ სარგებლობის ხელშეკრულება, უკვე რეგისტრირებული და გაფორმებული განმცხადებლის ან მეუღლის სახელზე (თუ ასეთი რამ არსებობს);
- პირადი განცხადება ან ოჯახური მდგომარეობის ცნობა, რომელიც ასახავს ოჯახური ბირთვის შემადგენლობას;
- ფისკალური კოდი;
- იტალიური ენის A2 დონის გამოცდის სერტიფიკატი (არ მოეთხოვება, თუ განაცხადი შეტანილია საერთაშორისო დაცვის სტატუსის მფლობელის მეუღლის მიერ).

**განაცხადი არასრულწლოვანი შვილის სახელზე - საჭირო დოკუმენტები**

- ფორმა/ბლანკი1;
- არასრულწლოვნის პასპორტის გვერდების ასლები პირადობის მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ჩარტყმული ვიზებით (თუ აქვს);
- მოქმედი ბინადრობის ნებართვის ასლი (მშობლის);
- ოჯახური მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის ასლი (თუ ადრე ჰქონდა);
- ოჯახური/ნათესაური კავშირის დამადასტურებელი პირადი დოკუმენტაცია anagrafica (თუ იტალიაში დაიბადა) ან პირადი განცხადება;
- ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
- ფისკალური კოდი (თუ  აქვს);
- დოკუმენტის ასლი, რომელიც ადასტურებს ოჯახის წევრთა შემოსავალს წინა წელს (CUD/Unico), ან მათ შესანახად საკმარისი ეკონომიკური რესურსების ფლობას ამჟამად;*
- მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ტექნიკური სამსახურის მიერ გაცემული ცნობა საცხოვრებელი ფართის ვარგისიანობის შესახებ  (ERP პარამეტრები), ან უფლებამოსილი სანიტარული სამსახურის ASL-ის ცნობა სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობაზე;*
- სკოლაში დასწრების ცნობა, თუ არასრულწლოვნის ასაკი ითვალისწინებს განათლების უფლება-ვალდებულებას;
- იტალიური ენის A2 დონის გამოცდის სერტიფიკატი;**

* თუ ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას ითხოვს არასრულწლოვანი, რომელიც ადრე მშობლის ბინადრობის ნებართვაში იყო ჩაწერილი (გრძელვადიანი CE ნებართვა), არ უნდა გახდეს საჭირო რეკვიზიტების წარდგენა. ნებართვის გაცემა, ფაქტობრივად, ნიშნავს ადრე მიღებული გრძელვადიანი ნებართვის გაგრძელებას. უნდა ჩასწორდეს მშობლის ბინადრობის ნებართვაც, სადაც ადრე შვილი იყო ჩაწერილი.

* არ მოითხოვება, თუ განაცხადი შეაქვს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მფლობელის შვილს.

** თუ უკვე არ მიიღო პირველი ან მეორე  საფეხურის საშუალო სკოლის ატესტატი სასკოლო დაწესებულებაში, რომელიც იტალიის განათლების სისტემას განეკუთვნება, ან რეგიონული სასწავლო ცენტრების პირველი ან მეორე  საფეხურის საშუალო სკოლის ატესტატი, ან სწავლობს იტალიის სახელმწიფო თუ ლეგალურად აღიარებულ/ლიცენზირებულ კერძო უნივერსიტეტში, ანდა იტალიაში გადის სადოქტორო თუ უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამას.

## 3.7 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ახალი მონაცემებით ჩასწორება

საჭიროა:

- პასპორტის გვერდების ასლები, პირადობის მონაცემებით, განახლების ბეჭდებით, ვიზებით;
- ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ასლი.

ახალი მონაცემებით ჩასწორება მოითხოვება, როდესაც იცვლება:

- საცხოვრებელი ადგილი (ივსება ანკეტა 1);
- პასპორტის მონაცემები (ივსება ანკეტა 1 და თან ერთვის ახალი პასპორტის ასლი);
- პირადი მონაცემები (ივსება ანკეტა 1, დიპლომატიური წარმომადგენლობის განცხადება სახელის, გვარის  და ა.შ. შეცვლის შესახებ);
- ფოტოსურათი (ივსება ანკეტა 1). ეს პროცედურა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც ბინადრობის ნებართვა გამოიყენება პირადობის  დოკუმენტადაც.

*შენიშვნა: ახალი მონაცემებით ჩასწორების მოთხოვნისას არ არის საჭირო რეკვიზიტების ხელახლა შეფასება.*

## 3.8 ღიად დარჩენილი პრობლემური საკითხები

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ახალი მონაცემებით ჩასწორებისა და გაცემის პროცედურა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვაგვარია.

- კვლავ მოითხოვება: ბინადრობის ხანგრძლივობა (5-წლიანი), როდესაც  ბინადრობის ნებართვის გაცემის განაცხადი კეთდება ოჯახის წევრების სახელზე;
- საცხოვრებელი ფართის ვარგისიანობის ცნობა, როდესაც ბინადრობის ნებართვის გაცემას ითხოვს ერთი უცხოელი, რომელსაც ყველა რეკვიზიტი აქვს;
- შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი, ბინადრობის ნებართვის ახალი მონაცემებით ჩასწორების დროს;
- სამუშაო კონტრაქტი, რომელიც 6 თვეს აღემატება.
- განსხვავებული და დეზინფორმაციული განმარტებები ვრცელდება საცხოვრებლის შესაბამისობასთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვან შვილებს;
- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვაზე უარი ავტომატურად გაიცემა სასჯელის არსებობის შემთხვევაში;
- კვლავ შეუტყობინებელი რჩება ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი გარემოებები და მფლობელობაში არსებული ბინადრობის ნებართვის განახლება გრძელდება ასეთი შეტყობინების გარეშე;
- ევროკავშირის ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხოელის ოჯახის წევრებზე, რომლებიც შემოვიდნენ ოჯახის გაერთიანების მიზნით, გაიცემა არა ტოლფასი საბუთი, არამედ ჩვეულებრივი ბინადრობის ნებართვა ოჯახური მოტივით, მიუხედავად იმისა, რომ პირს ყველა რეკვიზიტი აქვს ევროკავშირის ბინადრობის ნებართვის მისაღებად;
- გაურკვეველი რჩება იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-9 მუხლის

გამოყენების საკითხი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის სხვა ქვეყნის მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის შესაძლებლობას, მოითხოვოს იტალიის ბინადრობის ნებართვა, თუ 3 თვეზე მეტი ხნით რჩება ქვეყანაში შრომითი საქმიანობის გამო. 2007 წლის სამუშაო დატვირთვის ,,ნაკადის" (flussi) დადგენილებით, ეს შესაძლებლობა გამოიყენებოდა მხოლოდ შემოსასვლელი კვოტის არსებობის შემთხვევაში, რაც იყო კანონის შეზღუდული განმარტება და ეწინააღმდეგებოდა ევროპის საბჭოს 109/2003 დირექტივის მიზნებს.

გარდა ამისა, ნებართვის გაცემის განაცხადის ელექტრონული პროცედურა:

- არ ითვალისწინებს განაცხადის გაკეთების შესაძლებლობას მათთვის, ვინც ფლობს დასაქმების მოლოდინის მოტივით გაცემულ ბინადრობის ნებართვას;
- ბინადრობის ხელშეკრულების გარეშე არ აძლევს განაცხადის გაკეთების საშუალებას დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე სუბიექტს, რომელიც ფლობს ოჯახური მოტივით გაცემულ ბინადრობის ნებართვას (ამ ბინადრობის ნებართვის მფლობელს არ აქვს აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება).

## 3.9 შემოსავლების ცხრილი

(წლიური ოდენობა გამოთვლილია 13-თვიანი შემოსავლის საფუძველზე)

განმცხადებელი - 5.954,00 ევრო წლიური

- ოჯახის ერთი წევრი, თუნდაც (14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილის შემთხვვაში) - 8.931,00 ევრო წლიური
- ოჯახის ორი წევრი (14 წლამდე შვილის შემთხვევაში ) - 11.908,00 ევრო წლიური
- ოჯახის სამი წევრი (14 წლამდე შვილის შემთხვევაში )- 14.885,00 ევრო წლიური
- ოჯახის ოთხი წევრი( 14 წლამდე შვილის შემთხვევაში-) 17.862,00 ევრო წლიური
- ოჯახის ხუთი წევრი (14 წლამდე შვილის შემთხვევაში)- 20.839,00 ევრო წლიური
- ოჯახის ექვსი წევრი (14 წლამდე შვილის შემთხვევაში) - 23.816,00 ევრო წლიური

ორი ან მეტი არასრულწლოვანი, 14 წლამდე შვილის შემთხვევაში, მინიმალური წლიური შემოსავალი 2019 წლისათვის განსაზღვრულია 11.908,00 ევროს ოდენობით.

14 წლამდე ბავშვების გარდა, ყოველ მომდევნო შემოერთებულ ოჯახის წევრზე (შვილები, მეუღლე, მშობლები) 11.908,00 ევროს უნდა დაემატოს 2.977,00 ევრო.

მაგალითად:

- ოჯახის ერთი წევრი+ორი ან მეტი 14 წლამდე ოჯახის წევრი - 14.855,00 ევრო;
- ოჯახის ორი წევრი+ორი ან მეტი 14 წლამდე ოჯახის წევრი - 17.862,00 ევრო;
- ოჯახის სამი წევრი+ორი ან მეტი 14 წლამდე ოჯახის წევრი - 20.839,00 ევრო;

უცხოელმა, რომელიც ითხოვს ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ბარათის გაცემას თავის და ოჯახის წევრთა სახელზე, უნდა წარმოადგინოს იტალიური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატიც. სერტიფიკატი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის საბჭოს მიერ დამტკიცებული ენების ცოდნის ერთიანი ევროპული ჩარჩოს A2 დონეს.

იტალიური ენის გამოცდაზე ჩაწერის განაცხადი ელექტრონულად იგზავნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფლებამოსილ მუნიციპალიტეტში ვებგვერდით www.testitaliano.interno.it (იგი მას გადაამისამართებს სხვა განაცხადების შევსებისთვის განკუთვნილ პორტალზე nullaostalavoro.interno.it,), სადაც ივსება განაცხადის ბლანკი/ფორმა.

ელექტრონული პროცედურით გაგზავნილი განაცხადი შედის სისტემაში და მიეწოდება უფლებამოსილ პრეფექტურას. თუ განაცხადი სწორია და სისტემა მიიღებს, პრეფექტურა 60 დღის განმავლობაში ელექტრონული პროცედურითვე იწვევს განმცხადებელს (გამოცდის დღის, საათის

და ადგილის მითითებით); არასწორი ან არასრულფასოვანი მონაცემების შემთხვევაში, სისტემა ავტომატურად უგზავნის განმცხადებელს შეტყობინებას უკმარი რეკვიზიტების მითითებით, რათა განმცახდებელმა შემდგომ დაამატოს ისინი.

## 3.10 იტალიური ენის გამოცდა

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-9 მუხლის 2(b) პუნქტი, განსაზღვრული შინაგან საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 4 ივნისის დებულებით, ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად საჭირო რეკვიზიტებს შორის ითვალისწინებს იტალიური ენის გამოცდის ჩაბარებასაც.

<u>გამოცდას არ აბარებენ:</u>

- 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილები, ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილები, საკუთარი და მეუღლის შვილები;
- უცხოელი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს ენისა და ლინგვისტური უნარ-ჩვევების შესწავლის მხრივ, რაც გამოწვეულია ასაკით, პათოლოგიით ან შეზღუდული შესაძლებლობებით და დადასტურებულია ჯანდაცვის საჯარო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;
- ვისაც უკვე აქვს იტალიური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც შეესაბამება ევროპის საბჭოს მიერ დამტკიცებული ენების ცოდნის ერთიანი ევროპული ჩარჩოს A2 დონეს და გაცემულია საგარეო საქმეთა სამინისტროს და განათლების, უნივერსიტეტისა და სამეცნიერო კვლევის სამინისტროს მიერ აღიარებული სასერტიფიკაციო ორგანოების მიერ;
- ვინც გაიარა იტალიური ენის კურსი ზრდასრულთა განათლების რეგიონულ ცენტრებში და კურსის ბოლოს მიღებული აქვს იტალიური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც შეესაბამება ევროპის საბჭოს მიერ დამტკიცებული ენების ცოდნის ერთიანი ევროპული ჩარჩოს A2 დონეს;
- უცხოელი, რომელმაც, ინტეგრაციის ხელშეკრულებით დარიცხული კრედიტების ფარგლებში, იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-4 მუხლის თანახმად (ჯერჯერობით არ არის ძალაში), მიიღო იტალიური ენის არანაკლებ A2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ცნობა;
- უცხოელი, რომელსაც აქვს იტალიის საგანმანათლებლო სისტემის პირველი ან მეორე საფეხურის საშუალო სკოლის ატესტატი, განათლების რეგიონულ ცენტრების პირველი ან მეორე საფეხურის საშუალო სკოლის ატესტატი, ან იტალიის სახელმწიფო თუ კერძო ლეგალიზებულ/კანონით აღიარებულ უნივერსიტეტში გავლილი სასწავლო კურსის საბუთი, ანდა გადის სადოქტორო თუ სამაგისტრო პროგრამას;
- უცხოელი, რომელიც იტალიაში იმყოფება სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად
- განათლების, უნივერსიტეტისა და სამეცნიერო კვლევის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ არსებულ უნივერსიტეტებსა და დაწესებულებებში;
- საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი უცხოელი (ლტოლვილის ან სუბსიდიური დაცვის სტატუსი);
- იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 27-ე მუხლის 1(a)(c)(d)(q) პუნქტის თანახმად იტალიაში შემოსული უცხოელი:
  - ✔ იტალიაში გახსნილი და მოქმედი კომპანიების ოფისების ან ფილიალების ხელმძღვანელები ან მაღალკვალიფიციური პერსონალი;
  - ✔ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც იტალიაში აკადემიურ საქმიანობას ეწევიან;
  - ✔ თარჯიმნები და მთარგმნელები;
  - ✔ ოფიციალურად აკრედიტებული კორესპონდენტი ჟურნალისტები.

## 3.10.1 ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად საჭირო იტალიური ენის გამოცდაზე რეგისტრაციის პროცედურა

განაცხადი სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს:

- განმცხადებლის პირად მონაცემებს;
- ბინადრობის ნებართვის მონაცემებს (ნომერი, გაცემის თარიღი, ვადა, ტიპი);
- უკან დაბრუნებისათვის (ექსპატრიაცია) საჭირო დოკუმენტის მონაცემებს (პასპორტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი);
- მისამართს, სადაც უნდა მიიღოს გამოცდაზე გამოძახება.

სისტემა ავტომატურად ამოწმებს:

- შევსებისას მითითებული ბინადრობის ნებართვის არსებობას;
- არის თუ არა განმცხადებელი 14 წელს გადაცილებული სრულწლოვანი;
- წინა განაცხადიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ გასასვლელი ხომ არ არის გამოცდაზე;
- უკვე ჩაბარებული ხომ არ აქვს გამოცდა.

პრეფექტურა იტალიური ენის ცოდნის შესამოწმებელი გამოცდის ჩასაბარებლად უცხოელს გამოიძახებს განაცხადის შეტანიდან 60 დღის განმავლობაში, მიუთითებს რა დღეს, დროს და ადგილს.

არასწორი ან არასრულყოფილი მონაცემების შემთხვევაში, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება გამოტოვებული მონაცემების შესავსებად, შესასწორებლად და ხელახლა გასაგზავნად.

გამოცდა ტარდება კომპიუტერული მეთოდების გამოყენებით, მას შემდეგ, რაც პრეფექტურის პერსონალი წინასწარ შეამოწმებს უცხოელის მონაცემებს (პირადობის შემოწმებით) და გამოძახების წერილს. გამოცდა ადგენს მოკლე ტექსტების გაგებასა და ინტერაქტიური უნარების გამომჟღავნებას, სასერტიფიკაციო დაწესებულებათა მიერ შემუშავებული სპეციფიკური უნარ-ჩვევების პარამეტრების შესაბამისად. შინაარსი, ქულებით შეფასების კრიტერიუმები და ხანგრძლივობა დგინდება სასერტიფიკაციო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, როგორიცაა:

1) რომის უნივერსიტეტი - Roma Tre;

2) პერუჯას უნივერსიტეტი უცხოელებისთვის;

3) სიენას უნივერსიტეტი უცხოელებისთვის;

4) დანტე ალიგიერის საზოგადოება.

- გამოცდის ჩატარების ადგილს არჩევს იმიგრაციის ტერიტორიული საბჭო, ადგილობრივ ხელისუფლებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეთანხმებით;
- დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოცდა შეიძლება ჩატარდეს არა ელექტრონული მეთოდით, არამედ წერილობით;
- გამოცდის ჩასაბარებლად კანდიდატის მიერ მიღებული ქულების ჯამი უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 80%-ს.

განმცხადებელს გამოცდის შედეგის ნახვა შეუძლია ვებგვერდზე www.testitaliano.interno.it

იგი სისტემაში შედის ტერიტორიულად უფლებამოსილი პრეფექტურის მეშვეობით, რითაც საშუალებას აძლევს პოლიციის სამმართველოს, ჩაატაროს გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად საჭირო შემოწმება.

გამოცდის უარყოფითი პასუხის ან გამოცდაზე გაუმართლებელი მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ახალი განაცხადის გაკეთება, წინა გამოცდიდან 90 დღის შემდეგ.

ასეთ დროს, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს მოთხოვნა გრძელვადიანი ბინადრობის CE ნებართვის გაცემაზე, პოლიციის სამმართველო შეატყობინებს უარს მოთხოვნაზე. თუკი განმცხადებელი პრეფექტურას წინასწარ აცნობებს გამოცდის თარიღის გადაწევის აუცილებლობას, ან გამოცდის დღემდე წარუდგენს ავადმყოფობის დამადასტურებელ ცნობას, იმიგრაციის სამსახურის ბიურო იზრუნებს ახალი თარიღის დანიშვნაზე (90 დღის გასვლამდე).

შესაბამისად, იტალიური ენის გამოცდის ჩაბარება სასურველია ბინადრობის ნებართვის გაცემის განაცხადის შეტანამდე.

## 3.10.2 საგამოცდო მომზადების კურსები

იტალიური ენის A2 დონის შესამოწმებლად, მოსამზადებელი კურსები ტარდება მუდმივ ტერიტორიულ ცენტრებში, ან სხვა ორგანოებში, რომლებმაც გააფორმეს შეთანხმებები შემდეგ სასწავლო დაწესებულებებთან:

1) რომის უნივერსიტეტი- Roma Tre;

2) პერუჯას უნივერსიტეტი უცხოელებისთვის;

3) სიენას უნივერსიტეტი უცხოელებისთვის;

4) დანტე ალიგიერის საზოგადოება.

განკარგულება ასევე ითვალისწინებს, რომ იმიგრაციის ტერიტორიულმა საბჭოებმა, არსებული სახელმწიფო და თანამეგობრობის რესურსების ფარგლებში, ხელი შეუწყონ საინფორმაციო პროექტებს იტალიური ენის ცოდნის ატესტაციის წესებსა და ფორმებზე, ასევე, საგამოცდო მზადების პროცედურებზე. ეს მათ უნდა შეძლონ საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან შეთანხმებით და ემიგრანტთა დახმარების სფეროში მოქმედი აქტიური ასოციაციების მეშვეობით, რადგან ენის გამოცდა აუცილებელი რეკვიზიტია გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მისაღებად.

# თავი IV. საერთაშორისო დაცვა

## 4.1 საერთაშორისო დაცვის აღიარების პროცედურა

უცხოელს, რომელიც გაურბის დევნას, წამებას/ძალადობას, ომს და სურს, იტალიის სახელმწიფოს მიერ იყოს დაცული, დაცვის მოთხოვნაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია მაშინაც, თუ იტალიაში შესულია უკანონოდ ან დოკუმენტაციის გარეშე. დაცვის მომთხოვნმა განაცხადში უნდა მიუთითოს/აღწეროს დევნის, სერიოზული ფიზიკური ზიანის ან ძალადობის გარემოებები, რომლებმაც აიძულა გაქცევა.

მსხვერპლი ამგვარ ქმედებებს შეიძლება განიცდიდეს სახელმწიფოს, პარტიების ან იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ქვეყანას ან მისი ტერიტორიის ნაწილს აკონტროლებენ, ასევე, არასაჯარო უწყებებისგანაც, სახელმწიფო ან სხვა უფლებამოსილი ორგანოები კი არ ან ვერ იცავდნენ მსხვერპლს დევნისა და ძალადობისგან.

განაცხადის წარდგენის ვადები განსაზღვრული არ არის. მისი წარდგენა შესაძლებელია 8 დღის

შემდეგ იმ ფაქტებიდან, რომლებზეც მიუთითებს პროცედურა.

განაცხადის წარდგენა არ არის აუცილებელი სასაზღვრო პოლიციაში, ეს შეიძლება იყოს იმ რეგიონის/ქალაქის ტერიტორიულად უფლებამოსილი პოლიციის სამმართველოც, სადაც განმცხადებელი აპირებს ბინადრობას.

პოლიციის სამმართველო გასცემს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს დაცვის მოთხოვნაზე განაცხადის შეტანას  და გამოძახების თარიღს ოქმის შესადგენად.

განაცხადის საფუძველზე, პოლიციის თანამშრომლებმა უნდა შეადგინონ/დაწერონ ოქმი, რისთვისაც გამოიყენება ე. წ. C3 ტიპის ბლანკი. აღნიშნული ბლანკი შეიცავს ძალიან ბევრ ინფორმაციას, ძირითადად, პირად მონაცემებს და რამდენიმე კითხვას იმ მიზეზებზე, რომლებმაც განმცხადებელს აიძულა თავისი ქვეყანის დატოვება და დაცვის მოთხოვნა.

ამიტომ, სასურველიც არის და სავალდებულოც, რომ თავშესაფრის მოთხოვნისას მათ თან ჰქონდეთ წერილობითი აღწერა/მემორანდუმი (მშობლიურ ენაზე შედგენილი ან თარგმნილი). წერილობითი ახსნა-განმარტების შესადგენად, უცხოელს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს მუნიციპალიტეტს, ან ასოციაციას, რომელიც საქმიანობს თავშესაფრის უფლების დაცვის სფეროში.

განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს განაცხადში მოყვანილ ფაქტებს (საგაზეთო სტატიები, ფოტოები, ოფიციალური დოკუმენტები, როგორიცაა საჩივრები ან სამედიცინო ცნობები და ა.შ. თუკი ასეთი არსებობს).

მტკიცებულებათა არარსებობა არ უნდა იყოს დაცვის მოთხოვნის პროცედურაზე უცხოელის დაუშვებლობის  საფუძველი.

- პოლიციის სამმართველოს უფლება არა აქვს, უარი თქვას განაცხადის მიღებაზე.

თუ უცხოელი ფლობს პასპორტს, ის უნდა გადასცეს პოლიციას სხვა დოკუმენტებთან ერთად (4 ფოტოსურათი, შერჩეული საცხოვრებელი ადგილის საბუთები: ბინით მასპინძლობის განცხადება და სხვა შესაბამისი დოკუმენტები, ასევე, მასპინძლის პირადობის მოწმობის ასლი და ბინის დაქირავების ან შეძენის კონტრაქტი).  პოლიცია უცხოელს უღებს  თითის ანაბეჭდებს.

თუ განმცხადებელს არ აქვს პასპორტი, რადგანაც საშიში იყო მისი ურთიერთობა მთავრობასთან (ეს უჩვეულო არ არის თავშესაფრის მოთხოვნისას), შეიძლება საჭირო გახდეს პირადობის ცნობის დამზადება და მისი ქვეყნის პირადობის მოწმობა, რაც, კანონის თანახმად, ვერ შეცვლის პასპორტს, მაგრამ სასარგებლო და საჭიროა პირადობის დასადგენად.

განაცხადის გაკეთებისას მიზანშეწონილია, უცხოელმა მოითხოვოს პერსონალური გასაუბრება საერთაშორისო დაცვის აღიარების ტერიტორიულად უფლებამოსილ კომისიასთან.  გამოძახების შემთხვევაში, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს კომისიის წინაშე.

განაცხადის გაკეთებისას უცხოელი ირჩევს საცხოვრებელ მისამართს, სადაც გაეგზავნება ყველა შეტყობინება და გასაუბრებაზე გამოძახება. სასურველია, იგი სისტემატურად იყოს ინფორმირებული ამ შეტყობინებათა შესახებ - ან უშუალოდ, ან აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები პირის მეშვეობით.

განაცხადის შეტანის მომდევნო დღეებშივე პოლიციის სამმართველომ უნდა გასცეს სახელობითი მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ბინადრობის ნებართვა თავშესაფრის მოთხოვნის მოტივით გაცემის პროცესშია. ნებართვა 30 დღის განმავლობაში გაიცემა, თუ პოლიციის სამმართველო, გარკვეული შემოწმების შემდეგ, დაადგენს, რომ იტალია უფლებამოსილია, მიიღოს განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე და არ არსებობს უცხოელის გაჩერება/მიღებასთან  დაკავშირებული შეზღუდვა CPR-სა (საიდენტიფიკაციო და გაძევების ცენტრები) ან CAS-ში (თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრები).

პრეფექტი ადგენს საცხოვრებელ ადგილს ან გეოგრაფიულ არეალს, სადაც განმცხადებელს შეუძლია გადაადგილება.

**შენიშვნა:**

2018 წლის 4 ოქტომბერს გამოქვეყნდა ბრძანდება  N.113, „იმიგრაცია და საჯარო უსაფრთხოება“, რომელიც შეიცავდა ახალ ნორმებს „რომელიც შეეხებოდა სპეციალური ცალკეული მიზეზებით გაცემულ ბინადრობის ნებართვას, როგორიცაა ჰუმინატირული სახის, ასევე საერთაშორისო

უსაფრთხოების და იმიგრაციის მიზეზით“

N.113/2018 საკანონმდებლო განკარგულების ძირითადი სიახლეები ძალაში შევიდა 2018 წლის 5 ოქტომბერს, რითაც შეიცვლა 2018 წლის 1 დეკემბრის კანონი N.132**, ძირითადი აქცენტი გააკეთებულია ორ ასპექტზე.

ბინადრობის ნებართვები განახლებული დისციპლინის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა:

- გაუქმებული ბინადრობის ნებართვების მართვას;
- ბინადრობის ნებართვების ახალ ტიპოლოგიებს გარდამავალი რეჟიმის მიმართ, რომელიც იმოქმედებს წინა საქმეების დასრულებამდე ;
- კანონის ეფექტურად შესრულებას;
- სისტემის ახალი კონფიგურაცია რომელიც შეეხება, იტალიაში მიღების პროცედურებს.

** გთხოვთ გაითვალისწინოთ:

ამჟამად კანონი განიხილება მთავრობაში და ევროპულ სასამართლოებში, შესაბამისად ტექსტის გარკვეული დებულებები შეიძლება მომავალ ცვლილებებს ექვემდებარებოდეს.

**დამატებითი დოკუმენტები**

პოლიციაში მოსმენისთვის გამოძახების დღემდე და თეორიულად მოსმენის მერეც - გადაწყვეტილების მიღებამდე - უცხოელს ნებისმიერ მომენტში შეუძლია წარადგინოს დამატებითი წერილობითი ინფორმაცია/მემორანდუმი, თავისი ზეპირი მონათხრობის მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც შესაძლებელი გახდა პირველი ვერბალიზაციის (ოქმის შედგენის) მერე. წამების მსხვერპლთა შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიძლება იყოს სამედიცინო ცნობა, რომელიც აღწერს მსხვერპლის მიერ გადატანილ ძალადობის ფაქტებს და მათ შედეგებს. სასურველია, ცნობა გაცემული იყოს სპეციალიზებული სამედიცინო პერსონალის მიერ ,,სტამბოლის პროტოკოლით'' მოწოდებული ფორმის შესაბამისად.

*შენიშვნა: ყოველთვის შეინახეთ პოლიციის სამმართველოში, პრეფექტურასა და კომისიასთან წარდგენილი თითოეული დოკუმენტის და ამ ორგანოების მიერ შედგენილი ყველა ოქმის ასლი.*

უცხოელს არ შეუძლია ლტოლვილის ან სუბსიდიური დაცვის ბენეფიციარის სტატუსის მიღება, თუ ჩადენილი აქვს:

- ომის დანაშაული, ან დანაშაული მშვიდობისა თუ კაცობრიობის წინააღმდეგ; ან ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება;
- საზოგადოებრივი სამართლის სერიოზული დანაშაული მასპინძელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ლტოლვილად აღიარებამდე;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები.
- იმ შემთხვევაში თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ უცხოელი საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას
- თუ იძალადა ან საფრთხეს წარმოადგენს საჯარო მოხელეთათვის (საბოლოო განაჩენი)
- ვინც მიაყენა მძიმე ან ძალიან მძიმე დაზიანება საჯარო მოხელეს, სპორტულ ღონისძიებებზე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას
- ყველას, ვინც მსჯავრდებულია შევიწროებაში ან მონობის მსგავს პირობობებში ყოლისათვის, ასევე ბავშვთა პროსტიტუციაში დასაქმების ან ბავშვის პროსტიტუციისკენ წაქეზება
- პირი რომელიც მსჯავრდებულია ადამიანიებით ვაჭრობისათვის, უკანონო იმიგრაციისთვის ხელის შეწყობა, სექსუალური ძალადობის ან ბავშვთა პორნოგრაფიის საქმეში

წინა საკანონმდებლო ნორმატივის მიხედვით, დაცვის მოთხოვნა შეეძლოთ იმ პირებსაც, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის. ზემოაღნიშნული გარემოება აღარ არის ძალაში.

დანაშაულებიდან და სერიოზული კრიმინალური ქმედებებიდან გამომდინარე, დაცვის პროცედურაზე დაუშვებლობა უნდა შეაფასოს უფლებამოსილმა ტერიტორიულმა კომისიამ.

თუ უცხოელი რისკს უქმნის სახელმწიფო წესრიგსა და უსაფრთხოებას, მისი დაცვის პროცედურას არ აღიარებენ, მაგრამ საკითხი მაინც განიხილება.

თუ უცხოელს უკვე ჰქონდა მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი ჟენევის კონვენციის წევრ რომელიმე ქვეყანაში, ან უარის მიღების შემდეგ თავიდან შეიტანა განაცხადი, მას დაუშვებლად ცნობს უფლებამოსილი ტერიტორიული კომისია, მაგრამ პოლიციის სამმართველომ მაინც უნდა მიიღოს.

გარდა ამისა, განაცხადი შეიძლება უარყონ, როგორც აშკარად უსაფუძვლო, როდესაც სტატუსის მინიჭების განკარგულებაში მითითებული პირობები აშკარა არ არის, ან აღმოჩნდება, რომ განაცხადი წარდგენილია გაძევების ან უარის განკარგულების აღსრულების შესაფერხებლად/ თავიდან ასაცილებლად.

### 4.1.1 საერთაშორისო დაცვის განმეორებით მოთხოვნა "Salvini განკარგულებით N.132 / 18 **, ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით"

განმეორებითი განაცხადი არის ევროკავშირის ნებისმიერ სახელმწიფოში წარმოდგენილი საერთაშორისო დაცვის (მათ შორის ლტოლვილის სტატუსის, სუბსიდიური დაცვის) განმეორებითი მოთხოვნა, რომელიც სხვა განაცხადზე უარის თქმის შემდეგ არის წარმოდგენილი: " საერთაშორისო დაცვის განმეორებითი განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მაშინაც კი, თუ განმცხადებელმა მკაფიოდ თქვა უარი განცხადებაზე 23-ე მუხლის შესაბამისად და იმ შემთხვევაშიც, თუ ტერიტორიულმა კომისიას მიიღო გადაწყვეტილება პროცედურის შეწყვეტის ან განცხადებაზე უარის თქმის შესახებ, 23-ე მუხლის მე -2 პუნქტის შესაბამისად. "

N.132/18 კანონი ცვლილებებს ახდენს გამოყენებულ პროცედურებზე:

- სალვინის ბრძანებულების მე -9 მუხლის მიხედვით (ახლანდელი კანონი N. 132/18) აეკრძალათ ეროვნულ ტერიტორიაზე დარჩენის უფლება იმ თავშესაფრის მაძიებლებს, რომელთაც განმეორებით წარადგინეს მოთხოვნა საერთაშორისო დაცვის მისაღებად.
- ასევე ამოიშალა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, კომისიას შეტყობინების მიღებიდან სამ დღეში უნდა წარმოედგინა მისი მოსაზრება, განაცხადის დასაშვებობის მხარდასაჭერად.
- განსაზღვრავს უცხოელის მიერ წარდგენილ პირველ განაცხადს დაუშვებლად, თუ ის წარდგენილია უცხოელის მიმართ გაძევების შესახებ ბრძანების შესრულების დროს ან განაცხადის განხილვაზე უარის მიღებისას, რადგან ეს წარმოადგენს ბრძანების შესრულების შეფერხების ან აღკვეთის საშიშროებას. ამრიგად, განაცხადი არ განიხილება.

** შენიშვნა: კანონი N.132/18 ამჟამად განიხილება მთავრობაში და განიხილება ევროპული სასამართლოები, რომლებისთვისაც ტექსტში მოცემული გარკვეული დებულებები შეიძლება დაექვემდებაროს მომავალ ცვლილებებს.

## 4.1.2 გადაწყვეტილება განაცხადზე

საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი ორგანო გახლავთ საერთაშორისო დაცვის აღიარების ტერიტორიული კომისია. კერძოდ: უფლებამოსილად მიიჩნევა იმ ადგილას მოქმედი კომისია, სადაც შეტანილია განაცხადი. თუ უცხოელს გზავნიან დაკავების ან CAS-ს ცენტრში, პასუხისმგებლობას იღებს ის ტერიტორიული კომისია, რომელ რეგიონშიც მდებარეობს აღნიშნული ცენტრი.

ტერიტორიულ კომისიას შეუძლია: აღიაროს საერთაშორისო დაცვის ერთი ფორმა, პოლიტიკური თავშესაფარი ან სუბსიდიური დაცვა, ან არ აღიაროს არცერთი მათგანი; უარი თქვას განაცხადის მიღებაზე აშკარა საფუძვლის არარსებობის გამო; განაცხადი მიიჩნიოს დაუშვებლად (თუ უკვე განხილულია ევროპის სხვა ქვეყნის მიერ); ანდა შესაძლებელია მიიღოს ბინადრობის ნებართვა „განსაკუთრებული დაცვის“ მიზნით, მხოლოდ იმ შემთხევავში როდესაც ადგილობრივი კომისია მიიჩნევს რომ არსებობს დევნის ან წამების რისკი.

დევნა და დევნის საფუძვლები, რომლებიც აღიარებულია, განმცხადებელს საშუალებას აძლევს, მიიღოს ლტოლვილის სტატუსი;

- სერიოზული ზიანი, რომელიც აღიარებულია, განმცხადებელს უფლებას აძლევს, მიიღოს სუბსიდიური დაცვა.

დაცვის ორივე ფორმა, წინა კანონმდებლობებისგან განსახვავებით, არის სტატუსი. ამდენად, მისი გაუქმება შესაძლებელია ინდივიდუალური სიტუაციების შეფასების შემდეგ და სპეციალური პროცედურის მეშვეობით.

## 4.1.3 ლტოლვილის სტატუსი

ლტოლვილის სტატუსის აღიარება ხდება გარკვეული მიზეზებით დევნის შემთხვევებში:

<u>ა) დევნა</u>

ჟენევის კონვენციის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად, დევნა უნდა იყოს:

- სათანადოდ სერიოზული, მათი ბუნების/ფორმის ან სიხშირის თვალსაზრისით, და მნიშვნელოვნად არღვევდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რომელთა ხელყოფაც დაუშვებელია;
- სხვადასხვა ქმედების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების ერთობლიობა; ქმედებები, რომელთა გავლენაც საკმარისად სერიოზულია და მნიშვნელოვნად ხელყოფს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს;

დევნა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმებით:

- 1) ფიზიკური, ფსიქიკური ან სექსუალური ძალადობა;
- 2) საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, პოლიციური ან სასამართლო ზომები, რომლებიც დისკრიმინაციულია მათი ბუნებით, ან ხორციელდება დისკრიმინაციულად;
- 3) არაპროპორციული თუ დისკრიმინაციული სასამართლო ქმედებები, ან ჯარიმები;
- 4) უარი სამართლებრივი გარანტიების წვდომაზე და, შესაბამისად, არაპროპორციული ან დისკრიმინაციული სანქცია;
- 5) სასამართლო ქმედებები ან ჯარიმები კონფლიქტისას სამხედრო სამსახურზე უარის გამო, როდესაც ამან შეიძლება გამოიწვიოს ქმედება, მიჩნეული ომის დანაშაულად, ან დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ;
- 6) ქმედებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის სქესის/გენდერული კუთვნილების ან ბავშვების წინააღმდეგ.

ბ) დევნის საფუძვლები

ლტოლვილის სტატუსის აღიარებისათვის, დევნის საფუძველი უნდა იყოს:

- 1) რასა;
- 2) რელიგია;
- 3) ეროვნება;
- 4) კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობა;
- 5) პოლიტიკური შეხედულება.

იმის დასადგენად, განიცდის თუ არა დევნას განმცხადებელი, არ არის აუცილებელი, მას მართლაც ჰქონდეს დევნის გამომწვევი რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, სოციალური თუ პოლიტიკური მახასიათებლები, მთავარია, ამ მახასიათებლებს მას ანიჭებდეს დევნის განმახორციელებელი პირი.

ლტოლვილის სტატუსის აღიარება უცხოელს უფლებას აძლევს:

- მიიღოს: პოლიტიკური თავშესაფრის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვა 5-წლიანი ვადით;
- ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი;
- ლტოლვილის ბარათი, რომელიც ახლდება.
- 5 წლის შემდეგ შეიტანოს განაცხადი მოქალაქეობაზე;
- კანონით გათვალისწინებული რეკვიზიტების მიხედვით (N.289/98 საკანონმდებლო დადგენილების 29-ე მუხლი), მოითხოვოს ოჯახის გაერთიანება (coesione familiare) საცხოვრებელი ფართისა და შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, ასევე, შეღავათები ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენისას;
- ჰქონდეს დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა;
- მიიღოს განათლება; და
- სამედიცინო და სოციალური მომსახურება (მათ შორის, სამოქალაქო ქმედუუნარობისა და ასეთი პირის თანმხლების დახმარება; ეკონომიკური დახმარება მშობიარობის მომდევნო პერიოდში) იტალიელი მოქალაქეების თანასწორად.

## 4.1.4 სუბსიდიური დაცვა

სუბსიდიური დაცვა ენიჭება პირს, რომელიც დაზარალდა სერიოზული/მძიმე დაზიანების გამო.

სუბსიდიური დაცვის აღიარებისათვის, მძიმე დაზიანებად მიიჩნევა:

- სიკვდილით დასჯა ან მისი აღსრულება;
- განმცხადებლის მიმართ წამების ან სხვა ფორმის სასჯელი ან არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა მის ქვეყანაში;
- სიცოცხლისთვის ან სამოქალაქო პირისთვის სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხე, შიდა ან საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისას განურჩეველი ძალადობის გამო.

სუბსიდიური დაცვის მინიჭება უცხოელს უფლებას აძლევს:

- ა) მიიღოს: სუბსიდიური დაცვის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვა 5-წლიანი ვადით;
- ბ) სამგზავრო დოკუმენტი, თუ დასაბუთებული მიზეზები არსებობს, რომ სუბსიდიური დაცვის ბენეფიციარს არ შეუძლია, მიმართოს თავის ქვეყანაში მოქმედ დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას;
- გ) კანონით გათვალისწინებული რეკვიზიტების მიხედვით (289/98 საკანონმდებლო დადგენილების 29-ე მუხლი), მოითხოვოს ოჯახის გაერთიანება საცხოვრებელი ფართის და შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, ასევე, შეღავათები ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენისას;
- დ) ჰქონდეს დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა;
- ე) მიიღოს განათლება; და
- ვ) სამედიცინო და სოციალური მომსახურება (მათ შორის, სამოქალაქო ქმედუუნარობისა და ასეთი პირის თანმხლების შემწეობა; ეკონომიკური დახმარება მშობიარობის მომდევნო პერიოდში) იტალიის მოქალაქეთა თანასწორად.

## 4.1.5 საერთაშორისო დაცვის მომთხოვნთა მიღება

**საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის პროცედურა იყოფა პირველ და მეორე ფაზებად.**

მომთხოვნი რომელმაც წარადგინა განაცხადი რომელიც შეესაბამებოდა კანონით განსაზღვრულ ნორმებს, და შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას მისი და მისი ოჯახის წევრების, შვილების საცხოვრებელი პირობები, მიღებული იქნება საერთაშორისო დაცვის ქვეშ მის ოჯახის წევრებთან ერთად.

მაშასადამე, საერთაშორისო დაცვის მთხოვნელებს , გარდა იმ შეთხვევისა როდესაც საჭირო ხდება მათი შეყოვნება რეპატრიაციის ცენტრში,(CPR), შეუძლიათ მიიღონ ის მომსახურეობა რასაც მათ სთავაზობს პირველი მიღების სახემწიფო ცენტრი (HUB) , მათ აქვთ უცხოელის იდენტიფიკაციის ფუნქცია (მაშინ როცა ინდეტიფიცირება დასრულება ვერ მოხერხდა ცხელ წერტილებში), თავშესაფრის განცხადების დაფიქსირება და პროცედურის დაწყება თავშესაფრის მისაღებად, ასევე განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და დადგენა თუ ის იმყოფება დაუცველობის ნებისმიერი სიტუაციაში, რაც შეიძლება გახდეს დახმარების სპეციალურ ზომების მიღების საფუძველი.

ამ ფუნქციას ასრულებენ ახლად დაარსებული სამთავრობო უწყებები, რაც განსაზღვრულ იქნა კანონით N.142/2015 და, პირველ რიგში იქნა განხორციელებული, უკვე არსებული მიმღები ცენტრების მიერ, როგორიცაა თავშესაფრის მაძიებელთა მიღების ცენტრები (CARA) და მიღების ცენტრები (CDA). განმცხადებლის ამ ობიექტებში გაგზავნა ხდება პრეფექტის მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო თავისუფლებებისა და იმიგრაციის დეპარტამენტთან კონსულტაციის შემდეგ.

სამთავრობო ცენტრებში ადგილების ამოწურვის შემთხვევაში, სამთავრობო ცენტრების გარდა მათი განთავსება შესაძლებელია სხვა სტრუქტუბში. ამ სტრუქტურებში, რომელთა სახელწოდბაც არის CAS (საგანგებო მიმღები ცენტრები), განთავსება ხდება მხოლოდ დროებით და იდენტიფიკაცია ხორციელდება პრეფექტურების მიერ, სტრუქტურის მდებარეობის მიხედვით ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ.

თავშესაფრის განაცხადის წარდგენის შემდეგ, პოლიციის სამმართველოს შეუძლია მიიღოს გადაწვეტილება განმცხადებლის მიღების ან დაკავების შესახებ.

## 4.1.6 რეპატრიაციის მუდმივ ცენტრებში (CPR) დაკავება

უცხოელი, რომელიც განცხადებას აკეთებს საერთაშორისო დაცვაზე შეიძლება დაკავებულ იქნას, თუ :

- ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული (დანაშაულები მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულები, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები);
- მის მიმართ არის გაცემული გაძევების განკარგულება, რადგან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი წესრიგს, სახელმწიფო უსაფრთხოებას ან ტერორიზმის ან სოციალური საფრთხის თავიდან აცილების მიზეზების გამო;
- საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას;
- არსებობს გაქცევის საშიშროება.

თუ უცხოელი უკვე იმყოფება C.P.R.– ში, მიუხედავად შუამდგომლობისა საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის შეტანის შემთხვევაში, ის დარჩება პატიმრობის ქვეშ თუ განცხადება გაკეთებულ იქნა, მხოლოდ რეპატრიაციის პროცედურის შეფერხების ან აღკვეთის მიზნით.

დაკავების განკარგულების მოქმედების ვადები და შემდგომი ვადის გაგრძელება არის მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილება .

საერთაშორისო დაცვის განმცხადებლის დაკავება არ შეიძლება გაგრძელდეს მისი განცხადების განხილვისთვის აუცილებელ დროზე მეტ ხანს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

დაკავება შეიძლება მოხდეს ტერიტორიულ ცენტრებში იდენტიფიკაციის მიზნით, არა უმეტეს ოცდაათი დღისა ; ვინაობის დაუდგენლობის და უპირველეს ყოვლისა მოქალაქეობის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, დაკავება შეიძლება გაგრძელდეს CPR– ში მაქსიმუმ 180 დღით.

დაკავება არის პირის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი საშუალება და, შესაბამისად, ნებართვა გაცემული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების მიერ, სამართლებრივი მოთხოვნების გადამოწმების შემდეგ.

სწორედ ამ მიზნით ადგილობრივი ცენტრის ზედამხედველი, გადასცემს საბუთების ასლს მაგისტრატ მოსამართლეს დაკავებიდან 48 საათში.

მოსამართლე წარუდგენს დასაბუთებულ მოთხოვნას საქმესთან დაკავშირებით, მომდევნო 48 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობა უნდა შეწყდეს. განხილვა ტარდება საკრებულოს პალატაში, დროულად გაფრთხილებული დამცველის აუცილებელი მონაწილეობით. თუ მოსამართლე ვერ დაადასტურებს დაკავების გადაწყვეტილებას, უცხოელი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

დაკავების მაქსიმალური ხანგრძლივობაა 6 თვე.

თუ უცხოელი იგზავნება დაკავების ცენტრში (CPR), მასზე გაიცემა არა ბინადრობის ნებართვა, არამედ სახელობითი/ნომინალური მოწმობა. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაკავების ვადის შეზღუდვას.

თუ რეპატრიაციის ცენტრებში ადგილი არ არის, არარეგულარული ემიგრანტების დაკავება ასევე შესაძლებელია სასაზღვრო სამსახურებში (მაგისტრატი მოსამართლის ნებართვით) რეპატრიაციამდე.

თუ უცხოელის მიმართ არ გამოიყენებენ დაკავების ზომას, მას შემდეგ, რაც განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო შეამოწმებს მას (საბჭოს N.343/2003 რეგლამენტის შესაბამისად და თითის ანაბეჭდების შედარებით EURODAC-ის სისტემაში), განმცხადებელს ეძლევა ჯერ სახელობითი/ნომინალური მოწმობა, მერე კი თავშესაფრის მოთხოვნის 3-თვიანი ნებართვა, რომელიც განახლებადია პროცედურის დასრულებამდე.

ამ ნებართვის მფლობელს შეუძლია, მოითხოვოს დროებითი ციფრული ფისკალური კოდი (ახალი პროცედურა ძალაშია შემოსავლების სააგენტოს 2016 წლის 26 ივლისის N.8 კომუნიკაციით) და დარეგისტრირდეს ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში. განმცხადებელს უფლება აქვს, მიიღოს

სამედიცინო მომსახურება და გათავისუფლდეს ხარჯებში თანამონაწილეობისგან. მას არ აქვს მუშაობის უფლება.

პირველი ნებართვის გაცემიდან 2 თვის შემდეგ, თუ პროცედურა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, უნდა გაიცეს 6-თვიანი ნებართვა, რომელიც იძლევა მუშაობის საშუალებას. ამ ნებართვას უნდა ჰქონდეს წარწერა ,,შრომითი საქმიანობა".

განმცხადებელს გადაადგილება შეუძლია პოლიციის პრეფექტის მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

**ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვის სამსახური**

უცხოელს, რომელიც არ განეკუთვნება დაკავების ან CAS-ს ცენტრებში განსათავსებელ პირთა კატეგორიას, გარანტირებული უნდა ჰქონდეს დაცვის სისტემაში მიღება.

**„დუბლინის შემთხვევები"**

თუ განმცხადებლის საქმე ექცევა N.343/2003 რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებს შორის, მას მიეცემა ,,დუბლინის კონვენციის" ერთთვიანი ნებართვა, რომლის განახლებაც შესაძლებელია შემოწმება/დადგენისა და სავარაუდო გადაყვანის პროცედურების დასრულებამდე.

## 4.2 განმცხადებელთან გასაუბრება

გასაუბრება არ არის სავალდებულო, მაგრამ განმცხადებელი ვალდებულია, გამოძახების დროს გამოცხადდეს გასაუბრებაზე. ტერიტორიულ კომისიას თავშესაფრის მაძიებელთან ინტერვიუს გარეშეც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, თუკი მიიჩნევს, რომ საკმარისი გარემოებები არსებობს საერთაშორისო დაცვის აღიარებისთვის. კომისია პოლიციის სამმართველოს აცნობებს მოსმენის/გასაუბრების თარიღს, რომელსაც ეს უკანასკნელი ატყობინებს განმცხადებელს ბინადრობის ნებართვაში მითითებულ საცხოვრებელ მისამართზე, ან იქ, სადაც იმყოფება (დაკავების ან განთავსების ცენტრში).

ბინადრობის ნებართვის განახლებისას მნიშვნელოვანია/სავალდებულოა მისამართის ჩასწორება.

თუ განმცხადებელი არ გამოცხადდება გასაუბრებაზე - და არც წინასწარ მოუთხოვია მისი გადავადება - განაცხადი განიხილება წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

**გასაუბრების გაცდენა - N.25/2008 საკანონმდებლო დადგენილების მე-12 მუხლი**

ინტერვიუ/გასაუბრების გაცდენა შესაძლებელია, თუ:

- წარმოდგენილი მიზეზები საკმარისია ლტოლვილის სტატუსის აღიარებაზე განაცხადის მისაღებად;
- საჯარო სამედიცინო მომსახურების დაწესებულების ან ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურთან აკრედიტებული კერძო ექიმის ცნობით დასტურდება, რომ განმცხადებელს არ აქვს პერსონალური ინტერვიუს/გასაუბრების უნარი, ან არ შეუძლია მასზე დასწრება;
- წარმოდგენილი მიზეზები საკმარისია სუბსიდიური დაცვის სტატუსის აღიარებისათვის.

**გასაუბრების გადავადება - N. 25/2008 საკანონმდებლო დადგენილების მე-12 მუხლი**

განმცხადებელთან ინტერვიუს/გასაუბრების გადავადება შესაძლებელია, თუ:

- საჯარო სამედიცინო მომსახურების დაწესებულების ან ჯანდაცვის ეროვნული სამსახურთან აკრედიტებული კერძო ექიმის ცნობით დასტურდება, რომ განმცხადებელს არ აქვს პერსონალური ინტერვიუს/გასაუბრების უნარი ან არ შეუძლია მასზე დასწრება;
- განმცხადებელს ეძლევა გადავადების საშუალება სერიოზული მიზეზების გამო.

**თანამშრომლობის პრინციპი**

''თუ დასაწყისში მტკიცების ტვირთი განმცხადებელს აკისრია, ყველა შესაბამისი ფაქტის დადგენისა და შეფასების ვალდებულებას განმცხადებელი და დამკვირვებელი ერთნაირად იზიარებენ. ამგვარად, ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტს/დამკვირვებელს უწევს მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენება, რათა სათანადო მტკიცებულებები წარმოაჩინოს თავშესაფრის განაცხადის მხარდასაჭერად'' (UNHCR Handbook, 196).

**შემმოწმებელი ორგანოს როლი**

- "ითანამშრომლოს იმ პირობების დადგენაში, რომლებიც უცხოელს მისცემს საერთაშორისო დაცვით სარგებლობის საშუალებას, და ამ მიზნით, უშუალოდ ოფისებიდან მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის იურიდიული სისტემისა და პოლიტიკურ მდგომარეობის გასაცნობად";
- "აქტიური და ინტეგრირებული როლი შეასრულოს განაცხადის განხილვა/შესწავლაში, იყოს დამოუკიდებელი ჩვეულებრივი სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების პრინციპებისგან და თავისუფალი პრეკლუზიისა და პროცედურული დაბრკოლებებისაგან, ვინაიდან ინფორმაციის მიღებისა და ყველა ხელმისაწვდომი დოკუმენტის მოპოვების შესაძლებლობა აქვს საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის მოთხოვნილი პირობების შესამოწმებლად" (საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2008 წლის 17 ნოემბერი, N. 27310).

**ეჭვის შეტანის ხელსაყრელობა** (N.251/2007 საკანონმდებლო დადგენილების მე-3 მუხლი)

მხარდამჭერ მტკიცებულებათა არარსებობის შემთხვევაში, უნდა დაიშვას ეჭვის შეტანის ხელსაყრელობა, თუკი:

- განმცხადებელმა ყველა გონივრული ძალისხმევა გამოიყენა განაცხადის დასაბუთებისათვის;
- წარმოდგენილია მის ხელთ არსებული შესაბამისი მტკიცებულებები და ადეკვატური არგუმენტაცია სხვა მნიშვნელოვანი ელემენტების არქონა/არარსებობაზე;
- განმცხადებლის განცხადებები/ინფორმაცია თანმიმდევრული და დამაჯერებელია და არ ეწინააღმდეგება მის საქმესთან დაკავშირებულ ზოგად და სპეციფიკურ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია;
- განმცხადებელმა პირველი შესაძლებლობისთანავე წარადგინა განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ (თუ არ დასტურდება, რომ მას ჰქონდა დაგვიანების გამამართლებელი მიზეზი);
- ჩატარებული მოკვლევების მიხედვით, განმცხადებელი, ზოგადად, საიმედოა;
- არასრულწლოვნის საიმედოობის შეფასებისას ასევე გათვალისწინებულია მისი სიმწიფე და პირადი განვითარების დონე.

**გასაუბრება**

- თავშესაფრის პროცედურის და განმცხადებლის უფლებების მარეგულირებელი წესების შეჯამება;
- განმცხადებლის პირადი მონაცემების შემოწმება;
- მოგზაურობის მოყოლა/აღწერა და ანალიზი;
- იმ კონტექსტის შესწავლა/გაცნობა, რომელშიც განმცხადებელი ცხოვრობდა: ოჯახური შემადგენლობა, სწავლის/განათლების დონე, რა სამუშაოს ასრულებდა;
- მიზეზები, რის გამოც განმცხადებელმა დატოვა თავისი ქვეყანა;
- განმცხადებლის შიში უკან დაბრუნების შემთხვევაში;
- კითხვა: ,,რამეს ხომ არ დაამატებთ?"
- ოქმის წაკითხვა.

**გასაუბრებაზე თანხლება**

- <u>გასაუბრებას არასრულწლოვანთან</u>: ატარებს სპეციალურად მომზადებული თანამშრომელი, მშობლის/მეურვის თანდასწრებით (2008 წლის საკანონმდებლო დადგენილება N.25, მუხლი 13, პუნქტი 3);
- <u>დამხმარე პერსონალი</u>: გამოყოფილია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის (2008 წლის საკანონმდებლო დადგენილება, N.25, მუხლი 13, პუნქტი 2);
- <u>წარმომადგენლობისა და იურიდიული დახმარების უფლება</u>: ადვოკატს აქვს სიტყვის უფლება მოსმენის/გასაუბრების დროს (2008 წლის საკანონმდებლო დადგენილება N.25, მუხლი 16).

**გამამყარებელი მასალა**

- პირადი მოგონებები;
- სამედიცინო შემოწმების დამადასტურებელი ცნობები;
- ფსიქოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობები;
- სამედიცინო-სამართლებრივი შემოწმების დამადასტურებელი ცნობები;
- სოციალური ურთიერთობები;
- კონკრეტული კონტექსტის ან/და სიტუაციის დამადასტურებელი ანგარიში/მოხსენება;
- პირდაპირი მტკიცებულებები.

განმცხადებლის მოწვევა/გამოძახება და განაცხადის განხილვა სავალდებულოა მისი შეტანიდან 30 დღის ვადაში, გადაწყვეტილების გამოტანა კი - მომდევნო 3 დღის განმავლობაში.

თუ განაცხადის საფუძველი აშკარაა, ან ის შეტანილია სოციალურად დაუცველი პირის მიერ, ანდა განმცხადებელი დაკავებულია, განაცხადი განიხილება პრიორიტეტული წესით.

## 4.2.1 განაცხადის ხელახალი განხილვა

განაცხადის განხილვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, შესაძლებელია ხელახალი განხილვის მოთხოვნა - მხოლოდ მაშინ, თუ მოპოვებულია ახალი ინფორმაცია ან დოკუმენტები, რომლებიც მანამდე ვერ მოიძებნა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ დაკავებულთათვის, მაინც შეიძლება ხელახალი განხილვის მოთხოვნა შესაბამისი კომისიისათვის, თუკი იგი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანი მტკიცებულებები არ განხილულა მათი მოგვიანებით მოპოვების გამო. ყველა შემთხვევაში საჭიროა საჩივრის შეტანა, რათა შესაძლებელი გახდეს იტალიაში დარჩენა.

## 4.2.2 საჩივარი

განმცხადებელს საჩივარი შეაქვს სასამართლოში. უფლებამოსილია იმ რეგიონის სააპელაციო სასამართლო, სადაც მდებარეობს განაცხადის შემსწავლელი ტერიტორიული კომისია.

სააპელაციო საჩივარი წყვეტს გაძევების  პროცედურას, მაგრამ უკანასკნელ ხანს მიღებული საკანონმდებლო-მარეგულირებელი ცვლილებები უამრავ გამონაკლისს ითვალისწინებს მათთვის, ვინც:

- უარყოფითი პასუხი მიიღო დანიშნულ ინტერვიუზე/გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის გამო;
- შეიტანა აშკარად საფუძველს მოკლებული განაცხადი;
- გაიგზავნა CARA-ს (ქვეყანაში არალეგალურად ყოფნის გამო) ან CIE-ს ცენტრებში;

საჩივრის შეტანის პარალელურად, მომჩივანს შეუძლია, სასამართლოს სთხოვოს გაძევების პროცედურის შეწყვეტა სერიოზული და საფუძვლიანი მიზეზების გამო.

საჩივარი უნდა იქნეს წარდგენილი, დაუშვებლობის პირობით, ტერიტორიული კომისიის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან 30 დღის განმავლობაში, ან შემცირებული 15 დღის ვადაში, თუ განაცხადი შემოწმდა ტერიტორიული კომისიის მიერ დაჩქარებული პროცედურის შესაბამისად, იმ განმცხადებლებისთვის  რომლებიც იმყოფებიან CPR ან CAS-ში.

გასაჩივრების შემდეგ, კანონი ითვალისწინებს თავშესაფრის მოთხოვნით ბინადრობის ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი დაკავებულია C.P.R.-ში

თუ მომჩივანს აქვს შემოსავლის რეკვიზიტები, შეუძლია მოითხოვოს უფასო იურიდიული დახმარება. შემოსავალის დადასტურება შეიძლება პირადი განცხადებითაც, დოკუმენტების წარდგენის გარეშე, რომლებიც, როგორც წესი, წარმოშობის ქვეყნის საელჩოს მოეთხოვება.

საჩივარის შეტანა შეიძლება სტატუსის გაუქმების ან შეწყვეტის შემთხვევაშიც.

- თავშესაფრის მაძიებელს შრომითი საქმიანობა შეუძლია დაცვის მოთხოვნის წარდგენიდან 60 დღის შემდეგ.(იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციის სამმართველო არ გასცემს თავშესაფრის მოთხოვნის ბინადრობის ნებართვას, საერთაშორისო დაცვის განაცხადის მიღებასთან ერთად, იგი მაინც გასცემს განცხადებას ოფიციალური ფორმით დამოწმებული ქვითრით, რომელიც წარმოადგენს დროებით ბინადრობის ნებართვას და რომელიც საშუალებას აძლევს გაფორმდეს სამუშაო ხელშეკრულება).
- მეორე განახლების დროს მას უფლება აქვს, მოთხოვოს 6-თვიანი ბინადრობის ნებართვა, წარწერით, რომ დოკუმენტი იძლევა მუშაობის უფლებას, თუმცა, არ შეიძლება მისი გადაკეთება/შეცვლა სამუშაო მოტივით გაცემულ ბინადრობის ნებართვად. ლტოლვილსა და ჰუმანიტარული დაცვის ბენეფიციარს შეუძლია, იმუშაოს,

დარეგისტრირდეს სამუშაოს მაძიებელთა რეესტრში და გაიაროს სასწავლო კურსები. შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მას არ მოეთხოვება ბინადრობის ხელშეკრულების ხელმოწერა, როგორც ეს მითითებულია მინისტრის 2005 წლის 25 ოქტომბრით ბრძანებით, რომელიც აზუსტებს იმიგრაციის სამსახურის ბიუროს მოვალეობებს;

- თავშესაფრის მაძიებელი, რომელსაც აქვს ბინადრობის ნებართვა და დროებითი ციფრული ფისკალური კოდი (ახალი პროცედურა ძალაში შევიდა შემოსავლების სააგენტოს 2016 წლის 26 ივლისის N.8 კომუნიკაციით), ვალდებულია, დარეგისტრირდეს ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში. ეს უფლებას აძლევს, ისარგებლოს უბნის ექიმისა და სპეციალისტი მედიკოსების მომსახურებით, ხარჯებში თანამონაწილეობის ანუ Tiket-ის გარეშე. ლტოლვილი და სუბსიდიური დაცვის ბენეფიციარი ვალდებულია, დარეგისტრირდეს ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში და ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით, ამ მომსახურების ხარჯებში თანამონაწილეობით.
- განმცხადებელს ეძლევა ბინადრობის ნებართვა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ იტალიის ტერიტორიაზე.
- ამრიგად, განმცხადებელი არ არის უფლებამოსილი გადაადგილდეს ან იცხოვროს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში და, როდესაც წევრ სახელმწიფოში იძებნება, ამ ტერიტორიაზე მოქმედი სხვა ბინადრობის ნებართვის გარეშე, გადაყვანილი იქნება იტალიაში.

  ამასთან, აუცილებელია მიმართვის გაკეთება იტალიის ტერიტორიაზე დასარჩენად.

### 4.2.3 სტატუსის გაუქმება და შეწყვეტა

სტატუსის გაუქმებისა და შეწყვეტის პროცედურებზე გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული კომისია, რომელიც რომში მდებარეობს.

<u>ლტოლვილის სტატუსი შეიძლება შეწყდეს</u>, თუ უცხოელმა:

- ნებაყოფლობით ხელახლა გამოიყენა იმ ქვეყნის დაცვა, რომლის მოქალაქეობაც აქვს;
- ნებაყოფლობით დაიბრუნა/აღიდგინა დაკარგული მოქალაქეობა;
- მიიღო იტალიის ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და სარგებლობს მისი დაცვით;
- ნებაყოფლობით დაბრუნდა საკუთარ ქვეყანაში, რომელიც დატოვა და არ ბრუნდებოდა დევნის შიშის გამო;
- აღარ შეუძლია უარის თქმა იმ ქვეყნის დაცვაზე, რომლის მოქალაქეც არის, ვინაიდან ლტოლვილის სტატუსის განმსაზღვრელი გარემოებები აღარ არსებობს;
- მოქალაქეობის არმქონე პირია და შეუძლია იმ ქვეყანაში დაბრუნება, სადაც მუდმივად ცხოვრობდა, რადგან მისი ლტოლვილის სტატუსის განმსაზღვრელი გარემოებები აღარ არსებობს.

უკანასკნელ ორ შემთხვევაში, გარემოებათა ცვლილებები უნდა იყოს იმდენად მყარი და საიმედო, რომ აღმოიფხვრას დევნის საფუძვლიანი შიში; ამასთან, არ უნდა არსებობდეს სერიოზული ჰუმანიტარული მიზეზები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებას.

<u>ლტოლვილის სტატუსის გაუქმება</u> შესაძლებელია ინდივიდუალურ საფუძველზე, თუ მისი აღიარების შემდეგ დადგინდა, რომ:

- არსებობს სტატუსის გაუქმების პირობები სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის რისკების შექმნის ან საშიშროების საფუძველზე;

- ლტოლვილის სტატუსის აღიარება განისაზღვრა ექსკლუზიურად არასწორად, შეცდომით წარმოდგენილი ფაქტებით, მათი გამოტოვებით, ან იმავე ფაქტების ცრუ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით;
- <u>სუბსიდიური დაცვის სტატუსის შეწყვეტა</u> შესაძლებელია, თუ სტატუსის განმსაზღვრელი გარემოებები აღარ არსებობს, ან იმდენად შეიცვალა, რომ დაცვა აღარ არის საჭირო. გარემოებათა ცვლილებები უნდა იყოს იმდენად მნიშვნელოვანი და მყარი, რომ სუბსიდიური დაცვის ბენეფიციარი აღარ დადგეს მე-14 თავში მითითებული სერიოზული ზიანის რისკის წინაშე; ასევე, არ უნდა არსებობდეს ჰუმანიტარული მიზეზები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებას.

<u>სუბსიდიური დაცვის სტატუსის გაუქმება</u> შესაძლებელია, თუ მისი აღიარების შემდეგ დადგინდა, რომ:

- არსებობს პროცედურაზე ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი მიზეზები;
- სუბსიდიური დაცვის  სტატუსი განისაზღვრა ექსკლუზიურად არასწორად, შეცდომით წარმოდგენილი ფაქტებით, მათი გამოტოვებით, ან იმავე ფაქტების ცრუ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ინფორმირებული უნდა იყოს პროცედურის მიმდინარეობის შესახებ და ჰქონდეს პერსონალური ინტერვიუს/გასაუბრების შესაძლებლობა.

## 4.3 ბინადრობის ნებართვა პოლიტიკური თავშესაფრის მოტივით

ლტოლვილის სტატუსის მფლობელისთვის პოლიციის სამმართველო გასცემს ნებართვას პოლიტიკური თავშესაფრის მოტივით.

ნებართვის პირველად გაცემისას პირს განაცხადი შეაქვს პოლიციის სამმართველოში. იგი ახლდება საფოსტო პროცედურის მეშვეობით.

ბინადრობის ნებართვა პოლიტიკური თავშესაფრის მოტივით:

- გაიცემა 5-წლიანი ვადით;
- ექვემდებარება განახლებას;
- იძლევა: სწავლის საშუალებას;
- შრომითი საქმიანობის  საშუალებას (სუბორდინაციული თუ თვითდასაქმებითი);
- საზოგადოებრივი საქმიანობის საშუალებას;
- ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში დარეგისტრირების საშუალებას;
- უფლებას INPS-ის სოციალური შეღავათებით სარგებლობაზე (“სოციალური დახმარება” და „შეზღუდულის შესაძლებლობების მქონე პირის პენსია”), ასევე, მუნიციპალიტეტთა მიერ ახალშობილებისთვის გაცემულ ეკონომიკურ დახმარებაზე.

*შენიშვნა: პოლიტიკური თავშესაფრის ბინადრობის ნებართვის მფლობელს შეუძლია განაცხადის შეტანა ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის  ნებართვაზე.*

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ უცხოელზე გაცემულ ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას შენიშვნების ველში უნდა ჰქონდეს წარწერა: ,,იტალიის მიერ აღიარებული საერთაშორისო დაცვა’’, შესაბამისი თარიღით.

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ვადის (5 წელი) გამოანგარიშება იწყება განაცხადის შეტანის დღიდან, რომლის საფუძველზეც მინიჭებულია საერთაშორისო დაცვა.

**სამგზავრო დოკუმენტი**

იტალიის სახელმწიფო ვალდებულია, ლტოლვილი უზრუნველყოს პასპორტის ტოლფასი დოკუმენტით.

**ოჯახის გაერთიანება**

თავშესაფრის ბინადრობის ნებართვის მფლობელს შეუძლია წარადგინოს განაცხადი ოჯახის გაერთიანებაზე, რათა მისი ოჯახის წევრებს მიეცეთ იტალიაში შემოსვლის საშუალება.

ამ სტატუსის მფლობელი არ არის ვალდებული, წარმოადგინოს საცხოვრებელი ადგილისა და შემოსავლის რეკვიზიტები, რაც სავალდებულოა სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისას.

თუ ოჯახის წევრები უკვე იტალიაში იმყოფებიან, ლეგალური ბინადრობის ნებართვის უქონლობის შემთხვევაშიც შეუძლიათ ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვაზე განაცხადის შეტანა (საფოსტო პროცედურის გავლით).

ოჯახის წევრებად ითვლებიან:

- მეუღლე;
- არასრულწლოვანი შვილები (ბიოლოგიური, ნაშვილები, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი), იმ პირობით, რომ არ უნდა იყვნენ ქორწინებაში და პოლიტიკური თავშესაფრის ბინადრობის ნებართვის მფლობელის კმაყოფაზე;
- სრული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სრულწლოვანი და კმაყოფაზე მყოფი შვილები;
- უკიდურესად გაჭირვებული მშობლები.

**იტალიის მოქალაქეობა**

ლტოლვილის სტატუსის მფლობელს უფლება აქვს, განახევრებულ ვადაში მოითხოვოს იტალიის მოქალაქეობა. აქედან გამომდინარე, ამ განაცხადის შეტანა შეუძლია იტალიაში 5-წლიანი ბინადრობის შემდეგ.

შენიშვნა: თავშესაფრის ბინადრობის ნებართვის გაცემა ან განახლება თავშესაფრის, თავშესაფარზე განაცხადის შეტანის, სუბსიდიური დაცვისა და ჰუმანიტარული მოტივით, გათავისუფლებულია იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გადასახადისგან.

## 4.4 ბინადრობის ნებართვა სუბსიდიური დაცვის მოტივით

“სუბსიდიური დაცვის სტატუსის” მფლობელისთვის პოლიციის სამმართველო გასცემს ნებართვას “სუბსიდიური დაცვის” მოტივით;

სუბსიდიური დაცვის ბინადრობის ნებართვა გაიცემა ყველა მათგანზე, ვისაც აქვს ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვა, გაცემული 2008 წლის 19 იანვრამდე.

ბინადრობის ნებართვა სუბსიდიური დაცვის მოტივით:

- გაიცემა 5-წლიანი ვადით;
- ექვემდებარება განახლებას, მას შემდეგ, რაც შემოწმდება, რომ ნებართვის გაცემის მიზეზები კვლავაც აქტუალურია;
- იძლევა: სწავლის საშუალებას;

- შრომითი საქმიანობის საშუალებას (სუბორდინაციული, თვითდასაქმებითი ან საზოგადოებრივი); და
- ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში დარეგისტრირების საშუალებას;
- უფლებას INPS-ის სოციალური შეღავათებით სარგებლობაზე ("სოციალური დახმარება" და "სამოქალაქო ქმედუუნარობის პენსია"), ასევე, მუნიციპალიტეტთა მიერ ახალშობილებისთვის გაცემულ ეკონომიკურ დახმარებაზე.

*შენიშვნა: სუბსიდიური დაცვის ბინადრობის ნებართვის მფლობელს შეუძლია განაცხადის შეტანა ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვაზე.*

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ უცხოელზე გაცემულ ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას შენიშვნების ველში უნდა ჰქონდეს წარწერა: ,,იტალიის მიერ აღიარებული საერთაშორისო დაცვა'', შესაბამისი თარიღით.

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის ვადის (5 წელი) გამოანგარიშება იწყება განაცხადის შეტანის დღიდან, რომლის საფუძველზეც მინიჭებულია საერთაშორისო დაცვა.

სუბსიდიური დაცვის ბინადრობის ნებართვა შეიძლება გადაკეთდეს/შეიცვალოს სამუშაო მიზნის ბინადრობის ნებართვად. გადაკეთების/შეცვლის დროს უარი უნდა ითქვას სუბსიდიური დაცვის სტატუსზე.

**სამგზავრო დოკუმენტი**

როდესაც არსებობს საფუძვლიანი მიზეზები, რომელთა გამოც სუბსიდიური დაცვის სტატუსის მფლობელი ვერ მოსთხოვს პასპორტს თავისი ქვეყნის (ვისი მოქალაქეობაც აქვს) დიპლომატიურ დაწესებულებას, უფლებამოსილი პოლიციის სამმართველო უცხოელისთვის გასცემს სამგზავრო დოკუმენტს.

**ოჯახის გაერთიანების უფლება**

სუბსიდიური დაცვის ბინადრობის ნებართვის მფლობელს შეუძლია განაცხადის წარდგენა ოჯახის გაერთიანებაზე, რათა მისი ოჯახის წევრებს მიეცეთ იტალიაში შემოსვლის საშუალება. იგი არ არის ვალდებული, წარმოადგინოს საცხოვრებელი ადგილისა და შემოსავლის რეკვიზიტები, რაც სავალდებულოა სხვა უცხოელი მოქალაქეებისთვის (საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998, 29-ე მუხლი).

ოჯახის წევრებად ითვლებიან:

- მეუღლე;
- არასრულწლოვანი შვილები (ბიოლოგიური, ნაშვილები, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი), იმ პირობით, რომ არ უნდა იყვნენ ქორწინებაში და სუბსიდიური დაცვის ბინადრობის ნებართვის მფლობელის კმაყოფაზე;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სრულწლოვანი და კმაყოფაზე მყოფი შვილები;
- უკიდურესად გაჭირვებული მშობლები.

*შენიშვნა: თავშესაფრის ბინადრობის ნებართვის გაცემა ან განახლება, თავშესაფარზე განაცხადის შეტანის, სუბსიდიური დაცვის და ჰუმანიტარული მოტივით, გათავისუფლებულია იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გადასახადისგან.*

## 4.5 ჰუმანიტარული მიზეზების გამო ბინადრობის ნებართვის გაუქმება და სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვა, რომელიც შეიძლება გაიცეს თავშესაფრის პროცედურის მიღმა.

ჰუმანიტარული დაცვა იყო დამატებითი დაცვის ფორმა ლტოლვილის სტატუსთან მიმართებაში (და შემდგომ უკვე სუბსიდიური დაცვა ),რათა დაიცვას ყველა, ვინც, მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობს საერთაშორისო დაცვის მიღებისათვის საჭირო რეკვიზიტებს (დევნა ან კონფლიქტის პირობებით გამოწვეული სერიოზული ზიანი წარმომავლობის ქვეყანაში), საჭიროებენ დაცვას იტალიის საკონსტიტუციო და საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე.

კანონი N.132/18 **- ით «გადაუდებელი დებულებები საერთაშორისო დაცვისა და ემიგრაციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადმინისტრაციის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებულობის და ფუნქციონირების ზომები, ჩამორთმეული ქონების დაბრუნებისთვის კრიმინალური დანაშაულის დროს. »აუქმებს დებულებას, რომელიც იძლეოდა დაბრუნების საშუალებას.

განკარგულების ძალაში შესვლის შემდეგ, შესაძლებელია გაიცეს ბინადრობის ნებართვა "განსაკუთრებული დაცვისთვის" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტერიტორიული კომისია თვლის, რომ არსებობს;

- დევნის რისკი მე-19 მუხლის, პირველი პუნქტი, კანონი N.286/98, სადაც ნათქვამია: „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განხორციელდეს გაძევება ან დაბრუნება ისეთ სახელმწიფოში, სადაც უცხოელი შეიძლება გახდეს დისკრიმანაციის ობიექტი რასის, სქესის, ენის ან სხვა მიზეზების გამო. მოქალაქეობა, რელიგია, პოლიტიკური შეხედულებები, პირადი ან სოციალური მდგომარეობა, ან შეიძლება საფრთხე შეექმნას ისეთ სახელმწიფოში დაბრუნების, რომელშიც იგი არ არის დაცული დისკრიმინაციისგან ";
- ან წამების რისკი მე-19 მუხლის , პირველი ქვეპუნქტი, კანონი N.286/98, რომელიც ადგენს, რომ "დაუშვებელია პირის უარყოფა ან გაძევება ან ექსტრადიცია ისეთ სახელმწიფოში, სადაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ იგი გახდება წამების ობიექტი. ამ მიზეზების შეფასებისას, მხედველობაში მიიღება აგრეთვე ამ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების სისტემატური და სერიოზული დარღვევების არსებობა ";
- ორივე შემთხვევაში - შესაძლებელია მოხდეს ისეთი სახელმწიფოსთვის გადაცემა, რომელიც ითვალისწინებს მსგავს დროს დაცვას.

** შენიშვნა: კანონი N.132/18 ამჟამად განიხილება მთავრობაში და განიხილება ევროპული სასამართლოები, რომლებისთვისაც ტექსტში მოცემული გარკვეული დებულებები შეიძლება ექვემდებარებოდეს მომავალ ცვლილებებს.

### 4.5.1 გარდამავალი დებულებები: ჰუმანიტარული მოტივით დაცვასთან დაკავშირებით

განკარგულება ითვალისწინებს, ინდივიდუალური სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, კონკრეტულ ჰუმანიტარული მოტივით გაცემულ ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებით რამდენიმე გარდამავალ წესს:

- 1. მათ ვისაც 5.10.18 - ში ჰქონდათ მოქმედი ბინადრობის ნებართვა ჰუმანიტარული მოტივით, ან ელოდებოდნენ განახლებას;
- 2. ისინი, ვინც 5.10.18 - ის შემდეგ წარადგინა განაცხადი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით..
- 3. ის, ვინც ელოდება ბინადრობის ნებართვის გაცემას ჰუმანიტარული მოტივით, ტერიტორიული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე , რომელიც მიღებულ იქნა 5.10.18 მდე.
- 4. მათ, ვისაც 5.10.18-ი წლისათვის განაცხადი შეტანილი ჰქონდათ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ კომისიის გადაწყვეტილება ან ელოდებოდნენ პასუხს კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ.

პირველი შემთხვევა:

მათთვის, ვინც ფლობს მოქმედ ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართას, ან ბინადრობის ნებართვის განახლების მოლოდინშია, ეს ნებართვა ძალაში შედის ვადის გასვლამდე.

ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელს, შეუძლია ეს ნებართვა (ვადის გასვლის ან ვადის გასვლამდე) გარდაქმნას სუბორდინაციულ ან თვითდასაქმებით სამუშაო ნებართვაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე აქვს ხელშეკრულება ან აკმაყოფილებს თვითდასაქმებით ბინადრობის ნებართვის მოთხოვნებს. აუცილებელი ასევე ჰქონდეს მოქმედი პასპორტი ან მსგავსი დოკუმენტი.

თუ ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის გარდაქმნა სამუშაო ბინადრობის ნებართვაში ვერ ხერხდება, ვადის ამოწურვის შემდეგ (ჰუმანიტარული მიზეზით ნებართვა), პოლიციის სამმართველო კონსულტაციებს გიავლის ტერიტორიულ კომისიასთან, რომელიც შეაფასებს დევნის ან წამების რისკის არსებობას. თუ ეს ასეა, ბინადრობის ნებართვა გაიცემა "სპეციალური დაცვისთვის", ერთ წლიანი მოქმედების ვადით, რომელიც იძლევა მუშაობის საშუალებას, მაგრამ ვერ შეძლებთ სამუშაო ნებართვად გადაკეთებას, თუნდაც სამუშაო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში. ვადის გასვლისთანავე," სპეციალური შემთხვევების" ბინადრობის ნებართვა შეიძლება განახლდეს, თუ კომისია შეაფასებს დევნის ან წამების რისკის არსებობას.

თუ კომისია შეაფასებს, რომ არ არსებობს დევნის ან წამების საფრთხე: პირი იღებს ბინადრობის ნებართვის მოთხოვნაზე უარს, თუ იგი არ გაასაჩივრებს მიღებულ უარს, იგი არალეგულურად მცხოვრები ხდება, გარდა იმ შემთვევისა თუ ის აკმაყოფილებს სხვა სახის ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის საჭირო კრიტერიუმებს.

მეორე შემთხვევა:

ვინც წარადგინა მოთხოვნა საერთაშორისო დაცვაზე 05.10.18 წლის შემდეგ, თუ ტერიტორიული კომიტეტი შეაფასებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დაცვის წინაპირობები არ არსებობს, სახეზეა დევნის ან წამების რისკი: გაიცემა ბინადრობის ნებართვა "განსაკუთრებული დაცვისთვის" რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში, საშუალებას გაძლევთ იმუშაოთ და მისი განახლება შესაძლებელია ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ კომისია შეაფასებს, რომ დევნის ან წამების რისკი სახეზეა.

არ შეიძლება შეიცვალოს სამუშაო უფლების ბინადრობის ნებართვით, თუნდაც მუდმივი სამუშაო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში.

თუ კომისია შეაფასებს, რომ არ არსებობს წამების ან დევნის საფრთხე, მაშინ იგი მიიღებს უარს, ამ ტიპის ბინადრობის ნებართვაზე.

მესამე შემთხვევა:

მათთვის, ვინც ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მიღებას ელოდება, ტერიტორიული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 5.10.18 - მდე სერიოზული ჰუმანიტარული მიზეზების არსებობის საფუძველზე, (თუნდაც ის ჯერ კიდევ არ არის ცნობილი), გაიცემა ბინადრობის ნებართვა "სპეციალურ შემთხვევებზე", რომელიც ძალაშია ორი წლის განმავლობაში. საშუალებას გაძლევთ იმუშაოთ, და ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლამდე შეცვალოთ ის სუბორდინაციული ან თვითდასაქმებით სამუშაოს ნებართვით, თუ დააკმაყოფილებთ ამ უკანასკნელის მოთხოვნებს.

„განსაკუთრებული შემთხვევებისთვის" ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლისას, თუ ნებართვა ვერ შეიცვლება სამუშაო ბინადრობის ნებართვით, პოლიციის სამმართველო კონსულტაციებს გიავლის ტერიტორიულ კომისიასთან, რომელიც შეაფასებს დევნის ან წამების რისკის არსებობას. თუ ეს ასეა, ბინადრობის ნებართვა გაიცემა "სპეციალური დაცვისთვის", ერთ წლიანი მოქმედების ვადით, რომელიც იძლევა მუშაობის საშუალებას, მაგრამ ვერ შეძლებთ სამუშაო ნებართვად გადაკეთებას, თუნდაც სამუშაო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში. ვადის გასვლისთანავე, სპეციალური შემთხვევების ბინადრობის ნებართვა შეიძლება განახლდეს, თუ კომისია შეაფასებს დევნის ან წამების რისკის არსებობას.

თუ კომისია შეაფასებს, რომ არ არსებობს დევნის ან წამების საფრთხე: პირი იღებს ბინადრობის ნებართვის მოთხოვნაზე უარს.

მეოთხე შემთხვევა:

ვინც წარადგინა მოთხოვნა საერთაშორისო დაცვაზე 05.10.18 წლისათვის, მაგრამ ჯერ არ მიუღია კომისიის გადაწყვეტილება ან ელოდება პასუხს კომისიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე, იმ შემთხვევაში, თუ ჰუმანიტარული დაცვა აღიარებულია, გაიცემა ბინადრობის ნებართვა სპეციალური შემთხვევისათვის, რომელსაც ექნება ორ წლიანი ვადა და იძლევა მუშაობის საშუალებას, ასევე ბინადრობის ნებართვის შეცვლის საშუალებას სამუშაო ბინადრობის ნებართით.

## 4.6 ბინადრობის ნებართვის ახალი ტიპები

განსაკუთრებული შემთხვევები

კანონი N.132/18 ადგენს, რომ ბინადრობის ნებართვის ზოგიერთი ტიპი, რომელიც უკვე გათვალისწინებული კანონით N.286/98 ადრე გაცემული იყო ჩანაწერით ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვა, ახალი კანონის მიხედვით გაიცემა როგორც ბინადრობის ნებართვა განსაკუთრებული შემთხვევებისათვის.

აღინიშნება სპეციალური შემთხვევებით, ამ კატეგორიაში შედის უკვე გათვალისწინებული შემთხვევები ( სოციალური დაცვა ყოფილი 18-ე მუხლი TUI; ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ყოფილი 18-ე მუხლი Bis TUI, შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი, 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად TUI).

ბინადრობის ამგვარი ნებართვა გაიცემა პოლიციის კომისრის მიერ, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადების გარეშეც, კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ, მისი შემოთავაზების საფუძველზე ან კომპეტენტური მოსაზრების არსებობისას შესაბამისად. (თუნდაც იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადება იქნა წარდგენილი, ტერიტორიულ კომისიას შეუძლია პოლიციის სამმართველოს წარუდგინოს ტრეფიკინგის, მონობის ან სერიოზული ექსპლუატაციის არსებობის ის მტკიცებულბები, რომეთა მსხვერპლიც იყო თავშესაფრის მაძიებელი)

ქვემოთ მოცემულია ბინადრობის ნებართვის ტიპები, რომლებიც დადგენილია N. 132/18 კანონით, ჩანაწერით "სპეციალური შემთხვევები":

ბინადრობის ნებართვა სპეციალური დაცვის მოტივით. ის გაიცემა პოლიციის კომისრის მიერ ტერიტორიული კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, (2008 წლის 28 იანვრის, საკანონმდებლო დადგენილება N. 25, 32-ე მუხლის 3 პუნქტი):

"იმ შემთხვევებში, როდესაც საერთაშორისო დაცვაზე განაცხადი არ მიიღება და გამოიყენება გაძევების ღონისძიებების პირობები, 1998 წლის 25 ივლისს, N. 286 "საკანონმდებლო დადგენილების 19-ე მუხლის პირველი და 1.1 პუნქტების მიხედვით"

ამრიგად, იმ შემთხვევაში, როდესაც არ შეიძლება მოხდეს პირის იმ სახელმწიფოში გაძევება,სადაც შეიძლება მოხდეს მისი დისკრიმინაცია რასის, სქესის, ენის, მოქალაქეობის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, პირადი ან სოციალური მდგომარეობის გამო, ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის რომ ის შეიძლება გახდეს წამების მსხვერპლი, აგრეთვე ამ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების სისტემატური და სერიოზული დარღვევების არსებობის გათვალისწინებით.

ტერიტორიული კომისია, პოლიციის კომისარს გადასცემს დოკუმენტაციას ერთ წლიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე, რომელიც გაიცემა წარწერით "სპეციალური დაცვა", თუ ვერ განხორციელდება იმ სახელმწიფოში გადამისამართება , რომელიც ითვალისწინებს მსგავსს შემთხვევაში საერთაშორისო დაცვას.

ბინადრობის ნებართვა განახლებადია, ტერიტორიული კომისიის წინასწარი თანმობის შემთხვევაში, და იძლევა ასევე მუშაობის საშუალებას, თუმცა ვერ მოხდება მისი შეცვლა სამუშაო მოტივით გაცემულ ბინადრობის ნებართვით."

კომენტატორთა აზრით, იგი შეიძლება შეიცვალოს ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვით, რისთვისაც უნდა დააკმაყოფილოს 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, გ ქვეპუნქტით TUI) დადგენილი მოთხოვნები.

ბინადრობის ნებართა სოციალური დაცვის მოტივით არის 6 თვიანი და შეიძლება განახლდეს

ერთი წლის ვადით, ან სამართალწმოებისათვის საჭირო დროით.

წვდომას იძლება სამომხმარებო სერვისებზე და ასევე სწავლებაზე, აგრეთვე დასაქმების სიებში რეგისტრაცია და სუბორდინაციული სამუშაოს შესრულება. ვადის გასვლისას შესაძლებელია განახლდეს, თუ სახეზეა შრომითი ხელშეკრულება. შესაძლებელია ამ ტიპის ბინადრობის ნებართვის შეცვლა, სასწავლო ბინადრობის მოწმობით თუ პირი დარეგისტრირებულია მუდმივ სასწავლო კურსზე, ასევე შეიძლება შეიცვალოს სამუშაო ბინადრობის მოწმობით (როგორც ეს მითითებულია სახელმწიფო საბჭოს 2017 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებაში N.2021, ნაწილი III ) .

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ბინადრობის ნებართვა (პირველი მუხ. 18 bis)**

ეს ბინადრობის ნებართვა გაიცემა პოლიციის კომისრის მიერ, სასამართლო ორგანოს წინადადებით ან მისი დადებითი მოსაზრებით, იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციის ოპერაციების, გამოძიება ან სისხლის სამართლის პროცესები გარკვეული დანაშაულებისთვის, ან ანტი-ძალადობრივი ცენტრების სასარგებლო ჩარევის დროს, ტერიტორიული სოციალური სამსახურების მიერ, ან ძალადობის საწინააღმდეგო ცენტრების, ტერიტორიული სოციალური სამსახურების ან სოციალური სერვისების სასარგებლო ჩარევის დროს, დადგინდა, რომ ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად, ძალადობის ან ძალადობის ფაქტები ბოროტად ხორციელდება უცხო მოქალაქის მიმართ და ის კონკრეტული და ფაქტობრივი საფრთხის წინაშეა, ძალადობის თავიდან ასაცილებლად, წინასწარი გამოძიების ან საქმის წარმოების დროს გაკეთებული განცხადებების შედეგად.

ოჯახში ძალადობით ვგულისხმობთ ფიზიკურ ძალადობის ერთ ან რამდენიმე სისტემატიურ შემთხვევას , სერიოზულ ან არა ეპიზოდურ, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა ოჯახის ან სანათესაოში ახლო ადამიანებს შორის, თუ ის არის ქორწინებაში ან აქვს სერიოზული ურთიერთობა ვინმესთან. რომლებიც დაკავშირებულია ქორწინებასთან ან ემოციურ ურთიერთობასთან, მაშინაც კი, თუ ისინი არ ცხოვრობენ ერთად.

ამ შემთხვევაში გაიცემა ბინადრობის ნებართვა ერთი წლის ვადით და საშუალებას იძლევა სხვადასხვა მომსახურეობით და სასწავლო სერვისებით სარგებლობის , აგრეთვე რეესტრში რეგისტრაციით,სუბორდინაციულ ან თვითდასაქმებით სამუშაოს შესრულებას, ასაკის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ვადის გასვლის შემდეგ, ბინადრობის ნებართვა შეიძლება შეიცვალოს ბინადრობის ნებართვით, სუბორდინაციული ან თვითდასაქმებით მოტივით, ან სასწავლო მიზნით ბინადრობის ნებართვით, თუ მფლობელი ჩაირიცხა სწავლის მუდმივ კურსზე.

შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლთა ბინადრობის ნებართვა (მუხლი 22, მე -12 პუნქტი)

იგი გაიცემა პოლიციის კომისარის მიერ, რესპუბლიკის პროკურორის შეთავაზებით ან მისი დადებითი მოსაზრების შეთხვევაში :

- უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც შეიტანა საჩივარი და თანამშრომლობს დამსაქმებლის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებში, განსაკუთრებული შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევაში, საკანონმდებლო დადგენილება N.286/98, 22-ე მუხლი, 12 bis);
- იმ შემთხვევები, როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება სამს და ისინი არალეგალურად იმყოფებიან იტალიის ტერიტორიაზე;
- ან მათი ასაკი დასაქმებისათვის დაშვებულ ასაკზე ნაკლებია;
- ან ექვემდებარებიან განსაკუთრებული ექსპლუატაციის სხვა პირობებს (სისხლის სამართლის კოდექსის 603-ე მუხლი);

ბინადრობის ნებართვა გაიცემა ექვსი თვის ვადით და შეიძლება განახლდეს ერთი წლით ან უფრო დიდი ხნით, იმ დროით რაც საჭიროა სისხლის სამართლის დანაშაულის განსაზღვრისთვის, იგი საშუალებას იძლევა მუშაობის და ვადის გასვლის დროისთვის შეიძლება შეიცვალოს ბინადრობის ნებართვით სუბორდინაციულ ან თვითდასაქმებით მუშაობისთვის.

**სხვა ტიპის ბინადრობის ნებართვა**

ასევე N.113/18 საკანონმდებლო დადგენილების დამტკიცების შემდეგ შემოღებულ იქნა ბინადრობის ნებართვების კიდევ სხვა ახალი ტიპები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მცირე ნაწილისთვის ლეგალური ცხოვრება.

**ბინადრობის ნებართვა სამედიცინო მკურნალობისთის.**

გაიცემა იმ უცხოელებზე, რომლებიც ჯანმრთელობის რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან (კანონი N.19, პუნქტი 2, დ ქვეპუნქტი ), რომელთაც გადაცემაც სხვა სახემწიფოსთვის შეუძლებელია, რადგან იტალიიდან გაყვანამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას.

ბინადრობის ნებართვა "სამედიცინო მკურნალობისთვის" გაიცემა უცხოელებისთვის, რომლებიც იმყოფებიან ჯანმრთელობის განსაკუთრებით რთულ პირობებში, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, და მათმა გადაცემამ მშობლიურ ან საცხოვრებელ სახელწიფოში შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მათ. ეს ბინადრობის ნებართვა უნდა იქნას მოთხოვნილი პირდაპირ პოლიციის კომისარისგან, და განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ არ არის საჭირო.

ამ ტიპის ბინადრობის ნებართვის მოთხოვნა უნდა გაკეთდეს იტალიაში შესვლის დღიდან 8 სამუშაო დღის განმავლობაში, უშუალოდ იმ პოლიციის განყოფილებაში, სადაც ჩატარდება სამედიცინო მკურნალობა. მოთხოვნის წარდგენისთვის აუცილებელია ფლობდეთ ვიზას რომელიც გაცემულ იქნა სამედიცინო მკურნალობის მიზნის, იტალიის საელჩოს ან საკონსულოს მიერ წარმომავლობის ქვეყანაში.

ბინადრობის ნებართვა გაიცემა სამკურნალო სერთიფიკატში მითითებული საფუძვლიანი ვადით, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. მისი განახლება შესაძლებელია, სანამ სახეზე იქნება განსაკუთრებულად მძიმე ჯანმრთელობის პირობები; იგი ძალაშია მხოლოდ იტალიის ტერიტორიაზე, და არ იძლევა მუშაობის ნებართვას. ასვე შეუძლებალია მისი შეცვლა. (კომენტატორთა აზრით, იგი შეიძლება შეიცვალოს ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვით, რისთვისაც უნდა დააკმაყოფილოს 30-ე მუხლის პირველი პუნქტი, C-ე ქვეპუნქტით) დადგენილი მოთხოვნები.

*** დასაქმებასთან დაკვაშირებით, ASGI (იურიდიული საკითხების იურიდიული კვლევების ასოციაცია) ხაზს უსვამს, რომ კანონი არ განმარტავს, იძლევა თუ არა იგი დასაქმების საშუალებას, ისეთი სამსახური რომელიც არ ამძიმებს ჯანმრთელობის მდგომარეობას და ასევე არ განმარტავს თუ რამდენად შეიძლება გარდაიქმნას სამუშაო ნებართვად, თუმა აკრძალვის წესის არ არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ეს უფლება არსებობს, მაგრამ პოლიციის კომისარმა შესაძლოა უარი თქვას ბინადრობის ნებართვის შეცვლაზე."

**სტიქიური უბედურების მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვა ( მე-20-ე მუხლი, BIS)**

ბინადრობის ნებართვა "სტიქიური უბედურების გამო" გაიცემა, როდესაც "ის ქვეყანა, სადაც უცხოელი უნდა დაბრუნდეს, არის სტიქიური უბედურების და განსაკუთრებული საშიშროების ვითარებაში, რაც არ იძლევა უსაფრთხოდ დაბრუნის და იქ ცხოვრების საშუალებას. ".

ეს ბინადრობის ნებართვას უნდა იქნას მოთხოვნილი პირდაპირ პოლიციის კომისრისგან, საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის წარდგენის გარეშე. იგი ძალაშია ექვსი თვის განმავლობაში და შეიძლება განახლდეს ერთი წლის ვადით, ან სამართლებრივი პროცესებისთვის საჭირო მეტი დროით.

ის საშუალებას იძლევა წვდომა გქონდეთ სხვდასხვა მომსახურეობის სერვისებთან და უფლებას გაძლევთ ისწავლოთ, ასევე შესაძლებელია აღრიცხა დასაქმების სიებში და სუბორდინაციული სამუშაოს შესრულება. შეიძლება გაგრძელდეს ან განახლდეს, ვადის გასვლისას, სამუშაო ხელშეკრულების გაფორმებით. ის შეიძლება შეიცვალოს სასწავლო მიზნებისათვის ბინადრობის ნებართვით, თუ მფლობელი ჩაირიცხა სწავლის ინტენსიურ კურსზე და ასევე შეიძლება შეიცავლოს სამუშაო ბინადრობის ნებართვით.

**ბინადრობის ნებართვა განსაკუთრებული სამოქალაქო ღირებულების ქმედებისათვის. (მუხლი 42 )**

ამ ტიპის ბინადრობის ნებართვა გაიცემა პოლიციის კომისარის მიერ, შინაგან საქმეთა მინისტრის წინასწარი ნებართვით, კომპეტენტური პრეფექტის წინადადებით, ის უფლებამოსილია გასცეს სპეციალური ბინადრობის ნებართვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს საფუძველი, რომ უცხოელი საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისთვის და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის, მე -5 მუხლის მე -5 პუნქტის შესაბამისად.

ასეთ შემთხვევებში, პოლიციის კომისარი გასცემს ბინადრობის ნებართვას კონკრეტული სამოქალაქო ღირებულების მოქმედების განხორციელებისათვის, ორი წლის ვადით, ის განახლებადია და იძლევა როგორც სწავლის ასევე მუშაობის ნებართვას, და შეიძლება შეიცვალოს სუბორდინაციულ ან თვითდასაქმებით ბინადრობის ნებართვით .

შენიშვნა:

ყველა ამ ტიპის ბინადრობის ნებართვის მიღებაზე განმცხადებელი განთავისუფლებულია ადმინისტრაციული შესატანისაგან.

დავები დაკავშირებული შემდეგ საკითხებთან:

სოციალური დაცვის ნებართვების გაუქმება, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი, სტიქიურ უბედურების შემთხვევა, სამედიცინო მკურნალობა(ორსულობის ჩათვლით), გადაეცემათ სასამართლოებს განხილვისათვის 2017 წლის 17 თებერვალს, N. 13 (c.d. Minniti – Orlando) კანონის, მე-3 მუხლის პირველი d-bis პუნქტის მიხედვით.

N.132/18 ** ჩანართი საკანონმდებლო განკარგულების მე -4 მუხლში, 2015 წლის 18 აგვისტო, N.142, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების მიღებასთან დაკავშირებული წესების გათვალისწინებით, არის ერთი საერთო დებულება „ბინადრობის ნებართვა წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რესპუბლიკის პრეზიდენტის 2000 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულების პირველი ნაწილის პირველი პუნქტის„ გ “ქვეპუნქტის შესაბამისად. N.445 “

** შენიშვნა: კანონი ამჟამად განიხილება მთავრობაში და განიხილება ევროპული სასამართლოები, რომლებისთვისაც ტექსტში მოცემული გარკვეული დებულებები შეიძლება ექვემდებარებოდეს მომავალ ცვლილებებს.

## 4.7 ქვეყანაში მიღება და მიღების გადაწყვეტილების გაუქმება

N.142/2015 საკანონმდებლო დადგენილების I თავის თანახმად, გამოცემულია განკარგულებები ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 2013/33 დირექტივის ამოქმედების შესახებ, რომელიც ეხება ,,საერთაშორისო დაცვის მაძიებელ უცხოელთა მიღება/განთავსების ნორმებს.

ზოგადად, უნდა განიმარტოს: N.142/2015 საკანონმდებლო დადგენილების მე-8 მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა მიღების/უზრუნველყოფის სისტემა ორ ძირითად ფაზაზეა აგებული: (1) პირველადი მიღების ფაზა, რომელიც ხორციელდება “პირველადი მიღების სახელმწიფო ცენტრებსა” (მე-9 მუხლის მიხედვით) და „პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრებში“, და (2) შემდეგი ფაზა, რომელსაც პირი გადის “მიმღები სისტემის ტერიტორიულ სტრუქტურებში (SPRAR)”, მე-14 მუხლის მიხედვით.

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და ძალიან მოკლე ვადით, რომელიც სჭირდება მაძიებლის გადაყვანას SPRAR-ის რომელიმე სტრუქტურაში, თვშესაფრის მაძიებელი შეიძლება მიიღონ ,,პირველადი მიღების დროებით სტრუქტურებში'' (მე-11 მუხლის მიხედვით), ან ,,საგანგებო მიღების ცენტრებში (CAS)”.

რაც შეეხება მიღების სისტემას, კანონი 132/18 არსებითი რეფორმა SPRAR- ს, რომელიც ეხება მხოლოდ მათ, ვინც უკვე მოიპოვა საერთაშორისო დაცვა და თანმხლები პირების გარეშე მყოფ არასრულწლოვან უცხოელებს, როგორც ჩანაცვლებულ იქნა მიმდინარე სახელწოდება ”თავდაცვის სისტემისა თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილთათვის” , ” თავდაცვის სიტემა საერთაშორისო დაცვის მფლობელებისთვის და თანმხლები პირების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი უცხოელებსათვის“ სახელწოდებით.

თავშესაფრის მაძიებლები, განთავსდებიან  პირველი მიღების სამთავრობო ცენტრებში, ან, საგანგებო სიტუაციის დროს, სპეციალურად შექმნილ დროებით სტრუქტურებში, მას შემდეგ რაც შეფასდება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა,  რათა დადგინდეს კონკრეტული საჭიროებების უზრუნველყოფის საშუალება. განმცხადებელმა მიღებისათვის საჭირო მომსახურეობის მისაღებად, განაცხადის წარდგენის დროს უნდა განაცხადოს, რომ მას არ გააჩნია არანაირი საარსებო წყარო.

თავშესაფრის მაძიებელს არ შეუძლია წვდომა ჰქონდეს  შრომის ბაზართან  განაცხადის წარდგენიდან 60 დღის განმავლობაში, თუ განცახდების განხილვის პროცედურა არ არის დასრულებული  და თუ შეფერხება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას განმცხადებლის სასარგებლოდ, კანონის განკარგულებამ გააუქმა შესაძლებლობა, განმცხადებელი  დასწრებოდა პროფესიული მომზადების კურსებს, რაც გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ორგანოების პროგრამებით, რომელთაც

რაც შეეხება გარდამავალ ფაზას, გათვალისწინებულია, რომ SPRAR– ში წარმოდგენილი თავშესაფრის მაძიებლები მათი  ძალაში შესვლის თარიღიდან რჩებიან მისაღებ პუნქტში მიმდინარე დაფინანსებული პროექტის დასრულებამდე.

ჰუმანიტარული დაცვის მფლობელები, რომლებიც იმყოფებიან SPRAR– ში, რჩებიან მისაღები სისტემის ქვეშ, იგივე დაცვის სისტემის მოქმედების შესახებ განხორციელებული დებულებებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე და ნებისმიერ შემთხვევაში, არა უგვიანეს მიმღები სისტემის მიერ განხოციელებული პროექტის ვადის გასვლამდე.

უცხოელის მიღების ყველა შემთხვევის დროს გამოიყენება სისტემა, რომელიც, მინიმალურ ეკონომიკურ დახმარებასაც ითვალისწინებს უცხოელისთვის. თავშესაფრის მაძიებელს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამოეყოს ე.წ. ჯიბის ფული (Pocket money), რომელიც გამიზნულია პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

**მიღების გადაწყვეტილების გაუქმება**

ამონარიდები ევროკავშირის 2013/32 EU დირექტივის მე-20 მუხლიდან:

1. “წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, შეამცირონ ან, სათანადოდ არგუმენტირებულ გამონაკლის შემთხვევებში, გააუქმონ  მიღების მატერიალური პირობები, თუკი მაძიებელი:

- ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრულ საცხოვრებელ ადგილს დატოვებს ამ ორგანოს ინფორმირების ან, საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე;
- ბ) ეწინააღმდეგება უფლებამოსილი ორგანოების წინაშე გამოცხადების ვალდებულებას, ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნას, ან ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილ გონივრულ ვადაში ინტერვიუზე/გასაუბრებაზე მისვლას (რომელიც ეხება თავშესაფრის პროცედურას);
- გ) წარადგენს განმეორებით განცხადებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის 2013/32 EU დირექტივის მე-2 მუხლის q პუნქტით.
- (ა) და (ბ)  პუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით, თუ მაძიებელი მოიძებნა, ან ნებაყოფლობით წარდგა უფლებამოსილი ორგანოს წინაშე, მიიღება სათანადოდ მოტივირებული გადაწყვეტილება - გაუჩინარების მიზეზებზე დაყრდნობით და მთლიანად ან ნაწილობრივ  გაუქმებული მატერიალური პირობების  აღდგენით.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიღების მატერიალური პირობების შემცირება, თუ გაარკვევენ, რომ მაძიებელმა, ყოველგვარი გამამართლებელი მიზეზის გარეშე, პირველივე გონივრული/ პრაქტიკული შესაძლებლობისთანავე არ წარადგინა საერთაშორისო დაცვის განაცხადი რომელიმე წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიღების მატერიალური პირობების შემცირება ან გაუქმება, თუ მაძიებელი დამალავს ფინანსურ რესურსებს და, ამგვარად, ზედმეტად/გაუმართლებლად სარგებლობს ამ პირობებით.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მკაცრი საჯარიმო სანქციების გამოყენება მიღების ცენტრის წესების სერიოზული დარღვევებისა და უხეში ძალადობრივი ქცევის შემთხვევებში.

5. წინამდებარე მუხლის 1, 2, 3 და 4 პუნქტებში გათვალისწინებული მიღების მატერიალური პირობების შემცირების/გაუქმების ან საჯარიმო სანქციების დაწესების გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ინდივიდუალურ ჭრილში, ობიექტურად, მიუკერძოებლად და დასაბუთებულად.

გადაწყვეტილებები მიიღება კონკრეტული პირის განსაკუთრებული მდგომარეობის მიხედვით - მითუმეტეს, როცა საქმე ეხება 21-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს - და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. წევრი სახელმწიფოები ნებისმიერ გარემოებაში უზრუნველყოფენ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას (მე-19 მუხლის შესაბამისად) და ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებს თავშესაფრის ყველა მაძიებლისათვის.

6. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მიღების მატერიალური პირობები არ შემცირდეს ან გაუქმდეს მე-5 პარაგრაფის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებამდე".

ევროკავშირის წესები ითვალისწინებს მიღების ზომების შემცირებას ან გაუქმებას შემდეგ შემთხვევებში:

- მიმღები/მასპინძელი სტრუქტურის ნებაყოფლობითი დატოვება და დაპატიმრება, ცხელი წერტილების ჩათვლით (მუხლი 20, პუნქტი 1(a), რაც მითითებულია ქვემოთ);
- პროცედურისადმი ინტერესის არარსებობა (მუხლი 20, პუნქტები 1(b) და 2);
- განმეორებითი განაცხადის წარდგენა (მუხლი 20, პუნქტი 1(c));
- სუბსიდიური რესურსების დაუფლების თაღლითური სურვილი, იმ ფინანსური რესურსების გარდა, რაც ეძლევა და საკმარისია საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და, ამ დირექტივის თანახმად, ერთგვაროვანი უნდა გახდეს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე (მუხლი 20, პუნქტი 3);
- სუბიექტური ქმედებები (მუხლი 20, პუნქტები 4 და 5).

ევროკავშირის წესების წაკითხვისას ნათელი ხდება, რომ სანქციების გრადაცია (რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვაგვარი შემცირებით ან, გამონაკლის შემთხვევებში - გაუქმებით) რეაგირება/პასუხია სამართლიანობის ძირითად პრინციპზე; ამასთანავე, ის გამომდინარეობს სადავო ფაქტორების პროპორციული ზომების მიღების საჭიროებიდან, რადგან მხოლოდ სადავო ფაქტის სერიოზულობის/სიმძიმის შეფასების შემდეგ არის შესაძლებელი კონკრეტული ქცევის შესაფერისი პროპორციული სანქციის გამოყენება.

იტალიის სამართლებრივ სისტემაში N.142/2015 საკანონმდებლო დადგენილების თანახმად, ევროკავშირის 2013/33 EU დირექტივის განხორციელება ექსკლუზიურად ითვალისწინებდა მიღების გაუქმებას, რომლის პირობებიც მოდულირებული იყო საერთაშორისო დაცვის აპლიკანტის განთავსების ცენტრის მიხედვით; გარდა ამისა, იტალიამ გამოიყენა ევროკავშირის 2013/33 EU დირექტივის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტით წევრი სახელმწიფოებისათვის მინიჭებული დაჯარიმების უფლება ,,მიღების ცენტრთა წესების სერიოზული დარღვევებისა'' და ,,სერიოზული ძალადობრივი ქმედებების'' შემთხვევებში.

N.142/2015 საკანონმდებლო დადგენილების 23-ე მუხლის 1(e) პუნქტის თანახმად, პრეფექტს აქვს გაუქმების ზომების მიღების უფლება, თუკი თავშესაფრის მაძიებელი უხეშად ან განმეორებით დაარღვევს მიმღები სტრუქტურების წესებს და გამოავლენს სერიოზულ ძალადობრივ ქმედებებს.

ამდენად, სანქციების/ჯარიმების დაწესების პირობებია:

- ა) გარკვეული ქმედებები სტრუქტურის შიგნით;
- ბ) სტრუქტურის წესების უხეში დარღვევები;
- გ) მიმღები სტრუქტურის წესების უხეში და განმეორებითი დარღვევა;
- დ) თუ ფაქტი არ არის განმეორებითი, უნდა მიიჩნეოდეს უხეშ დარღვევად და "სერიოზულ ძალადობრივ ქმედებად".

მიღების სტრუქტურის წესების უხეშ დარღვევებზე უახლეს ადმინისტრაციულ სამართალმცოდნეობაში აღნიშნულია, რომ "გაუქმების ზომის გამოყენება შეიძლება მიღების

ცენტრის წესების არა მხოლოდ განმეორებითი დარღვევისას, არამედ მაშინაც, როცა ეს ერთი ფაქტი კვალიფიცირდება წესების "უხეშ დარღვევად".

დარღვევის სიმძიმის განსაზღვრა შესაძლებელია ფაქტის შედეგისა და რეზონანსის მიხედვითაც. პრეფექტს შეუძლია შეაფასოს ამ ფაქტის უარყოფითი გავლენაც ცენტრის სწორ და თანმიმდევრულ მართვაზე, თუკი ის რეაგირების გარეშე დარჩება (სახელმწიფო საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის განკარგულება N.47322016).

მიღების გაუქმება უნდა იყოს აუცილებელი და სათანადოდ მოტივირებული, ერთი მხრივ, ევროპელ კანონმდებელთა მიერ ამ თვალსაზრისით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული საკანონმდებლო ნორმების პრინციპების საფუძველზე.

**გაუქმების ბრძანების გასაჩივრება**

პრეფექტის ბრძანება მიღების გაუქმებაზე შეიძლება გასაჩივრდეს იმ რეგიონის ადმინისტრაციულ სასამართლოში, სადაც მდებარეობს თავშესაფრის მაძიებლის განთავსების ცენტრი.

ამგვარი სამართლებრივი უზრუნველყოფა მითითებულია N.142/15 საკანონმდებლო დადგენილების 23-ე მუხლის მე-5 პუნქტში, რომლის თანახმადაც ,,დაშვებულია მიღების გაუქმების ბრძანების გასაჩივრება უფლებამოსილ რეგიონალურ ადმინისტრაციულ სასამართლოში''.

საჩივრის წარდგენის ვადად განისაზღვრება 60 დღე პრეფექტის ბრძანების შეტყობინებიდან. ტერიტორიული უფლებამოსილება განისაზღვრება უფლებამოსილი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ, იმ პრეფექტურაში, რომელმაც გამოსცა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი.

## 4.7.1 SIPROIMI - საერთაშორისო დაცვის მფლობელთათვის და თანმხლები პირების გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი დაცვის სისტემა

2018 წლის 4 ოქტომბის, N.113 კანონი, რომელიც 2018 წლის 1 დეკემბერს გადაკეთდა N.132 -ე კანონით , უცვლის სახელწოდებას თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და თანმხლები პირთა გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვნების დაცვის სისტემას SPRAR -ს SIPROIMI -ის სახელწოდებით, რაც არის დაცვის სისტემა , საერთაშორისო დაცვის მფლობელთათვის და ასევე თანმხლებ პირთა გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვანთათვის.

დღეისათვის სისტემით სარგებლობა შესაძლებელია, საერთაშორისო დაცვის მფლობელთათვის და ასევე თანმხლებ პირთა გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვანთათვის. გარდა ამისა, ახალი მარეგულირებელი დებულება ითვალისწინებს, რომ SIPROIMI–ს ინტეგრირებულ სერვისებზე წვდომა შეუძლიათ ასევე შემდეგი ტიპის ბინადრობის ნებართვის მფლობელებს : ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლი, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ჯანმრთელობის მიზეზები, შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი, სტიქიური უბედურება, კონკრეტული სამოქალაქო ღირებულების საქციელი.

SIPROIMI - ის ქსელი

SIPROIMI დაცვის სისტემა შედგება ადგილობრივი ხელისუფლების ქსელისგან, რომლებიც ინტეგრირებული პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფენ, ეროვნულ ფონდში არსებული რესურსების ფარგლებში, თავშესაფრის პოლიტიკისა და მომსახურეობისთვის.

ტერიტორიულ დონეზე, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მესამე სექტორის რეალობის მხარდაჭერით, უნდა უზრუნველყოს ინტეგრირებული მიღება, რომელიც უფრე მეტია ვიდრე თავშესაფის ცენტერბში განთავსება, რაც უზრუნველყოფს დამატებითი ინფორმაციის მიცემას, დახმარებას, თანხლება, დახმარებას და ორიენტაციის ზომებს, სოციალურ-ეკონომური ინტეგრაციისთვის ცალკეული მიმართულების შემუშავება.

SIPROIMI-ის  დაცვის სისტემისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნებია:

- ხელმისაწვდომი რესურსების საზოგადოებრივი ხასიათი და  მიღების პოლიტიკურად პასუხისმგებელი ინსტიტუტები , შინაგან საქმეთა სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლება, მრავალმხრივი მმართველობის ლოგიკის შესაბამისად.
- ადგილობრივი ხელისუფლების ნებაყოფლობითი სურვილი მიიღონ მონაწილეობა არსებულ მიღების პროექტებში.
- დეცენტრალიზაცია ჩარევებისა  ინტეგრირებული მიღების დროს.
- ტერიტორიაზე ინიცირებული მმართველობა ეგრეთ წოდებული მმართველი ორგანოების, მესამე სექტორის სუბიექტები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩარევის რეალიზაციაში
- ადგილობრივი ქსელების პოპულარიზაცია და განვითარება; ყველა უწყების მონაწილეობით და პრივილეგირებული საუბრებით, დაცვისა და ინტეგრაციის ღონისძიებების წარმატებისთვის.

**ცენტრალიზებული სამსახური**

ცენტრალიზებული სამსახური შექმნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო თავისუფლებისა და ემიგრაციის დეპარტამენტის მიერ, რომლის მართვა კონვენციით დაევალა ANCI-ის (იტალიის მუნიციპალიტეტთა ეროვნული ასოციაცია). თავის მხრივ, ANCI საქმიანობისათვის ეყრდნობა Cittalia Foundation-ის ოპერატიულ მხარდაჭერას.

ცენტრალიზებული სამსახურის მოვალეობაა:

- საერთაშორისო დაცვის  მაძიებელთა და მფლობელთა ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის მონიტორინგი;
- საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა და მფლობელთა დასახმარებლად ადგილობრივ დონეზე განხორციელებული ოპერაციების მონაცემთა ბაზის შექმნა, შენარჩუნება და მუდმივი განახლება;
- ჩატარებულ ოპერაციებზე ინფორმაციის გავრცელება;
- ადგილობრივი ინსტიტუტების/ხელისუფლების ტექნიკური დახმარება, მათ შორის, მიღების მომსახურების გაწევა;
- თავშესაფრის მაძიებელთა სამთავრობო ცენტრებში განხორციელებული საინფორმაციო და საორიენტაციო მომსახურების მხარდაჭერა;
- ANCI-ს, როგორც ევროპის ლტოლვილთა ფონდის (ERF) დელეგირებული ორგანოს ხელშეწყობა უფლებამოსილების განხორციელებაში.

ცენტრალიზებული სამსახური კოორდინატორისა და კონსულტანტის როლსაც ასრულებს უცხოელთა მიღების სპეციალური სამსახურებისთვის, რომლებიც მოქმედებს დაცვის სისტემის ფარგლებში და განკუთვნილია ყველაზე მოწყვლადი კატეგორიებისთვის: თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები; უნარშეზღუდული პირები, თუნდაც დროებით; ინდივიდები, რომლებიც საჭიროებენ შინ მოვლას, სამედიცინო მომსახურებას ან სპეციალიზებულ და ხანგრძლივ ზრუნვას; მოხუცები; ასევე, წამებისა და ძალადობის მსხვერპლნი. ცენტრალიზებული სამსახური ზრუნავს ოპერატორთა ტრენინგებსა და გადამზადებაზეც.

**ადგილობრივი ხელისუფლება**

ადგილობრივი ხელისუფლება რომელიც წარმოადგენს SIPROIMI-ის ქსელის ნაწილს, განთავსებულია მთელი სახლმწიფოს ტერიტორიაზე და უზრუნველყოფენ ინტეგრირებულ მიღებას.

მიმღებ ცენტრში განთავსება, მანამ სანამ ადგილები არ არის ამოწურული, ხდება ცენტრალიზებული

სამსახურის მიერ ინდივიდუალური ტერიტორიული პროექტების ან მესამე მხარის (პრეფექტურების, პოლიციის სამმართველო, ასოციაციების) შეტყობინების საფუძველზე.

დაცვის სიტემის ყველა ტერიტორიული პროექტი, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ მიღებას , საცხოვრებლის მინიჭების გარდა ასევე უზრუნველყოს სოციალურ თანხლებას, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიის გაცნობას და ადგილობრივ სერვისებზე ეფექტურად წვდომას, მათ შორის სოციალურ და სამედიცინო დახმარებას.

გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყოს იტალიური ენის შესწალას და ზრდასრული განათლების მიღებას, სავალდებულო სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლაში ჩარიცხვას, აგრეთვე დამატებითი სამართლებრივი ინფორმაციის მიცემა საერთაშორისო დაცვის აღიარების წესისა და ბენეფიციართა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მათ სტატუსთან მიმართებაში. იმისთვის, რომ თითოეულმა პირმა მოახერხოს საკუთარი პიროვნების დამკვიდრება, SIPROIMI- ს ტერიტორიული პროექტები ინტეგრირებული სერვისების საშუალებით მიზნად ისახავს, ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ ჩართულობას. კერძოდ, შემუშავებულია ტრენინგი და პროფესიული გადამზადების კურსები მარტივი დასაქმებისთვის ხელშეწყობის მიზნით, ასევე სახლში მარტივად დაბრუნებისთვის სხვადასხვა ღონისძიებები.

## 4.8 დუბლინის რეგულაციები და წესები

დუბლინის რეგულაციის მიერ დადგენილი წესები განსაზღვრავს ევროკავშირის წევრ ქვეყანას, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის თავშესაფრის განაცხადის განხილვა. თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნებისა და სრულწლოვნებისთვის ეს წესები განსხვავდება.

### 4.8.1 თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები

ამ პირებთან მიმართებით გასათვალისწინებელია კანონიერად მობინადრე ნათესავების არსებობა ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში:

**ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში კანონიერად მობინადრე ნათესავები**

- თუ ხარ არასრულწლოვანი და თან არავინ გახლავს იტალიაში, მაგრამ ევროკავშირის სხვა სახელმწიფოში გყავს კანონიერად მობინადრე:
  - მამა ან დედა, ან სხვა ზრდასრული ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელია შენზე ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად;
  - ძმა ან და;
  - ბიძა, ან ბებია-ბაბუა, რომლებსაც შეუძლიათ შენზე მზრუნველობა,
  - მაშინ შენი თავშესაფრის განაცხადის განხილვაზე უფლებამოსილია ევროკავშირის აღნიშნული სახელმწიფო, თუკი ეს შენს საუკეთესო ინტერესებშიც შედის.

*მაგალითი: თუ თავშესაფრის განაცხადი შეიტანე იტალიაში და ამ ქვეყანაში იმყოფები, მაგრამ გყავს ძმა, რომელიც კანონიერად ცხოვრობს გერმანიაში სამუშაო მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, მაშინ შენი თავშესაფრის განაცხადი უნდა განიხილოს გერმანიამ და არა იტალიამ. ამდენად, უფლება გაქვს, გადაგიყვანონ გერმანიაში. იგივე შეიძლება ითქვას, როცა ბიძა გყავს გერმანიაში, მაგრამ უნდა შემოწმდეს, შეუძლია თუ არა შენზე ზრუნვა. თუ ძმა ან ბიძა არალეგალურად, ანუ ბინადრობის ნებართვის გარეშე ცხოვრობენ გერმანიაში, ან მხოლოდ ბიძაშვილი გყავს ამ ქვეყანაში, მაშინ შენი თავშესაფრის განაცხადი უნდა განიხილოს იტალიამ.*

თუ ზემოთ ჩამოთვლილი ნათესავები ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში ბინადრობენ, მაშინ სახელმწიფო, რომელმაც უნდა განიხილოს შენი განაცხადი თავშესაფარზე, განისაზღვრება შენი საუკეთესო ინტერესების საფუძველზე.

*მაგალითი: თუ შენმა დებმა და ძმებმა (ასევე არასრულწლოვნებმა) თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი შეიტანეს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში (ერთმანეთთან ახლო თარიღებით), მაშინ შენი განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელია ის სახელმწიფო, სადაც იმყოფება მათი უმრავლესობა, ან ყველაზე უფროსი მათ შორის (ისევ და ისევ, შენი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით).*

- თუ გსურს შეუერთდე/ჩახვიდე ევროპის სხვა ქვეყანაში მობინადრე ნათესავს, მნიშვნელოვანია, ამის შესახებ აცნობო შენს მეურვეს, რათა ნათესავთან წასვლის განაცხადი, ასევე, ნათესავი პირისა და ფაქტობრივი ნათესაური ურთიერთობების გადასამოწმებლად საჭირო ყველა ინფორმაცია გადაეცეს იტალიის პოლიციის უფლებამოსილ ორგანოს განაცხადის რეგისტრაციის/ოქმის შედგენის დროს.

**ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში კანონიერად მობინადრე ნათესავების არყოლა**

თუ ხარ არასრულწლოვანი, იტალიაში იმყოფები თანმხლების გარეშე და წინა პუნქტებში ჩამოთვლილი ნათესავებიდან არავინ გყავს კანონიერად მობინადრე ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში, თასვშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვაზე უფლებამოსილია ის სახელმწიფო, სადაც შეიტანე განაცხადი, როცა ეს შენს საუკეთესო ინტერესებშია.

ამდენად, თუ არალეგალურად შემოხვედი ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც შესაბამისმა ორგანოებმა თითის ანაბეჭდები აგიღეს, მაგრამ შემდეგ მოახერხე ევროკავშირის სხვა ქვეყანაში გადასვლა და თავშესაფრის განაცხადის შეტანა, მის განხილვაზე პასუხისმგებელია ის სახელმწიფო, რომელშიც იმყოფები (თუ ეს შენს საუკეთესო ინტერესებშია) და არა ქვეყანა, სადაც ანაბეჭდები აგიღეს.

თუ თავშესაფრის განაცხადი შეტანილი გაქვს ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში, მათგან განაცხადის განხილვა ევალება იმ სახელმწიფოს, რომელშიც იმყოფები.

*მაგალითი: თუ შესაბამისმა ორგანოებმა თითის ანაბეჭდები აგიღეს საბერძნეთში, შემდეგ შემოხვედი იტალიაში და შემოიტანე განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნით, მერე კი წახვედი საფრანგეთში, სადაც ხელახლა შეიტანე ასეთი განაცხადი, მაშინ მისი განხილვა საფრანგეთის უფლებამოსილებაა. ამდენად, აღარ შეგეძლება გადასვლა არც საბერძნეთში და არც იტალიაში.*

ზოგიერთი არასრულწლოვანი უარს აცხადებს იტალიის მიმღებ ცენტრებში განთავსებაზე და ცდილობს, ამ ქვეყნის შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლონ მისი პირადი მონაცემების დადგენა, რადგან ევროპის სხვა ქვეყანაში აპირებს გადასვლას, იდენტიფიკაციის შემთხვევაში კი მას იტალიაში დააბრუნებენ (ზრდასრულთა მსგავსად).

ხშირად, ზოგიერთი მათგანი თავს სრულწლოვნად წარუდგენს იტალიის პოლიციის ორგანოებს, რადგან ფიქრობს, რომ არასრულწლოვნების შემთხვევაში არსებობს მათთვის უარის თქმის -,,დაბლოკვის" - დიდი რისკი და ვეღარ შეძლებენ სხვა ევროპულ ქვეყანაში გადასვლას.

ამ დროს პირიქით: არასრულწლოვანთა მიმართ უფრო ხელსაყრელი ზომები გამოიყენება, ვიდრე ზრდასრულების შემთხვევაში.

თუ ზრდასრული არალეგალურად შემოვიდა იტალიაში და შემდეგ გადავიდა სხვა ქვეყანაში, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება იტალიაში დააბრუნონ, და ეს მაშინ, როცა თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც ასევე არალეგალურად შემოდის იტალიაში და შემდეგ სხვა ქვეყანაში შეაქვს თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი, არ აბრუნებენ უკან, თუნდაც იტალიაში ჰქონდეს აღებული თითის ანაბეჭდები. ეს იმიტომ, რომ მისი განაცხადის განხილვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, რომელშიც იმყოფება (თუ უკან დაბრუნება მის საუკეთესო ინტერესებში არ არის).

ზოგადად, მხოლოდ თავისი ნამდვილი ასაკის გაცხადებისას შეუძლია არასრულწლოვანს გარანტირებული უფლებების გამოყენება, როგორიცაა: გაძევებისგან დაცვა; მეურვის ყოლა;

მიმღებ სტრუქტურებში განთავსება, რომელთაც აქვთ სპეციალური სერვისები არასრულწლოვანთა დასახმარებლად; თავშესაფრისგან განსხვავებულ ბინადრობის ფორმაზე წვდომის უფლება (მაგ.: ,,არასრულწლოვნის" ბინადრობის ნებართვა, რომელიც მოქმედია 18 წლის ასაკის შესრულებამდე); და საერთოდ, იმ პრინციპის დაცვა, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნის ინტერესი ფუნდამენტური კრიტერიუმია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას.

ბუნებრივია, ასეთი ხელსაყრელი ზომები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ დადგინდება, რომ პიროვნება არასრულწლოვანია. შეგახსენებთ, რომ თუ მას არ აქვს მოქმედი პასპორტი ან პირადობის მოწმობა, საიდანაც ირკვევა მისი ასაკი, იტალიასა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში შეიძლება იდენტიფიცირდეს, როგორც სრულწლოვანი - სამედიცინო შემოწმების ან ასაკის დასადგენი სხვა პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ხშირად სრულიად არასანდოა.

## 4.8.2 სრულწლოვნები

თუ სრულწლოვანი ხარ და იმყოფები იტალიაში, მოქმედებს კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება შემდეგი თანამიმდევრობით (შენიშვნა: თუ პირველი კრიტერიუმი არ გამოიყენება, ითვალისწინებენ მეორეს, თუ არც მეორე მოქმედებს, მაშინ მიმართავენ მესამეს... და ა.შ. ევროკავშირის იმ ქვეყნის კრიტერიუმამდე, სადაც პირველად შემოვიდა):

**საერთაშორისო დაცვის მაძიებელი ან ბენეფიციარი ოჯახის წევრების ყოლა**

თუ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში იმყოფება შენი ოჯახის წევრი, რომელიც უკვე აღიარებულია საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარად, ან რომლის თავშესაფრის განაცხადიც განხილვის პროცესშია, სურვილის შემთხვევაში, შენს განაცხადს თავშესაფრის მოთხოვნაზე განიხილავს ეს სახელმწიფო.

ასეთ დროს წერილობით უნდა ჩამოაყალიბო, რომ სურვილი გაქვს, შენი განაცხადი განიხილოს ევროკავშირის სხვა სახელმწიფომ. ეს წერილი უნდა წარადგინო იტალიის პოლიციის ორგანოების მიერ შენი განაცხადის რეგისტრირების/ოქმის შედგენისას.

ოჯახის წევრებად ითვლებიან:

- მეუღლე, ასევე, პარტნიორი, რომელთანაც სტაბილური ურთიერთობა გაქვს (თუ დაინტერესებული სახელმწიფოს კანონი ან პრაქტიკა აიგივებს დე ფაქტო და დაქორწინებული წყვილების მდგომარეობას უცხოელ მოქალაქეებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ფარგლებში);
- არასრულწლოვანი შვილები, იმ პირობით, თუ არ არიან ქორწინებაში, განურჩევლად იმისა, კანონიერია, ბიოლოგიური თუ აყვანილი, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის განსაზღვრებით, რომლის მოქალაქეც ხარ.

*მაგალითი: თუ შენი არასრულწლოვანი შვილი, თავშესაფრის ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, ცხოვრობს შვედეთში, ან ცოლმა (რომელთანაც ქორწინებაში იყავი შენს ქვეყანაში) შვედეთში შეიტანა განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნაზე და ელოდება პასუხს, უფლება გაქვს, იტალიიდან (ან ევროკავშირის ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან) გადაგიყვანონ შვედეთში;*

თუ შენი ოჯახის წევრები თავშესაფრის განაცხადს შეიტანენ სხვადასხვა ქვეყანაში (ერთმანეთთან ახლო თარიღებით), განაცხადის განხილვაზე უფლებამოსილია ის სახელმწიფო, სადაც შენი ოჯახის წევრების უმრავლესობა ან ყველაზე უფროსი წევრი იმყოფება.

**ბინადრობის საბუთის ან ვიზის ფლობა**

თუ გაქვს ბინადრობის ნებართვა, რომელიც მოქმედია, ან ვადა გაუვიდა 2 წელზე ნაკლები ხნის წინ, თავშესაფრის განაცხადის განხილვის უფლებამოსილება აქვს მის გამცემ სახელმწიფოს;

თუ გაქვს ბინადრობის ნებართვა, რომელიც მოქმედია, ან 6 თვეზე ნაკლები ხნის წინ გაუვიდა ვადა, თავშესაფრის განაცხადის განხილვის უფლებამოსილება აქვს სახელმწიფოს, რომელმაც გასცა ვიზა, ან ნებართვა ვიზის გაცემაზე.

მაგალითი: თუ გაქვს ერთი წლის ვადაგასული ბინადრობის ნებართვა, ან 5 თვის ვადაგასული შემოსასვლელი ვიზა, გაცემული საფრანგეთის მიერ, მაშინ საფრანგეთმა უნდა განიხილოს შენი განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნაზე.

**ქვეყანაში არალეგალური შესვლა**

თუ გაირკვა, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად ხარ შემოსული მესამე ქვეყნიდან, მაშინ შენს განაცხადს თავშესაფრის მოთხოვნაზე განიხილავს ის ქვეყანა, სადაც პირველად შეხვედი არალეგალურად.

ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლა მოწმდება ბევრნაირი მეთოდით: მაგალითად, შესაბამისი ორგანოების მიერ აღებული თითის ანაბეჭდებით, გადაღებული ფოტოსურათით, ან პასპორტში ჩარტყმული შემოსასვლელი ვიზით.

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირველი სახელწიფოს პასუხისმგებლობა, სადაც არალეგალურად შემოხვედი, აღარ მოქმედებს მისი საზღვრის უკანონო გადაკვეთიდან 12 თვის შემდეგ.

თუ ვერ დგინდება ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე შენი შემოსვლის გარემოებები, ან ევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოში უკანონო შემოსვლიდან უკვე 12 თვეა გასული და გაირკვა, რომ თავშესაფრის მოთხოვნამდე 5 თვე მიყოლებით იცხოვრე (თუნდაც არალეგალურად) ევროკავშირის სხვა ქვეყანაში, მაშინ შენი განაცხადი თავშესაფარზე უნდა განიხილოს ამ ბოლო ქვეყანამ.

თუ 5 თვეზე მეტხანს იცხოვრე სხვადასხვა ქვეყანაში, თავშესაფრის მოთხოვნაზე შენი განცხადების განხილვა იმ სახელმწიფოს უფლებამოსილებაა, სადაც ბოლოს ცხოვრობდი.

ქვეყანაში ყოფნა დგინდება სხვადასხვა გზით: მაგალითად, საავადმყოფოების, ციხეების, დაკავების ცენტრების დოკუმენტაციები, ან გაძევების ბრძანებები, სულ მცირე, 5-თვიანი შუალედით.

*მაგალითი: თუ არალეგალურად შემოხვედი იტალიაში, სადაც შესაბამისმა ორგანოებმა თითის ანაბეჭდები აგიღეს, რის მერეც წახვედი გერმანიაში, ამ უკანასკნელს შეუძლია დაგაბრუნოს იტალიაში; მაგრამ თუ გერმანიაში იმყოფები იტალიაში შესვლის თარიღიდან 12 თვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის შესაბამისმა ორგანოებმა აგიღეს თითის ანაბეჭდები, უკვე აღარ შეუძლიათ შენი უკან დაბრუნება. ასეთ შემთხვევებში, ამასთანავე, როდესაც ვერ დგინდება შენი ევროპაში შემოსვლის გარემოებები, თუკი გაირკვევა, რომ თავშესაფრის მოთხოვნამდე გერმანიაში 5 თვე მაინც იცხოვრე მიყოლებით (თუნდაც არალეგალურად), მაშინ შენს განაცხადს თავშესაფარზე განიხილავს გერმანია.*

**ქვეყანაში უვიზოდ შესვლა და სატრანზიტო ტერიტორია**

თუ კანონიერად შემოხვედი ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში და ამისთვის ვიზა არ იყო საჭირო, ეს ქვეყანა უფლებამოსილია, განიხილოს შენი განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნაზე.

თუ თავშესაფარი მოითხოვე ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის აეროპორტის საერთაშორისო სატრანზიტო ტერიტორიაზე, მაშინ შენი განაცხადი უნდა განიხილოს ამ სახელმწიფომ.

## 4.8.3 გამონაკლისები

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მიუხედავად, გამოიყენება შემდეგი წესები:

- ა. თუ ევროკავშირის რომელიმე წევრ ქვეყანაში კანონიერად ბინადრობს შენი შვილი ან მშობელი და ორსულობის, მშობიარობის, მძიმე ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობების, ან ხანდაზმულობის გამო დამოკიდებული ხარ შვილის, ძმისა თუ მშობლის დახმარებაზე (რომლის გაწევაც მათ შეუძლიათ), ან თუ შვილი, ძმა ან მშობელი დამოკიდებულია შენს დახმარებაზე (რომლის გაწევაც შეგიძლია), გაქვთ გაერთიანების

უფლება. ასეთ შემთხვევაში, წერილობით უნდა ჩამოაყალიბო საკუთარი სურვილი თავშესაფრის განაცხადის რეგისტრაციისას.

- o მაგალითი: თუ ხარ ორსული, შენი ძმა კანონიერად ცხოვრობს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში სამუშაო მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის საფუძველზე და შეუძლია ყველანაირი დახმარების გაწევა შენთვის, უფლება გაქვს, ჩახვიდე მასთან და შენი განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნაზე განიხილოს შესაბამისმა ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ.

- ბ. ევროკავშირის სახელმწიფოს, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, არ არის უფლებამოსილი ან ვალდებული, განიხილოს შენი განაცხადი თავშესაფრის მოთხოვნაზე, მაინც შეუძლია გადაწყვიტოს მისი განხილვა; მაგალითად, თუ ამ სახელმწიფოში გყავს ნებისმიერი ტიპის ნათესავი, გაქვს კულტურული კავშირები, ან შეგექმნა ჰუმანიტარული მიზეზები (მაგ.: ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლის გამოც გიჭირს გადასვლა), როდესაც თავშესაფრის განაცხადს წარადგენ, შესაბამისი ორგანოების მხრიდან განაცხადის რეგისტრაციის/ოქმის შედგენის დროს მნიშვნელოვანია თითოეული ამ ფაქტორის აღნიშვნა;
- გ. თუ აქამდე ჩამოთვლილი არცერთი კრიტერიუმი არ მიესადაგება შენს შემთხვევას, თავშესაფრის მოთხოვნაზე განაცხადის განხილვა იქნება ევროკავშირის იმ ქვეყნის უფლებამოსილება, სადაც თავდაპირველად შეიტანე ეს განაცხადი;
- დ. არ შეიძლება მაძიებლის გადაყვანა/გადაცემა ევროკავშირის იმ ქვეყნისთვის, რომელიც, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, უფლებამოსილია განაცხადის განხილვაზე, მაგრამ საფუძვლიანი მიზეზები არსებობს ვარაუდისათვის, რომ სახელმწიფოში სისტემატური ხარვეზებია თავშესაფრის პროცედურასა და მიღების პირობების დაცვაში, რაც ქმნის არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საფრთხეს/რისკს.

ევროკავშირის ბოლო გადაწყვეტილებების, ასევე, წევრ სახელმწიფოთა შორის გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე, ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებს (ამჟამად ესენია: სირია, ერითრეა, ერაყი, ცენტრალური აფრიკა, ბაჰრეინი, იემენი და სვაზილენდის სამეფო, მაგრამ სია შეიძლება შეიცვალოს), რომელთაც იტალიაში ისურვეს თავშესაფრის განაცხადის შეტანა და იტალიის ან საბერძნეთის უფლებამოსილმა ორგანოებმა ჩაატარეს იდენტიფიცირების პროცედურა თითის ანაბეჭდების აღებით, იტალიიდან ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებისკენ გადაადგილების შესაძლებლობა აქვთ. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ამ უცხოელმა იტალიაში გაამჟღავნოს თავისი ეროვნება და, მინიჭებული უფლების თანახმად, ჩამოაყალიბოს/გამოხატოს, რომელ ევროპულ ქვეყანას ანიჭებს უპირატესობას; ასევე, უფლებამოსილი ორგანოების წარმომადგენლებს აცნობოს, თუკი ევროკავშირის სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ მისი ოჯახის წევრები.

ნებისმიერ შემთხვევაში, როცა შეგიძლია დაადასტურო, რომ ევროკავშირის რომელიმე ქვეყნიდან საკუთარი ნებით გახვედი, სულ მცირე, 3 თვით მაინც, ოღონდ ჯერ არ გაქვს ბინადრობის ნებართვა ან მოქმედი შემოსასვლელი ვიზა, ანდა ქვეყნიდან გახვედი შენ მიმართ გატარებული გაძევების ან რეპატრიაციის ზომების შედეგად და აპირებ განაცხადის შეტანას საერთაშორისო თავშესაფრის მოთხოვნაზე, ეს მიჩნეული იქნება ახალ განაცხადად საერთაშორისო დაცვაზე და დაიწყება პროცედურა, რომლითაც უნდა განისაზღვროს შენი განაცხადის განხილვაზე უფლებამოსილი ქვეყანა.

## 4.9 ბინადრობის ნებართვის გაცემის შემდეგ ევროკავშირის სხვა ქვეყანაში გადაადგილების შესაძლებლობა

**თავშესაფრის, სუბსიდიური დაცვისა და ჰუმანიტარული მიზეზებით გაცემული ბინადრობის ნებართვის მფლობელები**

თუ თავშესაფრის მოთხოვნის პროცედურის დასასრულს, იტალიის უფლებამოსილი ორგანოები შენს სახელზე გასცემენ თავშესაფრის (ლტოლვილის სტატუსი), სუბსიდიური დაცვის ან ჰუმანიტარული მიზეზებით ბინადრობის ნებართვას, შეგიძლია შეხვიდე და ლეგალურად დარჩე

ევროკავშირის სხვა ქვეყანაში, მაქსიმუმ, 3 თვით (ნებისმიერ შემთხვევაში, არაუმეტეს ბინადრობის ნებართვის მაქსიმალური ხანგრძლივობისა), თუკი:

- გაქვს შენი ქვეყნის პასპორტი ან  იტალიის რომელიმე პოლიციის სამმართველოს მიერ უცხოელი მოქალაქეებისთვის გაცემული სამგზავრო დოკუმენტი;
- შეგიძლია დაამტკიცო, რომ საკმარის ეკონომიკურ რესურსებს ფლობ მგზავრობისა (წასვლა-წამოსვლა) და საჭირო საარსებო საშუალებებისთვის ქვეყანაში ყოფნის პერიოდში;
- არ მიიჩნევი საშიშ პიროვნებად საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, ასევე, არ ხარ იმ ქვეყნის ,,შავ სიაში'', სადაც აპირებ წასვლას.

ასეთ დროს კანონიერად ყოფნა არ იძლევა სხვა ევროპულ ქვეყნებში შრომითი საქმიანობის უფლებას და, გაძევების ნებისმიერ შემთხვევაში, იტალიაში დაგაბრუნებენ.

**ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელები**

თუ მიღებული გაქვს თავშესაფრის ან სუბსიდიური დაცვის ბინადრობის ნებართვა და აკმაყოფილებ მთელ რიგ მოთხოვნებს, როგორიცაა შემოსავლის დამადასტურებელი საბუთი, სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობა და ა.შ., 5-წლიანი რეგულარული ბინადრობის შემდეგ, შეგიძლია მიიღო ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა.

როცა ფლობ იტალიაში გაცემულ ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვას, შეგიძლია ევროკავშირის სხვა ქვეყანაში შეხვიდე და 3 თვეზე მეტ ხანს დარჩე დასაქმების, სწავლის, ან სხვა მოტივით, თუკი აღნიშნული სახელმწიფოს საკანონმდებლო ნორმები და პოლიტიკა  ამის საშუალებას გაძლევს (მაგ.: ზოგიერთ  ევროპულ ქვეყანას დაწესებული აქვს კვოტები სხვა ქვეყნის მიერ გაცემული ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელთათვის).

## 4.10 იურიდიული მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე

იტალიის კონსტიტუცია სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს, როგორც თითოეული ადამიანის ფუნდამენტურ და ხელშეუხებელ უფლებას, რომელსაც უნდა ჰქონდეს სასამართლოსთან ურთიერთობის საშუალება და შეეძლოს, პროცესზე ჰყავდეს გამოცდილი დამცველი, "სამართლიანი სასამართლოს" პრინციპის დაცვით.

თავად საკონსტიტუციო სასამართლომ N.98/1984 დადგენილებით დაადასტურა, რომ ამ უფლებას ,,ფუნდამენტური ღირებულება აქვს, და ვინაიდან ის გულისხმობს ადამიანის დაცვას, განიხილება ადამიანის ხელშეუხებელ უფლებათა შორის. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მისი დაქვემდებარება ნებისმიერი სხვა მოთხოვნისადმი''.

ისევე როგორც ყველა ფუნდამენტური და კონსტიტუციის 24-ე მუხლით განსაზღვრული უფლება, სამართლებრივი დაცვა აღიარებული და გარანტირებული უნდა იყოს თითოეული ადამიანისათვის, განურჩევლად მისი მოქალაქეობისა და სამართლებრივი სტატუსისა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ N.198/2000 დადგენილებით დაადასტურა, რომ ,,უცხოელი მოქალაქე (არალეგალურად მობინადრეც) სარგებლობს ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლებით, მათ შორის, დაცვითაც. ამ უფლების ფაქტობრივი განხორციელება გულისხმობს, რომ პირს, რომელსაც კონკრეტული ბრძანების საფუძველზე სხვადასხვა ფორმით შეეზღუდა თვითგამორკვევის თავისუფლება, შეძლოს მისი შინაარსის და მნიშვნელობის გაგება."

ამ უფლებიდან გამომდინარე ,,ვისაც არა აქვს შესაძლებლობა, მათი დაცვის საშუალებები ნებისმიერი იურისდიქციის წინაშე გარანტირებულია შესაბამისი ინსტიტუტების მეშვეობით". ამდენად, გარანტირებულია „სამართლებრივი დაცვის უფლება და სოციალური დაცვის უფლება იმ სუბიექტებისთვის, ვისაც საკმარისი ეკონომიკური რესურსები არ გააჩნია." კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამართლებრივი განვითარებისა და სოციალური სოლიდარობის ნორმა იყო, კარგა ხანს არ მოქმედებდა.

საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა იურიდიული დახმარების კონკრეტული გარანტია ააქტიურებს/აამოქმედებს კიდევ ერთ კონსტიტუციურ პრინციპს - თავშესაფრის უფლებას იტალიის ტერიტორიაზე, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით: ,,უცხოელს, რომელსაც თავის ქვეყანაში ეკრძალება იტალიის კონსტიტუციით გარანტირებული დემოკრატიული თავისუფლებების ფაქტობრივი განხორციელება, იტალიის ტერიტორიაზე აქვს თავშესაფრის უფლება კანონით გათვალისწინებული პირობებით''. ფაქტობრივად, თავშესაფრის უფლება, რომელიც ინდივიდუალურია, სრულყოფილად ხორციელდება არა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან შემოწმების ან მოსამართლის მიერ რომელიმე საჩივრის განხილვის დროს, არამედ მაშინ, როდესაც ირკვევა მისი წინაპირობა და საფუძველი. ამ მოტივით, თავშესაფრის მაძიებელნი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მოცემული სამართლებრივი სიტუაციისათვის შესაფერისი ყველა სამართლებრივი გარანტიით.

შენიშვნა:

კანონით N. 132/18 **, d.P.R. 115/2002-ის ტექსტში შედის შემდეგი ცვლილება სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით, მუხლი 130- bis (L) (სამოქალაქო სამართალწარმოებაში ადვოკატისა და ტექნიკური კონსულტანტის კომპენსაციის გამორიცხვა) მოხდეს დამცველისა და ტექნიკური კონსულტანტისთვის კომპენსაციის გამორიცხვა საქმის იმ ნაწილზე, რომელიც სახემწიფო პატრონაჟში იქნა მიღებული, სახელმწიფოს ხარჯზე, როდესაც გასაჩივრება, თუნდაც შემთხვევითი, გამოცხადდა დაუშვებლად.

დაუშვებლობა ხდება მაშინ, როდესაც გასაჩივრებულია განაცხადი, რომელიც არ შეიძლება გასაჩივრდეს კანონით, ან როდესაც გასაჩივრება მოხდა საჩივრის წარდგენისთვის განკუთვნილი ვადის დარღვევით (ეს არ არის იგივე, რაც "უსაფუძვლობის მანიფესტაცია")

** შენიშვნა: კანონი N.132/18 ამჟამად განიხილება მთავრობაში და განიხილება ევროპული სასამართლოები, რომლებისთვისაც ტექსტში მოცემული გარკვეული დებულებები შეიძლება ექვემდებარებოდეს მომავალ ცვლილებებს.

## 4.11 თანმხლები პირის გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვნები

### 4.11.1 კანონი N.47/2017

უცხოელთა ევროპულ ქვეყნებში იმიგრაციის ფენომენი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. მიგრაციის ნაკადის tout court-ის შიგნით, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, ფეხი მოიკიდა უცხოელ არასრულწლოვანთა მიგრაციის ფენომენმა, რომელმაც, თავისი ევოლუციის გამო, დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა. სამართლებრივი თვალსაზრისით, ფენომენის კრიტიკულობა აშკარაა ეფექტიანი და დაუყოვნებელი პასუხების არარსებობის გამო. მის მიმართ კანონმდებელთა გამუდმებულმა ინტერესმა და ქვეყნების მხრიდან გამოხატულმა შეშფოთებამ ხელი შეუწყო მიზნობრივი ღონისძიებების გატარებას/მიღებას. კერძოდ, 2017 წლის 6 მაისს ძალაში შევიდა კანონი N.47/2017, გამოქვეყნებული ამავე წლის 21 აპრილის ოფიციალურ გაზეთში/ ბიულეტენში (N.93). მისი ყველაზე დიდი მომხრე იყო ჰუმანიტარული ასოციაცია Save The Children, რომლის ძირითად საქმიანობაც გაჭირვებაში მყოფ ბავშვებზე ზრუნვა და დახმარებაა. კანონის მეშვეობით, მნიშვნელოვანი სიახლეები დაინერგა და ამ საქმის ძირეული ორგანიზება დაიწყო.

კანონი N.47 ეხება უცხოელ არასრულწლოვნებს, რომლებიც არიან უკიდურესად დაუცველ/ მოწყვლად მდგომარეობაში ან თანმხლები პირის გარეშე და იტალიის სამართლებრივი სისტემა ამ ქვეყნის ან ევროკავშირის არასრულწლოვან მოქალაქეთა თანასწორად უზრუნველყოფს დაცვის უფლებით.

## 4.11.2 არასრულწლოვანი მიგრანტის განმარტება

თანმხლები პირის გარეშე მყოფ უცხოელ არასრულწლოვან მიგრანტად მიიჩნევა სუბიექტი, რომელსაც არა აქვს არც იტალიის და არც ევროკავშირის მოქალაქეობა, რაიმე მიზეზით იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ან ტერიტორიაზე, რომელიც სხვაგვარად ექვემდებარება იტალიის იურისდიქციას) და, იტალიის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ ახლავს ლეგალურად პასუხისმგებელი ან მზრუნველი პირი - არც მშობელი და არც სხვა სრულწლოვანი. ადრინდელი განმარტება, რომელიც შიდასამართლებრივმა სისტემამ ჩამოაყალიბა, მოცემული იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის N.535/99 დადგენილებაში, რომლის 1-ლი მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანი უცხოელი მიგრანტი იყო იტალიის ან ევროკავშირის სხვა ქვეყნის მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანი, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოკლებულია მასზე ლეგალურად პასუხისმგებელი ზრდასრული პირისა თუ მშობლების ზრუნვას და გვერდში დგომას.

ხსენებული განმარტება თანმხლები პირის გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვანი მიგრანტის კატეგორიაში მოიხსენებდა იმ არასრულწლოვნებსაც, რომლებიც სრულიად მარტონი არ იყვნენ, მაგრამ, ფორმალური პროცედურების საფუძველზე, მინდობილი ჰყავდათ სრულწლოვნებს, რომლებიც არც მეურვეები იყვნენ და არც ნდობით აღჭურვილი პირები.

ესენი არიან ბავშვები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში იმყოფებიან ერთგვარ უხილავ ზონაში, სადაც დოკუმენტაციის უქონლობა გავრცელებული და სტიგმატიზებულია. ასეთია ფორმალური ცნება. არსებითად კი ესენი არიან არასრულწლოვნები, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ არალეგალურად შემოვიდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, მინიჭებული აქვთ ბავშვის უფლებების კონვენციით (ნიუ იორკი, 1989) დადგენილი ყველა უფლება, რომელიც რატიფიცირებულია იტალიის მიერ და ძალაში შევიდა N.176/91 კანონით.

ამ ნორმატიულ წყაროებზე დაყრდნობით, არასრულწლოვნებზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, ამოსავალ პრინციპად უნდა განისაზღვროს მათი საუკეთესო ინტერესები, და თითოეული ასეთი პირის მიმართ იყოს დაცული ბავშვის უფლებები, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

## 4.11.3 უარის/უკან გაბრუნების აკრძალვა და მიღების ფორმები

კანონი, რომელიც გაჯერებულია დაცვის და არასრულწლოვნებზე ზრუნვის პრინციპებით, მე-3 მუხლით კრძალავს არასრულწლოვანთა უკან გაბრუნებას და მათთვის უარის თქმას, როგორც გათვალისწინებული იყო N.286/1998 ერთიანი საკანონმდებლო აქტის ყოფილი მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტით. მკაცრი გადაწყვეტილების საფუძველზე, მე-3 მუხლის 1 (a) პუნქტით ერთიან ტექსტს დაემატა პუნქტი რომელშიც გარკვევით წერია, რომ დაუშვებელია თანმხლები პირის გარეშე მყოფი უცხოელი არასრულწლოვნის უკან გაბრუნება საზღვრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ასეთი არასრულწლოვნის საზღვრიდან გაბრუნების აბსოლუტურ აკრძალვას; ერთადერთი გამონაკლისი დაიშვება საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დარღვევისას. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აკრძალვის მოხსნა, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს არასრულწლოვანს სერიოზულ ზიანს არ მიაყენებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არასრულწლოვანთა საკითხების სასამართლომ, არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში.

გაძევების და უკან გაბრუნების ვადები და პირობები მოითხოვს არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას, რაც ნიშნავს ბავშვის ასაკის დადგენისათვის საჭირო პროცედურების ჩატარებას მიღებული ფორმებით.

თავად კომისიამ აღნიშნა ინტერვენციის საერთო სტანდარტთა ნაკლებობა და მეთოდებისა და პროცედურების ცვალებადობა სხვადასხვა სახელმწიფოში. N.47 კანონით შემოღებულია ერთიანი სამოქმედო გეგმა. იგი კოორდინირებული უნდა იყოს კულტურათაშორისი მედიატორების ან მეურვეების მიერ, რომლებიც მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფენ არასრულწლოვანთა პირველად დახმარებას.

მე-4 მუხლი უშუალოდ მიღების თემას ეხება - კერძოდ, თანმხლები პირის გარეშე მყოფ უცხოელ არასრულწლოვანთა პირველადი დახმარებისა და მიღება/განთავსების სტრუქტურებს, N.142/2015 საკანონმდებლო დადგენილების მე-19 მუხლში დროული ცვლილებების შეტანის შემდეგ.

ევროპულ ქვეყანაში შემოსვლის მერე მიგრანტმა არასრულწლოვნებმა უნდა გაიარონ ზუსტი საიდენტიფიკაციო პროცედურები და დარეგისტრირდნენ როგორც "არასრულწლოვნები". ამ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ პროცედურებს უნდა ხელმღვანელობდეს ბავშვთა დაცვის სისტემის წარმომადგენელი. თითის ანაბეჭდები და ბიომეტრიული მონაცემები უნდა აიღონ ისეთი მეთოდებით, რომ არ შეილახოს ბავშვის გენდერული სპეციფიკა და მგრძნობელობა.

მიღების პირობები ითვალისწინებს არასრულწლოვან მიგრანტთა უზრუნველყოფას სათანადო და უსაფრთხო საცხოვრებელით, ასევე, დახმარებისა და მხარდაჭერისთვის საჭირო სერვისებით, რათა გარანტირებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და კეთილდღეობა.

მათთვის უნდა უზუნველყონ ფორმალური თუ არაფორმალური განათლებაც - როგორც თითოეული ბავშვის უფლება, აღიარებული გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კონვენციით - ასევე, შემეცნებით და ინტეგრაციულ-რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობა, სამედიცინო მომსახურება და საჭირო ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარება, რადგან არასრულწლოვან მიგრანტებს ძლიერი ტრამვების და, ხშირად, ძალადობის გადატანა უწევთ.

იმისათვის, რომ არასრულწლოვანს ქვეყანასთან ,,ურთიერთობა'' ხანგრძლივ უარყოფით შთაბეჭდილებად არ დარჩეს, ადმინისტრაციული პატიმრობა უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში - in extrema ratio - რაც შეიძლება მცირე ხნით, და ამ ზომას არასდროს მივმართოთ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

არასრულწლოვან მიგრანტთა მიღების ყველაზე შესაფერის ფორმებია მათი განთავსება:

ოჯახის სრულწლოვან წევრებთან ერთად; მზრუნველ (მეურვე) ოჯახებში (მუხლი 7); მიღების ცენტრებში, რომლებიც აღჭურვილია სპეციალური, ღია და შემოწმებული სტრუქტურებით; დამოუკიდებელ საცხოვრებლებში, უფროს არასრულწლოვნებთან ერთად (2013 წლის 29 ივნისის ყოფილი N.180 კანონი).

## 4.11.4 დაცვის სისტემა: თავშესაფრის განაცხადი, ინტეგრაციის ღონისძიებები, საგანმანათლებლო ტრენინგი, ჯანმრთელობისა და მოსმენის უფლება, უსამართლობისა და ძალადობისგან დაცვა

კანონის მე-12 მუხლი არეგულირებს არასრულწლოვანთა დაცვის სისტემას. კერძოდ, ადგენს, რომ თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და უცხოელ არასრულწლოვანთა დაცვის სისტემის ფარგლებში უნდა მიიღონ, N.416/1989 საკანონმდებლო დადგენილების 1-sexies მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწიინებს განსაკუთრებით მოწყვლადი სუბიექტების დაცვას. არასრულწლოვნის განთავსების ადგილის შერჩევისას გასათვალისწინებელია მისი განსაკუთრებული საჭიროებები და მახასიათებლები, რომელთა გარკვევაც შეიძლება გასაუბრების დროს. ამის შესახებ აღნიშნულია N.142/2015 საკანონმდებლო დადგენილებაში, რომელიც ეხება მიღების სტრუქტურის მიერ შეთავაზებულ მომსახურებებს. სტრუქტურებმა, რომლებიც არასრულწლოვან უცხოელებს იღებენ, ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 117-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაიცვან მომსახურებისა და დახმარების მინიმალური სტანდარტები და ჰქონდეთ ავტორიზაცია და აკრედიტაცია შესაბამისი სახელმწიფო თუ რეგიონული კანონმდებლობის შესაბამისად.

არასრულწლოვანთათვის დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და განათლების ფუნდამენტური უფლებები. ამ თვალსაზრისით, მე-14 მუხლში მითითებულია, რომ თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვნები უნდა დარეგისტრირდნენ ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში და ჩაირიცხონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მე-15 მუხლი ითვალისწინებს უფლებას, რომ შესაბამისმა ან არასრულწლოვნის მიერ მითითებულმა პირებმა მოუსმინონ მათ სათქმელს (il diritto all'ascolto) ყველა შესაბამის პროცედურაზე. იურიდიული დახმარების უფლება გათვალისწინებულია მე-16 მუხლით დადგენილი წესითაც. და ბოლოს, ტრეფიკინგის მსხვერპლ, თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვნებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული ყურადღება და დაცვა სპეციფიკური დახმარების პროგრამის მომზადებით, რომელიც უზრუნველყოფს მიღების, ასევე, ფსიქოსოციალური, სამედიცინო და

სამართლებრივი დახმარების სათანადო პირობებს. ასეთ მოზარდებს შესაბამისი დახმარება და გულითადი თანადგომა უნდა გაეწიოს იმ პროცესშიც, რომელიც მხარს უჭერს მათთვის ზიანის ანაზღაურებას. და ბოლოს, მე-20 მუხლის შესაბამისად, იტალია ხელს უწყობს მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობას, კერძოდ, ორმხრივი შეთანხმებების გაფორმებას, ასევე, არასრულწლოვანთა წარმოშობის ქვეყნებში განვითარების ხელშემწყობი პროგრამების დაფინანსებას, რათა მოხერხდეს თანმხლები პირის გარეშე მყოფ უცხოელ არასრულწლოვანთა დაცვის სისტემის რეალური და კონკრეტული სამართლებრივი ჰარმონიზაცია სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო დონეზე.

## 4.11.5 N. 132/18 ** კანონით გათვალისწინებული ცვლილებები

N. 132/18 კანონი წარმოგიდგენთ მარეგულირებელი ცვლილებების სერიას, რომელიც, კონკრეტულად არ არის გათვალისწინებული თანმხლებ პირთა გარეშე მყოფი არასრულწლოვნებისთვის (MSNA ), თუმცა უაღრესად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ სტატუსზე, განსაკუთრებით მაშინ როდესაც მიაღწევენ სრულწლოვნების ასაკს.

მანამ სანამ კანონი N. 113/18 შევიდოდა ძალაში, ფაქტობრივად, თავშესაფრის მაძიებელ თანმხლებ პირთა გარეშე მყოფ არასრულწლოვნების უმრავლესობამ მიიღო ბინადრობის ნებართვა ჰუმანიტარული მოტივით. ბევრმა არასრულწლოვანმა წარადგინა განაცხადი თავშესაფრისთვის, მიუხედავად საერთაშორისო დაცვის პირობების არარსებობისა, რადგან მათ ჰქონდათ გონივრული მოლოდინი, რომ მიიღებდნენ ჰუმანიტარული დაცვის აღიარებას.

ჰუმანიტარული დაცვის გაუქმების შემდეგ N. 113/18, თანმხლებ პირთა გარეშე მყოფი არასრულწლოვების (MSNA ) უმეტესობა სავარაუდოდ მიიღებს უარს თავშესაფრის მინიჭებაზე, ტერიტორიული კომისიის მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ თანმხლებ პირთა გარეშე მყოფი არასრულწლოვნები (MSNA ), მიიღებენ უარს 18 წლამდე, შეიძლება მოიპოვონ ბინადრობის ნებართვა მცირეწლოვანობის, თუ ისინი აკმაყოფილებენ გარკვეულ მოთხოვნებს, მათ შეუძლიათ როდესაც გახდებიან სრულწლოვნები შეცვალონ ის სასწავლო ბინადრობის ნებართვით ან სამუშაო ან სამუშაოს მოლოდინში ბინადრობის ნებართვით, N.286/98 დადგენილების , 32-ე მუხლის შესაბამისად.

** შენიშვნა: კანონი N.132/18 ამჟამად განიხილება მთავრობაში და განიხილება ევროპული სასამართლოები, რომლებისთვისაც ტექსტში მოცემული გარკვეული დებულებები შეიძლება ექვემდებარებოდეს მომავალ ცვლილებებს.

## 4.11.6 დასკვნები

ახალი საკანონმდებლო დადგენილებიდან ორი წლის შემდეგ, საბოლოო მოსაზრებები “ძამპას კანონზე” არასრულწლოვნების შესახებ ნაწილობრივ იმედგამაცრუებელია, მაგრამ, ამასთანავე, პოზიტიურიც არის სამოქალაქო სოლიდარობის გამოხატვის თვალსაზრისით. აქ იგულისხმება იტალიელი ხალხის მიერ გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება მიგრანტი ბავშვების მიმართ. კანონის უდავო დამსახურებაა სხვადასხვა დროს იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებმაც დადებითი შედეგი გამოიღეს მესამე ქვეყნიდან შემოსულ, მშობლების ან სხვა ლეგიტიმურად პასუხისმგებელი ადამიანების ზრუნვას მოკლებულ არასრულწლოვან მიგრანტთა მიღებისას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ, ახალი კანონი ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა უკან გაბრუნების/უარის აკრძალვასთან მიმართებით. ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ სერიოზული ხარვეზებია, განსაკუთრებით, მიმღები ცენტრების პირობებთან დაკავშირებით; რთული და ხარვეზიანია მზრუნველი ოჯახების საკითხიც, რაც მიუთითებს, რომ იტალიის სისტემა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ პრობლემურია.

შემდგომი კრიტიკული სიტუაციები რჩება CPR– ში დაკავებისას, ასაკის გადამოწმების თვალსაზრისით და, შესაბამისად, სწორი იდენტიფიკაცია არასრულწლოვნის, მათ მიერ ჩამოყალიბებულ თვითშეფასების მეთოდებთან მიმართებაში.

ყველაზე გასაკვირია იტალიის მოსახლეობის თანაგრძნობა - კანონის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში 4,000-ზე მეტმა მოქალაქემ გამოთქვა თანმხლები პირის გარეშე მყოფ უცხოელ არასრულწლოვანთა ნებაყოფლობითი მეურვეობის სურვილი.

# თავი V. გაძევება, დაკავება, ხელშეუხებლობა გაძევებასთან მიმართებით

ზომები, რომლებსაც იტალიის სახელმწიფო მიმართავს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა, ასევე, მოქალაქეობისა და იტალიაში ბინადრობის ნებართვის არმქონე პირთა - იურიდიული განმარტების თანახმად, უცხოელად კვალიფიცირებულ პირთა (საკანონმდებლო დადგენლება N.286/1998, მუხლი 1, პუნქტი 1) - თავისი ტერიტორიიდან გასაყვანად, 2 ძირითად კატეგორიად იყოფა: უკან გაბრუნება/უარი და გაძევება.

უკან გაბრუნება/უარი (TU, მუხლი 19) - ეს განკარგულება გაიცემა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და შეიძლება იყოს ორი ტიპის:

- დაუყოვნებელი (TU, მუხლი 10, პუნქტი 1), სასაზღვრო პოლიციის გადაწყვეტილებით;
- გადავადებული/დროში გადაწეული (TU, მუხლი 10, პუნქტი 2), პოლიციის სამმართველოს უფროსის განკარგულებით.

გაძევება - ეს განკარგულება 2 დიდ კატეგორიად იყოფა, იმის მიხედვით, რომელმა ორგანომ გასცა:

- საჯარო უსაფრთხოების ადმინისტრაციულმა ორგანომ - იმ უცხოელის წინააღმდეგ, რომელიც არალეგალურად ბინადრობს/იმყოფება ქვეყანაში ან საშიში აღმოჩნდება საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის (TU, მუხლი 13);
- სასამართლო ხელისუფლებამ - სისხლის სამართლის პროცესის შედეგად, რომელიც 4 ტიპისაა:
  - I. უსაფრთხოების ზომა, მიღებული საშიში უცხოელი მსჯავრდებულის წინააღმდეგ (TU, მუხლი 15, სს კოდექსი და სხვა კანონები);
  - II. სასჯელის ალტერნატიული ზომა უცხოელი პატიმრის მიმართ საბოლოო განაჩენით გამოტანილი სასჯელის აღსრულების ბოლო 2 წლის განმავლობაში (TU, მუხლი 16);
  - III. სასჯელის ალტერნატიული ზომა უცხოელი პირის მიერ ქვეყანაში არალეგალური ბინადრობისას/ყოფნისას ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, რომელიც ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით (TU, მუხლი16);
  - IV. არალეგალური შემოსვლისა და ბინადრობის დანაშაულის (TU, 10-bis მუხლი), ასევე, ქვეყნის დატოვებაზე პოლიციის უფროსის ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში (განმეორებითიც) (TU, მუხლი 14, პუნქტები 5-ter და 5-quarter) მოსამართლის მიერ დაწესებული ფულადი ჯარიმის (TU, მუხლი 16) ალტერნატიული სანქცია.

<u>ხელახლა შესვლის აკრძალვა</u>

გაძევებას, უცხოელი მოქალაქის ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანის გარდა, სხვა ,,გვერდითი" ეფექტებიც აქვს - მას თან ახლავს ქვეყანაში ხელახალი შემოსვლის აკრძალვა გარკვეული პერიოდის განმავლობაში (TU, მუხლი 13, პუნქტი 14). ეს აკრძალვა ეხება როგორც იტალიას, ასევე შენგენის ზონის ან ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებსაც. გაძევებას მოჰყვება შეტყობინების გაგზავნა SIS-სთვის (შენგენის საინფორმაციო სისტემა) პირის არშემოშვების მიზნით.

უკან გაბრუნების/უარის ზომას არ ახლავს ქვეყანაში ხელახლა შემოსვლის აკრძალვა და არც უკან გაბრუნებული/უარყოფილი უცხოელის სახელი მიეწოდება SIS სისტემას (1.3 აღმასრულებელი პროცედურები).

რაც შეეხება აღსრულების მეთოდებს: ყველა გაძევება დაუყოვნებლივ ხორციელდება, მაშინაც კი, თუ შესაძლებელია მისი გასაჩივრება სხვადასხვა ინსტანციაში (TU, მუხლი 13, პუნქტი 3). შესაბამისად, პოლიციის კომისარი, რომელსაც ავალია ყველა ქმედითი აბლაციური (ablative) ღონისძიების აღსრულება, გასცემს ბრძანებას უცხოელის დაუყოვნებლივ საზღვრამდე მიყვანის შესახებ, ან გაძევებული და უკან გაბრუნებული/უარყოფილი უცხოელის CIE-ს ცენტრში განთავსებაზე, ვიდრე არ აღმოიფხვრება ამ ღონისძიების ან მისი ალტერნატიული ზომის (TU, მუხლი 14, პუნქტი 1) აღსრულების ხელშემშლელი გარემოებები. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 90 დღით. თუ შეუძლებელია დაკავების ცენტრში განთავსება არასაკმარისი ადგილების ან სხვა მიზეზების გამო, უცხოელს უგზავნის ბრძანებას, დატოვოს ქვეყნის ტერიტორია შეტყობინების მიღებიდან 7 დღის განმავლობაში (TU, მუხლი 14, პუნქტი 5-bis). დაუყოვნებელი და იძულებითი ადმინისტრაციული გაძევება არ აღსრულდება მხოლოდ ნებაყოფლობითი გამგზავრების ვადის განსაზღვრის შემთხვევაში (TU, მუხლი 13, პუნქტი 5), იმ პირობით, რომ უცხოელი დადგენილ ვადაში შეასრულებს ქვეყნიდან წასვლის ვალდებულებას.

ადმინისტრაციული გაძევებისა და უკან გაბრუნების/უარყოფის ყველა ზომას აქვს განკარგულების ფორმა, რომელიც უნდა იყოს არგუმენტირებული ფაქტებით და კანონებით (TU, მუხლი 13, პუნქტი 3; კანონი N.241/1990, მუხლი 3). როგორც აღვნიშნეთ, გაძევება დაუყოვნებლივ ხორციელდება, მაშინაც კი, თუ შესაძლებელია მისი გასაჩივრება სხვადასხვა ინსტანციაში. ეს არის ადრესატისადმი მიმართული ცალმხრივი (recettizi) აქტი და ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა მას მიიღებს სამიზნე პიროვნება. როგორც ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ეხება შემოსვლას და ბინადრობას, ეს აქტიც დაინტერესებულ პირს გადაეცემა გასაჩივრების მეთოდთა მითითებებით და გასაგებ ენაზე. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, ის თარგმნილი უნდა იყოს ინგლისურ, ფრანგულ ან ესპანურ ენაზე, იმის მიხედვით, რომელს ანიჭებს უპირატესობას გაძევებული უცხოელი (TU, მუხლი13, პუნქტი 7; პრეზიდენტის განკარგულება N.394/99, მუხლი 3, პუნქტები 3, 4).

სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლის მიერ გამოტანილ გაძევების ზომას შეიძლება ჰქონდეს განაჩენის, ბრძანების ან განკარგულების ფორმა, სს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით.

## 5.1 უკან გაბრუნება/უარი

### 5.1.1 საზღვრიდან უკან გაბრუნება/საზღვართან უარი

საზღვრიდან უკან გაბრუნებით სასაზღვრო პოლიცია უკან აბრუნებს/უარს ეუბნება უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც გამშვებ პუნქტთან ცხადდებიან იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტით მოთხოვნილი, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შესასვლელად საჭირო რეკვიზიტების გარეშე (TU, მუხლი 10, პუნქტი 1).

ამგვარი ზომა დაუყოვნებლივ აღსრულდება, იმ თვალსაზრისით, რომ სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე შემოწმების შემდეგ, სასაზღვრო პოლიციის უფლებამოსილი ოფისი მაშინვე გააბრუნებს უცხოელს იმ ქვეყანაში, საიდანაც მოდის. ამდენად, არ აძლევს მას სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოსვლის საშუალებას.

საზღვრიდან უკან გაბრუნების სავარაუდო მიზეზია იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-4 მუხლის 1, 3, 6 პუნქტებითა და შენგენის სასაზღვრო კოდექსის მე-5 და მე-13 მუხლებით (ევროკავშირის 2006 წლის 15 მარტის რეგულაცია N.562/2006) გათვალისწინებული შემდეგი რეკვიზიტების არქონა:

- მოქმედი პასპორტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;
- შემოსასვლელი ვიზა, ვიზის ვალდებულებისგან გათავისუფლების შემთხვევების გარდა (TU, მუხლი 4, პუნქტი 1);
- ქვეყანაში შესვლის მიზნებისა და პირობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- ყოფნის პერიოდში და უკან დაბრუნებისთვის საჭირო ეკონომიკური სახსრები (არ ეხება მხოლოდ სამუშაო მიზნით ბინადრობის ნებართვის მფლობელებს).
- გარდა ამისა, პირი:
- არ უნდა იყოს გადაცემული SIS-შენგენის საინფორმაციო სისტემას (არშეშვების მიზნით);
- არ უნდა უქმნიდეს რისკებს რომელიმე წევრი სახელმწიფოს საზოგადოებრივ წესრიგს, სახელმწიფო ან ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და საერთაშორისო ურთიერთობებს;
- არ ჰქონდეს მიღებული გაძევების ბრძანება;
- არ ეკრძალებოდეს დაბრუნება გაძევების მერე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებულია მე-13 მუხლით (TU) გათვალისწინებული შესაბამისი ნებართვა.

საზღვრიდან უკან გაბრუნება არ ითვალისწინებს ხელახლა შემოსვლის რაიმე ფორმით აკრძალვას, არც შენგენის საინფორმაციო სისტემისათვის შეტყობინებას მომავალში არშემოშვების მიზნით. ამდენად, პიროვნებას, რომელიც საზღვრიდან უკან გააბრუნეს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისთვის საჭირო რომელიმე რეკვიზიტის არქონის გამო, ნებისმიერ მომენტში შეუძლია ხელახლა შესვლა, თუკი შეავსებს დანაკლის რეკვიზიტებს.

საზღვრიდან უკან გაბრუნება არ არის მხოლოდ საზღვრის პოლიციის ფიზიკური ქმედება, ეს გახლავთ აღსასრულებელი ზომა/ღონისძიება.

შენგენის საზღვრების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ უკან გაბრუნების ზომა იყოს წერილობითი და არგუმენტირებული, ზუსტი მიზეზების მითითებით, და გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს.

შიდა კანონმდებლობაში, პრეზიდენტის N.394/1999 განკარგულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ დებულება, რომელიც ითვალისწინებს უკან გაბრუნებას/უარის თქმას, უცხოელს ეძლევა ხელზე, წერილობითი სახით და არგუმენტირებული, გასაჩივრების მეთოდების მითითებებით, ისე, რომ დაცული იყოს აქტის შინაარსის კონფიდენციალობა; თუ უცხოელს არ ესმის იტალიური ენა, შეტყობინებას დებულება უნდა დაერთოს მისთვის გასაგებ ენაზე. როცა ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ უნდა ითარგმნოს ინგლისურ, ფრანგულ ან ესპანურ ენაზე, იმის მიხედვით, რომელს ანიჭებს უპირატესობას დაინტერესებული პირი (TU, მუხლი10).

### 5.1.2 გადავადებული უკან გაბრუნება პოლიციის უფროსის ბრძანებით და საზღვრამდე მიცილებით

უკან გაბრუნება არის არა დაუყოვნებელი, არამედ გადავადებული/დროში გადაწეული ზომა (TU, მუხლი10, პუნქტი 2), რომელსაც იღებენ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ უცხოელი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოვიდა საზღვრის კონტროლის თავიდან აცილების გზით და გააჩერეს შემოსვლისთანავე, ან შემდგომ, დანაშაულზე წასწრების მსგავს მომენტში;
- ბ) თუ უცხოელს არ გაჩნია შემოსვლისთვის საჭირო რეკვიზიტები, მაგრამ აუცილებელი პირველადი დახმარებიდან გამომდინარე, მიეცა ქვეყნის ტერიტორიაზე დროებითი შემოსვლის უფლება.

განსხვავება დაუყოვნებელ და გადავადებულ უკან გაბრუნებას შორის:

დაუყოვნებელი უკან გაბრუნებისას უცხოელი არ შემოდის იტალიის ტერიტორიაზე, რადგან უკან აბრუნებენ საზღვრიდანვე; მეორე ვერსიით, უცხოელი კვეთს საზღვარს, ფიზიკურად შემოდის იტალიის ტერიტორიაზე, მაგრამ შემოსვლისთანავე აჩერებენ, ანდა შემოსვლის ნებას რთავენ პირველადი დახმარების მიზნით, როგორც ხშირად ხდება იტალიის სანაპიროებზე უცხოელ მიგრანტთა შემოსვლისას.

საზღვარზე უკან გაბრუნების მსგავსად, გადავადებულ უკან გაბრუნებასაც არ მოჰყვება ხელახლა შემოსვლის აკრძალვა, მაგრამ ეს ორ ზომა განსხვავდება მათი აღსრულებით: პირველ შემთხვევაში ის დაუყოვნებელია, მეორეში კი აღსრულდება პოლიციის მიერ საზღვარზე მიცილებით, ან გამოიყენება დაკავების ცენტრებში განთავსება პოლიციის უფროსის ბრძანებით.

დაუყოვნებელი უკან გაბრუნებისგან განსხვავებით, უცხოელი, რომლის მიმართაც პოლიციის უფროსმა გასცა გაძევების ბრძანება, პასუხისმგებელია სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო შესვლისა და ყოფნის დარღვევაზე (TU, მუხლი 10).

**უკან გაბრუნების/უარის აკრძალვა**

უკან გაბრუნების/უარის ზომა არ ვრცელდება პოლიტიკური თავშესაფრის, ლტოლვილის სტატუსის, ასევე, სუბსიდიური თუ ჰუმანიტარული დაცვის მაძიებლებზე (TU, მუხლი 10 პუნქტი 6).

დაუშვებელია უცხოელის უკან გაბრუნება სახელმწიფოში, რომელშიც ის შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, სოციალური პირობების ნიშნით, და არსებობს რისკი, რომ ვერ იქნება დაცული ასეთი დისკრიმინაციისაგან (TU, მუხლი 19, პუნქტი 1).

ცხადია, ეს გარანტიები ძირითადად საერთაშორისო დაცვის მაძიებლებზე ვრცელდება და, თუ უარის მიმღები/უკან გაბრუნებული პირი საერთაშორისო დაცვის განაცხადის წარდგენის სურვილს ამჟღავნებს, ამ განაცხადზე პასუხის მიღებამდეც მოქმედებს.

<u>დახმარება დაუცველი/მოწყვლადი კატეგორიებისათვის</u>

კანონი ითვალისწინებს უკან გაბრუნებული უცხოელისთვის საჭირო დახმარების გაწევას სასაზღვრო პუნქტებზე (TU, მუხლი 10, პუნქტი 5), მაგრამ ყოველგვარი დაზუსტების გარეშე: საქმე ეხება მინიმალურ პრაქტიკულ დახმარებას პრიორიტეტულ და გადაუდებელ საჭიროებებთან მიმართებით.

N.142/2015 საკანონმდებლო დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ,,სამაშველო და პირველადი მიღება და საიდენტიფიკაციო ფუნქციების შესრულება კვლავაც გრძელდება N.451/95 საკანონმდებლო დადგენილების შესაბამისად შექმნილ ობიექტებში. საუბარია CSPA (სამაშველო და პირველადი დახმარების) ცენტრებზე, სადაც უცხოელი გადის მიღებისა და იდენტიფიკაციის პირველ ფაზას, ანუ ცხელ წერტილებში. ეს ცენტრები მიჩნეულია იტალიის სანაპიროზე შემოსულ მიგრანტთა გადანაწილების ადგილადაც. გათვალისწინებულია ისიც, რომ სოციალურად დაუცველი პირები უკან უნდა გააბრუნონ უცხოელის სპეციფიკური პირობების შესაბამისი მეთოდებით, თუ ეს პირობა სათანადოდ არის გამოვლენილი (TU, მუხლი 19, პუნქტი 2-bis).

<u>იურისდიქცია და უფლებამოსილება</u>

ზოგადი კრიტერიუმის თანახმად, სუბიექტურ უფლებებთან დაკავშირებული დავები ექცევა ჩვეულებრივი მოსამართლის იურისდიქციაში.

ასეთი სახის დავების განხილვა შედის ტერიტორიულად უფლებამოსილი სასამართლოს კომპეტენციაში.

საბოლოო ჯამში, უკან გაბრუნების/უარის შესახებ დავების მოგვარება არის ერთპიროვნულად განმხილველი ჩვეულებრივი ტრიბუნალის უფლებამოსილება, N.150/2011 საკანონმდებლო დადგენილების მე-18 მუხლით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

## 5.2 ადმინისტრაციული წესით გაძევება

გაძევების ყველა ადმინისტრაციული ზომა მიიღება დასაბუთებული ბრძანებით (TU, მუხლი13, პუნქტი 3). მის გამცემ ორგანოს ეკისრება 3 ვალდებულება:

**მოტივირება/დასაბუთება, ახსნა-განმარტება;**

- ადმინისტრაციული ღონისძიებათა მოტივაცია/დასაბუთების ვალდებულება გათვალისწინებულია N.241/1990 კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით: დასაბუთებაში აღნიშნული უნდა იყოს ფაქტის პირობები და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას გამოძიების დასკვნებთან დაკავშირებით. დასაბუთების ვალდებულება აუცილებლად გათვალისწინებულია გაძევების ზომების დროს (მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის (TU) თანახმად);
- გაძევების ზომების მოტივაცია/დასაბუთება მიზნად ისახავს იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გაცნობას გაძევების სუბიექტისთვის, რომლებმაც განსაზღვრა ზომის მიღება. იმისათვის, რომ ადმინისტრაციული პროცესის ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტები სწორად იყოს აღქმული და უცხოელს მიეცეს საშუალება, ამ დებულების წინააღმდეგ მოიპოვოს სასამართლო დაცვის უფლების გამოსაყენებლად აუცილებელი საშუალებები, ყველა გაძევების ბრძანებაში უნდა აღინიშნოს ვადები და ის ინსტიტუციები, რომლებსაც შეუძლია მიმართოს გასაჩივრებისათვის (კანონი N.241/1990, მუხლი 3, პუნქტი 4; TU, მუხლი 13, პუნქტი 7);
- დასაბუთების ვალდებულების დარღვევა, როგორც დაუსაბუთებლობის, ისე არასაკმარისი დასაბუთების შემთხვევაში, კანონის დარღვევაა და, გასაჩივრებისას, გაძევების ბრძანება ექვემდებარება გაუქმებას;
- ბინადრობის ნებართვის გაუქმების, ანულირების ან უარის შემთხვევაში, გაძევების ბრძანების დასაბუთება სრულად უნდა ითვალისწინებდეს ყველა წინაპირობას, რადგან motivazione per relationem დასაშვებია მხოლოდ ჩამოთვლილი აქტების შინაარსზე დაყრდნობით.
- საბოლოო ჯამში, დასაბუთებაში მითითებული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ყველა მიზეზი, ისე, რომ არ ჰქონდეს შემდგომი ჩამატების საშუალება. თავისი უფლება-მოვალეობიდან გამომდინარე, საჯარო ადმინისტრაციულ ხელისუფლებას მხოლოდ გამოცემა შეუძლია ახალი ბრძანებისა, სწორი დასაბუთებით.

**კომუნიკაცია**

გაძევების აქტი ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც ადმინისტრაციული ხელისუფლება მას გადასცემს/აცნობებს დაინტერესებულ პირს (TU, მუხლი 13, პუნქტი 7). ამდენად, ადმინისტრაციული წესით გაძევება არის ადრესატისადმი მიმართული ცალმხრივი (recettizi) აქტი და დასაბუთების ვალდებულების შესრულება სწორედაც რომ აუცილებელია, რადგან, აქტი უნდა მიეწოდოს უცხოელს. ეს ადმინისტრაციული ხელისუფლებისთვის წარმოშობს შეტყობინებისა და კომუნიკაციის ვალდებულებას.

**ხელმოწერა**

აქტი/განკარგულება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეფექტის მიერ, შეიცავდეს მითითებებს გასაჩივრების მეთოდებზე და ითარგმნოს გაძევებული უცხოელისათვის გასაგებ ენაზე (თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, მაშინ - ინგლისურ, ფრანგულ ან ესპანურ ენაზე, იმის მიხედვით, რომელს ანიჭებს უპირატესობას გაძევებული უცხოელი).

პრეფექტურის მიერ გამოცემული გაძევების ზომის სასამართლოში გასაჩივრებისთვის, უცხოელს უფლება აქვს, იურიდიული დახმარება მიიღოს სახელმწიფოს ხარჯზე (პრეზიდენტის განკარგულება

N.15/2001, მუხლი 14), მიუხედავად მისი შემოსავლისა (რა თქმა უნდა, თუ შესაბამის განცხადებას შეიტანს).

ადმინისტრაციული წესით გაძევების ფორმალურ რეკვიზიტებს შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თარგმანის აუცილებლობას.

საბოლოო ჯამში, სამართალმცოდნეობაში გამუდმებით აღინიშნება, რომ არ არის საჭირო გაძევების პროცედურის დაწყების შესახებ კომუნიკაცია, როგორც ამას ითვალისწინებს N.241/1990 კანონის მე-7 მუხლი საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების მოტივით, ასევე, გაძევების პროცედურისთვის დამახასიათებელი ტემპებიდან და ვადებიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 29 დეკემბერი, 2005, N.28858).

### 5.2.1 ადმინისტრაციული წესით გაძევების შედეგები

ადმინისტრაციული წესით გააძევებენ პირს თუ სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, შედეგები მსგავსია. კერძოდ:

- 1. პირს განესაზღვრება ქვეყნის ტერიტორიის დატოვების ვალდებულება - დაუყოვნებლივ ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში;
- 2. შენგენის საინფორმაციო სისტემას (SIS) ეგზავნება გაძევებული პირის მონაცემები შენგენის ზონაში არშემოშვების მიზნით;
- 3. პირს ეკრძალება იტალიასა და შენგენის ზონის სხვა ქვეყნებში შემოსვლა გარკვეული პერიოდით (მითითებულია გაძევების ბრძანებაში), რომლის ათვლაც იწყება ქვეყნის ტერიტორიის ფაქტობრივი დატოვებიდან;
- 4. ფაქტობრივად გაძევებული და დაუპატიმრებელი უცხოელის წინააღმდეგ დაწყებული ნებისმიერი სისხლის სამართალწარმოება იხურება გაძევების გამო გაუგრძელებლობის განკარგულებით (თუკი გაძევება აღსრულდება განაჩენის გამოტანამდე). სისხლის სამართალწარმოება განახლდება გაძევებულის ხელახალი არალეგალური შემოსვლის შემთხვევაში.

### 5.2.2 გაძევება მინისტრის განკარგულებით

კანონი ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ტერორიზმის პრევენციის მიზეზით გაძევების ორ შემთხვევას:

- ა) შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაცემული გაძევების განკარგულება საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველზე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის წინასწარი შეტყობინებით (TU, მუხლი 13, პუნქტი 1);
- ბ) შინაგან საქმეთა მინისტრის ან (მისი დელეგირებით) პრეფექტის მიერ გაცემული გაძევების განკარგულება უცხოელის მიმართ, რომელიც განეკუთვნება 1975 წლის 22 მაისის N.155 კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ კატეგორიებს და რომელთან დაკავშირებითაც გონივრული საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ მისი ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტერორიზმს (კანონი N. 155/2005, მუხლი 3, პუნქტი 1).

## 5.2.3 გაძევება პრეფექტის განკარგულებით

პრეფექტი, ცალკეული შემთხვევის წინასწარი განხილვის შემდეგ, გასცემს უცხოელის გაძევების განკარგულებას, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოვიდა სასაზღვრო კონტროლის თავის არიდებით და საზღვრიდან არ გაუბრუნებიათ (TU, მუხლი 13, პუნქტი 2(a)).

ამ ტიპის ადმინისტრაციულ ღონისძიებას აქვს დადებითი შედეგიც და უარყოფითიც, კერძოდ:

- 1) ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლა სასაზღვრო კონტროლის თავის არიდებით;
- 2) საზღვრიდან უკან გაბრუნების ბრძანების არგაცემა.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა იტალიის ტერიტორიაზე ლეგალურად შემოსვლის პირობები მითითებულია მე-4 მუხლში (TU). იგი ინტეგრირებულია ევროკავშირის 2006 წლის 15 მარტის N.562/2006 რეგულაციის მე-5 მუხლით ,,ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეგულაციები“, რომელიც ქმნის ევროკავშირის კოდექსს მოქალაქეთა მიერ საზღვრის გადაკვეთის შესახებ (შენგენის საზღვრების კოდექსი).

ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისთვის საჭიროა:

- მოქმედი პასპორტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;
- შემოსასვლელი ვიზა, ვიზის ვალდებულებისგან გათავისუფლების შემთხვევების გარდა (ვიზის ვალდებულება მოკლე ვადით ყოფნისას - ანუ არაუმეტეს 90 დღით - არ ეხება ყველა უცხოელს (TU, მუხლი 4, პუნქტი 5). საგარეო საქმეთა სამინისტრო მუდმივად აქვეყნებს და ასწორებს იმ მესამე ქვეყნების სიას, რომელთა მოქალაქეებსაც აქვთ ვიზის ვალდებულება);
- იტალიის საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ სპეციალურად შექმნილი სასაზღვრო პუნქტების მეშვეობით (მიწის, საზღვაო, საჰაერო), ფორსმაჟორული სიტუაციების გარდა;
- ქვეყანაში შესვლის მიზანი და დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ვიზიტის პერიოდში დ
- ა უკან დასაბრუნებელად საჭირო საკმარისი სახსრები (გარდა სამუშაო ვიზის შემთხვევებისა, როდესაც საარსებოდ საჭირო სახსრებს მიიღებს შრომითი საქმიანობის შედეგად).
- გარდა ამისა, პირი:
- არ უნდა იყოს SIS სისტემაში (შენგენის საინფორმაციო სისტემა) აღრიცხვაზე, არშეშვების მიზნით და აკრძალვის მთელ პერიოდში;
- არ უნდა იყოს გაძევებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრისგან მიღებული აქვს შემოსვლის სპეციალური ნებართვა იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-13 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, ანუ გასულია ქვეყნის ტერიტორიაზე ხელახლა შემოსვლის აკრძალვის ვადა, რაც მოჰყვება გაძევების ზომის აღსრულებას (ჩვეულებრივ, 3-დან 5 წლამდე ტერიტორიის ფაქტობრივი დატოვებიდან - ნებაყოფლობით იქნება ეს თუ იძულებით). დებულება არ ვრცელდება უცხოელზე, რომელიც უკვე იყო გაძევებული არალეგალური შემოსვლის ან ბინადრობის მოტივით და რომელზეც ნებადართული იყო ოჯახური გაერთიანება, იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 29-ე მუხლის თანახმად;
- არ უნდა უქმნიდეს რისკებს საზოგადოებრივ წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას, როგორც იტალიაში, ასევე იმ ქვეყნებში, რომელთანაც იტალიას გაფორმებული აქვს საზღვრების კონტროლის გაუქმებისა და მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების შეთანხმება;
- არ უნდა იყოს მსჯავრდებული (თუნდაც ჯერ არ არსებობდეს საბოლოო განაჩენი, მათ შორის, საპროცესო შეთანხმების ჩათვლით), ისეთი დანაშაულებზე, რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო წესით დაკავებას (სსსკ მუხლი 380) და უკავშირდება ნარკოტიკებს, სექსუალურ ძალადობას, იმიგრაციისა და არალეგალური ემიგრაციის ხელშეწყობას, პირთა გადაყვანას და ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით, ასევე, არსრულწლოვანთა ჩართვას უკანონო ქმედებებში.

ზოგადად, ქვეყნის ტერიტორიის საზღვრის გადაკვეთა ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დარღვევით, მიიჩნევა არალეგალურ შემოსვლად. გამონაკლისია თავშესაფრის მოთხოვნით შემოსვლა და ხელშეუხებელ პირთა (ვინც არ ექვემდებარება გაძევება/გაბრუნებას) შემთხვევები, იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-19 მუხლის თნახმად.

ცხადია, არალეგალურად მიიჩნევა ყალბი, გადაკეთებული, უკანონო გზით მოპოვებული დოკუმენტებით შემოსვლაც, ანუ საზღვის ისეთი გადაკვეთა, რომელიც გარეგნულად თითქოს კანონიერია, მაგრამ სინამდვილეში ხორცილდება მისი დარღვევით. ასეთ შემთხვევებში, თაღლითური განზრახვა ხშირად ვლინდება უკანონო იმიგრაციისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულთა ხელშეწყობაზე ჩატარებული გამოძიების შედეგად (TU, მუხლი 12, პუნქტები 1,3).

2019 წლის 14 ივნისის დადგენილება N.53-ის ძალაში შესვლით, დაინერგა საკანონმდებლო განკარგულების N. 286/1998 მუხლი 11 (სახელწოდებით სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება და კოორდინაცია). შინაგან საქმეთა მინისტრი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ეროვნული ორგანო 1-ბის პუნქტში მითითებული საკოორდინაციო ფუნქციების და იტალიის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისას, უფლებამოსილია შეზღუდოს ან აკძალოს გემების შემოსვლა, ტრანზიტი ან პარკინგი ტერიტორიულ ზღვაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამხედრო გემები ან სამთავრობო არაკომერციული გემები კანონს არღვევენ წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ან როდესაც მე -19 მუხლის მე -2 პუნქტში, ზ შემოიფარგლება ძალაში შესული საიმიგრაციო კანონების დარღვევით, გაეროს კონვენციის ზღვის კანონის შესახებ, დანართებითა და საბოლოო აქტით, გაკეთებული 1982 წლის 10 დეკემბერს, Montego Bay-ს კანონში რატიფიცირებული 1994 წლის 2 დეკემბრის კანონით.

დებულება მიიღება თავდაცვის მინისტრთან და ინფრასტრუქტურისა და საგზაო მინისტრთან შეთანხმებით, მათი კომპეტენციების შესაბამისად, დებულების მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტისთვის გაცნობის შემდეგ.

ამ დებულების ნებისმიერი დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ეს ბრძანებულება ითვალისწინებს სანქციებს 150 ათასი ევროდან ერთ მილიონამდე გემის კაპიტნისთვის,"იტალიის ტერიტორიულ წყლებში შესვლის, ტრანზიტის ან შეჩერების აკრძალვის დარღვევის შემთხვევაში". დამატებითი სანქცის სახით გათვალისწინებულია გემის დაყადაღება.

უსაფრთხოების ბრძანებულების მე-2 Bis მუხლი ითვალისწინებს სანავიგაციო კოდექსში გარკვეული ცვლილებების შეტანას, კერძოდ კი შინაგან საქმეთა მინისტრს ეძლევა უფლებამოსილება „შეზღუდოს ან აკრძალოს სავაჭრო გემების ტრანსპორტირებისა და პარკირების ან ზღვაში თევზაობის უფლება. ტერიტორიული, წესრიგის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზეზების გამო და, ნებისმიერ შემთხვევაში, დარღვევის შემთხვევაში " "Montego Bay" -ს კონვენციის ზოგიერთი დებულების მიხედვით.

ქვეყნის ტერიტორიაზე კანონიერ შემოსვლას ადასტურებს უცხოელი მოქალაქის პასპორტში სასაზღვრო პოლიციის მიერ ჩარტყმული თარიღიანი ბეჭედი (პრეზიდენტის განკარგულება N.394/99, მუხლი 7, პუნქტი 2). ამ თვალსაზრისით, იურისპრუდენცია შემდეგნაირად არის ორიენტირებული: ,,ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელმა, როდესაც/თუ იტალიაში გააჩერებენ, უნდა წარმოადგინოს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის თარიღი, რისი ნახვაც შეიძლება შემოსვლის დამადასტურებელ ბეჭედზე (პრეზიდენტის 1999 წლის 31 აგვისტოს განკარგულება, მუხლი 7, პუნქტი 2), რომელსაც სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი სავალდებულო წესით ურტყამს პასპორტში ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად შემომსვლელ უცხოელ მოქალაქეს'' (საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 23 აგვისტო, 2004, N.16570).

უცხოელი მოქალაქე, რომელიც უკანონოდ შემოდის ქვეყნის ტერიტორიაზე (თავშესაფრის მოთხოვნის და კანონით დაშვებული სხვა შემთხვევების გამოკლებით), გარდა იმისა, რომ არალეგალურად იმყოფება სახელმწიფოში, რაც ისჯება გაძევების ადმინისტრაციული ზომით, ჩადის არალეგალურად შემოსვლის დანაშაულსაც (TU, მე-10 განმეორებითი მუხლი). თუ მანამდე უკვე იყო გაძევებული და არ ჰქონდა ხელახლა შემოსვლის სპეციალური ნებართვა გაძევებით გამოწვეული აკრძალვის ვადის გასვლამდე, სახეზეა გაძევებული უცხოელის ხელახალი უკანონო შემოსვლის კონკრეტული დანაშაული (TU, მუხლი 13, პუნქტები 13 და 13-bis).

პრეფექტი, ცალკეული შემთხვევის წინასწარი განხილვის შემდეგ, გასცემს გაძევების განკარგულებას, თუ უცხოელი (TU, მუხლი 13, პუნქტი 2(b)):

- ა) ქვეყნის ტერიტორიაზე დასაქმებულია იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 27-ე მუხლის 1-bis პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების გარეშე, დამქირავებელს ემსახურება საზღვარგარეთ მდებარე ოფისში/ფირმაში და იტალიაში შესვლა ნებადართული აქვს კონტრაქტით გათვალისწინებული გარკვეული მომსახურებისათვის;
- ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება ისე, რომ არ მოუთხოვია ბინადრობის ნებართვა კანონით დადგენილ ვადაში (TU, მუხლი 5, პუნქტი 2), შესვლიდან 8 სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაგვიანება გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით;

სამართალმცოდნეობაში განმარტებულია, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე განაცხადის წარდგენის 8-დღიანი (სამუშაო დღე) ვადა მტკიცედ არის განსაზღვრული. ,,უცხოელთა საიმიგრაციო და სამართლებრივი სტატუსის საკითხიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ტერიტორიაზე განმეორებით უკანონო ყოფნას მოჰყვება ავტომატური გაძევების განკარგულება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბინადრობის ნებართვის განახლებაზე განაცხადი დაგვიანებით არის წარდგენილი). ამასთან დაკავშირებით, დაუშვებელია პრეფექტის მიერ ნებისმიერი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება, ან იმის გათვალისწინება, რომ უცხოელი კანონიერად არის შემოსული იტალიაში, ანდა ეწევა შრომით საქმიანობას'' (საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა I, N.6670/2006).

გ) ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება ისე, რომ პოლიციის სამმართველოში შემოსვლიდან 8 დღის განმავლობაში არ გაუკეთებია შესაბამისი განაცხადი, გათვალისწინებული 90 დღეზე ნაკლები პერიოდით შემოსვლის შემთხვევებში, როგორიცაა ტურიზმი და საქმიანი ან სასწავლო ვიზიტი (კანონი N. 68/2007, მუხლი 1, პუნქტი 3);

დ) ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება პოლიციის უფროსის მიერ ბინადრობის ნებართვის გაუქმების შემდეგ;

- ბინადრობის ნებართვის (ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ადმინისტრაციული ნებართვის) გაუქმების წინაპირობაა: მისი უკანონოდ დაუფლება და მოქმედების ვადის გასვლა; ასევე, იმ რეკვიზიტების უკმარობა ან აღარარსებობა, რომელთა საფუძველზეც ის გაიცა; ახალი გარემოებები, რომლებიც არ იძლევა მისი დატოვების საშუალებას; საზოგადოებრივი ინტერესები; ფაქტობრივი სიტუაციის შეცვლა; ან თავდაპირველი საზოგადოებრივი ინტერესის ხელახალი გადაფასება.
- მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვის გაუქმებას და, შედეგად, გაძევებას:
  - ✔ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლისა და ბინადრობისათვის მოთხოვნილი რეკვიზიტების უკმარობა/აღარარსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩნდება ახალი გარემოებები, ან საქმე ეხება ადმინისტრაციულ დარღვევას, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს (TU, მუხლი 5, პუნქტი 5);
  - ✔ მეუღლის ჩამოყვანასთან დაკავშირებული აკრძალვის დარღვევა იმ უცხოელის მიერ, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად ბინადრობს სხვა მეუღლესთან ერთად (TU, მე-5 მუხლის 5-ter და 29-ე მუხლის 1-ter პუნქტები);
  - ✔ ინტეგრაციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტების სრული დაკარგვა (TU, მუხლი 4-bis, პუნქტი 2);
  - ✔ თვითდასაქმებითი სამუშაო მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის მფლობელის საბოლოო განაჩენი/სასჯელი ან საავტორო უფლებების დარღვევისა (კანონი N. 633, 22 აპრილი, 1941) თუ ყალბი სასაქონლო ნიშნით ვაჭრობის დანაშაულები (სსკ მუხლები: 473 და 474);
  - ✔ მსჯავრდება (თუნდაც არ არსებობდეს საბოლოო განაჩენი) ან საპროცესო შეთანხმება ისეთი დანაშაულებზე, რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო წესით დაკავებას (სსსკ მუხლი 380) და უკავშირდება ნარკოტიკებს, სექსუალურ ძალადობას, იმიგრაციისა და არალეგალური ემიგრაციის ხელშეწყობას, პირთა გადაყვანას და ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით, ასევე, არასრულწლოვანთა ჩართვას უკანონო ქმედებებში;

ე) ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა ბინადრობის ნებართვით, რომელიც ანულირებულია, ან რომელზეც უარია ნათქვამი პოლიციის უფროსის მხრიდან (თუ უცხოელი, რომელსაც ბინადრობის ნებართვაზე უარი ეთქვა, ნებაყოფლობით არ დატოვებს ქვეყნის ტერიტორიას არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში, პოლიციის უფროსისგან პრეზიდენტის N.394/1999 განკარგულების მე-12-მუხლის შესაბამისად მიღებული ნებართვის მიხედვით);

ვ) ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება, როცა ბინადრობის ნებართვა 60 დღის ვადაგასულია და განახლებაზე განაცხადი არ გაკეთებულა;

გამონაკლისია ლეგალურად მობინადრე, ნებისმიერი ნებართვის მფლობელი უცხოელი, რომელსაც აქვს ოჯახის გაერთიანებისთვის საჭირო რეკვიზიტები და რომლის ბინადრობის ნებართვაც შეიძლება შეიცვალოს ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემულ ბინადრობის ნებართვად - მისი ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში. ამდენად, გაძევების ზომის გატარება უცხოელის მიმართ, რომელიც იყენებს ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების უფლებას, შესაძლებელია მისი ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლიდან ერთი წლის შემდეგ, თუ არ გაკეთდება მოთხოვნა ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვად გადაკეთებაზე/შეცვლაზე;

ზ) ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება 90 დღეზე მეტხანს, ან იმაზე მეტი დროით, რომელიც მითითებულია ტურიზმისა და სასწავლო ან საქმიანი ვიზიტებით შემოსასვლელ მოკლევადიან ვიზაში;

თ) აქვს ევროკავშირის სხვა ქვეყნის მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვა ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი და პოლიციის სამმართველოში არ გაუკეთებია შემოსვლაზე განაცხადი საზღვრის გადმოკვეთიდან 60 დღის განმავლობაში (TU, მუხლი 5, პუნქტი 7). ასეთ შემთხვევებში გაძევება ფაკულტატური/არჩევითია.

<u>გაძევება სოციალური საფრთხის მიზეზით</u>

პრეფექტი, ცალკეული შემთხვევების წინასწარი განხილვის შემდეგ, რომლის შედეგებიც უნდა აისახოს განკარგულების თანმხლებ დასაბუთებაში, გამოსცემს უცხოელის გაძევების განკარგულებას, თუ ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ვლინდება, რომ ის:

- 1) ჩართულია დანაშაულებრივი ვაჭრობის/ტრეფიკინგის საქმეებში;
- 2) თავისი ყოფის სტილისა და დონის მიხედვით, ცხოვრობს (თუნდაც ნაწილობრივ) დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით;
- 3) მისი ქცევიდან გამომდინარე, ჩადის დანაშაულს, რომელიც ხელყოფს ან საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა ფიზიკურ ან მორალურ მთლიანობას, ასევე, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ სიმშვიდეს.

ამდენად, გაძევების განკარგულება გამოიცემა უშუალოდ ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ, inaudita altera parte (მეორე მხარის მოსმენის გარეშე), და სასამართლო განხილვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე ასაჩივრებს გამოცემულ განკარგულებას.

<u>უცხოელის გაძევება, რომელიც არ ასრულებს ქვეყნის დატოვების ბრძანებას</u>

როცა უცხოელი მოქალაქე არ ასრულებს პოლიციის უფროსის ბრძანებას ქვეყნის ტერიტორიის დატოვებაზე შეტყობინების მიღებიდან 7 დღის განმავლობაში (TU, მუხლი 14, პუნქტი 5-bis ):

- 1. ამგვარი ქმედება ისჯება 10.000-დან 20.000 ევრომდე ჯარიმით, თუკი არ არსებობს გამამართლებელი მიზეზი (შდრ.: საკონსტიტუციო სასამართლოს N.5/2004 დადგენილებას) და ბრძანება განპირობებულია გაძევების მიზნით სავალდებულო თანმხლების (TU, ყოფილი მუხლი 13, პუნქტი 4), გადავადებული უკან გაბრუნების/ უარის, ანდა რეპატრიაციის დახმარების პროგრამიდან გამოსვლის შემთხვევებით. იმავე ბრძანების შეუსრულებლობა 6.000-დან 15.000 ევრომდე ჯარიმით ისჯება, თუ ის

გაიცა იმის გამო, რომ პირი დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით (TU, ყოფილი მუხლი 13, პუნქტი 5) არ დატოვებს ქვეყანას - როდესაც გაძევებული უცხოელი არ ტოვებს ქვეყანას მისთვის გათვალისწინებულ ვადაში, მას განესაზღვრება იძულებითი გაძევება, მაგრამ ვერ ხერხდება მისი დაუყოვნებელი აღსრულება ან პირის გაგზავნა დაკავების ცენტრში (ყურადღება: ეს ეხება უცხოელს, რომელმაც დაარღვია ქვეყნის ნებაყოფლობითი დატოვებისთვის მიცემული ვადა). ასეთი დანაშაულები შედის მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაში.

- 2. ცალკეული შემთხვევის განხილვის/შეფასების მერე, თუ ნებადართული ვადის დამრღვევი უცხოელი დაპატიმრებული არ არის, პრეფექტი გასცემს გაძევების ახალ განკარგულებას ქვეყნის ტერიტორიის დატოვების ბრძანების შეუსრულებლობის გამო, რომელიც მანამდე გასცა პოლიციის უფროსმა. ამგვარად, შესაძლებელია, გაძევების ახალ განკარგულებასაც ახლდეს პოლიციის უფროსის მიერ გაცემული ბრძანება ქვეყნის დატოვებაზე, ეს გამეორდეს ყოველ მომდევნო დარღვევაზე და შეიქმნას გაძევების ჯაჭვური სისტემა (TU, მუხლი 14, პუნქტი 5-ter) ვიდრე უცხოელი მოქალაქე არ დატოვებს ქვეყნის ტერიტორიას.

<u>გაძევება ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფარგლებში</u>

პრეფექტი უფლებამოსილია, მიიღოს გაძევების ზომა ევროკავშირის სხვა სახელმწიფოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების ფარგლებში.

ამ ზომას აღასრულებს პოლიციის უფროსი (N.12/2005 საკანონმდებლო დადგენილების მე-2 მუხლი 2001/40/CE დირექტივის განხორციელებაზე, რომელიც ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მხრიდან ქვეყნის ტერიტორიის დატოვების გადაწყვეტილების ურთიერთაღიარებას).

<u>გაძევების ზომა, რომელიც მიიღება მას შემდეგ, რაც დასრულდება საერთაშორისო დაცვის განაცხადზე უარის, დახურვის და დაუშვებლობის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა.</u>

საერთაშორისო დაცვის მაძიებელი შეიძლება გააძევონ, თუ იტალიაში რჩება მას შემდეგ, რაც ტერიტორიული კომისია უარს იტყვის განაცხადზე საერთაშორისო დაცვის აღიარების შესახებ, ან ამოწურულად/დაუშვებლად მიიჩნევს მას, უშედეგოდ გავა გასაჩივრების ვადა, ანდა საჩივარზე უარყოფითი პასუხს მიიღებს (საკანონმდებლო დადგენილება N.25/2008, მუხლი 35).

<u>ხანგრძლივად მობინადრე უცხოელი</u>

ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხოელის (TU, მუხლი 9) გაძევება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) რისკებს უქმნის საზოგადოებრივი წესრიგს ან სახელმწიფო უსაფრთხოებას (TU, მუხლი 13, პუნქტი 1);
- ბ) საჭიროა ტერორიზმის პრევენცია (კანონი N.155/2005, მუხლი 3, პუნქტი 1);
- გ) არსებობს სოციალური საფრთხე (TU, მუხლი 13, პუნქტი 2(c)).

გაძევების განკარგულების მიღებისას გასათვალისწინებელია ადრესატის ასაკი, ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობის ხანგრძლივობა, გაძევების შედეგები ამ პირისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, ოჯახური/ნათესაური და სოციალური კავშირები ქვეყნის ტერიტორიაზე და მათი არარსებობა მშობლიურ (წარმოშობის) ქვეყანაში (TU, მუხლი 9, პუნქტები 10, 11). ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა, ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხოელის გაძევება ქვეყნის ტერიტორიიდან დაუშვებელია (TU, მუხლი 19, პუნქტი 2 (b)).

## სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხოელი

ევროკავშირის სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხოელის გაძევება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) პრეფექტის მიერ მიღებულია გაძევების ადმინისტრაციული ზომა - პირის უკანონო ბინადრობის გამო (TU, მუხლი 9-bis, პუნქტი 7; მუხლი 13, პუნქტი 2(b). როდესაც იტალიის მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვა (TU, მუხლი 9-bis, პუნქტები 1, 2) უარყოფილი ან გაუქმებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის რისკების შექმნის მოტივით და უცხოელი იგზავნება ევროკავშირის სხვა სახელმწიფოში, რომელმაც გასცა შესაბამისი გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა;

ბ) შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ მიღებულია გაძევების ადმინისტრაციული ზომა - როდესაც არსებობს გაძევების განკარგულების მინისტრის დონეზე გამოცემის პირობები (TU, მუხლი 13, პუნქტი 1; კანონი N.155/2005, მუხლი 3, პუნქტი1. იხ: ზემოთ პუნქტები 3, 1, 1). ასეთ შემთხვევაში გაძევების ზომა მიიღება ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის გამცემ სახელმწიფოსთან გასაუბრების შემდეგ, და თანხლებით გაძევება ხდება ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ.

## გაძევების აკრძალვა

კანონი ითვალისწინებს გაძევებისა და უკან გაბრუნების/უარის კატეგორიულ (TU, მუხლი 19, პუნქტი 1) და ნაკლებად მკაცრ აკრძალვას (TU, მუხლი 19, პუნქტი 2).

ა) დაუშვებელია უცხოელის გაძევება სახელმწიფოში, რომელშიც შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, მოქალაქეობის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, პირადი ან სოციალური პირობების ნიშნით, და არსებობს რისკი, რომ ვერ იქნება დაცული ასეთი დისკრიმინაციისგან (TU, მუხლი19, პუნქტი 1).

ამგვარი აკრძალვის დროს მოქმედებს: ლტოლვილის გაუძევებლობის non refoulement პრინციპი (ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლი); წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი); ადამიანის ხელშეუხებელი უფლებების დაცვა, რასაც აღიარებს და უზრუნველყოფს იტალიის რესპუბლიკა (კონსტიტუციის მე-2 მუხლი); კონსტიტუციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული თავშესაფრის უფლება უცხოელისათვის, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში არ აქვს დემოკრატიული თავისუფლებების ფაქტობრივი განხორციელების უფლება; და უცხოელის ექსტრადიციის აკრძალვა პოლიტიკური დანაშაულებისთვის (კონსტიტუციის მე-10 მუხლი, პუნქტი 4).

აკრძალვა წესდება ავტომატურად, მოსამართლის განაცხადის გარეშე (ნებისმიერი სხვა ტიპის აქტის მიუხედავად), აგრეთვე, დაინტერესებული პირის მოთხოვნისგან ან საერთაშორისო დაცვაზე განაცხადის შეტანისგან დამოუკიდებლად.

უცხოელს აქვს ჰუმანიტარული მიზეზებით ბინადრობის ნებართვის მიღების უფლება, თუ იმყოფება იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებში, ან არსებობს რისკი, გაგზავნონ ქვეყანაში, სადაც შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას გზავნიან/აბრუნებენ სახელმწიფოში, სადაც უზრუნველყოფილია ანალოგიური დაცვა დევნისგან (პრეზიდენტის განკარგულება N.394/99, მუხლი 28, პუნქტი 1(d)).

ბ) საზოგადოებრივი წესრიგის ან სახელმწიფო უსაფრთხოების (TU, მუხლი 13, პუნქტი 1) გამო მინისტრის მიერ გაცემული გაძევების განკარგულებით არ შეიძლება იმ უცხოელის გაძევება, რომელიც არის (TU, მუხლი19, პუნქტი 2):

- 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი, გარდა გაძევებულ მშობელთან ან მზრუნველ/მეურვე პირთან ერთად წასვლის უფლებისა. უცხოელი არასრულწლოვნის გაძევების შესახებ (მხოლოდ მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადაწყვეტილებას იღებს არასრულწლოვანთა სასამართლო, პოლიციის უფროსის მოთხოვნის საფუძველზე (TU, მუხლი 31, პუნქტი 4). ოჯახური მოტივით ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელ არასრულწლოვანზე გაძევების აკრძალვის განხილვისას გაიცემა ბინადრობის ნებართვა არასრულწლოვნების მოტივით (პრეზიდენტის განკარგულება N.394/1999, მუხლი 28, პუნქტი 1 (a));
- ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი, გარდა ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ნათესავთან (II საფეხურამდე) ან იტალიელ მეუღლესთან მცხოვრები უცხოელი. ასეთი აკრძალვით დაცულია იტალიის მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა გაერთიანების უფლება. ამგვარ პირობებში მყოფ უცხოელს შეუძლია მიიღოს ბინადრობის ნებართვა ოჯახური მოტივით (პრეზიდენტის განკარგულება N.394/1999, მუხლი 28, პუნქტი 1(b)). N.94/2009 კანონმა II საფეხურამდე დაიყვანა ნათესაური კავშირი იტალიელთან, რაც მნიშვნელოვანია ხელშეუხებლობის („არ ექვემდებარება გაძევებას“) თვალსაზრისით, მაშინ, როდესაც წინა ნორმატიული აქტი ამ კავშირს ითვალისწინებდა IV საფეხურამდე;
- ორსული ქალი, ან დედა ბავშვის დაბადებიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში, თანამცხოვრებ მეუღლესთან ერთად. ჩამოთვლილ შემთხვევებში შეთანხმებული გაუძევებლობა არ არის მუდმივი და განისაზღვრება, როგორც გაძევების უფლების შეჩერება იმის გამო, რომ სისტემა აღიარებს ქალების დაცვას ორსულობისა და ბავშვის დაბადების მომდევნო პერიოდში. ასეთ შემთხვევებში, სამედიცინო ცნობით სათანადოდ დამოწმების შემდეგ, ორსულ ან ნამშობიარებ ქალს და თანამცხოვრებ ქმარს უფლება აქვთ, მიიღონ ბინადრობის ნებართვა სამედიცინო მკურნალობის მოტივით, რომელიც არ იძლევა შრომითი საქმიანობის უფლებას (პრეზიდენტის განკარგულება N.394/199, მუხლი 28, პუნქტი 1(c)).

### 5.2.4 ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულების დარღვევა

ზოგჯერ იტალიური კანონები უშვებს არალეგალი უცხოელის გაძევების ვალდებულების ერთგვარ დარღვევას, ისეთ სიტუაციებშიც კი, რომლებსაც თავისთავად მოჰყვება გაძევება (მაგ.: უკანონო შემოსვლა ან ბინადრობა). ასეთი შემთხვევები არ განიხილება გაძევების აკრძალვის სამართლებრივი ნორმების ფარგლებში, მაგრამ გათვალისწინებულია N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილებით, საკონსტიტუციო სამართლით და ლეგიტიმურობის პრინციპით, რომლის მიხედვითაც ნებადართულია ბინადრობის ნებართვის გაცემა ან გაძევების უფლების შეწყვეტა/გამოუყენებლობა.

გაძევების უფლების შეწყვეტა/გამოუყენებლობა დაშვებულია იმ უცხოელის მიმართ, რომელსაც სჭირდება სასწრაფო და გადაუდებელი ან უწყვეტი და შეუზღუდავი დროებითი მკურნალობა, ჯანმრთელობის მძიმე და სერიოზული (ასევე, დასაბუთებული) პირობების გამო, რომლის მკურნალობა იტალიაში აქვს დაწყებული. კანონმდებლობამ გარკვეული ხნის წინათ შეიმუშავა ადმინისტრაციული გაძევების უფლების შეჩერების კონკრეტული მიზეზები ამ არაპროპორციული/გადაჭარბებული ზომის საბოლოო გადაწყვეტის, ან მისი შერბილების მიზნით. ეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ორიენტირი ამჟამად გაძლიერებულია პრეფექტის ვალდებულებით, რომ გაძევების უფლება გამოიყენოს თითოეული შემთხვევის მიხედვით, მათი სათანადო შესწავლის შემდგომ (TU, მუხლი 13, პუნქტი 2).

## 5.2.5 სასამართლო წესით გაძევება

<u>გაძევება უსაფრთხოების ზომის სახით</u>

ზოგადად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირადი უსაფრთხოების ზომებს, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა (კონსტიტუცია, მუხლი 25, პუნქტი 3; სსკ მუხლი199) და მხოლოდ მაშინ, თუ სოციალურად საშიში პირები არიან და ჩადენილი აქვთ ქმედება, რომელიც კანონით მიჩნეულია დანაშაულად (სსკ მუხლი 202).

სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პირი სოციალურად საშიშია, როდესაც მოსამართლე მიიჩნევს, რომ მას შეუძლია ისეთი ახალი ქმედებების ჩადენა, რომლებიც კანონით განსაზღვრულია დანაშაულად, სისხლის სამართლის კოდექსის პარამეტრების მიხედვით (სსკ მუხლები 133, 203).

საფრთხე კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეაფასოს სისხლის სამართლის მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. უსაფრთხოების ზომები განისაზღვრება სისხლის სამართლის მოსამართლის მიერ მსჯავრდების ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანით და შეიძლება გააუქმოს ზედამხედველმა მოსამართლემ (მაგისტრატმა), თუ მისადმი დაქვემდებარებული პირი აღარ მიიჩნევა სოციალურად სახიფათოდ (სსკ მუხლი 207, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება N.110/1974).

კანონი  გაძევების ზოგიერთ  ზომას ითვალისწინებს პირადი უსაფრთხოების ღონისძიებად, რომლის გატარებაც შეიძლება უცხოელთა მიმართ, მისი გამოყენების ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

უსაფრთხოების ზომის გამოყენებას განსაზღვრავს სისხლის სამართლის მოსამართლე, რომელიც უცხოელს მიიჩნევს სოციალურად საშიშ პიროვნებად. მოსამართლის  გადაწყვეტილება/ განაჩენი ითვალისწინებს უცხოელის იძულებით გაძევებას სახელმწიფოს ტერიტორიიდან, მისი კანონიერად შემოსვლისა და ბინადრობის მიუხედავად.

<u>გაძევება, როგორც სასჯელის შემცვლელი სანქცია</u>

გაძევება, როგორც სასჯელაღსრულების/პატიმრობის შემცვლელი სანქცია (TU, მუხლი 16, პუნქტები 1, 2, 3, 4) ფაკულტატიური/არჩევითია და მოსამართლემ შეიძლება ორ შემთხვევაში გამოსცეს იმ უცხოელი მოქალაქის მიმართ, რომელიც არ განეკუთვნება ერთიანი საკანონმდებლო აქტის  მე-19 მუხლით განსაზღვრულ ხელშეუხებელ პირთა (ვინც არ ექვემდებარება გაძევებას) კატეგორიას:

ა) გაძევება როგორც თავისუფლების აღკვეთის შემცვლელი სანქცია, როდესაც სასჯელის ვადა  2 წელს არ აღემატება, იდენტიფიცირებული დანაშაულის განმეორებით ჩამდენი არალეგალურად მობინადრე უცხოელის მიმართ, რომელიც ადმინისტრაციული ზომის შესაბამისად, ისედაც უნდა გაეძევებინათ. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე გამოსცემს გაძევების  გადაწყვეტილებას, თუკი:

- პირი მსჯავრდებულია არაგანზრახ დანაშაულზე, ან განაჩენი გამოტანილია მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე,  ე.წ. საპროცესო შეთანხმებით (ससკ მუხლი 444);
- ამ განაჩენით გამოტანილი სასჯელი გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას/პატიმრობას 2 წლამდე ვადით და არ არსებობს სასჯელის პირობით შეწყვეტის/შეჩერების გარემოებები (სსკ მუხლი 163);
- უცხოელი, ვისაც უნდა შეეფარდოს სასჯელი, იმყოფება ისეთ პირობებში, რომლის დროსაც პრეფექტს შუძლია გამოსცეს გაძევების ადმინისტრაციული ზომა - ანუ არალეგალური შემოსვლისა და ბინადრობის, ასევე, სოციალური საშიშროების შემთხვევები (TU, მუხლი13, პუნქტი 2(a)(b)(c));
- არ არსებობს მატერიალური დაბრკოლებები გაძევებული უცხოელის საზღვრამდე დაუყოვნებლივ მიყვანის/მიცილების მხრივ (TU, მუხლი 14 მუხლი, პუნქტი 1) - ანუ, უცხოელი ბრალდებული იდენტიფიცირებულია, აქვს მოქმედი პასპორტი ან მისი ტოლფასი დოკუმენტი და მზად არის/ხელმისაწვდომია სამგზავრო დოკუმენტაცია და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალება.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა დაკმაყოფილებულია, მოსამართლეს შეუძლია, 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა  შეცვალოს არანაკლებ 5-წლიანი გაძევების ღონისძიებით (საუბარია ფაკულტატურ გაძევებაზე).

გაძევების პროცედურას ახორციელებს პოლიციის უფროსი, პოლიციის თანამშრომლის თანხლებით საზღვრამდე (TU, მუხლი 13, პუნქტი 4), იმ შემთხვევაშიც, როცა არ არსებობს საბოლოო განაჩენი (შეტანილია სააპელაციო საჩივარი ან გასაჩივრების ვადა არ არის გასული).

განაჩენში მითითებული ხელახალი შემოსვლის აკრძალვის ვადა აითვლება გაძევების აღსრულებიდან, მაგრამ თუ მსჯავრდებული უცხოელი, რომელსაც სასჯელი გაძევებით შეეცვალა, არალეგალურად შემოვა ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალვის ვადის გასვლამდე,  თავისუფლების აღკვეთის შემცვლელი სანქცია უქმდება მოსამართლის მიერ და ძალაში შედის პატიმრობა, რომლის აღსრულებაც დამოკიდებულია საბოლოო განაჩენზე. თუ გაძევებული უცხოელი აკრძალულ პერიოდში არ შემოვა ქვეყნის ტერიტორიაზე, სასჯელი  ჩაითვლება ბოლომდე მოხდილად.

ბ) გაძევებას, როგორც  ფულადი ჯარიმის შემცვლელ სანქციას, სისხლის სამართალწარმოებაში იყენებს მაგისტრატი მოსამართლე. ეს შეეხება ორი ტიპის დანაშაულს:

- სახელმწიფოს ტერიტორიაზე არალეგალურად შესვლა და ბინადრობა (TU, საკანონმდებლო დადგენილება N. 274/2000, 62-ე განმეორებითი მუხლი);
- პოლიციის უფროსის ბრძანების გაუმართლებელი, განმეორებითი შეუსრულებლობა (TU, მუხლი 14,  პუნქტები: 5-quarter და 5-quinquies);

ძირითადად, ორივე შემთხვევაში, გაძევება, როგორც სასჯელის შემცვლელი სანქცია, განსაზღვრულია სასჯელის პირობითი შეჩერების/შეწყვეტის სპეციალურ ფორმად - ანუ სასჯელის აღსრულება ჩერდება იმ პირობით, თუ მსჯავრდებული უცხოელი, თუნდაც არ იყოს გამოტანილი საბოლოო განაჩენი, ხელახლა არ შემოვა ქვეყნის ტერიტორიაზე აკრძალული პერიოდის (არანაკლებ 5 წლის) გასვლამდე, როგორც მითითებულია განაჩენში.

გარდა ამისა,  საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით (გადაწყვეტილება N.369/1999), იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გაძევება, შეფარდებული თუნდაც სისხლის სამართლის მოსამართლის მიერ, ფაქტობრივად, ადმინისტრაციული სანქციაა, რადგან (1) მისი ეფექტი მხოლოდ ირიბად/არაპირდაპირ არის მძიმე/მტკივნეული (რაც გადაიჭრება უცხოელის მიერ ქვეყნის ტერიტორიის დატოვებით) და (2) მას აღასრულებს პოლიციის უფროსი (ადმინისტრაციული ხელისუფლება) და არა სახელმწიფო პროკურატურა (რომლის უფლებამოსილებაც გახლავთ სასჯელის აღსრულება).

<u>გაძევება, როგორც დაკავების ალტერნატიული ზომა</u>

ეს ზომა ნაწილობრივ რეფორმირებულია 146/2013 საკანონმდებლო დადგენილებით - ,,გადაუდებელი ზომები პატიმრების ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და ციხის მოსახლეობის კონტროლირებადი შემცირების შესახებ", რომელიც მიღებულია 2014 წლის 21 თებერვლის მე-10 კანონად და რეგულირდება იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-16 მუხლის 5, 5-bis, 5-ter, 6, 7, 8 და 9 პუნქტებით.

პირობები:

- იდენტიფიცირებული დაკავებული უცხოელი, თავისუფლების აღკვეთის სასჯელით, მაშინაც კი, თუ დარჩენილია ხანგრძლივი სასჯელის ნაწილი, მაგრამ არაუმეტეს 2 წლისა;
- მსჯავრდებული, რომელიც იმყოფება იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სიტუაციებში (ანუ არალეგალური შემოსვლა და ბინადრობა, სოციალური საფრთხე), მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ უკვე იყო გაცემული გაძევების განკარგულება;

- გაძევების გამოყენებას პატიმრობის ალტერნატიულ ზომად აბრკოლებს სასჯელი ისეთი დანაშაულებისთვის, რომლებიც გათვალისწინებულია N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილებით და რომელთა შემთხვევაშიც კატეგორიულად გადაწყვეტილია პატიმრობის სასჯელის შეფარდება 2 წელზე მეტი ვადით (ფაქტობრივად დაწესებული სასჯელის ოდენობის მიუხედავად). ესენია: ყალბი დოკუმენტების ქონა (TU, მუხლი 5, პუნქტი 8-bis); ყველა ტიპის წაქეზება-ხელშეწყობა (TU, მუხლი 12); ხელახალი უკანონო შემოსვლა (TU, ყოფილი მე-13 მუხლის 13 და 13-bis პუნქტები; და ყოფილი 22-ე მუხლის 12 და 12-bis პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებს მუშახელის უკანონო დასაქმებას);
- გაძევების გამოყენებას პატიმრობის ალტერნატიულ ზომად ასევე აბრკოლებს სასჯელი დანაშაულებისთვის, რომელიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 407-ე მუხლის 2(a) პუნქტით. გამონაკლისია სასჯელი კოდექსის 628-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული დანაშაულის მცდელობისა და ჩადენისთვის (ძარცვა დამამძიმებელი გარემოებებით) და 629-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დანაშაულისთვის (გამოძალვა დამამძიმებელი გარემოებებით);
- გაძევების ზომის დამაბრკოლებელი და არადამაბრკოლებელი დანაშაულების კოლიზიის შემთხვევაში, ანუ კოლიზიური სასჯელების გაერთიანებისას, გაძევების გამოყენება შეიძლება მას შემდეგ, რაც პირი მოიხდის დაკისრებული სასჯელის ნაწილს იმ დანაშაულისთვის, რომელიც გაძევების საშუალებას არ იძლევა. ამრიგად, კოლიზიური დანაშაულებისთვის განსაზღვრული სასჯელები შეიძლება დანაწილდეს/დაიყოს, თუკი გაძევების ზომის დამაბრკოლებელ და არადამაბრკოლებელ დანაშაულთა განაჩენები განხორციელების ფაზაშია. ეს სიახლე შემოღებულია N.10/2014 კანონით და წყვეტს წინა კანონდებლობის ფარგლებში შექმნილ სამართლებრივი ორიენტიაციის პრობლემას.

# თავი VI. სასამართლო შემოწმება და კანონის უზენაესობის გარანტიები

1978 წლის 21 მარტის N.59 კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ,,პოლიციის ოფიცრებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ, პოლიციის განყოფილებაში მიიყვანონ ნებისმიერი პირი, რომელიც უარს იტყვის პირადი მონაცემების გაცხადებაზე და გააჩერონ მანამდე, სანამ არ მოხდება მისი იდენტიფიკაცია (მაგრამ არაუმეტეს 24 საათისა).

წინა პუნქტში გათვალისწინებული დებულება გამოიყენება მაშინაც, როდესაც საკმარისი მტკიცებულებები არსებობს, რომ პირადი მონაცემების მოთხოვნისას პიროვნებამ წარმოადგინა ყალბი ინფორმაცია, ან ყალბი საბუთები.

პოლიციის განყოფილებაში პირის მიყვანაზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეგზავნება სახელმწიფო პროკურორს. თუკი ის მიიჩნევს, რომ წინა პუნქტში მითითებული პირობები კონკრეტულ პირზე არ ვრცელდება, გამოსცემს მისი გათავისუფლების ბრძანებას.

პირის იდენტიფიკაცია, მისი ამოსაცნობი მონაცემების (ფოტოსურათი და თითების ანაბეჭდი), ასევე, თმიდან და ნერწყვიდან სინჯების აღება, არ შეიძლება ავტორიზაციის გარეშე. გამონაკლის შემთხვევებში ამის ნებართვას გასცემს მოსამართლე.

პირადი მონაცემების მიწოდებაზე/დოკუმენტების წარდგენაზე უარის შემთხვევაში, პოლიციის განყოფილებაში მიყვანის გარდა, შესაძლებელია ბრალის წაყენებაც, კერძოდ:

- თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე მოთხოვნისას პოლიციის თანამშრომელს არ წარუდგენს დოკუმენტებს (პასპორტი/ბინადრობის ნებართვა) საპატიო მიზეზის გარეშე, შეიძლება წაეყენოს ბრალი და შეეფარდოს 6-თვიანი პატიმრობა. თუ არსებობს მის პირადობაში დაეჭვების მიზეზი, შეიძლება წაიყვანონ განყოფილებაში, ამოსაცნობი მონაცემების ასაღებად (არაუმეტეს 24 საათით);

- თუ საჯარო მოხელეს ან საჯარო სამსახურის პასუხისმგებელ პირს სიტყვიერად ან წერილობით აწვდის ყალბ პირად მონაცემებს, დანაშაული უფრო მძიმე სასჯელით ისჯება: პატიმრობა 6 წლამდე ვადით (სსკ მუხლები 495, 496). იგივე სასჯელია გათვალისწინებული, როცა უცხოელი მოქალაქე ცდილობს საკუთარ სხეულზე ცვლილებების შეტანას იდენტიფიკაციის თავიდან ასაცილებლად (მაგ.: თითების ანაბეჭდების შეცვლა (სსკ. 495 მუხლი);
- თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე ძალადობით და მუქარით ეწინააღმდეგება საჯარო მოხელეს, როცა ეს უკანასკნელი თავის მოვალეობას ასრულებს, მას შეიძლება ბრალი დაედოს საჯარო მოხელისათვის წინააღმდეგობის გაწევაში (სსკ მუხლი 337). საჯარო მოხელესთან გათანაბრებულნი არიან საჯარო სამსახურისა და საზედამხდველო კერძო კომპანიების თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ რკინიგზის, მეტროს და სამოქალქო ტრანსპორტის სადგურებთან, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების დამხმარე თანმშრომლები. ამ სახის დანაშაულისათვის სასჯელის ზომად გათვალისწინებულია პატიმრობა 6 თვიდან 5 წლამდე.

მოსამართლის ორდერის გარეშე შეიძლება ჩატარდეს პირის (და არა ოთახის) ჩხრეკა, როდესაც იგი:

- დანაშაულს ჩადის ან გარბის (გაქცევა), ანდა უნდა შესრულდეს წინასწარი პატიმრობის, დაკავებისა თუ პატიმრობის ბრძანება (სსკ. მუხლი 352);
- სასამართლო პოლიციას (სახელმწიფო პოლიცია, კარაბინიერი, ფინანსური პოლიცია, სატყეო პოლიცია) უფლება აქვს, გაჩხრიკოს პირები, ოთახები/ფართები, ა/მანქანები, ბარგი და პირადი ნივთები ნარკოტრაფიკის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით (პრეზიდენტის ბრძანება N. 309/1990, მუხლი 103), ან როცა არსებობს საფუძველი, რომ იქ არის იარაღი, საბრძოლო მასალა ან ასაფეთქებელი ნივთიერება, ანდა იმალება პოლიციის მიერ ძებნილი ან გაქცეული პირი, რომელიც ბრალდებულია მაფიოზურ გაერთიანებასთან ურთიერთობაში, ან ნარკოტრაფიკისა თუ ტერორისტულ დანაშაულებში (საზოგადოებრივი უსაფრთხოების კონსოლიდაციის კანონი (Tulps), მუხლი 41; საკანონმდებლო დადგენილება N.306, მუხლი 25; 8 ივნისი 1992);

ასეთ შემთხვევებში დგება ჩხრეკის ოქმი და ერთი ასლი გადაეცემა ჩხრეკის ობიექტს. ოქმში მითითებულია ჩატარებული ოპერაციები, მოსამართლის ნებართვის გარეშე ჩხრეკის მოტივი, პოლიციის იმ თანამშრომელთა გვარები და პოზიციები, რომლებმაც ჩხრეკა ჩაატარეს. თუ ჩამორთმეულია საგნები ან დოკუმენტები, ცალკე უნდა მიეთითოს ჩხრეკის ოქმში.

## 6.1 საზღვარზე იძულებითი თანხლების დროს

კონსტიტუციის მე-13 მუხლი, იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 10, 13, 14 მუხლები და 1999 წლის N.394 განსახორციელებელი რეგულაციის განკარგულების შესაბამისი დებულებები მტკიცე გარანტიებს სთავაზობს არალეგალ მიგრანტებს ტერიტორიის იძულებით დატოვების სხვადასხვა ფაზაში.

როდესაც შეუძლებელი ხდება დაუყოვნებელი გაძევება საზღვრამდე თანხლებით, ან უკან გაბრუნება/უარის თქმა იმ გარდამავალი სიტუაციების გამო, რომლებიც ხელს უშლის რეპატრიაციის მომზადებას და უცხოელის მიერ ქვეყნის დატოვების აღსრულებას, პოლიციის უფროსი გასცემს განკარგულებას, რომ უცხოელი მოქალაქე, მკაცრად განსაზღვრული საჭირო ვადით, მოთავსდეს ყველაზე ახლოს მდებარე იდენტიფიკაციისა და გაძევების ცენტრში, რომელიც დადგენილი/შერჩეულია შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით (საკანონმდებლო დადგენილება N. 286/1998, მუხლი 14).

შენიშვნა:

კანონი N 132/18 ძალაში შესვლით დაშვებულ იქნა უცხოელის დაყოვნების შესაძლებლობა, სანამ დამტკიცდება ბრძანება მისი საზღვრამდე თანხლების შესახებ, ასევე "განსხვავებულ და

შესაფერის" სტრუქტურებში, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანოთათვის. მაგისტრატი მოსამართლე გასცემს დაკავების ბრძანებას. თუ CPR– ში დაკავების შეუძლებლობის პირობები რჩება დადასტურების შემდეგაც, მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია ნება დართოს სასაზღვრო ოფისში ყოფნის, მანამ სანამ მოხდება მისი გადამისამართება, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს 48 საათისა.

N.394/99 განკარგულების მე-20 მუხლი ითვალისწინებს, რომ დაკავების ბრძანება დაინტერესებულ მხარეს უნდა გადაეცეს პირდაპირ ხელში, სათანადოდ არგუმენტირებული, წერილობითი ფორმით, მისთვის გასაგებ ენაზე. დაკავებული ინფორმირებული უნდა იყოს, რომ აქვს ნდობით აღჭურვილი დამცველის ან სახაზინო ადვოკატის ყოლის უფლება და მისთვის განკუთვნილი შეტყობინებები გაეგზავნება მის დამცველს. დაკავების ცენტრში უცხოელი უნდა გააჩერონ იმ მინიმალური ვადით, რომელიც საჭიროა გაძევების აღსრულების ხელშემშლელი ფაქტორის აღმოსაფხვრელად (მკაცრად გათვალისწინებულია ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-14 მუხლით). დღეისთვის ეს ვადა 18 თვეა, გარდა შემთხვევისა, როცა პირს ათავისუფლებენ იმ პირობით, რომ 7 დღის განმავლობაში დატოვოს ქვეყნის ტერიტორია (ე.წ. დათხოვნის წერილობითი შეტყობინება).

იდენტიფიკაციისა და გაძევების ცენტრში მოთავსებულ იმიგრანტს არა აქვს დაკავებული პირის სტატუსი, მაგრამ, გარკვეულწილად, მაინც თავისუფლებააღკვეთილია, ვინაიდან ხშირად დაბრკოლებები ხვდება ამ მხრივ. თუ ცენტრიდან გადის, პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს, გამოიყენოს შემაკავებელი ღონისძიება - თითოეულ შემთხვევაში დადგენილი მეთოდებით, რადგან ასეთი სიტუაციებისთვის არ არსებობს ერთიანი საკანონმდებლო ნორმები.

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის რეგულაციათა 21-ე მუხლი (პრეზიდენტის დადგენილება N.394, 31 აგვისტო, 1999) ადგენდა, რომ CPR-ს დაკავების ცენტრში მოთავსებულ უცხოელს გარანტირებული უნდა ჰქონოდათ ,,თავისუფალი საუბრის უფლება ცენტრის შიგნით, ასევე, გარედან შემოსულ მნახველებთან, კერძოდ, რელიგიურ წარმომადგენელსა და ადვოკატთან, რომელიც მას იცავს/ეხმარება. დაცული უნდა იყოს მისი კორესპონდენციის თავისუფლებაც (სატელეფონო კომუნიკაციის ჩათვლით) და ფუნდამენტური უფლებები, მაგრამ ძალაში რჩება აკრძალვა მისი ცენტრიდან გასვლის შესახებ''. ამავე რეგულაციის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ,,უცხოელი მოქალაქე გააჩერონ მხოლოდ და მხოლოდ დროებითი განთავსების ცენტრებში (დღევანდელი CPR) - რაც მითითებულია იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-14 მუხლის 1-ელ პუნქტში - ან სამკურნალო დაწესებულებებში, სადაც ჰოსპიტალიზებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამო''.

უცხოელის CPR-ს დაკავების ცენტრში განთავსებაზე პოლიციის უფროსის გადაწყვეტილების ვალიდურობისთვის, 2004 წლიდან საკმარისი გახდა მაგისტრატი მოსამართლის

## 6.2 მესამე ქვეყნის მოქალაქეთათვის აღიარებული დაცვის გარანტიები

თუ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (CEDU) მე-5 მუხლი ,,კანონიერად'' აღიარებს ადმინისტრაციულ დაკავებას/პატიმრობას იმ პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს გაძევების ან ექსტრადიციის პროცედურა, თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიება უნდა იყოს "პროპორციული და ადეკვატური", იცავდეს ლეგიტიმურობის პრინციპს და გაგრძელდეს უცხოელი მოქალაქის ქვეყნიდან იძულებითი გაძევების ზომის უზრუნველსაყოფად საჭირო ვადით. ამასთანავე, ადმინისტრაციული დაკავების ყველა ეტაპზე გარანტირებული უნდა იყოს დაცვის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (CEDU) მე-13 მუხლი ადასტურებს ფაქტობრივი გასაჩივრების უფლებას და ადგენს, რომ „ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა".

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 47-ე მუხლი ადგენს ფაქტობრივი გასაჩივრებისა და მიუკერძოებელი მოსამართლის უფლებას: ,,ნებისმიერ პირს, რომელსაც დაერღვა ევროკავშირის კანონით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს მოსამართლის წინაშე გასაჩივრების უფლება. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, მისი საქმე სამართლიანად, საჯაროდ და გონივრულ ვადაში განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა

მოსამართლემ, როგორც წინასწარ არის განსაზღვრული კანონით. ყველას აქვს უფლება, მიიღოს რჩევა, იყოს დაცული და ჰყავდეს წარმომადგენელი სასამართლოში. ვისაც საკმარისი სახსრები არ გააჩნია, ნებადართულია საჭირო იურიდიული დახმარების მიღება სახელმწიფოს ხარჯზე, თუ ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ეფექტიანი ხელმისაწვდომობისათვის".

ყველა ამ ჩამოთვლილ ნორმას შეესაბამება იტალიის კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც ,,ყველას შეუძლია მიმართოს სამართლებრივ ქმედებას საკუთარი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. დაცვა ხელშეუხებელი უფლებაა სამართალწარმოების პროცედურის ნებისმიერ საფეხურსა და დონეზე. „ვისაც არ აქვს საშუალება, მათ დაცვა ნებისმიერი იურისდიქციის წინაშე გარანტირებულია შესაბამისი ინსტიტუტების მეშვეობით". ეს დებულება სრულად ვრცელდება არალეგალ ემიგრანტებზეც, რომლებსაც მისჯილი აქვთ იძულებითი გაძევება.

## 6.3 ადმინისტრაციული პატიმრობის დადასტურება სასამართლოს მიერ

CIE-ს ( დღეს CPR) ცენტრში დაკავების წესებში 2009 და 2011 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პოლიციის ხელისუფლებას/ორგანოებს საკმაოდ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება მიანიჭა, როგორც გაძევების ღონისძიებათა განხორციელების, ასევე ადმინისტრაციული პატიმრობის გაგრძელების თვალსაზრისით. N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, რომელიც უცვლელი დარჩა 2011 წლის N.129 კანონით განხორციელებული ცვლილების შემდეგაც, დაკავების ცენტრში განთავსების დასამტკიცებელი აუდიენცია/სხდომა იმართება საბჭოს პალატაში, დროულად გაფრთხილებული ადვოკატის მონაწილეობით. იმ ადგილას, სადაც მოსამართლე ატარებს სხდომას, უნდა მიიყვანონ დროულად გაფრთხილებული დაინტერესებული მხარეც. ჩნდება ნდობით აღჭურვილი დამცველისა შეტყობინების ვალდებულებაც. სხდომას უნდა დაესწროს მესამე ქვეყნის მოქალაქეც. მოსამართლე სხდომას ხშირად CPR-ს ცენტრში ატარებს და, ვადების დაცვისა და იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის 13-14 მუხლებით გათვალისწინებული რეკვიზიტების არსებობის შემოწმების შემდეგ, მომდევნო 48 საათის განმავლობაში ამტკიცებს უცხოელის CPR-ს ცენტრში განთავსებას შესაბამისად არგუმენტირებული გადაწყვეტილებით.

2011 წლის 2 აგვისტოს N.129 კანონით დამტკიცებული ახალი რედაქციის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ,,ცენტრში დაკავების მთლიანი პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 180 დღეს" (30+30 და ორი 60-დღიანი პერიოდი). ,,თუ შეუძლებელია გაძევების აღსრულება, ყველა გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, პოლიციის უფროსს უფლება აქვს, მომრიგებელ მოსამართლეს მოსთხოვოს ცენტრში დაკავების გაგრძელება - პერიოდულად და არა უმეტეს 60 დღით, მაქსიმუმ, 12 თვემდე.

პოლიციის სამმართველოს უფროსს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია აღასრულოს გაძევება და უკან გაბრუნება გაგრძელებული ვადის გასვლამდეც, რაზეც დროულად უნდა აცნობოს მომრიგებელ მოსამართლეს".

## 6.4 თავისუფლებაშეზღუდულ პირებზე ნებისმიერი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის აკრძალვა

კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, "თავისუფლებაშეზღუდულ პირებზე ნებისმიერი სახის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ისჯება კანონით". 1998 წლის N.40 კანონით, რომელიც შეტანილია 1998 წლის 286-ე საკანონმდებლო ტექსტში, უცხოელი მოქალაქე იდენტიფიკაციისა და გაძევების ცენტრში ისე უნდა მოთავსდეს, რომ უზრუნველყოფილი ჰქონდეს ნებისმიერი საჭირო დახმარება და დაცული იყოს მისი ღირსება. გარდა ამისა, მას გარანტირებული უნდა ჰქონდეს კორესპონდენციის თავისუფლება, მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაცია ცენტრის გარეთ.

დღეისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის გახანგრძლივებამ გამოიწვია CIE-ში დაკავებულ იმიგრანტთა ფუნდამენტური უფლებების სერიოზული შეზღუდვა/შესუსტება და ფაქტობრივად რეპატრირებულ უცხოელთა რაოდენობის შემცირება იდენტიფიცირებისა და

გაძევების ცენტრში დაკავების შემდეგ.

რა თქმა უნდა, შენგენის შეთანხმებები არ ითვალისწინებს CIE-ს ცენტრებში ადმინისტრაციულ დაკავებას, მაქსიმუმ, 18 თვემდე ვადით, ვინაიდან ისინი შემოიფარგლება მოთხოვნით გაძევების "რეალურად" აღსრულებაზე. მიზანი ადვილად მისაღწევია უცხოელი მოქალაქის თავშესაფრის უფლების ფუნდამენტურ გარანტიათა გათვალისწინებით - სასამართლო პროცესების ფარგლებში ისეთი პროცედურების გამოყენება, რომელთა შედეგადაც აღსრულდება გაძევების ლიმიტირებული რაოდენობა და პოტენციური თავშესაფრის მაძიებელი დაცული იქნება საზღვრიდან გაბრუნების ან გადავადებული გაბრუნების ზომისგან, რომელსაც პოლიციის უფროსი იღებს მისი უკანონო შემოსვლის გამო.

# თავი VII. სოციალური დაცვა (საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998, მუხლი 18)

## 7.1 ბინადრობის ნებართვა სოციალური დაცვის მოტივით

ეს გახლავთ უცხოელი მოქალაქის დაცვის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც არის ძალადობისა და მძიმე ექსპლუატაციის მსხვერპლი. ასეთ პირებზე გაიცემა ბინადრობის ნებართვა სოციალური დაცვის მოტივით, რაც ხელს უწყობს მათ ჩართვას დახმარებისა და სოციალური ინტეგრაციის პროექტებში.

- სოციალური დაცვის მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს უცხოელი მოქალაქე, რომელიც გახდა ძალადობის ან მძიმე ექსპლუატაციის მსხვერპლი და რომელსაც შეიძლება შეექმნას კონკრეტული რისკი უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- კანონით დაშვებული გზები/საშუალებები, რომლებიც ითვალისწინებს უცხოელის მიმართ ძალადობისა თუ მძიმე ექსპლუატაციის ფაქტების გამოვლენას და ბინადრობის ნებართვის გაცემის განხილვას:
  - ✔ ადგილობრივი ხელისუფლების ან ასოციაციების სოციალური სამსახურები;
  - ✔ დაწესებულებები და კერძო კომპანიები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უცხოელთა დახმარებისა და სოციალური დაცვის პროგრამების განხორციელებაზე;
  - ✔ სახელმწიფო პროკურორი, როდესაც უცხოელი მოქალაქე აკეთებს განცხადებას ძალადობის ან მძიმე ექსპლუატაციის ფაქტებზე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში.

პოლიციის სამმართველო, რომელიც მიიღებს წინადადებას და ფაქტების დამადასტურებელ გარემოებებს, გასცემს ბინადრობის ნებართვას ჰუმანიტარული მიზეზებით.

**სოციალური დაცვის მოტივით ბინადრობის ნებართვის მისაღებად საჭიროა:**

- სახელმწიფო პროკურორის აზრი, როდესაც პროკურორი საფრთხის სერიოზულობასა და აქტუალობაზე იძლევა მითითებებს;
- უცხოელის დახმარებისა და სოციალური ინტეგრაციის პროგრამა;
- უცხოელის მონაწილეობა/ჩართვა ხსენებულ პროგრამაში.

**სოციალური დაცვის მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელს აქვს შემდეგი უფლებები:**

- ჰუმანიტარულ-სოციალური მომსახურება;
- სწავლის ხელმისაწვდომობა;
- უმუშევართა რეესტრში  რეგისტრაცია;
- სუბორდინაციული სამუშაოების შესრულება ასაკის მინიმალური მოთხოვნის გათვალისწინებით.

**სოციალური დაცვის მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა**

ამ ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობა 6 თვეა და შეიძლება განახლდეს ერთი წლით ან უფრო მეტი ვადით, რომელიც განისაზღვრება სამართლებრივი მიზეზებით. უცხოელს ნებართვა ჩამოერთმევა პროგრამის შეწყვეტის ან მის ამოცანებთან შეუთავსებელი საქციელის/ქმედებების გამო, სახელმწიფო პროკურორისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილი სოციალური სამსახურების  მიერ შემჩნეული/გამოვლენილი, ანდა პოლიციის უფროსის მიერ დადგენილი მიზეზით, ასევე, როცა აღარ არსებობს პირობები, რომელთა საფუძველზეც გაიცა ბინადრობის ნებართვა.

**სოციალური დაცვის  ბინადრობის ნებართვა შეიძლება გადაკეთდეს/შეიცვალოს:**

ა) სუბორდინაციული სამუშაოს ბინადრობის ნებართვად - თუ აღმოჩნდება, რომ სოციალური დაცვის ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლისას უცხოელს აქვს მოქმედი შრომითი ურთიერთობა/კონტრაქტი;

ბ) სასწავლო ბინადრობის ნებართვად - თუ მისი მფლობელი ჩაწერილია რომელიმე ოფიციალურ სასწავლო კურსზე.

შენიშვნა: სოციალური დაცვის ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების დროსაც, სახელმწიფო პროკურორის ან ზედამხედველი მოსამართლის წარდგინებით არასრულწლოვანთა სასამართლოს წინაშე - უცხოელი მოქალაქის სახელზე, რომელმაც მოიხადა სასჯელი არასრულწლოვან ასაკში ჩადენილი დანაშაულისათვის და აჩვენა უცხოელთა დახმარებისა და სოციალური ინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის კონკრეტული მაგალითი.

ეს დებულებები ვრცელდება ევროკავშირის  წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებზეც, რომლებიც სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან.

# თავი VIII. იტალიის მოქალაქეობის მინიჭება და გადამოწმება/დადგენა

იტალიის მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია ius sanguinis პრინციპით, ანუ იტალიელი დედისგან და/ან მამისგან პირდაპირი გადაცემით.

**მოქალაქეობის მიღება შეიძლება:**

**ა) ავტომატურად:**

- **დაბადებისას**, თუ ერთი მშობელი მაინც არის იტალიელი; ან
- **იტალიაში დაბადებულ** პირს ჰყავს უცნობი მშობლები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელთა კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს მშობლების მოქალაქეობის გადაცემას საზღვარგარეთ დაბადებულ ბავშვზე;
- **შვილობის/შთამომავლობის აღიარებით ან იურიდიული დეკლარაციით** - მამობის ან დედობის აღიარებით, ან სუბიექტის მცირეწლოვან ასაკში შვილობის/შთამომავლობის აღიარების იურიდიული დეკლარაციით;
- **შვილად აყვანით** - იტალიელი მოქალაქის მიერ შვილად აყვანილი უცხოელი არასრულწლოვანი ხდება იტალიის მოქალაქე.

**ბ) მოთხოვნით:**

- **ნებაყოფლობით მიღება** - თუ დაბადებით იტალიელი მოქალაქის შთამომავალია II საფეხურამდე და დაკარგული აქვს მოქალაქეობა, გარკვეული რეკვიზიტების არსებობის პირობებში (მაგ.: სამხედრო სამსახურს იხდის შეიარაღებულ ძალებში და წინასწარ განაცხადა, რომ სურს იტალიის მოქალაქეობა; ასრულებს საჯარო მოხელის ფუნქციას სახელმწიფო სამსახურში (საზღვარგარეთაც) და განაცხადა, რომ სურს იტალიის მოქალაქეობა; ან იტალიაში ლეგალურად ცხოვრობდა სრულწლოვანი ასაკის მიღწევამდე 2 წლით ადრე და სრულწლოვანებამდე 1 წლით ადრე განაცხადა, რომ სურს იტალიის მოქალაქეობა);
- **ქორწინებით** - ქორწინების შემდგომ იტალიაში 2-წლიანი თანაცხოვრებისა და ლეგალური ბინადრობის შემდეგ. ეს ვადა შემცირებული/განახევრებულია ერთ წლამდე ბიოლოგიური ან აყვანილი შვილების შემთხვევაში (3 წელია საზღვარგარეთ მცხოვრებთათვის). თუ რომელიმე მეუღლემ ქორწინების მერე მიიღო იტალიის მოქალაქეობა ნატურალიზაციის (ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების) გამო, ვადები გამოანგარიშდება მეუღლის მიერ მოქალაქეობის მიღებიდან და არა ქორწინების თარიღიდან;
- **ნატურალიზაციის (ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების)** შედეგად - თუ იტალიაში ლეგალურად ცხოვრობს 10 წლის განმავლობაში;
- **ჰყავს უცხოელი მშობლები, მაგრამ დაიბადა იტალიის ტერიტორიაზე** და სრულწლოვან ასაკამდე ლეგალურად და უწყვეტად ცხოვრობდა ამ ქვეყანაში. განცხადება მოქალაქეობის მიღებაზე წარედგინება სამოქალაქო მდგომარეობის სამსახურს.
- **რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებით** - მაშინაც კი, თუ აშკარაა უცხოელის ღვაწლი იტალიის წინაშე, ან ეს სახელმწიფოს განსაკუთრებულ ინტერესებშია.

**ორმაგი მოქალაქეობა**

იტალიის მოქალაქეობის კანონი აღიარებს ორმაგ და სამმაგ მოქალაქეობასაც კი, საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპის საფუძველზე: ,,სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პატივისცემა".

### მოქალაქეობის მოლოდინის ნებართვა

იტალიური წარმოშობის მოქალაქეებს, რომლებიც მიიღეს ბინადრობის ნებართვა მოქალაქეობის მოლოდინის მოტივით, არა აქვთ შრომითი საქმიანობის უფლება.

### ლოდინის ვადა

ამჟამად, იტალიის მოქალაქეობის მიღების მოლოდინის ვადა უახლოვდება და აღემატება 4 წელს, მაშინ, როდესაც ნორმატიული აქტები ითვალისწინებს, მაქსიმუმ, 760-დღიან პერიოდს, ანუ, დაახლოებით, 2 წელს.

ლოდინის ვადების პრობლემა, სამწუხაროდ, არ არის ადვილად გადასაჭრელი. წინასწარი, ფორმალური გაფრთხილების შემდეგ, ოფიციალურადაც რომ ეცნობოს ადმინისტრაციას გაჭიანურებული უმოქმედობის შესახებ და გასაჩივრდეს უფლებამოსილ რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში, ეს შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან ადმინისტრაციულ სასამართლოს არა აქვს უფლება, ტერიტორიულად უფლებამოსილი ადმინისტრაციული ხელისუფლების ნაცვლად მიიღოს გადაწყვეტილება მოქალაქეობის გაცემაზე, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

## 8.1 მოქალაქეობის უფლება

10-წლიანი ცხოვრების საფუძველზე მოქალაქეობის მინიჭება მხოლოდ უფლება კი არა, ჭეშმარიტი აღიარებაა მოქალაქეობისა, განპირობებული არა უცხოელის, არამედ სახელმწიფოს და მთელი საზოგადოების ინტერესების შეფასებით, რაც ითვალისწინებს მოქალაქეობის მაძიებლის მიღებას ქვეყნის ახალ მოქალაქედ. ადმინისტრაციულ ხელისუფლებას მოქალაქეობის მინიჭების სრული დისკრეციული უფლება აქვს.

სხვა საქმეა, როდესაც უცხოელი მოქალაქეობას ითხოვს იტალიელ მოქალაქესთან ქორწინების საფუძველზე. ამ შემთხვევაში საუბარია ნამდვილ სუბიექტურ უფლებაზე, რომელიც განპირობებულია გარემოებათა შეფასებით: ხომ არ ქმნის რისკებს მოქალაქეობის მაძიებელი საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის (ანუ არსებობს თუ არა მსჯავრდება მძიმე დანაშაულებისთვის, ან შეტყობინება სახელმწიფო უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც, სხვათა შორის, ვერ გაკონტროლდება, რადგან ეს ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია, მაშინაც კი, როდესაც საჩივარი შედის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ სასამართლოში).

### მოქალაქეობა ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების საფუძველზე

თუ პირი იტალიაში რეგულარულად ცხოვრობს 10 წლის განმავლობაში, შეუძლია იტალიის მოქალაქეობის მოთხოვნა და მიღება. ამდენად, საქმე ეხება დისკრეციულ ზომას - ეს არის ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეობის არა ავტომატურ გაცემას/მინიჭებას მოთხოვნილი რეკვიზიტების შემოწმების შემდეგ, არამედ იტალიის საზოგადოების ინტერესებს.

### პროცედურები და საჭირო დოკუმენტები

2015 წლის 18 ივნისიდან შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად, მოქალაქეობის მოთხოვნის განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელექტრონული პროცედურით; ეს არის განაცხადის გაგზავნის ერთადერთი ოფიციალური გზა. ამდენად, ფურცელზე შევსებული განაცხადი აღარ მიიღება.

ზოგადი ინფორმაცია, როგორ უნდა გაიგზავნოს განცხადება და თანდართული დოკუმენტები, იხილეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე:

http://www.interno.gov.it/it/temi/cittadinanza-e-altri-diritti-civili/cittadinanza/cittadinanza-invia-tua-domanda

მოქალაქეობის მოთხოვნის ფორმების შევსებასა და განაცხადის გაგზავნის ელექტრონულ პროცედურაზე პირდაპირი წვდომისთვის (მომზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო თავისუფლებისა და იმიგრაციის დეპარტამენტის მიერ), შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს:

https://nullaostalavoro.dlci.interno.it/Ministero/index2.jsp

**დოკუმენტები, რომლებიც განაცხადს უნდა დაერთოს:**

- ამონაწერი დაბადების აქტების რეესტრიდან, შევსებული ყველა მონაცემით (იმ დაშვების გარდა, რომ პირი დაბადებულია იტალიაში). ამ საბუთს ვადა არ ეწურება (ქალებს, რომლებმა ქორწინების შემდეგ მეუღლის გვარი მიიღეს, დაბადების მოწმობაში უნდა ჰქონეთ შეტანილი ორივე გვარი - ქალიშვილობის და დაქორწინების შემდეგ მიღებული, ან დაერთოს ქორწინების მოწმობაც). დოკუმენტი გადათარგმნილი და ლეგალიზებული უნდა იყოს წარმოშობის ქვეყნის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის მიერ (ან აპოსტილით დამოწმებული იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებიც ჰააგას კონვენციას შეუერთდნენ);
- საფოსტო განყოფილებაში 200,00 ევროს გადახდის ქვითარი (საბანკო ანგარიშზე N.809020, მიმღები: იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს DLCI-მოქალაქეობა);
- წარმომავლობის ქვეყნის (ან მესამე ქვეყნის, სადაც პირი ცხოვრობდა) შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ნასამართლეობის ცნობა. ამ საბუთს ვადა ეწურება 6 თვეში და არ არის საჭირო, თუ მოქალაქეობის მაძიებელი იტალიაში ლეგალურად ცხოვრობდა 14 წლის შესრულებამდე. დოკუმენტი თარგმნილი და ლეგალიზებული უნდა იყოს წარმოშობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის მიერ (ან აპოსტილით დამოწმებული იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებიც ჰააგის კონვენციას შეუერთდნენ);
- ბინადრობის ნებართვა, ლტოლვილის სტატუსის აღიარების ან მოქალაქეობის არმქონე პირის მოწმობა, ევროკავშირის მოქალაქეთა საბოლოო რეგისტრაციის მოწმობა;
- თქვენი განაცხადის მიმდინარეობის შესახებ კონსულტაცია იხილეთ ვებგვერდზე: cittadinanza.interno.it

**პირადი განცხადებით შეიძლება დამოწმებული იყოს:**

- ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის შემადგენლობის ჩამონათვალი;
- იტალიაში პირველი შემოსვლის თარიღი;
- საცხოვრებელი ადგილის ცნობა ყველა იმ მუნიციპალიტეტიდან, სადაც დაინტერესებულ მხარეს მოუწია ბინადრობა კანონით გათვალისწინებული პერიოდით. საჭიროა მუნიციპალიტეტის რეესტრში გატარებისა და სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადასვლის ზუსტი თარიღის ცოდნა (რიცხვი, თვე, წელი). აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა შეიძლება მუნიციპალიტეტთა დემოგრაფიულ სამსახურებში, სადაც უცხოელ მოქალაქეს მოუწია ბოლო 10/5/4/2-1 წელი;
- თუ უცხოელმა მოქალაქემ საცხოვრებელი მისამართი შეიცვალა ერთი და იმავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საკმარისია ძველი მისამართიდან ახალზე გადასვლის თარიღი:
  - ✔ - მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის - 10 წელი;
  - ✔ - ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის - 4 წელი;
  - ✔ - მოქალაქეობის არმქონეთა და პოლიტიკური ლტოლვილებისთვის - 5 წელი;

- - იტალიელი მოქალაქეების მიერ შვილად აყვანილი სრულწლოვანისთვის - აყვანიდან 5 წელი;
- შემოსავლები ბოლო 3 წლის განმავლობაში და რეგულარულად დეკლარირებული საგადასახადო მიზნებისათვის (CUD, UNICO, 730). შემოსავალი შეიძლება მიეთითოს მთელი ოჯახის და არა მხოლოდ განმცხადებლის. ის კვლავ გადამოწმდება პროცესის დასრულებისას. თუ შემოსავალი საკმარისი არ იყო მოქალაქეობის მოთხოვნაზე განაცხადის გაკეთებისას და ეს პროცედურა 3 წელი გაგრძელდა, პროცესის დასასრულს გათვალისწინებული იქნება იმ პერიოდისთვის არსებული შემოსავალი;
- 16,00-ევროიანი მარკა.

<u>სავარაუდოდ საჭირო დოკუმენტები:</u>

- მშობლის ან პირდაპირი აღმავალი ხაზის II საფეხურამდე წინაპრის/შთამომავლის იტალიის მოქალაქეობის ცნობა (მუხლი 19, პუნქტი 1(a));
- სასამართლოს მიერ გაცემული შვილად აყვანის გადაწყვეტილება (მუხლი 19, პუნქტი 1(b));
- სახელმწიფო სამსახურში (საზღვარგარეთაც) ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მუხლი 19, პუნქტი 1 (c))
- მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის და ლტოლვილის სტატუსის აღიარების ცნობა (მუხლი 9, პუნქტი 1(e); მუხლი 16, პუნქტი 2);

**დოკუმენტების ლეგალიზაცია**

ლეგალიზაციას უნდა ახლდეს სიტყვა "აპოსტილი".

ლეგალიზებული დოკუმენტები საბოლოოდ უნდა ითარგმნოს იტალიურად ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანოში:

- წარმოშობის ქვეყანაში მოქმედი იტალიის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა;
- იტალიაში მოქმედი წარმოშობის ქვეყნის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა;
- უფლებამოსილი სასამართლოს ოფიციალური მთარგმნელი, რომელიც სათანადო ფორმალობების დაცვით ადასტურებს თარგმანის შესაბამისობას უცხოენოვან ტექსტთან.

**პროცედურა**

პრეფექტურა, პოლიციის სამმართველოს ინფორმირების შემდეგ, განცხადებას განსახილველად უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს. სამინისტრო სახელმწიფო საბჭოს სთხოვს აზრის გამოთქმას. თუ მისი პასუხი დადებითია, სამინისტრო გასცემს მოქალაქეობის მინიჭების განკარგულებას, რომელსაც ხელს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტი. განკარგულება ეგზავნება პრეფექტურას, რომელიც, თავის მხრივ, მას აწვდის დაინტერესებულ მხარეს, უცხოელის საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის (ადგილობრივი ხელისუფლების) მეშვეობით. განკარგულების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში უცხოელმა ფიცი უნდა დადოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფლებამოსილ მუნიციპალიტეტში/მერიაში.

**სასარგებლო რჩევები**

ნატურალიზაციის (ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების) საფუძველზე მოქალაქეობის მიღების

განაცხადი არ ითვალისწინებს განსაკუთრებული მონაცემების/რეკვიზიტების წარმოდგენას უცხოელის მიერ. იგი  უნდა  გამოირჩეოდეს სათანადო ქცევით და ჰქონდეს პირადი საჭიროებისთვის საკმარისი ეკონომიკური სახსრები, თუმცა შეიძლება მაინც სასარგებლო იყოს სუბსიდიური დოკუმენტების თავმოყრა. მართლაც: მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის მოთხოვნისას დამსახურება და აღიარება ოფიციალურად არ არის გათვალისწინებული, პრაქტიკული თვალსაზრისით, პირს, რომელიც დაინტერესებულია ნატურალიზაციის (ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების) საფუძველზე მოქალაქეობის მიღებით, შეუძლია აღნიშნოს/მიუთითოს თავისი განსაკუთრებული დამსახურებებიც, ან ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც განაპირობებს მისი „საქმის“ უფრო ყურადღებით განხილვას. ცხადია, ეს არ ქმნის მოქალაქეობის მიღების გარანტიას, მაგრამ იძლევა უფრო ფრთხილი და ყურადღებიანი შეფასების საშუალებას, ასევე, უკეთ დაცვის იმედს, თუკი დააპირებს განაცხადზე უარის გასაჩივრებას.

## 8.2 მოქალაქეობა ქორწინების გზით

იტალიელი მოქალაქის უცხოელ მეუღლეს შეუძლია ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღება, თუ იტალიაში მეუღლესთან ერთად ცხოვრობს ქორწინებიდან 2 წლის განმავლობაში (3 წელი, თუ საზღვარგარეთ ცხოვრობს). ვადები ნახევრდება ბიოლოგიური ან აყვანილი შვილების ყოლის შემთხვევაში.

ქორწინების გზით იტალიის მოქალაქეობის მიღება აშკარა სუბიექტური უფლებაა, განპირობებული გარემოებათა შეფასებით: ხომ არ ქმნის მოქალაქეობის მაძიებელი რისკებს საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის.

მოქალაქეობის მინიჭების დროს ცოლქმრული კავშირი ძალაში უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში, განაცხადი არ დაკმაყოფილდება.

მოქალაქეობის მოთხოვნაზე განაცხადის წარდგენა შეუძლია არა მხოლოდ ქორწინების თარიღამდე ნატურალიზებული (ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების საფუძველზე) უცხოელის მეუღლეს, არამედ იმ პირისაც, რომელმაც  მოქალაქეობა აღნიშნული თარიღის შემდეგ მიიღო. ასეთ შემთხვევაში 2 წლის ათვლა იწყება იმ დროიდან, როცა მეუღლე იტალიის მოქალაქე გახდა.

იტალიელი მოქალაქის მეუღლეს, რომელიც იტალიაში გადმოვიდა საზღვარგარეთ 3-წლიანი ცხოვრების შემდეგ, აღარ სჭირდება კიდევ 2-წლიანი ლოდინი, მას მაშინვე შეუძლია ამ ქვეყნის მოქალაქეობის მოთხოვნა, ვინაიდან უკვე აქვს ბინადრობის რეკვიზიტი (საზღვარგარეთ 3-წლიანი ცხოვრება).

**საჭირო დოკუმენტები და განაცხადის გაგზავნა**

როგორც ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების საფუძველზე მოქალაქობის მოთხოვნისას, ამ შემთხვევაშიც, 2015 წლის 18 ივნისიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად, მოქალაქეობის მოთხოვნის განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელექტრონული პროცედურით. ეს არის განაცხადის გაგზავნის ერთადერთი ოფიციალური გზა. ამდენად, ქაღალდის ბლანკები/ფორმები აღარ მიიღება.

ზოგადი ინფორმაცია, როგორ უნდა გაიგზავნოს განცხადება და თანდართული დოკუმენტები, იხილეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე:

http://www.interno.gov.it/it/temi/cittadinanza-e-altri-diritti-civili/cittadinanza/cittadinanza-invia-tua-domanda

მოქალაქეობის მოთხოვნის ფორმების შევსებასა და განაცხადის გაგზავნის ელექტრონულ პროცედურაზე პირდაპირ წვდომისთვის (მომზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო თავისუფლებისა და იმიგრაციის დეპარტამენტის მიერ), შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს:

https://nullaostalavoro.dlci.interno.it/Ministero/index2.jsp

<u>საჭირო დოკუმენტები:</u>

- ამონაწერი დაბადების აქტების რეესტრიდან, შევსებული ყველა მონაცემით (იმ დაშვების გარდა, რომ პირი დაბადებულია იტალიაში), თარგმნილი და ლეგალიზებული;
- წარმომავლობის ქვეყნის (ან მესამე ქვეყნის, სადაც პირი ცხოვრობდა), შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული ნასამართლეობის ცნობა, თარგმნილი და ლეგალიზებული;
- ბინადრობის ნებართვა;
- საფოსტო განყოფილებაში 200,00 ევროს გადახდის ქვითარი (საბანკო ანგარიშზე N.809020, მიმღები: იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს DLCI-მოქალაქეობა);
- ლტოლვილის ან მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის აღიარების მოწმობა;

ქორწინების მოწმობის ინტეგრირებული ასლი, გაცემული იმ იტალიური მუნიციპალიტეტის მიერ, სადაც გაფორმდა ქორწინება.

**პირადი განცხადებით შეიძლება დამოწმებული იყოს:**

- ცნობა საცხოვრებელი ადგილების შესახებ (რამდენჯერ და სად შეიცვალა); ქორწინების შემდეგ იტალიაში არანაკლებ 2-წლიანი (საზღვარგარეთ - 3-წლიანი) ლეგალური ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ბიოლოგიური ან აყვანილი შვილების არსებობის შემთხვევაში ვადები განახევრებულია);
- იტალიაში პირველი შემოსვლის თარიღი;
- მეუღლის ნატურალიზაციის (ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების) თარიღი, თუ არ არის დაბადებით იტალიის მოქალაქე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამ თარიღიდან აითვლება ის 2 წელი (შვილების არსებობის შემთხვევაში - 1 წელი), რომელიც საჭიროა მოქალაქეობაზე განაცხადის შეტანისთვის;
- ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრების ჩამონათვალი, საკუთარი და აყვანილი შვილების ჩათვლით.

**პროცედურა და ვადები**

პროცედურისთვის გათვალისწინებულია 730 დღე განაცხადის შეტანიდან. ამის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შემაფერხებელი მიზეზების არარსებობის შემთხვევაში, მოქალაქეობის მინიჭების განკარგულებას უგზავნის პრეფექტურას, რომელიც, თავის მხრივ, მას აწვდის დაინტერესებულ მხარეს, უცხოელის საცხოვრებელი მუნიციპალიტეტის/მერიის მეშვეობით. მუნიციპალიტეტი ნიშნავს უცხოელის მიერ ფიცის დადების დღეს.

განკარგულების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში, უცხოელმა, რომელსაც მიენიჭა იტალიის მოქალაქეობა, ფიცი უნდა დადოს საცხოვრებელი ადგილის მუნიციპალიტეტში/მერიაში.

განაცხადზე უარის თქმა გამორიცხულია განაცხადის წარდგენიდან 2-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს შეუძლია, მიმართოს ტერიტორიულად უფლებამოსილ სამოქალაქო სასამართლოს და მოითხოვოს გადაწყვეტილება, რომელიც დააკმაყოფილებს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნას, ვინაიდან ეს არის რეალური სუბიექტური უფლება.

ნებისმიერ შემთხვევაში, იტალიის მოქალაქეობის მინიჭებასა ან მიცემაზე უარს უნდა უსწრებდეს წინასწარი შეტყობინება, N.241/1990 კანონის 10-bis მუხლის თანახმად. ასეთი შეტყობინების მიღებამდე, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ნაკლული დოკუმენტების დამატება და განაცხადზე წარმოების დასრულებისთვის ხელშემწყობი გარემოებების წარდგენა.

## 8.3 იტალიის მოქალაქეობა იტალიაში დაბადებულთათვის 18 წლის ასაკის შესრულებისას

უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც იტალიაში დაიბადნენ და 18 წლის ასაკამდე (მუხლი 4, პუნქტი 2) ლეგალურად და უწყვეტად ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაში, შეუძლიათ გახდნენ იტალიის მოქალაქეები, თუ 18 წლის შესრულებამდე ერთი წლით ადრე განაცხადებენ, რომ სურთ იტალიის მოქალაქეობის მიღება.

ასეთ შემთხვევაში, კანონი უცხოელ მოქალაქეს აძლევს საშუალებას, იტალიის მოქალაქეობის მიღების სურვილი განაცხადოს სრულწლოვანებამდე ერთი წლის განმავლობაში, წარმოშობის ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნების შეუზღუდავად, თუკი მისი ქვეყნის კანონდებლობა არ კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას.

სამინისტროთა უკანასკნელი ცირკულარების განმარტებით, მოსახლეობის რეესტრში რეგისტრაციის ხანმოკლე შეწყვეტა არ გამოიწვევს მოქალაქეობის განაცხადზე უარყოფითი პასუხის მიღებას (ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა შეიძლება დადასტურდეს სამედიცინო ცნობებით, ან სხვა სახის დოკუმენტაციით).

(შინაგან საქმეთა სამინისტროს 2007 წლის N.22/07 ცირკულარი).

**პროცედურა**

იტალიის მოქალაქეობის დადგენის პროცედურა შეიძლება განხორციელდეს:

- იტალიის საელჩოში, თუ სუბიექტი საზღვარგარეთ იმყოფება;
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის სამოქალაქო სამსახურში, თუ სუბიექტი უკვე იტალიაში ცხოვრობს.

ეს არის ღონისძიება/ზომა, რომლის მეშვეობითაც იტალიის მოქალაქეობა დგინდება ფაქტობრივი უკუქმედებით, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პიროვნებები უკვე დაბადებიდანვე არიან იტალიის მოქალაქეები კანონის თანახმად და ამ კანონიდან გამომდინარე უფლებებითა და პრეროგატივებით.

ყოველივე ამის დასამტკიცებლად/დასადასტურებლად საჭიროა იტალიური დოკუმენტების წარმოდგენა, რომელთა მოძიებაც საკმაოდ რთულია, რადგან ხშირად საქმე ეხება საზღვარგარეთ დაბადებულ და მცხოვრებ პირებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება დაკავშირება მუნიციპალიტეტთან, რომლის ტერიტორიაზეც ბოლოს ცხოვრობდნენ იტალიელი მშობლ(ებ)ი, ასევე, სამხედრო ოლქსა და სამრევლოსთან. შეგროვილი/მოპოვებული დოკუმენტაცია ემსახურება მოქალაქეობის მომთხოვნსა და იტალიელ მოქალაქეებს შორის ნათესაური კავშირის დამტკიცებას (დედა - მამა - შვილი);

ამის შემდეგ აუცილებელია მშობლ(ებ)ის იტალიის მოქალაქეობის დადასტურება მოქალაქეობის მომთხოვნი პირის დაბადებისას.

თუ მოქალაქეობის დადგენა/აღიარება/დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ იტალიაში, მაშინ სამინისტრო მიიჩნევს, რომ ,,დაბადებით იტალიის მოქალაქეთა შთამომავლები, რომლებიც არიან ვალიდური ბინადრობის ნებართვის მფლობელები, მოქმედების ვადისა და გაცემის მოტივის მიუხედავად, უნდა დარეგისტრირდნენ მოსახლეობის რეესტრში''. ამდენად, დაინტერესებულ მხარეს ტურისტული ვიზის შემთხვევაშიც შეუძლია დროებით დარეგისტრირება მოსახლეობის რეესტრში და მოქალაქეობის აღიარებაზე განაცხადის გაგზავნა იტალიიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ გადამოწმების პროცედურა შეიძლება საკმაოდ სწრაფად წარიმართოს. თუ ჩასატარებელი მოკვლევები განსაკუთრებულ სირთულეს არ უკავშირდება, მაშინ პროცედურას სჭირდება რამდენიმე დღე ან კვირა.

**საჭირო დოკუმენტები**

2011 წლის დადგენილებამ გამარტივებების შესახებ ახალი ოპერატიული პროცედურები შემოიღო და დაადგინა, რომ მოქალაქეობის განაცხადის დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტის ოფისებმა უნდა გადაამოწმონ.

ნებისმიერ შემთხვევაში, განმცხადებლებმა, განაცხადის წარდგენისას ან განაცხადზე სავარაუდო უარის წინასწარ შეტყობინების (კანონი N.241/1990) შემდეგ დოკუმენტაციის დამატებისას, უნდა წარმოადგინონ:

- მოქმედი პირადობის მოწმობა;
- ბინადრობის ნებართვა, მისი დროებითი შეწყვეტის შემთხვევაში, განმცხადებელს შეუძლია წარმოადგინოს იტალიაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მაგ.: სკოლიდან, სამედიცინო დაწესებულებიდან და სხვა);
- განმცხადებლის დაბადების მოწმობის ასლი;
- ცნობა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ (რამდენჯერ და სად შეიცვალა).

*შენიშვნა: იტალიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რეესტრში არასრულწლოვნის დაგვიანებით რეგისტრაციის შემთხვევაში, საჭიროა იმ დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც ადასტურებს არასრულწლოვნის იტალიის ტერიტორიაზე ყოფნას მოსახლეობის რეესტრში რეგისტრაციამდე (აცრების ფურცელი, სამედიცნო ცნობა და ა.შ.);*

- საფოსტო განყოფილებაში 200,00 ევროს გადახდის ქვითარი (საბანკო ანგარიშზე N.809020, მიმღები: იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს DLCI-მოქალაქეობა);
- თუ მშობლები ნებისმიერი მოტივით იღებენ იტალიის მოქალაქეობას, არასრულწლოვანი შვილები (თუნდაც ცალკე მცხოვრები, რომელთა მიმართაც აქვთ მშობლის უფლებამოსილება) ხდებიან იტალიის მოქალაქეები;
- განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი გამოიყენება იმ სუბიექტთა მიმართ, რომლებიც არიან იტალიური წარმოშობის ანუ იტალიელი დედის ან მამის შვილები. საკმარისია, დაინტერესებული პირის დაბადებისას ერთ-ერთი მშობელი იყოს იტალიის მოქალაქე, და ბავშვი მაშინვე იღებს იტალიის მოქალაქეობას (მუხლი 1(a));
- შესაძლოა, წინა პუნქტში განხილულ შემთხვევის დროსაც კი, ანუ როცა ერთი მშობელი იტალიელია, არ შემოწმდეს მისი იტალიის მოქალაქეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ პირი დაიბადა საზღვარგარეთ და მშობლებმა არ მოითხოვეს დაბადების აქტის გატარება იტალიურ სამოქალაქო რეესტრში. ამდენად, ეს პირი მიიჩნევა უცხოელად. ასეთ შემთხვევაში, განსახორციელებელი პროცედურა მოიცავს მხოლოდ მოკვლევა-მოძიებას, იმ გარემოებათა მარტივი გადამოწმებისათვის, რომლებითაც დასტურდება დაინტერესებული პირის დაბადებით იტალიის მოქალაქეობა.

# თავი IX. სოციალურ შეღავათებზე ხელმისაწვდომობა

## 9.1 მოსახლეობის რეესტრში გატარება

მოსახლეობის რეესტრში გატარება, ანუ ერთი კონკრეტული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რეგისტრაცია და ბინადრობის სტატუსის მიღება, არის როგორც მოქალაქის უფლება (რომელიც მოსახლეობის აღრიცხვის სამსახურის მოხელემ უნდა განახორციელოს კანონის მოთხოვნათა დაცვით), ასევე, იტალიელი და იტალიაში კანონიერად მობინადრე უცხოელი მოქალაქეების მოვალეობა, რომელიც უნდა შეასრულონ.

ბინადრობა/ცხოვრება არის მოქალაქის კონსტიტუციური უფლება და იცავს გადაადგილებისა და ბინადრობის თავისუფლებას ,,ქვეყნის ტერიტორიის ნებისმიერ ნაწილში, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებსაც კანონი აწესებს ზოგადად ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების მიზეზებით" (კონსტიტუცია, მუხლი 16).

ბინადრობა მრავალრიცხოვან უფლებათა განხორციელების წინაპირობაა:

- "პირადობის მოწმობის" და მოსახლეობის რეესტრის სხვა ცნობების გაცემა;
- ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში რეგისტრაცია;
- თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი სოციალური დახმარების, ნებისმიერი სუბსიდიის ან სარგებლის ხელმისაწვდომობა;
- მნიშვნელოვანი სოციალური უფლებების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, მონაწილეობა საზოგადოებრივ საცხოვრებლებში ბინების გამოყოფის ტენდერებში;
- ადგილობრივ ადმინისტრაციულ მმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობა;
- მოქალაქეობის საკითხებში სამოქალაქო სამსახურის მოხელის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღება;
- იტალიური მართვის მოწმობის მოთხოვნა და მიღება, ან უცხოური მართვის მოწმობის გადაკეთება/შეცვლა;
- მოქალაქეობაზე განაცხადის შეტანა;
- დასაქმების ცენტრების მომსახურების ხელმისაწვდომობა.

თუმცა, მოსახლეობის რეესტრში დაურეგისტრირებლობა, ლეგალური თუ არალეგალური ბინადრობის მიუხედავად, ხელს არ უშლის გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების განხორციელებას, როგორიცაა:

- არასრულწლოვანთა განათლება/სწავლა;
- უკანონოდ მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა - მათ გარანტირებული აქვთ დაუყოვნებელი და გადაუდებელი მკურნალობა ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევებისას, მათ შორის, ინდივიდუალური და კოლექტიური ჯანმრთელობის პროფილაქტიკური სამედიცინო პროგრამებითაც (TU, მუხლი, 25).

საერთაშორისო დაცვის განმცხადებელთა და ბენეფიციართა რეგისტრაცია მოსახლეობის რეესტრში.

თავშესაფრის მოთხოვნის ბინადობის ნებართვის მფლობელს შეუძლია მოსახლეობის რეესტრში აღრიცხვა და რეესტრიდან მიღებული დოკუმენტის საფუძველზე ის დაადასტურებს იტალიაში

მისი ყოფნის კანონერებას.

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ,,მოსახლეობის რეესტრში აღრიცხვა და რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა უცხოელის მიმართ ხორციელდება იტალიელი მოქალაქისთვის გათვალისწინებული მეთოდებით. ნებისმიერ შემთხვევაში, უცხოელის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მიღების ცენტრიც, თუ იქ 3 თვეზე მეტხანს ყოფნა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. მოსახლეობის რეესტრში აღრიცხვის ან რეგისტრაციაში ცვლილებების შესახებ რეესტრის სამსახური შეტყობინებას უგზავნის ტერიტორიულად უფლებამოსილ პოლიციის სამმართველოს''. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო მდგომარეობის სამსახურის მოხელემ უნდა შეამოწმოს მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მუდმივობა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე ბინადრობის კანონიერება.

ამასთან, 132/18 ** კანონით დადგენილია, რომ თავშესაფრის მოთხოვნის ბინადრობის ნებართვა "არ წარმოადგენს პირადი მონაცემების აღრიცხვას რეესტრში".

განკარგულება ითვალისწინებს ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს რეესტრში უცხო ქვეყნის მოქალაქეების აღრიცხვის წესზე.

როგორც განსაზღვრულია, თავშესაფრის მოთხოვნაზე ბინადრობის ნებართვა, მიუხედავად იმისა რომ არის პირადობის დამადასტურებელი საბუთი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნის შესაბამისი დოკუმენტი.

თავშესაფრის მოთხოვნის ბინადრობის ნებართვის მფლობელს შეეძლება რეგისტრაციის მოპოვება რეესტრში, იმ შემთხვევაში თუ მას აქვს სხვა საბუთი, რომელიც დაადასტურებს იტალიაში ყოფნის კანონიერებას.

** შენიშვნა: კანონი N. 132/18 ამჟამად განიხილება მთავრობაში და განიხილება ევროპული სასამართლოები, რომლებისთვისაც ტექსტში მოცემული გარკვეული დებულებები შეიძლება შეიცავდეს მომავალ ცვლილებებს.

შენიშვნა:

კანონში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი საბუთი უნდა წარმოადგინოს თავშესაფრის მოთხოვნის ბინადრობის ნებართვის მფლობელმა, სავარაუდოდ რეესტრის ოფიცრები გადაწყვეტენ კანონის ძალიან შემზღუდავ და არა კონსტიტუციურად ორიენტირებულ ინტერპრეტაციას, უარს იტყვიან სხვა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტის მიღებაზე. (როგორც მაგალითად ბლანკი C3)

თუ ეს უარი დადასტურებულია რეესტრის მიერ, უცხოელს შეუძლია ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება სამოქალაქო სასამართლოში. ამ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება დააყენოს კონსტიტუციური ლეგიტიმურობის საკითხი კონსტიტუციის მესამე მუხლის დარღვევის გამო.

ახალი რეგულაციით შემოღებული აკრძალვა ეხება მხოლოდ ახალ რეგისტრაციებს, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელია საკანონმდებლო დადგენილება N.142/15, საფუძველზე გაცემული ახალი ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში.

(თავშესაფრის მოთხოვნის ბინადრობის ნებართვა ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს პირადობის მოწმობას.)

### 9.1.1 მოსახლეობის რეესტრში საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა და ბენეფიციართა გატარება

რეგისტრაცია განმცხადებელმა შეიძლება გაიაროს პირადად ან (დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე) საერთო საცხოვრებელზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით, თუ განმცხადებელი იმყოფება/ცხოვრობს მიმღებ ცენტრში. მიმღები ცენტრის პასუხისმგებელმა პირმა მოსახლეობის რეესტრს უნდა აცნობოს საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება მომდევნო 20 დღის განმავლობაში, ასევე, უცხოელის მიმართ მიღების/მასპინძლობის ზომების გაუქმება ანდა სტუმრის გაუმართლებელი მიზეზებით გასვლა ცენტრიდან, რაც მოსახლეობის რეესტრში გატარების დაუყოვნებელი გაუქმების საფუძველია (ხელახალი რეგისტრაციის შესაძლებლობით).

საჭირო დოკუმენტები:

- ბინადრობის ნებართვა, ან გაცემის/განახლების განაცხადის შეტანის დამადასტურებელი ქვითარი;
- პასპორტი ან  მასთან გათანაბრებული დოკუმენტი (თუ ფლობს);
- ოჯახში წევრების რეგისტრაციის შემთხვევაში: ორიგინალი დოკუმენტების ასლი, თარგმნილი და ლეგალიზებული, ოჯახური მდგომარეობის და ოჯახის შემადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- თუ განმცხადებელს არ შეუძლია საკუთარი პასპორტის ან სხვა ტოლფასი დოკუმენტის წარმოდგენა, მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია/გათვალისწინებულია ბინადრობის ნებართვის საფუძველზე.

რეგისტრაციის პროცედურა

N.35/2012 კანონის მე-5 მუხლი განმარტავს, როგორ უნდა გაკეთდეს მოსახლეობის რეესტრში აღრიცხვის განაცხადი პირადი დეკლარაციების იმ ფორმების შევსებით, რომლებიც განთავსებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე. შევსებული  ფორმები იგზავნება უფლებამოსილ მუნიციპალიტეტში, პრეზიდენტის N.445/2000 ბრძანებულების 38-ე მუხლით განსაზღვრული ფორმით.

შევსებული და ხელმოწერილი ბლანკები უნდა წარედგინოს იმ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აღრიცხვის სამსახურს, სადაც დაინტერესებული პირი აპირებს მუდმივი საცხოვრებლის ქონას.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მითითებულ ელექტრონულ მისამართებზე განაცხადი შეიძლება გაიგზავნოს დაზღვეული წერილით, ფაქსით, ან ელექტრონული პროცედურით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

- განაცხადზე იყოს ციფრული ხელმოწერა;
- განმცხადებელის იდენტიფიცირება შესაძლებელი იყოს ელექტრონული პირადობის მოწმობით, ეროვნული მომსახურების ბარათით ან სხვა მექანიზმებით, რომლებიც იძლევა ამის საშუალებას;
- განაცხადი გაიგზავნოს განმცხადებლის სერტიფიცირებული ელექტრონული ფოსტიდან (PEC)-იდან;
- განაცხადის ასლი, განმცხადებლის ხელმოწერით, სკანირებული სახით იგზავნება ჩვეულებრივი ელექტრონული ფოსტით.

განაცხადს ერთვის განმცხადებლის და მასთან თანამცხოვრებ პირთა პირადობის მოწმობების ასლები (სრულწლოვნები ხელს აწერენ ბლანკზე).

უცხო ქვეყნის მოქალაქემ, ოჯახის სხვა წევრებთან ნათესაური კავშირის მოსახლეობის რეესტრში რეგისტრაციისათვის, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, თარგმნილი და ლეგალიზებული.

## 9.2 უფასო იურიდიული დახმარება

### 9.2.1 დაცვის უფლება

,,ყველას შეუძლია გამოიყენოს სამართლებრივი გზები საკუთარი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. დაცვა/თავდაცვა ხელშეუხებელი უფლებაა სამართალწარმოების ნებისმიერ დონესა და საფეხურზე. „ვისაც არა აქვს საშუალება, მათი დაცვა ნებისმიერი იურისდიქციის წინაშე გარანტირებულია შესაბამისი ინსტიტუტების მეშვეობით. კანონი განსაზღვრავს სასამართლო შეცდომების გამოსწორების პირობებსა და ფორმებსაც'' (იტალიის კონსტიტუცია, მუხლი 24).

უფასო იურიდიული დახმარება არის ინსტიტუტი, რომელიც საშუალებას იძლევა, ადვოკატისა და ტექნიკური კონსულტანტის დახმარება მიიღო დაცვის და სხვა საპროცესო/სასამართლო ხარჯების გადახდის გარეშე. დასაშვებია სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საბუღალტრო, საგადასახადო და ნებაყოფლობითი იურისდიქცია სააღსრულებო სამართალწარმოებაში, გადასინჯვის, გაუქმების, სამართალწარმოებაშ მესამე მხარედ ჩართვის, უსაფრთხოების ან პრევენციის ზომების გამოყენების პროცესში, სადაც გათვალისწინებულია ადვოკატის ან ტექნიკური კონსულტანტის დახმარება.

უფასო იურიდიული დახმარების მიღება შესაძლებელია პროცესის ყველა საფეხურსა და ეტაპზე და ნებისმიერი პროცედურისთვის - პირველი ინსტანციის, სააპელაციო, ზედამხედველი თუ რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლოების, მაგისტრატების, სახელმწიფო საბჭოს, სამხარეო და რეგიონული საგადასახადო კომისიების და აუდიტორული სასამართლოს წინაშე.

კანონით 132/18 **, d.P.R. 115/2002-ის ტექსტში შედის შემდეგი ცვლილება სასამრთლო ხარჯებთან დაკავშირებით, მუხლი 130- bis (L) (სამოქალაქო სამართალწარმოებაში ადვოკატისა და ტექნიკური კონსულტანტის კომპენსაციის გამორიცხვა) მოხდეს დამცველისა და ტექნიკური კონსულტანტისთვის კომპენსაციის გამორიცხვა საქმის იმ ნაწილზე, რომელიც სახემწიფო პატრონაჟში იქნა მიღებული, სახელმწიფოს ხარჯზე, როდესაც გასაჩივრება, თუნდაც შემთხვევითი, გამოცხადდა დაუშვებლად.

დაუშვებლობა ხდება მაშინ, როდესაც გასაჩივრებულია საჩივარი, რომელიც არ შეიძლება გასაჩივრდეს კანონით, ან როდესაც გასაჩივრება მოხდა საჩივრის წარდგენისთვის განკუთვნილი ვადის დარღვევით (ეს არ არის იგივე, რაც "უსაფუძვლობის მანიფესტაცია")

უფასო იურიდიულ მომსახურებაზე დაიშვებიან პირები შემდეგი პირობებით:

**ა) შემოსავალი**

როცა პირს განაცხადის წარდგენისას არ აქვს შესაბამისი ეკონომიკური სახსრები და ეს მდგომარეობა გრძელდება მთელი პროცესის განმავლობაში; თუ დაინტერესებული პირი მარტო ცხოვრობს, მისმა შემოსავალმა არ უნდა გადააჭარბოს 11.893,82 ევროს (2018 წლის 16 იანვრის მინისტის ბრძანება ოფიციალურ გაზეთში N.49) ყოველ 2 წელიწადში ხდება ჩასწორება ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს - Istat-ის - მაჩვენებლის საფუძველზე; იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 1 აპრილის უკანასკნელი ბრძანება). აქ იგულისხმება ფიზიკურ პირთა ბოლო წლის ყველა შემოსავალი, რომელიც დაექვემდებარა საშემოსავლო გადასახადს (IRPEF) (მაგ.: ხელფასი, პენსია, შემოსავალი თვითდასაქმებითი საქმიანობიდან და ა.შ.); ასევე, შემოსავალი, გათავისუფლებული IRPEF-სგან (მაგ.: ომის პენსია, თანმხლების შემწეობა და ა.შ.) ან ბეგარის შემცვლელი გადასახადისგან.

როცა დაინტერესებული პირი ცხოვრობს ოჯახთან ერთად, მისი შემოსავალი ჯამდება მეუღლისა და ოჯახის სხვა წევრთა შემოსავალთან; თუ იგი დაპირისპირებულია ოჯახის წევრებთან, გათვალისწინებულია მხოლოდ დაინტერესებული პირის შემოსავალი.

<u>სისხლის სამართალწარმოებაში</u>: შემოსავლის ზღვარი 1.032,91 ევროთი გაიზარდა თითოეულ თანამცხოვრებ ოჯახის წევრზე (მაგ.: თუ ოჯახი 2 ადამიანისგან შედგება, საერთო შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 11.493,82+ 1.032,91 ევროს; 3-წევრიანი ოჯახის შემთხვევაში ეს თანხა არ უნდა აჭარბებდეს 11.493,82+ 1.032,91 + 1.032,91 ევროს და ა.შ.

**ბ) მოქალაქეობა**

სისხლის სამართალწარმოებაში: იტალიის მოქალაქე, უცხოელი მოქალაქე, არასრულწლოვანი, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, მცხოვრები იტალიაში.

სხვა სამართალწარმოებებში: თუ არის იტალიის მოქალაქე, კანონიერად მობინადრე უცხოელი მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი (საზღვარგარეთ მცხოვრებიც); ასევე, ინსტიტუტები და ასოციაციები, რომლებიც არ ახორციელებენ სამეწარმეო და/ან ეკონომიკურ საქმიანობას.

**გ) საპროცესო პოზიცია**

სისხლის სამართალწარმოებაში: გამოძიებაში მყოფი, ბრალდებული, მსჯავრდებული, ან დანაშაულის ჩადენით დაზარალებული პირი, რომელიც აპირებს სამოქალაქო სარჩელის შეტანას; სამოქალაქო პასუხისმგებლობის ან ფულადი ჯარიმის სამოქალაქო ვალდებულების მქონე პირი.

სხვა სამართალწარმოებებში: სასამართლო პროცესის მხარე, ან ვინც აპირებს, მიმართოს მოსამართლეს და არ არის ნასამართლევი წინა საფეხურის სასამართლოს მიერ (რომლის დროსაც მიიღო უფასო იურიდიული დახმარება), სისხლის სამართლის პროცესში ზიანის ანაზღაურების ღონისძიების გარდა.

**დ) შეზღუდვები**

უფასო იურიდიულ დახმარებას არ იღებენ:

სისხლის სამართალწარმოებაში: გამოძიებაში მყოფი ანდა ბრალდებული გადასახადების გადაუხდელობის დანაშაულში, ასევე, ვისაც იცავს ერთზე მეტი ადვოკატი;

სხვა სამართალწარმოებებში: ვინც ეყრდნობა აშკარად უსაფუძვლო მიზეზებს; ან არის მხარე სამართალწარმოებისა, რომელიც შეეხება პირისთვის კრედიტის გაცემას მანამდე არსებული დავალიანების დაფარვამდე.

განაცხადზე ხელს აწერს მხოლოდ მომთხოვნი, დაუშვებლობის გამო (a pena di inammissibilità). ხელმოწერა უნდა დამოწმდეს ადვოკატის ან განცხადების მიმღები მოხელის მიერ. მოთხოვნა არ მიიღება ზეპირი ფორმით, მათ შორის, არც სასამართლო სხდომაზე.

განაცხადი დაინტერესებულმა პირმა ან მისმა ადვოკატმა შეიძლება წარადგინოს დაზღვეული წერილითაც, სასამართლო პროცესის დაწყებამდე ან პროცესის მსვლელობისას. განაცხადი ძალაშია შეტანის მომენტიდან.

განაცხადი უნდა წარედგინოს:

- სისხლის სამართალწარმოებაში: მოსამართლის კანცელერიას ან მოსამართლეს, სხდომის დროს; სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს, თუ დაინტერესებული პირი მსჯავრდებულია; სასამართლო პოლიციას, როდესაც დაინტერესებული პირი იმყოფება შიდა პატიმრობაში ან სამკურნალო დაწესებულებაში;
- სამოქალაქო სასამართლოს ან ადვოკატთა კავშირის/გაერთიანების საბჭოს, რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოს.

იურიდიული დახმარების მიღებაზე განაცხადში მითითებული უნდა იყოს: პროცესის დასახელება, რომელთან მიმართებითაც ითხოვს დახმარებას; ზოგადი ინფორმაცია (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და საცხოვრებელი ადგილი), განმცხადებლის ფისკალური კოდი და თანამცხოვრები ოჯახის წევრები; ასევე, პირადი პასუხისმგებლობით მიუთითოს, რომ მისი შემოსავალი შეესაბამება კანონით მოთხოვნილ პირობებს და დააფიქსიროს ჯამური შემოსავალი.

განმცხადებელი ვალდებულია, მომდევნო პერიოდში აცნობოს ნებისმიერი ცვლილება განაცხადის შეტანისას დაფიქსირებულ შემოსავალში.

თუ ამ ელემენტებიდან რომელიმე აკლია, განაცხადი არ მიიღება.

მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა მიუთითონ თავიანთი შემოსავლები საზღვარგარეთაც.

განაცხადს ხელს აწერს დაინტერესებული პირი. ხელმოწერას ამოწმებს ადვოკატი ან იმ ოფისის თანამშრომელი, რომელიც განაცხადს მიიღებს.

სისხლის სამართალწარმოებებში: აუცილებელია იმ ფაქტებისა და მიზეზების აღწერაც, რომლებიც გამოყენებულია საქმის საფუძვლიანობის შესაფასებლად. შესაძლებელია, მოთხოვნილი იყოს მტკიცებულებებიც.

დოკუმენტები, რომლებიც უნდა დაერთოს განაცხადს

იტალიის მოქალაქეებისთვის არანაირი დოკუმენტი არ არის საჭირო, შეუძლიათ პირადი განცხადებით დაადასტურონ კანონით მოთხოვნილი შემოსავლის არსებობა.

მესამე ქვეყნის მოქალაქეებმა განაცხადს უნდა დაურთონ წარმოშობის ქვეყნის საკონსულოს ცნობა, რომელიც ადასტურებს განაცხადში მითითებული შემოსავლის ნამდვილობას. დასაშვებია პირადი განცხადების გამოყენებაც, როცა არ არსებობს შემოსავლის დადასტურების სხვა საშუალება.

მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა მიმართაც გამოყენებულია პირადი თავისუფლების შემზღუდავი ზომები, საკონსულოს ცნობის წარმოდგენა 20 დღის განმავლობაში შეუძლიათ დამცველი ადვოკატის ან ოჯახის წევრის მეშვეობითაც.

განაცხადის შეტანის შემდეგ, მოსამართლეს ან მოსამართლეთა კავშირის/გაერთიანების საბჭოს შეუძლია მოითხოვოს წერილობითი დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება ან, თუ ეს შეუძლებელია, ახალი პირადი განცხადების დაწერა.

სისხლის სამართლის პროცესებში უფასო იურიდიულ მომსახურებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაუყოვნებლივ (დაუყოვნებელია შეტყობინებაც), თუ განაცხადი გაკეთებულია სასამართლო სხდომის დროს, სხვა შემთხვევებში - განაცხადის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში. დაგვიანება გულისხმობს მომდევნო აქტების სრულ ბათილობას.

სხვა სამართალწარმოებებში: განაცხადის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

**დამცველის არჩევა**

შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთი ადვოკატი, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს იმ რეგიონის იურისტთა რეესტრში, ასევე, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების ადვოკატთა სპეციალურ სიაში, რომლის გაცნობაც შესაძლებელია ადვოკატთა კავშირის/გაერთიანების საბჭოში.

ყველა ხარჯს ფარავს სახელმწიფო, მათ შორის ადვოკატის და ტექნიკური კონსულტანტის მომსახურების ხარჯებსაც. თუ ადვოკატი და ტექნიკური კონსულტანტი წინასწარ მოითხოვენ ანაზღაურებას, მათ წინააღმდეგ ამოქმედდება მკაცრი დისციპლინური სანქციები.

თუ იურიდიული დახმარება შეცდომით გაიცემა, პირს მოუწევს ყველა ხარჯის ანაზღაურება, სახელმწიფოს მიერ წინასწარ გაღებული ხარჯების ჩათვლით. პირები, რომლებსაც უფასო იურიდიულ მომსახურება გაეწევათ, შეიძლება შეამოწმოს ფინანსურმა პოლიციამ, თუნდაც ბანკებსა და ფინანსურ სააგენტოებში ჩატარებული მოკვლევებით.

ყალბი ან არასწორი განცხადებები, ასევე, ინფორმაციის მიუწოდებლობა შემოსავლის გაზრდის შესახებ ისჯება თავისუფლების აღკვეთით 1 წლიდან 6 წელსა და 8 თვემდე ვადით და 309.87-დან 1.549,37 ევრომდე ჯარიმით, სახელმწიფოს მიერ გადახდილი ყველა თანხის ანაზღაურებასთან ერთად.

განაცხადის სწორად წარდგენისა და სანქციების თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია, პირმა მიმართოს თავის ადვოკატს, ან საკუთარი ქალაქის ადვოკატთა კავშირის/გაერთიანების საბჭოს.

## 9.3 უცხოური დოკუმენტების ლეგალიზაცია

ლეგალიზაციის პროცედურა საჭიროა უცხოური ცნობის/დოკუმენტისთვის იტალიის კანონების შესაბამისი ვალიდურობის მისანიჭებლად. ისინი თარგმნილი უნდა იყოს იტალიის საკონსულოში აკრედიტებული თარჯიმნის მიერ და შემოწმდეს საკონსულოს ხელმძღვანელობის მხრიდან.

პროცედურა განსაკუთრებით რთულია, რადგან ითვალისწინებს არა მხოლოდ თარგმანის შესაბამისობისა და სერტიფიკატის გადამოწმებას, არამედ იმის გარკვევასაც, გაცემული და ხელმოწერილია თუ არა ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად და უფლებამოსილი პირების მიერ. იტალიაში ვერავინ შეძლებს უცხოური ორგანოსგან მიღებული კონკრეტული დოკუმენტის ვალიდურობის დადგენას. ხშირად, რაკი საკონსულო არ იცნობს ყველა თანამდებობის პირთა ხელმოწერას, აუცილებელი ხდება დადასტურების წინასწარ მოთხოვნა ამ ქვეყნის სხვა უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან (როგორც წესი, საგარეო საქმეთა სამინისტროსგან).

დაშვებულია ალტერნატიული პრაქტიკაც, საკმაოდ გავრცელებული სხვადასხვა ქვეყანაში. ამ პრაქტიკის მიხედვით, ცნობა შეიძლება გასცეს იტალიაში მოქმედმა საკონსულომ, რომელიც წარმოშობის ქვეყნის ყველა უფლებამოსილი ორგანოს ადმინისტრაციული ტერმინალია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პრაქტიკა არცერთი სახელმწიფო კანონით არ არის გათვალისწინებული, ფაქტობრივად, აღიარებულია მნიშვნელოვან ალტერნატიულ პროცედურად, რომელიც შეიძლება უფრო მარტივი და მოხერხებული ჩანდეს, მაგრამ, სინამდვილეში ასე არ არის: როგორც წესი, იტალიაში მოქმედი საკონსულო წარმომადგენლობები პირდაპირ არ გასცემენ ცნობას: ისინი, თავის მხრივ, დაინტერესებულ პირს სთხოვენ თავის ქვეყანაში აღებული ცნობების წარმოდგენას საკონსულოში (თარგმანისა და ლეგალიზაციის გარეშე) და მათ საფუძველზე გასცემენ პირდაპირ იტალიურად თარგმნილ დოკუმენტს. ამის შემდეგ მაინც საჭირო ხდება დოკუმენტის ლეგალიზაცია: ვინაიდან არცერთ იტალიურ საჯარო დაწესებულებას/ორგანოს არ შეუძლია დოკუმენტის ვალიდურობის პირდაპირ შემოწმება, საჭირო ხდება საკონსულო მოხელის ხელმოწერის წინასწარი ლეგალიზება ტერიტორიულად უფლებამოსილი პრეფექტურის ოფისში, რომელიც გაცემულ ცნობაზე დასმულ და პრეფექტურის ოფისში ავტორიზებულ ხელმოწერებს ერთმანეთს შეადარებს.

ეს ალტერნატიული პროცედურა არანაკლებ მოუქნელი და ხარჯიანია, თუმცა, უშუალოდ დაინტერესებული პირები უფრო მოხერხებულად მიიჩნევენ, რაც დამოკიდებულია ცალკეულ ქვეყნებში არსებულ შესაბამის პრაქტიკაზე.

## 9.4 განცხადება საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე (ფართის გამოყოფა)

ერთიანი საკანონდებლო აქტის (საკანონმდებლო დადგენილება N.286/1998 და მომდევნო ცვლილებები) მე-7 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც უცხოელს უზრუნველყოფს საცხოვრებლით, ან გამოუყოფს საცხოვრებელ ფართს, ვალდებულია, ამის შესახებ 48 საათის განმავლობაში განაცხადოს ადგილობრივ საჯარო უსაფრთხოების ორგანოში (იმის მიუხედავად, რა ხანგრძლივობისაა სტუმრობა და ეხება თუ არა ნათესავებს ან ახლობლებს).

კომუნიკაცია, განმცხადებლის მონაცემების გარდა, უნდა შეიცავდეს უცხოელი სტუმრის პირად მონაცემებს, პასპორტის ან საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მონაცემებს და საცხოვრებლის ზუსტ ადგილმდებარეობას, სადაც უცხოელს მასპინძლობს.

*შენიშვნა: სასტუმრო სტრუქტურების (როგორიცაა B&B, ოთახების გაქირავება, საოჯახო სტრუქტურების ჩათვლით, დასასვენებელი სახლები და ა.შ.) მენეჯერები სტუმართა შესახებ შეტყობინებას აგზავნიან მხოლოდ ელექტრონულად, ონლაინ რეჟიმში, ,,Alloggiati Web" სერვისის მეშვეობით.*

განცხადებაში ავტორი ადასტურებს, რომ საკუთარ სახლში მასპინძლობს იმიგრანტს, მესამე ქვეყნის მოქალაქეს. განცხადება უნდა გააკეთოს ქირავნობის ხელშეკრულების მქონე პირმა. მას უნდა დაერთოს საცხოვრებლით უზრუნველყოფის განაცხადისა და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები. საჭიროა ქირავნობის რეგისტრირებული კონტრაქტის ასლიც, რომელიც შედგენილია ამ განაცხადის ავტორის სახელზე. ყველა ეს ვალდებულება უნდა განმეორდეს, თუ საცხოვრებლი შეიცვლება.

## 9.5 ფისკალური კოდი

ფისკალური კოდი არის მოქალაქის  საიდენტიფიკაციო დოკუმენტი საჯარო დაწესებულებებსა და ადმინისტრაციებთან ურთიერთობისას. იგი შედგება 16 სიმბოლოსაგან, ასოებითა და რიცხვებით, და ასახავს მოქალაქის/გადასახადის გადამხდელის პირად მონაცემებს (გვარი, სახელი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი).

საჭიროა:

- ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში რეგისტრაციისთვის;
- სუბორდინაციულ სამუშაოზე მისაღებად;
- თვითდასაქმებითი სამუშაოს დასაწყებად;
- ნებისმიერი სახის კონტრაქტის გასაფორმებლად (ქირავნობა, გაყიდვა);
- საბანკო ანგარიშის გასახსნელად;
- ბევრი სხვა ოპერაციისთვის.

### 9.5.1 უკვე იტალიაში მყოფი უცხოელი

იტალიაში კანონიერად მობინადრე მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ აუღია ფისკალური კოდი, მისი მოთხოვნა შეუძლია შემოსავლების სააგენტოს ტერიტორიულად უფლებამოსილ ბიუროში - პირადად ან დელეგირებული პირის მეშვეობით (მათ შორის, კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებისთვისაც).

<u>ფისკალური კოდის მოთხოვნისა და მიღებისთვის საჭირო დოკუმენტები</u>

- მოქმედი ბინადრობის ნებართვა; ან
- პასპორტის ასლი.

### 9.5.2 საზღვარგარეთ მყოფი უცხოელი

თუ მესამე ქვეყნის მოქალაქე იტალიაში უნდა შემოვიდეს სამუშაო (სუბორდინაციული, თვითდასაქმებითი) ან ოჯახის გაერთიანების მიზნით და ავტორიზაციის (Nulla Osta) განაცხადში არ არის მითითებული ფისკალური კოდი, იმიგრაციის სამსახურის ბიურო შემოსავლების სააგენტოს სთხოვს თავდაპირველად დროებითი, რიცხვებიანი ფისკალური კოდის მინიჭებას.

ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისას, რომლის განაცხადიც უცხოელმა იმიგრაციის სამსახურის ბიუროში უნდა შეიტანოს შემოსვლიდან 8 დღის განმავლობაში, იმიგრაციის სამსახურის ბიურო შემოსავლების სააგენტოს ალტერნატიულად სთხოვს:

- წინასწარ გაცემული დროებითი ფისკალური კოდის შეცვლას საბოლოო ფისკალური კოდით;
- მოქალაქის ფისკალური კოდის შემოწმებას, რომელიც მიუთითა ავტორიზაციის განაცხადში ან განაცხადა იმიგრაციის სამსახურის ბიუროში ბინადრობის ნებართვის მოთხოვნისას.

ნებისმიერ შემთხვევაში, იმიგრაციის სამსახურის ბიურო გასცემს ცნობას ფისკალური კოდის მინიჭებაზე.

## 9.5.3 დროებითი ფისკალური კოდი თავშესაფრის მაძიებლებისათვის

ამჟამად, თავშესაფრის მაძიებელს ენიჭება დროებითი ფისკალური კოდი რომელშიც მოცემულია 11-ნიშნა სიმბოლო. საბოლოო ფისკალური კოდის (ალფანუმერული, 16 სიმბოლო) მინიჭება ხდება მხოლოდ დაცვის ქვეშ მყოფის სტატუსის შესაძლო აღიარების შემდეგ, პროცესის ბოლოს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ცვალებადი ხანგრძლივობა, თუნდაც ერთ წელზე მეტი ხნით.

ამჟამად, Anpal პორტალი არ აძლევს დროებითი ფისკალური კოდის მფლობელებს უფლებას, დამოუკიდებლად მიენიჭოთ DID Online **** რადგან "მოქალაქის" რეკვიზიტების გაცემის დროს, სისტემა მხოლოდ ალფანუმერული 16 ნიშნა ფისკალური კოდის მონაცემების შეყვანის საშუალებას იძლევა.

**** DID Online (დაუყოვნებლივი ხელმისაწვდომობის დეკლარაცია ონლაინ www.anpal.gov.it) არის დეკლარაცია, რომელიც ფორმალურად განსაზღვრავს პირის უმუშევრობის მდგომარეობას. ამრიგად, უმუშევრებმა უნდა გააკეთონ DID, რომ შეეძლონ ისარგებლონ მომსახურეობით შრომის ბაზარზე დასარეგისტრირებლად.

მგავს შემთხვევებში, მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს DID Online "შუალედური მოთხოვნის" რეჟიმში, რის საფუძველზეც ისარგებლებს დასაქმების ცენტრის ოპერატორის დახმარებით.

დაზუსტებულია, რომ l'Anpal - მა ჩამოაყალიბა თანამშრომლობა პატრონაჟის ზოგიერთ ინსტიტუტთან, დასაქმებულთა სასარგებლოდ, გარკვეული დახმარების, ინფორმაციისა და დამხმარე ღონისძიებების გასამარტივებლად, მათ შორის ასევე DID Online– ის მინიჭება შუალედურ რეჟიმში.

დაკარგვის, მოპარვის (რაც უნდა ეცნობოს საჯარო უსაფრთხოების ორგანოს) და ქაღალდის ან პლასტიფიცირებული ფისკალური კოდის დაზიანების შემთხვევაში, შესაძლებელია დუბლიკატის მოთხოვნა იმავე ფორმით.

პლასტიფიცირებული ფისკალური კოდის დუბლიკატი შეიძლება მოთხოვნილ იყოს:

- შემოსავლების სააგენტოს პერიფერიულ ოფისებში სპეციალური ბლანკით;
- ფინანსთა სამინისტროს თვითმმომსახურების ჯიხურებში, რომლებიც განთავსებულია მუნიციპალიტეტებისა და პრეფექტურის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისებში, ფინანსური დაწესებულებებსა და ზოგიერთ საფოსტო განყოფილებაში, სავაჭრო ცენტრებში, აეროპორტებში და ა.შ.;
- ავტომატური ტელეფონით; მოთხოვნის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ წელიწადში ერთხელ. მომსახურება უზრუნველყოფილია შემოსავლების სააგენტოს "ავტომატური სატელეფონო სისტემის" მეშვეობით, ნომერზე 848-800-333.

## 9.6 ჯანდაცვის სამსახური

## 9.6.1 ევროკავშირის არაწევრი მოქალაქეებისათვის ჯანმრთელობის მომსახურების უზრუნველყოფა ბინადრობის ნებართვის გარეშე

**ბინადრობის ნებართვის არმქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება**

მათ, ვისაც არ აქვს ბინადრობის ნებართვა და თავშესაფრის მაძიებლები, რომელთაც გააჩნიათ საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის ვერბალიზაციის ქვითარი, რომელიც წარმოადგენს დროებითი ბინადრობის ნებართვას, არ შეუძლია დარეგისტრირება ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში (SSN).

თუმცა, N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილების 35-ე მუხლის თანახმად, უცხოელებს, რომლებმაც დაარღვიეს ქვეყანაში შემოსვლისა და ყოფნის წესები, გარანტირებული აქვთ გადაუდებელი, აუცილებელი და უწყვეტი მკურნალობა საჯარო და აკრედიტებულ საავადმყოფოებში, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევების დროს, მათ შორის, ინდივიდუალური და კოლექტიური ჯანმრთელობის პროფილაქტიკური სამედიცინო პროგრამებითაც. კერძოდ:

ა) ორსულობისა და დედობის სოციალური დაცვა და იტალიის მოქალაქეების თანასწორი მკურნალობის/სამედიცინო მომსახურების გაწევა, 1975 წლის 29 ივლისის N.405 კანონის, 1978 წლის 22 მაისის N.194 კანონისა და ჯანდაცვის მინისტრის 1995 წლის 6 მარტის ბრძანების შესაბამისად, რომელიც გამოქვეყნდა 1995 წლის 13 აპრილის ოფიციალურ გაზეთში (Gazzetta Ufficiale, N.87);

ბ) ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების კონვენციის შესაბამისად;

გ) ვაქცინაციები კანონის შესაბამისად და რეგიონის მიერ ჩატარებული კოლექტიური პრევენციის კამპანიის ფარგლებში;

დ) საერთაშორისო პროფილაქტიკური ინტერვენციები;

ე) ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა და მასთან დაკავშირებული კერების ჩაქრობა/გაწმენდა;

ვ) ნარკომანიის სფეროში ზრუნვა, მისი პრევენცია და რეაბილიტაცია.

ჯანდაცვის სამინისტროს 2000 წლის 24 მარტის N.5 ცირკულარი განსაზღვრავს სასწრაფო მკურნალობის კონცეფციას/ცნებას, როგორც "მკურნალობებს, რომელთა გადადებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან ზიანი მიაყენოს მის ჯანმრთელობას''; დოკუმენტი აუცილებელ მკურნალობად განსაზღვრავს „ჯანმრთელობის, დიაგნოსტიკურ და თერაპიულ მომსახურებას ისეთი პათოლოგიების შემთხვევაში, რომლებიც დღესდღეობით საშიში არ არის, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება მეტი ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას ან რისკი შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს (გართულებები, მძიმე ქრონიკული მდგომარეობა)". გარდა ამისა, გარანტირებულია „სასწრაფო და აუცილებელი მკურნალობის უწყვეტობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ავადმყოფი უზრუნველყოფილია სრულყოფილი თერაპიული და რეაბილიტაციური ციკლით, პრობლემის საბოლოოდ გადაჭრისათვის".

პრეზიდენტის N.394/99 განკარგულების საფუძველზე, რეგიონული მმართველობა განსაზღვრავს/ადგენს ხელსაყრელ ფორმებსა და მეთოდებს აუცილებელი და უწყვეტი მკურნალობისათვის, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი ჯანდაცვის ობიექტების ან აკრედიტებული ჯანმრთელობის ცენტრების ფარგლებში, მრავალფუნქციურ ამბულატორიულ ან საავადმყოფო სტრუქტურებში. შესაძლებელია ნებაყოფლობით ორგანიზაციებთან თანამშრომლობაც, საორგანიზაციო საკითხებში კონკრეტული გამოცდილების გათვალისწინებით, როგორც პირველი დონის სამედიცინო სტრუქტურებთან. ყოველ შემთხვევაში, მათ გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ამ სტრუქტურების მომსახურებაზე წვდომა წინასწარი ჩაწერისა და ექიმის მიწერილობის გარეშე.

ასეთი სტრუქტურების ფუნქციონირებაში უთანასწორობა ძალიან შესამჩნევია - როგორც ეროვნული მასშტაბით, ასევე ჯანდაცვის ტერიტორიული სამმართველოს (ASl) ცალკეულ პოლიკლინიკებში. ზოგიერთ პოლიკლინიკაში გახსნილია სპეციალური ამბულატორიები, სხვაგან გამოყოფილია ცალკეული სერვისები, რომლებსაც შეიძლება მიმართონ (ჯანდაცვისა და ჰიგიენის სახელმწიფო სერვისი SISP, კონსულტანტები, პირველადი დახმარება და ა.შ.).

## 9.6.2 STP კოდი - დროებით მყოფი უცხოელი

ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელთა სამედიცინო მომსახურებისთვის გაიცემა ინდივიდუალური რეგიონული კოდის ბარათი, რეცეპტების, დანიშნულების გამოწერისა და ანგარიშგების მიზნით (რეგიონული სარეცეპტო რეესტრის ფურცელზე გამოიწერება როგორც სამკურნალო, სპეციალიზებული მკურნალობის დანიშნულება, ასევე წამლები). პირს კოდი ენიჭება პირველი სამედიცინო მომსახურებისას. შეიძლება კოდის წინასწარ გაცემაც მომსახურებაზე ადვილად ხელმისაწვდომობისათვის, პრევენციის პროგრამების ჩათვლით.

STP კოდი მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აქვს 6-თვიანი ვადა (ვენეტოს რეგიონმა 1 წლამდე გაზარდა). კოდის ბარათი გაიცემა პირადი მონაცემების წინასწარი მიწოდებით. თუ არ არის შესაძლებელი პირადობის მოწმობის წარდგენა, საკმარისია, პაციენტმა სიტყვიერად აცნობოს გვარი, სახელი, სქესი, დაბადების წელი და ეროვნება. მან ხელი უნდა მოაწეროს განცხადებას ავადმყოფობის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს, მიიღოს აუცილებელი სამედიცინო მომსახურება იტალიის მოქალაქეების თანასწორი პირობებით (იგულისხმება სამედიცინო მომსახურების ხარჯებში მონაწილეობა - Tiket).

STP კოდის ბარათის მფლობელი, იტალიელი მოქალაქის მსგავსად, გათავისუფლებულია სამედიცინო მომსახურების ხარჯის კვოტის გადახდისგან, როდესაც საქმე ეხება შემდეგ საკითხებს:

- პირველადი სამედიცინო მომსახურება (ზოგადი მედიცინა, მომსახურება ნარკოდამოკიდებულთათვის - SERT, ფსიქიკური ჯანდაცვის დეპარტამენტი - DSM, საოჯახო კონსულტაციები);
- სასწრაფო სამედიცინო მომსახურება სასწრაფო დახმარების განყოფილებაში, იტალიელი მოქალაქის თანასწორად;
- სამედიცინო მომსახურება ორსულობისა და დედობის დაცვის მიზნით;
- მომსახურება პრევენციის მიზნით (ვაქცინები, screening);
- მომსახურება ქრონიკული ან იშვიათი დაავადებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების (გათავისუფლების ცნობა) დროს;
- ასაკობრივი მდგომარეობა (6 წლამდე და 65 წლის ზემოთ).

თუ STP-ის კოდის მფლობელ უცხოელ მოქალაქეს სამედიცინო მომსახურების ბილეთისათვის (Tiket) საკმარისი რესურსი არ გააჩნია, შესაბამისი განცხადების წინასწარი შევსების შემდეგ შეიძლება კოდის X01 გამოყენება, რომელიც ძალაშია ერთი სპეციფიკური მომსახურებისათვის და ამართლებს მიღებული მომსახურების საფასურის გადაუხდელობას ჯანდაცვის ეროვნული სამსახურისათვის.

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის 35-ე პუნქტის მიხედვით, არალეგალურად მობინადრე უცხოელების მხრიდან სამედიცინო მომსახურების სტრუქტურებით სარგებლობა არ უნდა გახდეს მიზეზი შესაბამისი (მაკონტროლებელი) ორგანოების ინფორმირებისათვის.

### 9.6.3 ლეგალურად მობინადრე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა რეგისტრაცია ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში

N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილების 34-ე მუხლის თანახმად, ეს პირები ,,ვალდებულნი არიან, დარეგისტრირდნენ ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში და ჰქონდეთ იგივე უფლებები და მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია იტალიის მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის სამსახურის მიერ შეთავაზებული სერვისების საფასურის გადახდის მხრივ. რაც შეეხება პირებს, რომლებსაც არ აქვთ ბინადრობის ნებართვა, ან მოეთხოვათ ნებართვის განახლება, რომელიც გაცემულია შემდეგი მოტივით:

- სუბორდინაციული სამუშაო (ასევე სეზონური);
- თვითდასაქმებითი სამუშაო;
- ოჯახური მოტივი (65 წელს გადაცილებული ოჯახის წევრები, თუ იტალიაში შემოვიდნენ 2008 წლის 5 ნოემბრამდე, როგორც ითვალისწინებს შრომის, ჯანდაცვის სოციალური პოლიტიკის სამინისტროს 2009 წლის 4 მაისის ცირკულარი DGRUERI/VI/1.3.ba/9682/P);
- საერთაშორისო დაცვა (პოლიტიკური თავშესაფარი/ლტოლვილი);
- სუბსიდიური დაცვა, ჰუმანიტარული მიზეზები, ჰუმანიტარული თავშესაფარი (ამ ბოლო ტერმინში იგულისხმება იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით (ძალადობის და მძიმე ექსპლუატაციის მსხვერპლი), მე-19 მუხლის 2(a)(d) პუნქტით (მცირეწლოვანი ბავშვები, ორსული ქალები, და დედები ბავშვის დაბადებიდან 6 თვის განმავლობაში), მე-20 მუხლის, 1-ლი პუნქტით (დროებითი საგანგებო დაცვა) და მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტით (მიღების/განთავსების ცენტრებში დაბინავება გადაუდებელი მიზეზებით) განსაზღვრული დებულებები;
- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა;
- შვილად აყვანის მოლოდინი;

- მეურვეობა, უცხოელი და თანმხლების გარეშე მყოფი, ფსიქოფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართული არასრულწლოვნების ჩათვლით;
- მოქალაქეობის მოთხოვნა;
- გრძელვადიანი ბინადრობა;
- SSR -ში რეგისტრირებული, მესამე ქვეყნის მოქალაქის ოჯახის წევრები (მეუღლე, პარტნიორი, თუ კანონით აღიარებულია - შთამომავლები 21 წლის ასაკამდე, და კმაყოფაზე მყოფი აღმავალი ხაზის წარმომადგენლები);
- დასაქმების მოლოდინი;
- კანონის ,,ფარგლებში მოქცევის" მოლოდინი (ვინც ელოდება ეკონომიკის არაფორმალური სექტორიდან ფორმალურ სექტორში გადასვლის ნებართვას);
- უცხოელი არასრულწლოვნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ბინადრობის ნებართვა (TU, მუხლი 35, პუნქტი 3, 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების კონვენციის განსახორციელებლად; რატიფიცირებულია 1991 წლის 27 მაისის, N.176 კანონით);
- მშობელი ბინადრობის ნებართვით (TU, მუხლი 31);
- ქალი მკურნალობის ნებართვით (მუხლი 19, პუნქტი 2(d)) და მამა (საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 27 ივლისის N.376 დადგენილება);
- სტუდენტები, რომლებიც მანამდე იყვნენ ჩაწერილი სავალდებულო წესით;
- პატიმრები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა ბინადრობის ნებართვა;
- სასამართლო;
- რელიგიური მიზნები, სასულიერო პირთათვის, რომლებსაც აქვთ შემოსავალი;
- მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი;
- სწავლა (სტუდენტებისა და დასაქმებულებისათვის);
- არჩევითი რეზიდენცია/ბინადრობა იტალიურ შენატანებზე დაფუძნებული პენსიით;
- ჯანმრთელობა/ჰუმანიტარული მიზეზები (შემოსვლა არა სამედიცინო მკურნალობის მიზნით);

მათზე პირველი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოლოდინში, სამედიცინო რეესტრი ვალდებულია, იზრუნოს უცხოელის დროებით რეგისტრაციაზე ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში, იმ საბუთების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებს განაცხადის შეტანას ბინადრობის ნებართვის მოთხოვნით.

მიუხედავად იმისა, რა სახის ბინადრობის ნებართვა აქვს, შრომით საქმიანობას ეწევა თუ დასაქმების რეესტრშია აღრიცხვაზე, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, უცხო ქვეყნის ლეგალურად მობინადრე მოქალაქეს აქვს ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში სავალდებულო წესით რეგისტრაციის უფლება.

სამედიცინო რეესტრმა აღარ უნდა შეამოწმოს დამატებითი რეკვიზიტები, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფლობს ბინადრობის ნებართვას, რაც თავისთავად გულისხმობს სავალდებულო რეგისტრაციას; როცა სამუშაოს ასრულებს მოქალაქე, რომელსაც არ გააჩნია ბინადრობის ნებართვა, რეესტრს შეუძლია მოითხოვოს მუშაობის დამადასტურებელი ცნობა, რაც ასევე თავისთავად მოითხოვს სავალდებულო რეგისტრაციას.

კანონიერად მობინადრე უცხოელი მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებთან ერთად რეგისტრაციაში ტარდება იმ ტერიტორიულ სამედიცინო რეესტრში, სადაც ჩაწერილია საცხოვრებლად. სხვა შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ფაქტობრივი (ბინადრობის ნებართვაში მითითებული) საცხოვრებლის ტერიტორიულ სამედიცინო რეესტრს.

ვისაც არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი, მიჩნეულია იმ მუნიციპალიტეტის მკვიდრად, რომელსაც თავს აფარებს. საცხოვრებლის არმქონე თავშესაფრის მაძიებელთა შემთხვევაში, გამოიყენება უცხოელის პირადი განცხადება ფაქტობრივი საცხოვრებლის ან მასპინძლობის მიღების შესახებ. ვინც საერთაშორისო დაცვის, პოლიტიკური თავშესაფრის, სუბსიდიური დაცვის ან ჰუმანიტარული

მოტივით ითხოვს ბინადრობის ნებართვას, ანდა უკვე მიღებული აქვს ის, შეუძლია დროებით ჩაეწეროს იმ ადგილის სამედიცინო რეესტრში - ჯანდაცვის ტერიტორიულ სამმართველოში (ASL) - სადაც ბინადრობს. ადგილსამყოფელის შეცვლა დროულად უნდა ეცნობოს პოლიციის სამმართველოს ბინადრობის ნებართვის განახლების დროს.

სამედიცინო მომსახურება ეკუთვნის ზემოთ მითითებული სიიდან ერთ-ერთი ტიპის ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხოელის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს. მათი იდენტიფიცირება ხდება ნორმატიულ დებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც არეგულირებს ოჯახის მიერ სოციალური დახმარების მიღებას, ან გამოქვითვებს გადასახადებზე (მეუღლე, რომელიც არ არის გაცილებული არც ლეგალურად და არც ფაქტობრივად; შვილები (თუნდაც ცალკე ან საზღვარგარეთ მცხოვრებნი), რომლებსაც არ ჰქონიათ სოციალური დახმარების წლიურ ოდენობაზე მაღალი მთლიანი შემოსავალი; ოჯახის სხვა თანამობინადრე წევრები; ისინი, ვინც იღებენ ალიმენტის გადასახადს გაცილებული მეუღლისგან; შვილების შთამომავლები; ასევე, მშობლები, სიძეები, რძლები, მძახლები, დები და ძმები, ბებია-ბაბუები).

2000 წლის 24 მარტის N.5 ცირკულარი ითვალისწინებს, რომ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სჭირდება სამედიცინო მომსახურება, მაგრამ არ არის რეგისტრირებული ჯანდაცვის ეროვნულ სისტემაში, მან უნდა მიიღოს სამედიცინო დახმარება და პარალელურად დარეგისტრირდეს ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში SSN.

ჯანდაცვის ეროვნულ რეესტრში აღრიცხვისათვის საჭირო დოკუმენტები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა:

- ქვითარი, რომელიც ადასტურებს განაცხადის შეტანას ბინადრობის ნებართვის ან მისი განახლების მოთხოვნით;
- პირადობის მოწმობა;
- ფისკალური კოდი;
- საცხოვრებელი ადგილის ცნობა (პირადი განცხადება), ან განცხადება ფაქტობრივი საცხოვრებლის შესახებ.

N.286/1998 საკანონმდებლო დადგენილების 34-ე მუხლის თანახმად, ვისაც აქვს ბინადრობის ნებართვა 2 თვეზე მეტი ვადით და არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში (რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო რეგისტრაციას ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში), სადაზღვევო პოლისი უნდა გააფორმოს კერძო კომპანიასთან, ან ნებაყოფლობით დარეგისტრირდეს SSN-ში, შესაბამისი გადასახადის წინასწარი შეტანით.

ეს შესაძლებელია შემდეგი კატეგორიის ნებართვის მფლობელთათვის:

- სასწავლო;
- ბავშვის მომვლელები/ოჯახში დამხმარეები (collocati alla pari);
- არჩევითი ბინადრობა;
- სასულიერო პირები;
- უცხოელები, რომლებიც მოხალისეობის პროგრამებში მონაწილეობენ;
- 65 წელს გადაცილებული ოჯახის წევრები, რომლებიც იტალიაში შემოვიდნენ 2008 წლის 5 ნოემბრის შემდეგ;
- საერთაშორისო ორგანიზაციის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო ოფისების პერსონალი, გარდა იტალიელებისა;
- დანარჩენი კატეგორიები.

ნებაყოფლობით რეგისტრაციას, მიუხედავად ბინადრობის ნებართვის ვადისა, აქვს ერთი კალენდარული წლის ვადა (1 იანვარი-31 დეკემბერი), არ ექვემდებარება დაყოფას და არ გააჩნია უკუქმედებითი ეფექტი. მინიმალური გადასახადია 387,34 ევრო, მაგრამ შეიძლება დაანგარიშდეს წინა წლის ჯამური შემოსავლის მიხედვით, კერძოდ: შემოსავლის 7,50%-ის ოდენობით, თუ ჯამური

წლიური შემოსავალი 20.658,28 ევროზე ნაკლებია; ან შემოსავლის 4%-ის ოდენობით, თუ ჯამური წლიური შემოსავალი 20.658,28-იდან და 51.645,27 ევრომდეა. ასეთ შემთხვევებში რეგისტრაცია შეიძლება გავრცელდეს კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებზეც. სტუდენტებზე გასადახადი შეადგენს 149,77 ევროს და ბავშვის მომვლელების/ოჯახში დამხმარეებისთვის (collocati alla pari) - 219,49 ევროს, მაგრამ ეს არ ვრცელდება კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებზე. როგორც უკვე აღინიშნა, დასაქმებული სტუდენტებისთვის ჯანდაცვის ეროვნულ სამსახურში (SSN) რეგისტრაცია სავალდებულოა.

SSN-ში ნებაყოფლობითი რეგისტრაციისთვის, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

- ბინადრობის ნებართვა;
- პირადობის მოწმობა;
- ფისკალური კოდი;
- საცხოვრებელი ადგილის ცნობა (პირადი განცხადება), ან განცხადება ფაქტობრივი საცხოვრებლის შესახებ;
- რეგისტრაციის საფასურის გადახდის ქვითარი.

## 9.7 ეკონომიკური დახმარებისათვის საჭირო ზომები

### 9.7.1 მშობიარობის შემწეობა/სარგებელი

**მშობიარობის შემწეობა/სარგებელი (საკანონმდებლო დადგენილება N.151/2001, მუხლი 74)**

ეკუთვნით:

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (თავდაპირველი კანონით);
- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს (INPS-ის ცირკულარი, 9 მარტი, 2010, N.35 dd).

არ ეკუთვნით:

- სამუშაო unico ნებართვის მფლობელებს (დირექტივა 2011/98, მუხლი12);
- ლურჯი ბარათის მფლობელებს (დირექტივა 2009/50, მუხლი14);
- ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (საკანონმდებლო დადგენილება N.251/2007, მუხლი 34, პუნქტი 5).

მიუხედავად ამისა:

ა) საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ზემოხსენებული შემწეობით სარგებელობაზე უარის თქმას კანონიერად მობინადრე, სამუშაო unico ნებართვის ან ჰუმანიტარული მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვის მფლობელი უცხელისათვის, და 2017 წლის N.95 განკარგულებით დაადგინა:

- სამუშაო unico ნებართვის მფლობელთა მიმართ N.2011/98 დირექტივის მე-12 მუხლის გამოყენება, რომელიც უკვე შეიცავს იტალიელი მოქალაქის თანასწორი მომსახურების

გარანტიას სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში;

- ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელთა მიმართ 2007 წლის 19 ნოემბრის N.251 საკანონმდებლო დადგენილების 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენება, რომლის თანახმად, „ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელები სარგებლობენ იმავე უფლებებით, რაც წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულია ჰუმანიტარული დაცვის ნებართვის მფლობელთათვის“.

ამ უფლებებს შორის, 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შედის სოციალური უზრუნველყოფა და ისეთივე მომსახურება ჯანდაცვის საკითხებში, როგორიც ეკუთვნის იტალიის მოქალაქეს.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ადასტურებს ჰუმანიტარული მოტივის ბინადრობის ნებართვის მფლობელთა სრულ უფლებას მომსახურებაზე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შემოიღოს მუნიციპალურმა ადმინისტრაციამ;

ბ) სამუშაო unico ნებართვის მფლობელთათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება Martinez C – 449/16 (იხ: ქვემოთ სოციალური დახმარება მრავალრიცხოვან ოჯახზე);

გ) რაც შეეხება ლურჯი ბარათის მფლობელ უცხოელებს, მათაც შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და მიიღონ დადებითი პასუხი, ვინაიდან პარიტეტულობის პუნქტი, 2009/50 დირექტივის მე-14 მუხლის თანახმად, 2011/98 დირექტივის მე-12 მუხლის ანალოგიურია. ამ მომენტისათვის მსგავსი პრეცენდენტი ჯერ არ ყოფილა.

სამუშაო unico ნებართვის და ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელებმა განაცხადი უნდა წარადგინონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფლებამოსილ მუნიციპალიტეტში, ბავშვის დაბადებიდან 6 თვის განმავლობაში (მაშინაც კი, თუ დაბადებისას ეს ნებართვები არ ჰქონდათ). მუნიციპალიტეტმა განაცხადი უნდა გადაუგზავნოს INPS-ს (სოციალური უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუტი) და შემდეგ უკვე ეს ინსტიტუტი იღებს პასუხისმგებლობას, რამდენად დაარღვევს ევროკავშირისა თუ ქვეყნის კანონმდებლობას და წარდგება სასამართლოს წინაშე პასუხის გასაცემად.

საჭიროა დაჟინებით მოთხოვნა, რომ მუნიციპალიტეტმა მიიღოს და განიხილოს განაცხადი და პროცედურა დაასრულოს განაცხადის მიღებით ან უარით. თუ მუნიციპალიტეტი უარს ამბობს განაცხადის მიღებაზე, მაშინ ის უნდა გაიგზავნოს დაზღვეული წერილით (ჩაბარების დასტურის მიღებით), ან სერტიფიცირებული ელექტრონული ფოსტით (PEC).

### 9.7.2 მშობიარობის შემწეობა/სარგებელი განსხვავებული ტიპის მუშაკებისათვის (საკანონმდებლო დადგენილება N.151/2001, მუხლი 75).

ეს შემწეობა განკუთვნილია მხოლოდ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის (გათვალისწინებულია თავდაპირველი კანონით), სხვა დანარჩენი კატეგორია მითითებული არ არის.

ამდენად, ეს შემწეობა არ ეკუთვნით:

- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს (დირექტივა 2004/38/CE, მუხლი 24);
- საერთაშორისო დაცვის ნებართვის მფლობელებს (დირექტივა 2011/95, მუხლი 29);
- ჰუმანიტარული ნებართვის მფლობელებს (საკანონმდებლო დადგენილება N.251/2007, მუხლი 34, პუნქტი 5);
- სამუშაო unico ნებართვის მფლობელებს (დირექტივა 2011/98, მუხლი 12);
- ლურჯი ბარათის მფლობელებს (დირექტივა 2009/50, მუხლი14).

თუმცა ზემოხსენებული კატეგორიის პირებსაც შეუძლიათ საკითხის დაყენება სასამართლოს წინაშე, როგორც მშობიარობის შემწეობის/სარგებლის პირველ შემთხვევაში, N.151/2001 საკანონმდებლო დადგენილების 74-ე მუხლის თანახმად (იხ:ზემოთ).

### 9.7.3 მრავალშვილიანი ოჯახის ფულადი დახმარება: N.488/1998 კანონის 65-ე მუხლი, სულ მცირე, სამშვილიანი ოჯახისთვის; და მეოთხე შვილის ბონუსი N.190/2014 კანონის 1-ლი მუხლის 130-ე პუნქტით

ეკუთვნით:

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (კანონი N.97/2013 მუხლი 7);
- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს (შემოღებული კანონი N.97/2013, მუხლი 7);
- საერთაშორისო დაცვის მფლობელებს (INPS-ის N.9 ცირკულარი, 22 იანვარი, 2010).

არ ეკუთვნით:

- ჰუმანიტარული ნებართვის მფლობელებს (საკანონმდებლო დადგენილება N.251/2007, მუხლი 34, პუნქტი 5);
- სამუშაო unico ნებართვისა (დირექტივა 2011/98, მუხლი 12) და ლურჯი ბარათის მფლობელებს (დირექტივა 2009/50, მუხლი14 ).

მიუხედავად ამისა:

ა) სამუშაო unico ნებართვის მფლობელებს აქვთ უფლება, მიიღონ მრავალშვილიანი ოჯახის დახმარება, ვინაიდან ხსენებული 65-ე მუხლი ეწინააღმდეგება 2011/98 დირექტივის მე-12 მუხლს, როგორც ეს აღნიშნულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებაში Martinez C – 449/16.

გადაწყვეტილება სავალდებულოა არა მხოლოდ რეფერალური სასამართლოს მომსამართლისთვის, არამედ წევრ სახელმწიფოთა ყველა ადმინისტრაციული ხელისუფლებისათვის, რომლებმაც, სამომავლოდ გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედების მიუხედავად, ეს გადაწყვეტილება უნდა აამოქმედონ.

სასამართლოს აზრით, პარიტეტულობის უფლება ვრცელდება ყველა იმ დახმარებაზე/სარგებელზე, რომელიც გაიცემა წინასწარ დადგენილი რეკვიზიტების საფუძველზე, ანუ საჯარო ადმინისტრაციის მხრიდან დისკრეციული შეფასებისას. გადაწყვეტილება არაპირდაპირ ეხება ყველა სხვა ანალოგიურ დახმარებას/სარგებელს, რომელიც მოხსენიებულია ამ ცნობარში (vademecum).

ბ) ეს ეხება ლურჯი ბარათის მფლობელებსაც, რომელთათვისაც პარიტეტულობის პუნქტი (დირექტივა 2009/50, მუხლი14) 2011/98 დირექტივის მე-12 მუხლის ანალოგიურია;

გ) ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელთათვის დახმარების/სარგებლის მიღების უფლება განსაზღვრულია N.251/2007 საკანონმდებლო დადგენილების 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე (იხ: ზემოთ მშობიარობის შემწეობა/სარგებელი).

დაინტერესებულმა პირებმა დახმარების მიღებაზე განაცხადი უნდა წარადგინონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფლებამოსილ მუნიციპალიტეტში ყოველი წლის 31 იანვრამდე. მუნიციპალიტეტი განაცხადს აგზავნის INPS-ში (სოციალური უზრუნველყოფის ეროვნული

ინსტიტუტი) და შემდეგ უკვე ეს ინსტიტუტი იღებს პასუხისმგებლობას, რამდენად დაარღვევს ევროკავშირისა თუ ქვეყნის კანონმდებლობას და წარდგება სასამართლოს წინაშე პასუხის გასაცემად.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი განაცხადის წარდგენის უფლებას არ ანიჭებს იმ მოქალაქეებს, რომელთა ბინადრობის ნებართვაც არ პასუხობს მოთხოვნილ რეკვიზიტებს. საჭიროა დაჟინებით მოთხოვნა, რომ მუნიციპალიტეტმა მიიღოს და განიხილოს განაცხადი, თუნდაც არ ეთანხმებოდეს ზემოხსენებულ თეზისებს, და პროცედურა დაასრულოს - განაცხადის მიღებით ან უარით. თუ მუნიციპალიტეტი უარს ამბობს განაცხადის მიღებაზე, მაშინ ის უნდა გაიგზავნოს დაზღვეული წერილით (ჩაბარების დასტურის მიღებით), ან სერტიფიცირებული ელექტრონული ფოსტით (PEC).

## 9.7.4 შობადობის შემწეობა/სარგებელი (2014 წლის 23 დეკემბრის N190 კანონი, მუხლი 1, პუნქტი 125; სტაბილურობის კანონი, 2015)

ეკუთვნით:

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (თავდაპირველი კანონით);
- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს (INPS-ის ცირკულარი N.214, 6 დეკემბერი, 2016);
- საერთაშორისო დაცვის მფლობელებს (INPS-ის ცირკულარი N. 93/2015).

არ ეკუთვნით:

- სამუშაო unico ნებართვის მფლობელებს (დირქტივა N.2011/98, მუხლი 12);
- ჰუმანიტარული ნებართვის მფლობელებს (საკანონმდებლო დადგენილება N.251/2007, მუხლი 34, პუნქტი 5);
- ლურჯი ბარათის მფლობელებს (დირექტივა 2009/50, მუხლი14).

მიუხედავად ამისა:

პირველი ინსტანციის, ასევე, სააპელაციო სასამართლოების (მილანი, ბრეშა) მიერ აქამდე მიღებული ყველა გადაწყვეტილება სამუშაო unico ნებართვის მფლობელთათვის აღიარებს შემწეობის/სარგებელის გაცემას 2011/98 დირექტივის მე-12 მუხლის მიხედვით (შდრ.: ზემოთ მოყვანილ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას N. 95/2017).

ჰუმანიტარული მოტივით ნებართვის მფლობელებს ასევე შეუძლიათ პარიტეტულობის უფლების გამოყენება, თანახმად 2007 წლის 19 ნოემბრის N.251 საკანონმდებლო განკარგულების 34-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, რომელიც მოყვანილია საკონსტიტუციო სასამართლოს N.95/2017 გადაწყვეტილებაში. თუმცა, ამ საკითხთან მიმართებით არ არსებობს იურიდიული პრეცედენტი და იგულისხმება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება ეხება N.257/07 საკანონმდებლო განკარგულებამდე დაწესებულ ნორმებს, ამ განკარგულების შემდეგ შემოღებული საკანონმდებლო ნორმების ამოქმედება კი (მაგ.: შობადობის შემწეობა/სარგებლის შესახებ) შეიძლება საეჭვო იყოს.

ლურჯი ბარათის მფლობელთათვის ძალაშია პარიტეტულობის პუნქტი, თანახმად 2009/50 დირექტივის მე-14 მუხლისა, რომელიც ფორმულირებულია 2011/98 დირექტივის მე-12 მუხლის ანალოგიურად.

დღეისთვის INPS-ის ელექტრონული ბლანკის შევსების უფლება არა აქვთ სამუშაო unico ნებართვის, ლურჯი ბარათისა და ჰუმანიტარული დაცვის მფლობელებს (თუ ყალბ განაცხადს არ გააკეთებენ). ამდენად, ამ სახის ნებართვის მფლობელებმა შევსებული ბლანკი უნდა გაგზავნონ დაზღვეული წერილით (ჩაბარების დასტურის მიღებით) ან სერტიფიცირებული ელექტრონული ფოსტით (PEC) და მიუთითონ, რა სახის ბინადრობის ნებართვას ფლობენ.

INPS-ში შემწეობის/სარგებლის მოთხოვნაზე განაცხადი უნდა გაიგზავნოს ბავშვის დაბადებიდან 90 დღის განმავლობაში, შესაძლებელია შემდგომ პერიოდშიც (მაგრამ ვადის ათვლა იწყება განაცხადის შეტანის დღიდან). სოციალური უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუტიდან უარყოფითი პასუხის, ან განაცხადის შეტანიდან 120 დღის შემდეგ, შეიძლება სამართალწარმოების დაწყება.

## 9.7.5 აქტიური ჩართულობის მხარდაჭერა/შემწეობა (სამინისტროს 2016 წლის 26 მაისის განკარგულება, შეცვლილი 2017 წლის 29 აპრილის განკარგულებით)

ეკუთვნით:

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (სამინისტროს 2016 წლის 26 მაისის განკარგულება, დადასტურებული 2017 წლის 29 აპრილის  განკარგულებით);
- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს (სამინისტროს 26 მაისის განკარგულება);
- ლტოლვილის სტატუსის ან სუბსიდიური დაცვის ნებართვის მფლობელებს (INPS-ის 2016 წლის  2 აგვისტოს N.3272 გზავნილი, ასევე, განაცხადის მოდული).

არ ეკუთვნით:

- სამუშაო unico ნებართვის მფლობელებს (დირექტივა 2011/98, მუხლი 12);
- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს (დირექტივა 2004/38/CE მუხლი 24);
- ჰუმანიტარული ნებართვის მფლობელებს (საკანონმდებლო დადგენილება N.251/2007, მუხლი 34, პუნქტი 5);
- ლურჯი ბარათის მფლობელებს (დირექტივა 2009/50, მუხლი14).

მიუხედავად ამისა:

სამუშაო unico ნებართვის მფლობელთა SIA-ზე ხელმისაწვდომობის საკითხი საკმაოდ საეჭვოა, რადგან საქმე ეხება საღირიბის დასაძლევ შემწეობა/დახმარებას (გარკვეულწილად), რაც არ ექცევა N.883/04 რეგულაციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დახმარებებს შორის (დირექტივა 2011/98).

მართალია, ლაციოს რეგიონულ სასამართლოში ბევრი საქმე/განაცხადია გადაწყვეტილების მოლოდინში, მაგრამ თუკი unico ნებართვის მფლობელებს აქვთ სხვა რეკვიზიტები, სასურველია, მაინც შეიტანონ განაცხადი.

ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის ნებართვის მფლობელთათვის ძალაშია ის, რაც ითქვა შობადობის შემწეობა/სარგებელთან დაკავშირებით. ლურჯი ბარათის მფლობელთათვის მოქმედია პარიტეტულობის პუნქტი, თანახმად 2009/50 დირექტივის მე-14 მუხლისა, რომელიც ფორმულირებულია 2011/98 დირექტივის მე-12 მუხლის ანალოგიურად.

ევროკავშირის მოქალაქეთა ოჯახის წევრებისთვის ძალაშია პარიტეტულობის პუნქტი, 2004/38 დირექტივის 24-ე მუხლის თანახმად. ვინაიდან შემწეობის/სარგებელის მოთხოვნა ოჯახის წევრებს ეხება, განაცხადის შეტანა შეუძლია პირდაპირ ოჯახის წევრს, რითაც შესაძლებელი იქნება სადავო საკითხის აცილება. პირს განაცხადი შეაქვს მუნიციპალიტეტში და, საჭიროების შემთხვევაში, დაიწყება სამართალწარმოება (ამ მომენტისათვის დაინტერესებული მხარის მიერ არ აღძრულა არცერთი სასამართლო პროცესი).

## 9.7.6 ჩვეულებრივი შესყიდვის ბარათი (სამინისტროს განკარგულება N.112/08, მუხლი 81, პუნქტი 32, გადაკეთებული N.133/08 კანონად)

ეს არის ელექტრონული საგადახდო ბარათი, რომელიც ეძლევა მოქალაქეებს, რომლებიც ეკონომიკური გაჭირვების პირობებში იმყოფებიან. ბარათზე ირიცხება თანხა ყოველ ორ თვეში ერთხელ განსაზღვრული ოდენობით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ შეთანხმებულ მაღაზიებში კვების ხარჯებისთვის და საფოსტო ოფისებში გაზის და ელექტროენერგიის გადასახადის გადახდისთვის. ამასთან, ბარათიდან თანხის გატანა არ არის შესაძლებელი.

ეკუთვნით:

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს (კანონი N.147/13, მუხლი 1, პუნქტი 216; და ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 3 თებერვლის განკარგულება);
- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს (წინა პუნქტის მსგავსად);
- საერთაშორისო დაცვის მფლობელებს (მითითებული არ არის INPS-ის ვებგვერდზე, მაგრამ შეტანილია მოდულში).

არ ეკუთვნით:

- სამუშაო unico ნებართვის მფლობელებს (დირექტივა 2011/98, მუხლი 12);
- ჰუმანიტარული ნებართვის მფლობელებს ((საკანონმდებლო დადგენილება N.251/2007, მუხლი 34, პუნქტი 5);
- ლურჯი ბარათის მფლობელებს (დირექტივა 2009/50, მუხლი 14).

(შდრ.: ზემოთ მოყვანილ აქტიური ჩართულობის მხარდაჭერა/შემწეობას (SIA))

## 9.7.7 ინკლუზიური შემოსავალი (REI)*

ეს არის უნივერსალური ხასიათის სიღარიბის საწინააღმდეგო ღონისძიება, რომელიც განპირობებულია ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებით. მოქალაქეებს შეუძლიათ მოითხოვონ იგი 2017 წლის 1 დეკემბრიდან, საცხოვრებელი სახლის მუნიციპალიტეტში.

სარგებელზე (რომელიც არ შეიძლება გაგრძელდეს თვრამეტ თვეზე მეტ ხანს, მაგრამ შეიძლება განმეორებითი მოთხოვნა, პირველი გადახდიდან ექვსი თვის შემდეგ) განაცხადი უნდა გაკეთდეს საცხოვრებელი სახლის მდებარეობის მუნიციპალიტეტში, რაც სოციალური სერვისების საშუალებით ითვალისწინებს ინდივიდუალური პროექტის შემუშავებას, რომელიც შეიცავს დასაქმების და სოციალური ინკლუზიური ხასიათის სპეციალურ მიზნებს.

შემდეგ INPS-ი უზრუნველყოფს სარგებელს, რომელიც შეიძლება გაუქმდეს, პროექტის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკურ მოთხოვნებს და ოჯახის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს, ერთი 18 წლამდე არასრულწლოვანი წევრი მაინც, ერთი ორსული ქალი, ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრი და ერთი მისი მშობლები, ერთი 55 წელზე უფროსი ასაკის უმუშევარი, რომელმაც შეწყვიტა უმუშევრობის ანაზღაურების მიღება მინიმუმ სამი თვის წინ.

ამასთან, განმცხადებელი მინიმუმ ორი წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს იტალიის ტერიტორიაზე და იყოს:

- იტალიის ან ევროკავშირის მოქალაქე;
- • ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრები

- • გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელი

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი ან მოქალაქეობის არმქონე პირები (INPS– ის 22.11.17-ის ცირკულარი N. 172 ). შესაბამისად, გამორიცხულია სხვა ჯგუფები, რომლებიც დაცულია საზოგადოების კანონმდებლობით, განსაკუთრებით ერთჯერადი სამუშაო ნებართვის მფლობელები (სამუშაოს ნებართვა, სამუშაოს/დასაქმების მოლოდინი და ოჯახის/საოჯახო მიზეზები)

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ არსებობს, ეჭვს იწვევს აქტი N. 2011/98 და უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს აშკარა არაგონივრულობას (და, შესაბამისად, კონსტიტუციის 2, 3 და 34 მუხლებთან შესაძლო შეწინააღმდეგებას) იმ უცხოელთა მიმართ, ვისაც არ შეუძლია მიიღოს მუდმივი ბინადრობის მოწმობა შემოსავლის არარსებობის გამო. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ მოსამართლეს მიმართონ ამ უფლებების აღიარების მოთხოვნით.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: 2019 წლის 6 მარტიდან REI შეიცვალა მოქალაქეობის შემოსავლით, შესაბამისად, ახალი განაცხადები არ მიიღება, ის რჩება მხოლოდ უკვე არსებული ბენეფიციარებისთვის

## 9.7.8 მოქალაქეობის შემოსავალი

**მათ შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი მოქალაქეობის შემოსავალსა და პენსიაზე:**

- იტალიისა და ევროკავშირის მოქალაქეები;
- გრძელვადიანი ბინადრობით მცხოვრები უცხოელები (მუდმივი ბინადრობის ნებართვა);

უცხოელები, რომლებსაც აქვთ ბინადრობის უფლება ან მუდმივი ბინადრობის უფლება, იტალიის ან ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრები (მაგ., იტალიელის იაპონელი ცოლი).განმცხადებელს წინა 10 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს რეგისტრირებული მისამართი იტალიაში და ამ 10 წლიდან ბოლო ორი წლის გამავლობაში არ უნდა ჰქონდეს დატოვებული იტალიის ტერიტორია.

შენიშვნა: მათ ვისაც არ აქვთ რეგისტრიებული საცხოვრებელი ადგილი იტალიაში, არ შეუძლიათ განაცხადის გაკეთება.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია, 2019 წლის 6 მარტიდან ( ყოველი თვის 6-ი რიცხვიდან) ბექდური ფორმით, საფოსტო განყოფილებებში, INPS– ის მიერ მომზადებული განაცხადის ფორმის გამოყენებით .განაცხადი დაუყოვნებლივ იქნება დარეგისტრირებული საფოსტო სამსახურის ოპერატორის მიერ, შრომის სამინისტროს პორტალში.

შესაძლებელია ასევე განაცხადის ონლაინ გაკეთება, შრომის და ზოგადი პოლიტიკის სამინისტროს ვებ-გვერდიდან SPID-ის რეკვიზიტების მეშვეობით , შემდეგ ბმულზე www.redditodicittadinanza.gov.it

## 9.7.9 ოჯახის (ბირთვის) სოციალური დახმარება (ANF) საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახის წევრთათვის (კანონი N. 153/88, მუხლი 2, პუნქტი 6)

N.153/88 კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, მხოლოდ იტალიელს (ან კონვენციის წევრი ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეს) შეუძლია, კმაყოფაზე ჰყავდეს საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრი. შესაბამისად, უცხოელი დასაქმებული მოქალაქეები, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში შვილებს ან მეუღლეს ინახავენ/არჩენენ, ვერ სარგებლობენ ოჯახის სოციალური დახმარებით.

თუმცა, აქამდე მიღებული ყველა გადაწყვეტილებით, ასეთი დიფერენციაცია არ უნდა ეხებოდეს გრძელვადიანი ბინადრობისა და სამუშაო unico ნებართვის მფლობელებს და, ამ საკითხთან დაკავშირებით, N.153/88 კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი უგულებელყოფილია 2003/109/CE და

2011/98 დირექტივებთან აშკარა წინააღმდეგობის გამო.

მაშასადამე, გრძელვადიანი ბინადრობისა და სამუშაო unico ნებართვის მფლობელმა ოჯახის სოციალური დახმარების მოთხოვნის განაცხადში უნდა ჩართოს საზღვარგარეთ მცხოვრები ოჯახის წევრიც და, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მიმართოს სასამართლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ დახმარებას INPS პირდაპირ იხდის მხოლოდ ოჯახში დამხმარე პირისა და უმუშევართა შემთხვევაში, რომლებიც სარგებლობენ NASPI-ით (ანუ როცა საქმე ეხება დამსაქმებლის გადახდისუუნარობას). ყველა სხვა შემთხვევაში მას იხდის დამსაქმებელი. რამდენიმე სასამართლოს განჩინებით, პირდაპირი გადახდა დასაშვებია მაშინაც კი, თუ შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილია.

## 9.7.10 დაბადების პრემია (2017 წლის ბიუჯეტის კანონი N.232/2016, მუხლი 1, პუნქტი 353, გამოქვეყნებული ოფიციალურ გაზეთში (21 დეკემბერი, 2016))

აღმასრულებელი კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას უცხოელის ბინადრობის ნებართვასა და შემოსავლებთან მიმართებით. ასე რომ, ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია კანონიერად მცხოვრებ ყველა უცხოელს.

თუმცა, 2017 წლის 27 თებერვლის N.39, 2017 წლის 16 მარტის N.61 და 2017 წლის 28 აპრილის N.70 ცირკულარებით, INPS-მა, „მსგავსების“ გამო, N.190/2014 კანონის 1-ლი მუხლის 125-ე პუნქტის მიხედვით, შობადობის შემწეობის/სარგებელის გაცემისთვის მოთხოვნილი რეკვიზიტები (შემოსავლის გარდა) განავრცო წინამდებარე დახმარებაზე.

შესაბამისად, დაბადების პრემია ამჟამად ეკუთვნით:

- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელებს;
- ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს;
- პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსისა და სუბსიდიური დაცვის ნებართვის მფლობელებს.

ყველა უცხოელმა ქალმა, ვისაც აქვს ბინადრობის ნებართვა (მისი ტიპის და ვადის მიუხედავად), უნდა წარადგინოს განაცხადი. განაცხადი უნდა შეიტანოს ელექტრონულად, INPS-ის ვებგვერდზე, და დათარიღებული იყოს 2017 წლის 4 მაისის შემდგომი პერიოდით. პროცედურა არ არის ხელმისაწვდომი მათთვის, ვინც არ ფლობს ზემოხსენებული სახის ბინადრობის ნებართვებს. ასეთ პირებს განაცხადის გაგზავნა შეუძლიათ დაზღვეული წერილით (ჩაბარების დასტურის მიღებით) ან სერტიფიცირებული ელექტრონული ფოსტით (PEC).

## 9.7.11 საბავშვო ბაღის ბონუსი (კანონი N.232/2016, მუხლი 1, პუნქტი 355, გამოქვეყნებული ოფიციალურ გაზეთში, 21 დეკემბერი, 2016)

აღმასრულებელი კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას უცხოელის ბინადრობის ნებართვასა და შემოსავლებთან მიმართებით. ასე რომ, ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია კანონიერად მცხოვრებ ყველა უცხოელს.

თუმცა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 2017 წლის 17 თებერვლის განკარგულება, გამოქვეყნებული ოფიციალურ გაზეთში (18 აპრილი, 2017), ამ სარგებელზე წვდომას ითვალისწინებს მხოლოდ შემდეგი პირებისთვის:

- იტალიის მოქალაქეები;
- ევროკავშირის მოქალაქეები;
- გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მფლობელები.

ეს შეზღუდვა, როგორც ჩანს, არალეგიტიმურია, ვინაიდან კანონით არ არის განსაზღვრული. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მომდევნო განკარგულებას უნდა ,,შემოეღო მხოლოდ წინამდებარე პუნქტის ამოქმედებისათვის საჭირო დებულებები და არა იმ პირთა შეზღუდვები, რომლებსაც ამის უფლება აქვთ“.

INPS-მა განაცხადის წარდგენის კონკრეტული ინსტრუქციები გამოაქვეყნა 2017 წლის 22 მაისის N.88 ცირკულარში. ზემოაღნიშნული კატეგორიის გარდა, უფლების მქონედ ცირკულარი მიუთითებს ევროკავშირის მოქალაქეთა მესამე ქვეყნის მოქალაქე ოჯახის წევრებს და საერთაშორისო დაცვის მფლობელებს. ყველა სხვა კატეგორიას იგი გამორიცხავს.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია 2017 წლის 17 ივლისის შემდგომ. ყველა უცხოელმა მშობელმა, რომელსაც აქვს ბინადრობის ნებართვა (მისი კატეგორიის ან ხანგრძლივობის მიუხედავად), უნდა შეიტანოს განაცხადი.

ადვილი შესაძლებელია, ბლანკებზე (რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მზად) წვდომა ვერ შეძლონ სუბიექტებმა, რომელთაც არ გააჩნიათ ზემოხსენებული სახის ბინადრობის ნებართვები. ამდენად, მათ განაცხადი უნდა გააგზავნონ დაზღვეული წერილით (ჩაბარების დასტურის მიღებით) ან სერტიფიცირებული ელექტრონული ფოსტით (PEC).

## 9.8 დასაქმების ხელმისაწვდომობა

### 9.8.1 მუშაობის საშუალებას იძლევა შემდეგი მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვები:

- სუბორდინაციული/თვითდასაქმებითი სამუშაო;
- სუბორდინაციული სამუშაო/დასაქმების მოლოდინი;
- ოჯახური მოტივი;
- მეურვეობა/მზრუნველობა;
- პოლიტიკური თავშესაფარი;
- ჰუმანიტარული დაცვა;(მიუხედავად ჰუმანიტარული მოტივით ბინადრობის უფლების გაუქმებისა, იმ ბინადრობის ნებართვებისთვის რომელიც 05/10/2018 დროისთვის ჯერ ისევ ძალაშია.)
- ჰუმანიტარული მიზეზები;
- სწავლა (ვიზით, ყოველწლიური ლიმიტი 1.040 საათი - პრეზიდენტის განკარგულება N.394/99, მუხლი 14);
- სწავლა (ოჯახური მოტივით ნებართვა - სრული დატვირთვით);
- არასრულწლოვნის დახმარება;
- თავშესაფრის მოთხოვნა (საერთაშორისო დაცვის განაცხადის წარდგენიდან 60 დღის შემდეგ);
- არასრულწლოვანთა ინტეგრაცია;
- არჩევითი რეზიდენცია (ვიზის გარეშე, ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრი ან INAII – INPS -დან შემოსავლის მიმღები);
- ევროკავშირის გრძელვადიანი ბინადრობა (ყოფილი ბინადრობის ბარათი);
- ევროკავშირის მოქალაქის ოჯახის წევრის ბინადრობის ბარათი.
- სუბსიდიური დაცვა
- სპეციალური დაცვა
- სტიქიური უბედურების გამო
- განსაკუთრებული სამოქალაქო ღირებულების საქციელისთვის.

- განსაკუთრებული შემთხვევები": (სოციალური დაცვა საკანონმდებლო განკარგულების N. 186 22-ე მუხლის, 12 quater შესაბამისად), ოჯახური ძალადობის მსხვერპლი N286-1998 კანონის მე-18 bis საკანონმდებლო დადგენილება.
- განსაკუთრებით შრომითი ექსპლუატაცია
- მოქალაქეობის არმქონე პირი
- ბინადრობის ნებართვა არასრულწლოვანთათვის (უფლებას აძლევს თანმხლები პირის გარეშე მყოფ უცხოელ არასრულწლოვნებს იმუშაონ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც იტალიის კანონი ამის უფლებას აძლევს ზოგადად არასრულწლოვნებს.

## 9.8.2 მუშაობის საშუალებას არ იძლევა შემდეგი მოტივით გაცემული ბინადრობის ნებართვები:

- რელიგიური მიზნები;
- თავშესაფრის განაცხადი ან დუბლინის რეგულაცია (საერთაშორისო დაცვის განაცხადის წარდგენიდან მომდევნო 60 დღეში);
- მცირეწლოვნება;
- სამედიცინო მომსახურება/მკურნალობა;
- არჩევითი რეზიდენცია (საზღვარგარეთიდან ვიზით);
- სპორტული საქმიანობა;
- მოქალაქეობის მოლოდინი;
- მართლმსაჯულება (მუხლი 11, პუნქტი 1(c-bis)); პრეზიდენტის განკარგულება N.394/99, შემდგომი ცვლილებებით და დამატებებით;
- სასწავლო სტაჟირება (TU, მუხლი 27, პუნქტი 1(F));
- მოკლევადიანი ვიზიტები (საქმიანი, ტურისტული, სასწავლო და სხვა).

## 9.8.3 დასაქმება გამოძახებით

წყვეტილი ან დროგამოშვებითი მუშაობა (იგივე სამუშაო გამოძახებით, „job on call") არის სუბორდინაციული შრომითი ურთიერთობა, რომელიც შეიძლება გაფორმდეს ფიქსირებული ან განუსაზღვრელი ვადით. იმ პერიოდში, როდესაც დასაქმებული არ ასრულებს სამუშაოს, ფორმალურად ითვლება დამსაქმებლის დაქვემდებარებაში: მას შეუძლია გამოიძახოს პირი სამუშაოზე, მაგრამ არასამუშაო პერიოდში დამსაქმებელს მის წინაშე არა აქვს არანაირი ვალდებულება, არც ანაზღაურების და არც სოციალური უსაფრთხოების/უზრუნველყოფის მხრივ. ერთადერთი გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც დასაქმებული კონტრაქტის გაფორმებისას იღებს ვალდებულებას, უპასუხოს დამსაქმებლის გამოძახებას (ანუ შეასრულოს შრომითი საქმიანობა, გარდა სერიოზული ხელშემშლელი მიზეზებისა) და, ამ ვალდებულების სანაცვლოდ, მიიღოს CCNL-ით (შრომის საერთო/კოლექტიური ნაციონალური კონტრაქტი) განსაზღვრული თანხა, მიუხედავად მის მიერ შესრულებული სამუშაოს ფაქტობრივი ღირებულებისა.

იდეა, დაავალდებულო დამსაქმებელს სუბიექტისთვის ანაზღაურების გადახდა იმის მიუხედავად, შეასრულებს თუ არა სამუშაოს (სამაგიეროდ კი დარწმუნებული იყოს სუბიექტის ხელმისაწვდომობაში), არამიზანშეწონილია, ვინაიდან ისინი, ვინც ამ სახის კონტრაქტს დათანხმდნენ, ძნელად იტყვიან უარს გამოძახებით მუშაობაზე.

გამოძახებითი სამუშაო კონტრაქტის გაფორმება შეუძლია ყველა უცხოელს, ვისაც აქვს ბინადრობის ნებართვა მუშაობის შესაძლებლობით.

იმიგრაციის ერთიანი საკანონმდებლო აქტის მე-5 მუხლის 3-bis(b) პუნქტის თანახმად, უცხოელზე,

რომელსაც აქვს სუბორდინაციული სამუშაო კონტრაქტი განუსაზღვრელი ვადით, გაიცემა 2-წლიანი ბინადრობის ნებართვა. გამოძახებით სამუშაო კონტრაქტის მფლობელებს შეუძლიათ ბინადრობის ნებართვის განახლება. სამართალმცოდნეობაში განმარტებულია, რომ სამუშაო მოტივით ბინადრობის ნებართვის განახლებისას, როდესაც ფასდება შემოსავლის რეკვიზიტი, პოლიციის სამმართველო ავტომატურად არ უნდა დაეყრდნოს შემოსავლის მინიმალურ ზღვარს, დადგენილს ოჯახის გაერთიანების განაცხადისთვის (არანაკლები სოციალური დახმარების წლიურ ოდენობაზე), საამისოდ მან უნდა შეაფასოს პირის შრომითი ისტორია (წინა პერიოდის შემოსავლები) და შემოსავლის სამომავლო პერსპექტივებიც.

<u>კონტრაქტი შეიძლება გაფორმდეს:</u>

- კოლექტიური კონტრაქტით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით, კვირის, თვის ან წლის განმავლობაში, წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში წყვეტილი სამუშაოს შესრულების მიზნით. კოლექტიური კონტრაქტის თანახმად, წყდება კონკრეტული სამუშაო კონტრაქტის "საჭიროებები" და "წინასწარ განსაზღვრული პერიოდი", რაც ამართლებს ამ ინსტიტუტის გამოყენებას შემდეგ შემთხვევებში:
  - ✔ 55 წელს გადაცილებული ან საპენსიო ასაკის ადამიანის დასაქმებისას;
  - ✔ 24 წლამდე ასაკის სუბიექტის დასაქმებისას.

2012 წლის 18 ივლისის შემდეგ შეუძლებელია წყვეტილი და პერიოდული სამუშაო კონტრაქტის გაფორმება სუბიექტებთან, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს ზემოაღნიშნული პირადი მონაცემების შესახებ.

ზოგადად, შესაძლებელია რამდენიმე წყვეტილი სამუშაო კონტრაქტის და/ან სხვა სახის შრომითი ხელშეკრულების გაფორმება სხვადასხვა დამსაქმებელთან.

<u>შრომითი ხელშეკრულების შინაარსი</u>

- 1. ხანგრძლივობა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომლებიც განაპირობებს მის გაფორმებას;
- 2. განსაზღვრული ხელფასი;
- 3. ფორმები და მეთოდები, რომლითაც დამსაქმებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს სამუშაოს შესრულება.

CCNL განსაზღვრავს ამ ელემენტთა კონტრაქტში შეტანის პირობებს.

<u>წინასწარი შეტყობინების ვალდებულება:</u>

ფორნეროს (შრომის მინისტრი 2011-2013 წლებში) რეფორმის ძალაში შესვლის (18 ივლისი, 2012) დღიდან, დამსაქმებელი ვალდებულია, მუშაობის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მაინც შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოებს დღეები, როდესაც დასაქმებულმა უნდა შეასრულოს დროგამოშვებითი სამუშაო.

<u>აკრძალვა</u>

დროგამოშვებითი სამუშაო კონტრაქტის გაფორმება დაუშვებელია:

- გაფიცული მუშახელის შესაცვლელად;
- იმ საწარმოო ერთეულებში სამუშაოდ, სადაც წინა 6 თვის განმავლობაში კოლექტიურად გაათავისუფლეს იმავე ტიპის სამუშაოს შემსრულებელი თანამშრომლები (ამას ითვალისწინებს დროგამოშვებითი შრომითი ხელშეკრულება);

- იმ საწარმოო ერთეულებში სამუშაოდ, სადაც დაგეგმილია/მიმდინარეობს სამუშაოს შეწყვეტა ან სამუშაო საათების შემცირება იმავე ტიპის სამუშაოს შემსრულებელი თანამშრომლებისათვის (ითვალისწინებს დროგამოშვებითი შრომითი ხელშეკრულება);
- იმ კომპანიებში სამუშაოდ, სადაც არ არის შეფასებული რისკები.

უწყვეტ სამუშაო კონტრაქტში გამოვლენილი უკანონობა იწვევს მის გადაქცევას სუბორდინაციულ, სრულგანაკვეთიან, მუდმივ და განუსაზღვრელვადიან კონტრაქტად.

<u>საცნობარო საკანონმდებლო ნორმები:</u>

- საკანონმდებლო დადგენილება N.276/2003, შესწორებული N.92/2012 კანონის პირველი მუხლის 21-ე პუნქტის მიხედვით;
- შრომის სამინისტროს N.18/2012ცირკულარი.

## 9.8.4 უმუშევრობის კომპენსაცია NASPI

მუშაკს, რომელმაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაკარგა სამუშაო, ეძლევა კომპენსაცია, ანუ საშემოსავლო დახმარება, ე.წ. NASPI.

ეს დახმარება გაიცემა წარდგენილი განაცხადის საფუძველზე და სუბორდინაციულ სამუშაოზე დასაქმებულ პირთა მიმართ, რომლებმაც დამოუკიდებელი მიზეზებით დაკარგეს სამუშაო (ვრცელდება 2015 წლის 1 მაისის შემდეგ მომხდარ შემთხვევებზე).

NASPI-ის კომპენსაციის მისაღებად, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

- 1) იძულებითი უმუშევრობის მდგომარეობა (არ შეეხებათ მუშებს, რომლებიც საკუთარი ნებით ტოვებენ სამუშაოს);
- 2) უმუშევრობამდე 4 წლის განმავლობაში არანაკლებ 13 კვირის გადასახადების გადახდა;
- 3) უმუშევრობამდე 12 თვის განმავლობაში ფაქტობრივი მუშაობის არანაკლებ 30 დღე.

<u>თანხა</u>

კომპენსაციის/დახმარების ოდენობა უტოლდება (ცირკულარი N.94, 12 მაისი, 2015):

- ბოლო 4 წლის განმავლობაში სოციალური დაცვის მიზნებით დასაბეგრი საშუალო თვიური ხელფასის 75%-ს, თუ ის შეესაბამება კანონით დადგენილ თანხას ან ნაკლებია მასზე, და ყოველწლიურად განახლდება ISTAT-ის მაჩვენებელთა ცვლილების საფუძველზე;
- დადგენილი თანხის 75%-ს + 25% სხვაობისა საშუალო თვიურ დაბეგვრად ხელფასსა და 1.221,44 ევროს შორის 2019 წლისათვის, თუ საშუალო თვიური დაბეგვრადი ხელფასი აღემატება ზემოთ მითითებულ დადგენილ თანხას;
- კომპენსაციის/დახმარების ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ყოველწლიურად კანონით განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს. ყოველთვიური კომპენსაცია/დახმარებასთან მიმართებით ვრცელდება 3%-იანი შემცირება თითოეულ თვეზე, რაც იწყება კომპენსაციის მიღებიდან მე-4 თვის პირველივე დღეს (მიღებიდან 91-ე დღე).

გადახდა (მათ შორის, ოჯახის სოციალური დახმარების ჩათვლით), თუ ეკუთვნის და მოთხოვნილია,

ხორციელდება ყოველთვიურად, კვირების გარკვეული რაოდენობის მიხედვით, რომელთა ჯამიც უტოლდება ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შენატანების/გადასახადების კვირათა რაოდენობის ნახევარს;

NASPI-ის უმუშევრობის კომპენსაციის მოთხოვნის განაცხადი პირმა INPS-ში უნდა შეიტანოს მხოლოდ ელექტრონულად, შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- ვებგვერდი - ელექტრონულ სერვისებზე წვდომა მოქალაქეს შეუძლია ინსტიტუტის პორტალით, შესაბამისი კოდის მეშვეობით;
- INPS–INAIL ინტეგრირებული საკონტაქტო ცენტრი, ნომერზე: 803-164 (ზარი უფასოა ქალაქის ხაზიდან), ან მობილურიდან, ნომერზე: 06-164-164;
- ,,პატრონატის" ორგანოები, შემოთავაზებული ელექტრონული სერვისების მეშვეობით.

განაცხადის შეტანა საჭიროა 68-დღიანი ვადის გასვლამდე, რომელიც აითვლება:

- ბოლო შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის დღიდან. თუ 68-დღიან ვადაში გაიცემა დეკრეტული შვებულება, მაშინ ეს ვადა შეჩერდება შვებულების დასრულებამდე და განახლდება მის შემდეგ. თუ 68-დღიან ვადაში გაიცემა შვებულება ჩვეულებრივი ავადმყოფობის მოტივით ან სამუშაოზე მომხდარი უბედური შემთხვევის გამო (რომელსაც ანაზღაურებს INAIL), და ის გაგრძელდა შრომითი ურთიერთობების შეწყვეტიდან 60 დღის განმავლობაში, ეს ვადა შეჩერდება აღნიშნული შვებულების დასრულებამდე;
- დეკრეტული შვებულების შეწყვეტის დღიდან, როდესაც შვებულება აღებულია ისეთი შრომითი ურთიერთობისას, რომელიც შემდგომში შეწყდა;
- იმ ანაზღაურებადი შვებულების შეწყვეტის დღიდან, რომელიც აღებულია ავადმყოფობის მოტივით ან სამუშაოზე მომხდარი უბედური შემთხვევის (ამ უკანასკნელს ანაზღაურებს INAIL) გამო, ისეთი შრომითი ურთიერთობებისას, რომელიც შემდგომში შეწყდა;
- პროფკავშირებში შრომის სადავო საკითხის განხილვის თარიღის დადგენიდან, ან სასამართლო განაჩენის შეტყობინების დღიდან;
- იმ პერიოდის დასასრულიდან, რომელიც შეესაბამება დღეებზე გაწერილ, „წინასწარი გაუფრთხილებლობის" კომპენსაციას;
- სამართლიანი მიზეზის გამო სამსახურიდან გათავისუფლებიდან 30-ე დღეს.

## 9.9 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები

როდესაც პირს აქვს სახელმწიფოს მიერ აღიარებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ეკონომიკური და/ან სოციალური-სამედიცინო სარგებელი.

შეზღუდული შესაძლებლობების აღიარებაზე განაცხადს პირი INPS-ში წარადგენს მხოლოდ ელექტრონული გზით;

ვისაც განზრახული აქვს, მოითხოვოს შშმ პირის სტატუსი, უნდა მივიდეს თავის მკურნალ ექიმთან, რომელიც შეავსებს სამედიცინო ცნობას და გადასცემს INPS-ს ელექტრონულად.

განაცხადი INPS-ში ელექტრონულად უნდა გაიგზავნოს სამედიცინო ცნობის ვადის გასვლამდე, რომელიც 90 დღეს გრძელდება. ეს შეიძლება გაკეთდეს უშუალოდ დაინტერესებული პირის მიერ, ან INAC-ის (მოქალაქეთა დახმარების ეროვნული ინსტიტუტი) მეშვეობით, რომელმაც უნდა გასცეს სამედიცინო ცნობის ასლი და გაგზავნის ქვითარი.

## 9.10 სამედიცინო შემოწმება

განმცხადებელი გადის ASL-ის (პოლიკლინიკის) საექიმო კომისიის სამედიცინო შემოწმებას, რაშიც ჩართულია INPS-ის ექიმიც. მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს სისტემით შემოთავაზებული ვიზიტის თარიღის შეცვლა - მხოლოდ ერთხელ და წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. შემოწმებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კვლავ გამოიძახებენ. ამ უკანასკნელზე გამოუცხადებლობა ჩაითვლება განაცხადზე უარის თქმად, განაცხადი კი მიიჩნევა ძალადაკარგულად.

თუ არსებობს სამედიცინო შემოწმების სახლის პირობებში ჩატარების შესაძლებლობა, განმცხადებელს შეუძლია, ეს მოითხოვოს მკურნალი ექიმის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ექიმი ავსებს სამედიცინო ცნობას შინ ვიზიტის მოთხოვნით და ელექტრონულად გზავნის INPS-ის ვებგვერდიდან ამბულატორიული შემოწმების დანიშნულ თარიღამდე, სულ მცირე, 5 დღით ადრე.

კომისიის თავმჯდომარე განიხილავს სამედიცინო ცნობას და შინ ვიზიტთან დაკავშირებით მიიღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას.

სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა ექვემდებარება მომდევნო განხილვას და აქტების  გადამოწმებას, ასევე, ახალი სამედიცინო შემოწმების დანიშვნას. ნებისმიერ შემთხვევაში, პროცედურული ნაკადის რაციონალური განაწილება შეზღუდული შესაძლებლობების დადგენის ვადების დაცვის საშუალებას იძლევა.

**ეკონომიკური სარგებელი**

შეზღუდული შესაძლებლობების დადგენის/მინიჭების შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს:

- ყოველთვიური  ფულადი დახმარება

გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, როდესაც შეზღუდვა 74%-ზე მეტია და 100%-ზე ნაკლები.

დახმარების მისაღებად:

- ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს იტალიაში;
- მისი მინიმალური ასაკი იყოს 18 წელი, მაქსიმალური კი - 65 წელი და 7 თვე;
- წლიური პირადი შემოსავლის ლიმიტი არ აღემატებოდეს 4.800,38 ევროს.
- 2019 წლის ყოველთვიური შემწეობა შეადგენდა 282,55 ევროს.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პენსია Pensione di inabilità

გაიცემა შშმ პირებზე, როდესაც საქმე ეხება 100%-იან შეზღუდვას.

პენსიის მისაღებად:

- ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს იტალიაში;
- მისი მინიმალური ასაკი იყოს 18 წელი, მაქსიმალური კი - 65 წელი და 7 თვე;
- წლიური პირადი შემოსავლის ლიმიტი არ აღემატებოდეს 16.814,34 ევროს.
- 2019 წელს, შშმ პირების პენსია შეადგენდა 285,66 ევროს.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის თანმხლების კომპენსაცია

გაიცემა შშმ პირებზე, როდესაც საქმე ეხება 100%-იან შეზღუდვას და ადამიანს არ აქვს გადაადგილების შესაძლებლობა თანმხლები პირის მუდმივი დახმარების გარეშე, ან აუცილებელია უწყვეტი დახმარება ყოველდღიური პირადი საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

კომპენსაციის მისაღებად:

- ბენეფიციარი არ უნდა იწვეს საავადმყოფო დაწესებულებაში უფასოდ;
- ასაკობრივი ზღვარი არ არსებობს;
- საშემოსავლო ზღვარი არ არსებობს.
- 2019 წლისათვის თანმხლების ყოველთვიური შემწეობა შეადგენდა 522,03 ევროს.
- <u>დასწრების შემწეობა</u>

გაიცემა 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან შშმ პირებზე, როდესაც სახეზეა მუდმივი სირთულეები ამ ასაკის ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელების მხრივ.

შემწეობის/კომპენსაციის მისაღებად:

- ბენეფიციარი უნდა ცხოვრობდეს იტალიაში;
- ჰქონდეს უწყვეტი ან პერიოდული დასწრება: ამბულატორიულ ცენტრებში, დღისა და ნახევრად საცხოვრებელი ტიპის ცენტრებსა და საჯარო ან კერძო დაწესებულებებში, რომლებიც ფუნქციონირებს ჩვეულებრივი რეჟიმის პირობებში და სპეციალიზებულია თერაპიულ მკურნალობაში, აგრეთვე შშმ პირთა რეაბილიტაცია-აღდგენაში; ნებისმიერი დონის საჯარო ან კერძო სკოლაში, დაწყებული საბავშვო ბაღიდან (იხ: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N.467/2002 და ცირკულარი N.11/2003); და საჯარო ან კერძო პროფესიულ სასწავლებლებსა ან სასწავლო ცენტრებში, თუ ისინი ფუნქციონირებს სუბიექტთა სოციალური რეინტეგრაციის მიზნით;
- არ იწვეს საავადმყოფო დაწესებულებაში უფასოდ;
- მიმდინარე წლის პირადი შემოსავლის ლიმიტი არ აღემატებოდეს 4.906,72 ევროს.
- 2019 წლის დასწრების ყოველთვიური შემწეობა შეადგენდა 285,66 ევროს.

**ფისკალური დახმარება**

სხვადასხვა გადასახადსა და მოსაკრებელში გასარკვევად - იმის შესამოწმებლად, როდის და როგორ უნდა შევავსოთ დეკლარაცია და გადავიხადოთ შესაბამისი თანხა - მოქალაქეთათვის და ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის მრავალი სერვისცენტრი არსებობს დასახმარებლად.

პირველ რიგში, საუბარია CAF-ის (ფისკალური დახმარების) ცენტრებზე. ეს ცენტრები მოქალაქეებს ეხმარებიან სხვადასხვა სახის ბლანკების შევსებაში. შეუძლიათ, ბლანკები ელექტრონულად გაგზავნონ შემოსავლების სააგენტოში. ამ ცენტრის ზოგიერთი მომსახურება უფასოა. CAF ამოწმებს განაცხადში შეტანილ მონაცემთა შესაბამისობას მოქალაქის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებთან.

საგადასახადო დახმარების ცენტრების გარდა, დეკლარაციის შევსება და შემოსავლების სააგენტოში გაგზავნა შესაძლებელია კვალიფიციურ სპეციალისტთა დახმარებითაც (ბუღალტერი, შრომითი კონსულტანტები და ა.შ.).

დაბოლოს, შემოსავლების სააგენტო მოქალაქეებს/გადამხდელებს სთავაზობს კონტაქტის სხვადასხვა საშუალებას: ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ოფისში მომსახურება (უფრო დეტალური ინფორმაცია საკონტაქტო სერვისების შესახებ იხ: შემოსავლების სააგენტოს ვებგვერდზე).

## 9.10.1 საგადასახადო გამოქვითვა კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებისთვის

2017 წლის შემოსავლების დეკლარაციაში, რომელიც 2016 წლის გადასახადებს ეხება, დასაშვებია საგადასახადო გამოქვითვა კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებისთვის, თუ დაკმაყოფილებულია მოთხოვნა, რომ მათი საერთო შემოსავალი არ აღემატება 2.840,51 ევროს.

2019 წლის 1 იანვრიდან, მხოლოდ 24 წლამდე ასაკის შვილებისათვის, საშუალო შემოსავლის ლიმიტი, რომლებიც გასათვალისწინებელია ფისკალურად, გაიზარდა 2,840.51-დან 4,000 ევრომდე. ამასთანავე, რჩება 2,840.51 ევრო ლიმიტი კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებისთვის.

ქვემოთ მოცემულია ოჯახის იმ წევრთა სია, რომლებიც განიხილებიან, როგორც ფისკალურად კმაყოფაზე მყოფნი, ასევე, მონაცემები შემოსავლის ლიმიტის გამოსაანგარიშებლად.

**კმაყოფაზე მყოფი მეუღლე და შვილები**

ოჯახის წევრების (თუნდაც ცალკე ან საზღვარგარეთ მცხოვრები) ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან:

- მეუღლე, რომელიც ლეგალურად და ფაქტობრივად არ არის განქორწინებული;
- შვილები (ბიოლოგიური, აყვანილი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი), მიუხედავად იმისა, გადააჭარბეს თუ არა გარკვეულ ასაკობრივ შეზღუდვებს, სწავლობენ, თუ უფასო პროფესიულ ტრენინგებს გადიან.

ერთადერთი რეკვიზიტი, რომელიც ამ სუბიექტებს მოეთხოვებათ, არის ის, რომ უნდა იყვნენ ფისკალურად კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრთა სიაში და საგადასახადო წლის მთლიანი შემოსავალი არ აღემატებოდეს 2.840,51 ევროს, გამოქვითვადი ხარჯების ჩათვლით. ამ თანხის ზემოთ გამოქვითვა გამორიცხულია, ნაწილობრივიც კი, თუ მაღალი შემოსავალი მოქალაქეს მხოლოდ წლის ბოლო თვეებში ჰქონდა.

**კმაყოფაზე მყოფი ოჯახის სხვა წევრები**

კმაყოფაზე მყოფად შეიძლება ჩაითვალონ ოჯახის სხვა წევრებიც, თუ ისინი გადამხდელთან ერთად ცხოვრობენ, ასევე, ვინც გადამხდელისგან იღებს ალიმენტს, რომელიც არ არის დადგენილი სასამართლო ორგანოების მიერ:

- ლეგალურად და ფაქტობრივად განქორწინებული მეუღლე;
- შვილების შთამომავლები;
- მშობლები (ბიოლოგიური და მშვილებელი);
- სიძეები და რძლები;
- სიდედრი და სიმამრი;
- ძმები და დები (ცალმხრივიც);
- ბებიები და ბაბუები (მათ შორის, ბიოლოგიურიც).

ამ სუბიექტებს, შემოსავლის ლიმიტის გარდა, მოეთხოვებათ კიდევ ერთი რეკვიზიტი - გადამხელთან ერთად ცხოვრება ან მისგან ალიმენტის ჩეკის, ან ჩეკით დახმარების მიღება.

2016-2017 წლების შემოსავლის ლიმიტი ოჯახის წევრებისთვის შეადგენს 2.840,51 ევროს, რაც სოციალური დახმარების ოდენობის ზუსტად ნახევარია.

## 9.10.2 უცხოელი დასაქმებული კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებით თავის ქვეყანაში

2008 წლის ბიუჯეტის კანონის თანახმად, 2008 წლის 1 იანვრიდან, დასაქმებულმა ან თანამშრომელმა, საგადასახადო გამოქვითვით სარგებლობისათვის, ყოველ წელს უნდა გააკეთოს განცხადება გამოქვითვის უფლებაზე და მაშინაც კი, როცა წინა წლებთან შედარებით, არაფერი შეცვლილა, მიუთითოს გამოქვითვის უფლების საფუძველი, ასევე, იმ პირთა ფისკალური კოდები, რომელთა გამოც განისაზღვრება გამოქვითვა.

გამოქვითვა ვრცელდება უცხოელ დასაქმებულებზეც, რომლებმაც, კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრთათვის გამოქვითვის გამოსაყენებლად, დამსაქმებელს უნდა მიაწოდონ მათი ფისკალური კოდები, თუნდაც ეს პირები საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ.

ასეთ შემთხვევაში, ფისკალური კოდის მისაღებად, საჭიროა იმ დოკუმენტის წარდგენა შემოსავლების სააგენტოს ტერიტორიულად უფლებამოსილ ოფისებში, რომელიც ადასტურებს ოჯახის წევრის ყოფნას მის კმაყოფაზე.

2008 წლის 4 მარტს გამოცემული შემოსავლების სააგენტოს ცირკულარი ადგენს, რომ ოჯახის წევრთა კმაყოფაზე ყოფნის დასადასტურებლად, საჭიროა ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთებიდან ერთ-ერთის წარდგენა:

ა) წარმოშობის ქვეყნის საკონსულოს მიერ გაცემული დოკუმენტის ორიგინალი, იტალიური თარგმანის თანხლებით, ლეგალიზებული ტერიტორიულად უფლებამოსილი პრეფექტურის ხელმძღვანელის მიერ;

ბ) დოკუმენტი აპოსტილის თანხლებით, იმ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებიც შეუერთდნენ 1961 წლის 5 ოქტომბრის ჰააგის კონვენციას;

გ) წარმოშობის ქვეყნის მიერ ოფიციალურად შედგენილი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული დოკუმენტაცია, თარგმნილი და წარმოშობის ქვეყანაში მოქმედი იტალიის საკონსულოს მიერ დამოწმებული.

თუ კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრებისთვის საგადასახადო გამოქვითვა პირველად განისაზღვრება, დოკუმენტაცია უნდა გაეგზავნოს დამსაქმებელსაც. მომდევნო წლებში გამოქვითვის მოთხოვნის განაცხადს უნდა ახლდეს ცნობა არსებული მდგომარეობის უცვლელობაზე, ან ახალი დოკუმენტაცია, თუკი ცნობაში შეტანილი მონაცემები უნდა განახლდეს.

უცხოელმა დასაქმებულმა, რომელსაც შვილები ჰყავს იტალიაში, უნდა წარადგინოს ცნობა ოჯახურ მდგომარეობაზე - გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის მიერ - და შვილების მოსახლეობის რეესტრში აღრიცხვის შესახებ.

## 9.10.3 რას წარმოადგენს და რისთვის არის საჭირო CUD (საერთო ცნობა დასაქმებულის შესახებ)

გაერთიანებული/საერთო ცნობა (ფორმულარი CU 2018, ყოფილი CUD) არის თვითდასაქმებითი და სუბორდინაციული სამუშაოების, საპენსიო და მსგავსი შემოსავლის კუმულაციური სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს დამქირავებელი ან საპენსიო დაწესებულება დასაქმებულთა თუ პენსიონერთათვის. ეს სერტიფიკატი ადასტურებს გაცემული თანხების რაოდენობას და შესაბამისი გადასახადების გადახდას სახელმწიფოსათვის.

**ინსტრუქცია: რა უნდა გაკეთდეს**

დამსაქმებელი ან საპენსიო დაწესებულება ჩვეულებრივ ფორმულარს უგზავნის ფინანსურ ადმინისტრაციას, CU-ს სინთეზურ ფორმულარს კი გადასცემს გადამხდელს იმ წლის 31 მარტამდე, როდესაც მიღებულია ცნობით დადასტურებული შემოსავალი, ან 12 დღის ვადაში, თუ შრომითი ურთიერთობა წყდება დასაქმებულის მოთხოვნით.

ეს დოკუმენტი  გადამხდელს შეიძლება გადაეცეს 2 გზით:

- დამსაქმებლმა გაგზავნოს მატერიალური დოკუმენტის სახით (სავალდებულოა მემკვიდრეებისა და თანამშრომლებისთვის, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა), ანდა პირი პირადად გამოცხადდეს INPS-ის, ყოფილი ENPALS-ისა თუ INPDAP-ის (პენსიონერებისთვის) ტერიტორიულად უფლებამოსილ ოფისებში, მიმართოს CAF-ის უფასო მომსახურებას, ან კვალიფიციურ სპეციალისტთა დახმარებას საფოსტო განყოფილებებში არსებული sportello Amico-ს მეშვეობით.
- გაეგზავნოს ელექტრონულად (თუ ადრესატს აქვს სათანადო აღჭურვილობა, მის მისაღებად და ამოსაბეჭდად უნდა შევიდეს INPS-ის ოფიციალურ ვებგვერდზე/პორტალზე, შეიყვანოს თავისი ფისკალური და საიდენტიფიკაციო კოდები და მიჰყვეს ელექტრონულ პროცედურას.

გადამხდელი, რომელმაც წლიურად მიიღო მხოლოდ CU-ში შეტანილი შემოსავალი, ანდა არის ერთი ან მეტი პენსიის მფლობელი (რისთვისაც "საპენსიო რეესტრი" არსებობს), გათავისუფლებულია სააგენტოში შემოსავლების წარდგენისგან დეკლარაციის („730") ან შემოსავლების (ყოფილი ,,Unico'') ფორმულარების მეშვეობით (იმ პირობით, თუ დამსაქმებელმა სწორად შეძლო გადასახადების კორექტირება/დამრგვალება (il conguaglio)).

შემოსავლების დეკლარაციის შევსებისგან გათავისუფლებულ გადამხდელს  შეუძლია, მაინც არჩიოს საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა, თუ, მაგალითად, წლის განმავლობაში გაიღო ხარჯი და აპირებს მის გამოქვითვას შემოსავლიდან, ან საგადასახადო გამოქვითვას (მაგ.: სამედიცინო ხარჯები, იპოთეკური სესხის  პროცენტები და ა.შ) .

## 9.10.4 რა არის და რისთვის არის საჭირო ISEE (ეკვივალენტური ეკონომიკური სიტუაციის ინდიკატორი)

ტერმინი ISEE ნიშნავს ერთიან შემცვლელ დეკლარაციას (DSU), რომელიც აუცილებელია თითქმის ყველა სოციალური მომსახურებისა და შეღავათის მოთხოვნისთვის. ამ დეკლარაციით  "იზომება" ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა.

ISEE დაბალშემოსავლიან გადამხდელებს საშუალებას აძლევს, სოციალური და კომუნალური მომსახურება მიიღონ შეღავათიანი პირობებით. აქედან გამომდინარე, ეს არის wellfar (კეთილდღეობის) ინსტრუმენტი, რომელიც  გამოითვლება  ეკონომიკური მდგომარეობის ინდიკატორისა (ISE) და ეკვივალენტური მასშტაბის პარამეტრს შორის თანაფარდობით (ISE, შემოსავლების ჯამური თანხისა და ოჯახის წევრთა მოძრავი და უძრავი ქონების აქტივების/ღირებულების 20%-ის მიხედვით).

მოთხოვნილი მომსახურების ან იმ სიტუაციის მიხედვით, რომელშიც იმყოფება ოჯახი, იცვლება შესავსები ფორმულარები:

- ჩვეულებრივი ან მინი ISEE  - ყველა შემთხვევისთვის;
- არასრულწლოვანთა ISEE  -  მარტოხელა მშობლებისთვის;
- საუნივერსიტეტო ISEE  - განათლების უფლებაზე შეღავათების მოთხოვნისთვის;
- სოციალური-ჯანდაცვის ISEE  - სოციალური და ჯანდაცვის მომსახურების/სარგებელის მოთხოვნისთვის;
- მიმდინარე ISEE -  დაფუძნებული  ბოლო 12 თვის შემოსავლებზე;
- ინტეგრირებული ISEE  - უნდა შეივსოს განსაკუთრებულ შემთხვევებში, ან დამატებების დროს.

რეფორმის თანახმად, ახალი ISEE იწურება ყოველი წლის 15 იანვარს. ამიტომ აუცილებელია განახლება, რათა გააგრძელდეს მისი გამოყენება.

ISEE-სთან დაკავშირებული მომსახურებები:

- საოჯახო დახმარება;
- სამშობიარო დახმარება და “Bonus Bebe”;
- ბაღები და სხვა საგანმანათლებლო მომსახურება ბავშვებისათვის;
- სკოლის სასადილო;
- სასკოლო/სასწავლო სარგებელი (სკოლის წიგნები, სტიპენდიები );
- შეღავათები უნივერსიტეტში სწავლის საფასურზე;
- შეღავათები საუნივერსიტეტო  განათლების უფლებაზე;
- სოციალური და ჯანდაცვის მომსახურება ბინაზე;
- სოციალური და ჯანდაცვის მომსახურება დღიურად, სახლის პირობებში;
- შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე (სინათლე, ტელეფონი, გაზი);
- სხვა ეკონომიკური მომსახურებები.

ISEE-ს დეკლარაციის შესავსებად, ისევე, როგორც საგადასახადო დახმარების ნებისმიერი სხვა ფორმის დროს (შემოსავალები, 730), შეგიძლიათ მიმართოთ CAF-ს.

## 9.11 ოჯახში დამხმარე და მომვლელი - სახლში შრომითი დასაქმების დაწყების სავალდებულო შეტყობინება INPIS-სთვის

2009 წლის 29 იანვრიდან ოჯახში დასაქმების კონტრაქტის გაფორმების,  შეცვლის, გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ  INPS-ში გაგზავნილი შეტყობინება და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები ვალიდურია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სამუშაოზე მომხდარი უბედური შემთხვევის დაზღვევის ეროვნული ინსტიტუტისა (INAIL) და მთავრობის ტერიტორიული ორგანოს - პრეფექტურის - უფლებამოსილ სამსახურებში.

შეტყობინება იგზავნება:

- ოჯახში დასაქმების კონტრაქტის გაფორმების შესახებ - წინა დღის 24 საათის განმავლობაში, თუნდაც დღესასწაული იყოს;
- ოჯახში დასაქმების კონტრაქტის შეცვლის, გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ - ფაქტიდან 5 დღის განმავლობაში;
- ოჯახში დასაქმების კონტრაქტის გაფორმების შეტყობინება უნდა გაიგზავნოს მხოლოდ ვებგვერდის ელექტრონული პროცედურის მეშვეობით.

ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დამსაქმებელს შეუძლია, გამარტივებული წესით გამოიყენოს:

- საკონტაქტო ცენტრი - ნომერზე 803-164 და ტელეფონით მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია;
- შესაბამისი ელექტრონული პროცედურა - ფორმულარის ონლაინ შევსება და გაგზავნა;
- ქაღალდის ფორმულარები (დანართები) - ოფისებში წარსადგენად და დასაგზავნად.

ოჯახში დასაქმების კონტრაქტის გაფორმებაზე შეტყობინების დაზღვეული წერილით გაგზავნის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია გაგზავნის თარიღი.

## 9.12 მართვა ევროკავშირის ტერიტორიაზე: რა უნდა ვიცოდეთ მართვის მოწმობის გადაკეთების/შეცვლის ან შენარჩუნების შესახებ

უცხოური/საზღვარგარეთული მართვის მოწმობის ფლობა ნიშნავს მთელი რიგი უპირატესობებით სარგებლობას - პირველ რიგში, საზღვარგარეთ თუ იტალიაში რეგისტრირებული, მათ შორის, დაქირავებული ავტომანქანების მართვას.

უცხოური მართვის მოწმობის მქონე პირს უფლება აქვს, მართოს მხოლოდ იმ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებისთვისაც იგი ძალაშია გამცემი ქვეყნის რეგლამენტის შესაბამისად. ეს კატეგორიები მითითებულია უშუალოდ დოკუმენტში, ისევე როგორც გარკვეული მოდელები, რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორისო კონვენციებს. უცხოურ მართვის მოწმობას თან უნდა ახლდეს იტალიური თარგმანი, რაზეც ზრუნავენ საზღვარგარეთ ან იტალიაში მოქმედი დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობათა თანამშრომლები. ალტერნატიულად დასაშვებია სავაჭრო პალატაში რეგისტრირებული ექსპერტის თარგმანი. ეს დოკუმენტი ვალიდურად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი ნოტარიუსის ან სასამართლო მოხელის წინაშე ნაფიცი თარჯიმანია.

### ევროკავშირის მართვის მოწმობის წესები

თუ თქვენი მართვის მოწმობა გაცემულია ევროკავშირის ან ევროპული ეკონომიკური სივრცის რომელიმე ქვეყნის მიერ, ავტომანქანის მართვა იტალიის მთელ ტერიტორიაზე შეგიძლიათ ისე, რომ იტალიაში ცხოვრების უფლების/ბინადრობის ნებართვის მიღების შემდეგ არ გევალებათ ამ მოწმობის შეცვლა/გადაკეთება.

თუ დოკუმენტში ვადის გასვლის თარიღი მითითებული არ არის, იტალიაში ცხოვრების უფლების/ბინადრობის ნებართვის მიღებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში შეიძლება მართვის მოწმობის აღიარების ან შეცვლის მოთხოვნა, რადგან ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ეს მაინც სავალდებულო ხდება.

### რას გულისხმობს" ბინადრობა" მართვის მოწმობის შეცვლა/გადაკეთების თვალსაზრისით

ევროკავშირის მართვის მოწმობის საკითხთან დაკავშირებით, ბინადრობა გულისხმობს როგორც მოსახლეობის რეესტრში აღრიცხვას, ასევე ჩვეულებრივ ცხოვრებას/ბინადრობას. მეორე შემთხვევაში, ევროკავშირის მოქალაქეებს შეუძლიათ მოითხოვონ მართვის მოწმობის შეცვლა/გადაკეთება, თუკი:

- იტალიის ტერიტორიაზე ცხოვრობენ წელიწადში 185 დღე მაინც;
- პირადი ინტერესები აქვთ, რომლებიც ამართლებს იტალიის ტერიტორიასთან სტაბილურ კავშირს/ურთიერთობას;
- უნდა იყოს სტუდენტი იტალიის ტერიტორიაზე, წელიწადში, სულ მცირე, 6 თვის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, მძღოლები, რომლებსაც აქვთ ევროკავშირის მართვის მოწმობა, ვალდებულნი არიან, დაიცვან საგზაო კოდექსი. დარღვევისას გათვალისწინებულია მართვის მოწმობის მოქმედების შეჩერება, ისევე, როგორც იტალიური მართვის მოწმობის მფლობელთა შემთხვევაში.

როდესაც დგება მართვის მოწმობის შემოწმების საკითხი, მფლობელი ვალდებულია, გამოცდებამდე შეცვალოს/გადააკეთოს ეს მოწმობა.

### მართვის მოწმობის შეცვლა/გადაკეთება

მართვის მოწმობის შეცვლა/გადაკეთება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ევროკავშირის ან ევროპული ეკონომიკური სივრცის ქვეყნებს შორის, სადაც მოქმედებს ურთიერთაღიარების შეთანხმება, სხვა სახელმწიფოებმა კი უნდა დააკმაყოფილონ სპეციალური პირობები. ასეთ შემთხვევებში, მართვის მოწმობის შეცვლა/გადაკეთებაზე თანხმობის მისაღებად, პირველ რიგში, მოწმობა აღებული უნდა იყოს იტალიაში ცხოვრების უფლების/ბინადრობის ნებართვის მიღების თარიღამდე.

არსებობს განსაკუთრებული პირობებიც, რომელთა დაცვაც აუცილებელია (მაგ.: არ შეიძლება ისეთ ქვეყანაში შეცვლილი/გადაკეთებული მოწმობის გადაკეთება/შეცვლა, რომელსაც გაფორმებული არა აქვს ურთიერთაღიარების შეთანხმება იტალიასთან). რაც შეეხება თარგმანს, ის არა მხოლოდ დამოწმებული უნდა იყოს სასამართლოში, არამედ ლეგალიზებულიც პრეფექტურის მიერ. მართვის მოწმობის შეცვლა/გადაკეთება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მფლობელს აქვს მოქმედი ბინადრობის ნებართვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბინადრობის ისტორიის შემოწმება არსებითია მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ მართვის მოწმობის შეცვლა/გადაკეთება მხოლოდ იტალიაში ცხოვრების უფლების/ბინადრობის მე-4 წელს.

რაც შეეხება ევროკავშირის მართვის მოწმობებს, შეცვლა/გადაკეთება შეიძლება შესამოწმებელი გამოცდის გარეშე, თუ დოკუმენტს ვადა აქვს გასული არანაკლებ 3 წლის წინათ, პრეფექტურაში ლეგალიზებული საკონსულოს მიერ წინასწარ გაცემული ავტორიზაციით (ცხადია, შესაბამისი თარგმანით, რომელიც თავის მხრივ დამოწმებული უნდა იყოს სასამართლოში, თუკი თარგმანი არ არის შესრულებული ლათინური ასოებით). მესამე ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობების შემთხვევაში, შეცვლა/გადაკეთება არ არის ნებადართული დოკუმენტის ვადის გასვლის შემდეგ.

**მართვის მოწმობა ან საერთაშორისო ნებართვა**

იტალიური მართვის მოწმობით ავტომანქანის მართვა შესაძლებელია ევროკავშირის და ევროპული ეკონომიკური სივრცის ქვეყნებში, ასევე, არაევროპულ სახელმწიფოებში, სადაც ძალაშია შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება (მაგ.: შვეიცარია, ალჟირი, თურქეთი). ყველა სხვა ქვეყანაში აუცილებელია, გქონდეს მართვის მოწმობა, ან საერთაშორისო ნებართვა (თუ მათ ხელი აქვთ მოწერილი ვენის ან ჟენევის კონვენციებზე).

**საერთაშორისო ნებართვა** მოქმედებს, მაქსიმუმ, ერთი წლის განმავლობაში და გაცემულია ავტომანქანების მართვაზე იმ ქვეყნებში, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჟენევის 1949 წლის კონვენციას.

**საერთაშორისო მართვის მოწმობა** კი მოქმედებს, მაქსიმუმ, 3 წლის განმავლობაში და გაცემულია ავტომანქანების მართვაზე იმ ქვეყნებში, რომლებიც შეუერთდნენ 1968 წლის ვენის კონვენციას.

საერთაშორისო ნებართვის აღება ჯობია თუ საერთაშორისო მართვის მოწმობის - ამ კითხვაზე პასუხის მისღებად, სასურველია, მიმართოთ იმ ქვეყნის საკონსულოს, სადაც აპირებთ წასვლას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში საკმარისია თარგმნილი იტალიის მართვის მოწმობა.

<u>ჟენევის (19 სექტემბერი, 1949) და ვენის (8 ნოემბერი, 1968) კონვენციების ხელმომწერი ქვეყნების სია:</u>

<u>საერთაშორისო მართვის ნებართვა 1949 წლის ჟენევის კონვენციის მიხედვით:</u>

ალბანეთი, ალჟირი, არგენტინა, ავსტრალია, ბანგლადეში, ბარბადოსი, ბენინი, ბოტსვანა, კამბოჯა, კანადა, ჩილე, ჩინეთი, კონგო, კოტ დივუარი, კუბა, ეკვადორი, ეგვიპტე, ფიჯი, ფილიპინები, საქართველო, განა, იაპონია, იორდანია, გვატემალა, ჰაიტი, ინდოეთი, ისრაელი, იამაიკა, ყირგიზეთი, ლაოსი, ლეზოტო, ლიბანი, მადაგასკარი, მალავი, მალეზია, მალი, მაროკო, ნამიბია, ნიგერია, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, პარაგვაი, პერუ, მონაკოს სამთავრო, სირიის არაბთა რესპუბლიკა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეის რესპუბლიკა, დომინიკის რესპუბლიკა, რუანდა, სენეგალი, სიერა ლეონე, სინგაპური, შრი-ლანკა, ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ აფრიკა, შვეიცარია, ტაივანი, ტაილანდია, ტოგო, ტრინიდადი და ტობაგო, ტუნისი, თურქეთი, უგანდა, ვენესუელა, ვიეტნამი, ზაირი, ზიმბავე.

<u>საერთაშორისო მართვის მოწმობა 1968 წლის ვენის კონვენციის მიხედვით:</u>

ბაჰამის კუნძულები, ბაჰრეინი, ბელორუსია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბრაზილია, ჩილე, კორეა, კოტ-დ'ივუარი, კოსტა რიკა, ხორვატია, კუბა, ეკვადორი, ფილიპინები, საქართველო, განა, გაიანა, ყაზახეთი, ქუვეითი, ინდონეზია, ირანი, ისრაელი, ლიეტუვა, მაკედონია, მაროკო, მექსიკა, მოლდოვა, მონღოლეთი, ნიგერია, პაკისტანი, მონაკოს სამთავრო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, სენეგალი, სეიშელის კუნძულები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, შვეიცარია BA, ტაჯიკეთი, ტაივანი, ტაილანდია, თურქმენეთი, უკრაინა, ურუგვაი, უზბეკეთი, ვენესუელა, ზაირი.

# საკონტაქტო ინფორმაცია

**სოციალური სამსახურები:**

- INPS - სოციალური უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუტი, www.inps.it
- შემოსავლების სააგენტო, www.agenziaentrate.gov.it
  800 90 96 96 (ფიქსირებული ტელეფონიდან)
  0 696 668 907 (მობილური ტელეფონიდან) ან +390 696 668 933 (საზღვარგარეთიდან)
- აქტიური შრომის პოლიტიკის ეროვნული სააგენტო, www.anpal.gov.it

**უფლებების დაცვა**

- მიგრანტები: www.meltingpot.org - www.asgi.it
- არასრულწლოვნები: www.savethechildren.it
- ქალები: www.direcontrolaviolenza.it (ეხება რეგიონულ ცენტრებს)
- www.befreecooperativa.org
- ანტიდისკრიმინაციული: www.unar.it

**მშრომელთა გაერთიანებები/პროფკავშირები:**

- CISL იტალიის შრომითი გაერთიანებების პროფკავშირი: www.cisl.it
- CGIL იტალიის შრომის გენერალური პროფკავშირი: www.cgil.it
- UIL იტალიის მშროემლთა კავშირი : www.uil.it

**გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზი:**

- სასწრაფო დახმარება: 118
- პოლიცია: 113
- მეხანძრეთა ბრიგადა: 115
- ზოგადი: 112

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
Gonzagagasse 1
A-1010 ვენა
ავსტრია
www.icmpd.org

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ, საქართველოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიასთან (SCMI) თანამშრომლობით მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში (ENIGMMA 2)“ - ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსი გამოხატავს მხოლოდ ავტორთა შეხედულებებს და არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც ევროკავშირის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, ან მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მისი წევრი უწყებების მოსაზრება.